საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№4 (191)
6 - 12 თებერვალი, 2013
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

18 მეზღაპრე პოლიტიკოსი და «მაშველი რგოლი» «ნაცებისთვის»

# ვინ ესვრის ჩაიდანს ირაკლი ალასანიას?



2

3 «ნაგავგეიტი», ანუ უგულავა და ცოცხოსანთა ორდენი

ვინ გაიმარჯვებს ოპოზიციის კასტინგში? 4

«ზაქარეიშვილს ძალზედ გრძელი ფეხები ჰქონია, რუსეთი თუ ზედ ჰკიდია» 6

«გავა დრო და იცოდეთ, 2008 წლის მოვლენები შეფასდება, როგორც ჩვენი მხრიდან სერიოზული შეცდომა» 10

11 «ისეთი სასტიკი ზეწოლა ხორციელდებოდა ჩემზე, ტკივილს რომ ვეღარ ვუძლებდი, ხელზე საკუთარი ხორცი კბილებით ამოვიჭამე»

რატომ ამხედრდა ქურდების წინააღმდეგ სააკაშვილი? 14

# პროფესორ გაბიანის საქმე 12

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკა და ევროპა კვლავ კოაბიტაციას ითხოვენ, ხოლო ამომრჩეველი ამ ვიწრო პოლიტიკურ თამაშებში ნელ-ნელა კარგავს მოთმინებას. ამერიკასა და ევროპას ეს ვითარება ხელს აძლევს: მათ სააკაშვილიც და ივანიშვილიც მოკლე საბელზე ჰყავთ და ერთმანეთის ბოლომდე გამეტების უფლებას არ აძლევენ. ასე უფრო ადვილია ორივე მხარეზე გავლენის შენარჩუნება და საკუთარი ინტერესების მაქსიმალურად უზრუნველყოფა.**

# ვინ ესვრის ალასანიას ჩაიდანს?



**სამართლიანობის აღდგენის მოიმედე ქართული საზოგადოება გიგი უგულავას კაბინეტში დასაკითხად მისულმა გამომძიებელმა, შეიძლება ითქვას, შოკში ჩააგდო. 9-წლიანი ტერორის შემოქმედნი პოლიტიკურ დევნაზე ვიშვიშებენ, ხოლო ახალი ხელისუფლება მოძალადესთან კოაბიტაციას ესწრაფვის, რომ ემანდ დასავლეთი არ გაანაწყენოს! ნომერ პირველი „თავისუფალი დემოკრატის“ — ირაკლი ალასანიას სურვილი, პრეზიდენტი გამხდარიყო, ჩანასახშივე მოისპო, ვიცე-პრემიერის პოსტზე მის შემცვლელად უკვე გიორგი მარგველაშვილი დასახელდა, ხოლო თავად ალასანიას მისამართით პრემიერმა ივანიშვილმა ისეთი ორაზროვანი განცხადებები გააკეთა, რომ საზოგადოებაშიც და, სავარაუდოდ, მის ოჯახშიც კიდევ უფრო მეტი კითხვა გააჩინა.**

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანიას დუბაიში ვიზიტი „პატარა შეცდომად“ შეაფასა: **„მართლაც მქონდა მთავრობის სხდომაზე დუბაისთან დაკავშირებით შეკითხვა. მქონდა სხვა შეკითხვებიც, მაგრამ ამ თემის აჟიტირება არ მინდა, რამდენადაც ისეთი არაფერი მომხდარა, რაც საზოგადოებაში გავიდა. შეცდომა შეიძლება ყველას მოუვიდეს, ჯერ ახალგაზრდაა ირაკლი, პატარა რაღაც შეეშალა. ეს პირადული საკითხია და პირადულში არ შევდივარ. სხვათა შორის, ასეთი პრეცედენტი მოხდა არჩევნების დროს – ვიღაცას გუნდიდან რაღაც ფილმები გადაუღეს და გაწბილებულები იყვნენ, როგორ დავენახოთო. მე დავაწყნარე, ეს ჩემი საქმე არაა, თქვენს მეუღლეებს დაელაპარაკეთ-თქო. მე პირადულში არ შევდივარ ზედმეტად, თუმცა ოჯახთან ჩემი დამოკიდებულება მაქვს და ეს ჩემთვის სხვა რამეს წარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთი ჩემი ახლობელი ღალატობს მეუღლეს. ირაკლი არ მყავს მხედველობაში ამ შემთხვევაში“**, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე.

სიტყვებმა „ირაკლი არ მყავს მხედველობაში“ კიდევ უფრო გაამძაფრა ეჭვები.

დუბაის გარდა, ალასანიას საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში არაოფიციალური მოგზაურობების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, პრემიერის თქმით, არსებული კითხვების მოხსნის მიზნით, ის თავდაცვის მინისტრს მოსთხოვს, გამოაქვეყნოს, თუ ვის და როდის შეხვდა ბრიტანეთში.

ჟურნალ „რეიტინგთან“ ინტერვიუში ალასანიას მეუღლემ — ნათია ფანჯიკიძემ განაცხადა: **„რაც თავი მახსოვს, სულ დაოჯახებული ვარ, მაგრამ ირაკლი ჩემზე უარეს დღეშია. ორი წლით ჩემზე უმცროსია და 18 წლის იყო, როცა მისი ცოლი გავხდი. ხშირად ვეუბნები, ირაკლი, როგორ შევდივარ შენს მდგომარეობაში, ოცი წელი გავიდა ჩვენი თანაცხოვრებიდან და რამდენჯერაც თვალს გაახელ, სულ მე გხვდები“.**

კითხვაზე — **თქვენი მეუღლე ახალგაზრდა, სიმპათიური პოლიტიკოსია და ბევრ ქალბატონს მოსწონს, არასოდეს გიეჭვიანიათ?** — ნათია ფანჯიკიძის პასუხი ასეთი იყო:

**„— როგორ არა, მაგრამ იუმორი ყველაფერში გადაგვარჩენს. როდესაც ურთიერთობა ნამდვილ მეგობრობაზეა დამყარებული, იქ არის ბრაზიც, წყენაც, მაგრამ იმ ფასეულობას ვერაფერი გადასწონის, რაც ოცი წლის განმავლობაში დაგროვდა“.**

გადაწონის თუ არა „პატარა შეცდომა“ ოცი წლის განმავლობაში დაგროვებულ ფასეულობებს, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ქართველ ამომრჩეველს ამაზე მეტად ის აინტერესებს, გადაწონის თუ არა კოალიციის წევრების წვრილი და მსხვილი შეცდომები 1 ოქტომბერს მოპოვებული გამარჯვების ფასეულობას.

პრეზიდენტობის სურვილისთვის „დასჯილი“ ალასანია კარგა ხანს იყო „ნაციონალთა“ ქილიკის საგანი, მაგრამ ყველაზე მძიმე დარტყმები მან სწორედ საკუთარი ბანაკიდან მიიღო. „დაიცავი საქართველოს“ და „ამომრჩეველთა ლიგის“ წევრმა კახა მიქაიამ თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ბიძინა ივანიშვილის ღალატში დაადანაშაულა:

**„რომელი ხართ რიგში, ბიძინა ივანიშვილს მძიმედ ელაპარაკოთ, რომელი ხართ რიგში, უღალატოთ ბიძინა ივანიშვილს, კაცს, რომელმაც თქვენ, ყველანი ჭაობიდან ამოგიყვანათ, კაცს, რომელმაც გადაარჩინა მთელი საქართველო. მიშასთან ხომ ხართ მსუბუქად? ეს არის ღალატი, როდესაც უჭირს, სკამების გამო დაუპირისპირდე კაცს, რომელმაც მთელი ქვეყანა კატასტროფას გადაარჩინა!“**

კარგად ინფორმირებული წყაროები აცხადებენ, რომ პრეზიდენტობის სურვილი ალასანიას ამერიკის ელჩმა გაუღვივა, მას კი არ ეყო პოლიტიკური თუ სხვა სახის ინტრიგების გამოცდილება და ანკესს წამოეგო. შედეგმაც არ დააყოვნა. პოსტფაქტუმ ალასანიას განმარტების გაკეთება მოუწია: **„არ დაგიმალავთ, ჩვენს პარტიაში გვქონდა პოზიციების გაცვლა საპრეზიდენტო კანდიდატურასთან დაკავშირებით, ვაპირებთ თუ არა, გვყავდეს ჩვენი კანდიდატი, რომელსაც კოალიციას შევთავაზებთ. არ დაგიმალავთ იმასაც, რომ ჩვენ საკმაოდ მძიმე საუბარი გვქონდა პრემიერ-მინისტრთან რამდენიმე დღის წინ ამ საკითხზე. პრემიერ-მინისტრს გარკვეული შეშფოთება ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს განხილვა ხდებოდა მასთან შეუთანხმებლად. მე მთლიანად ვეთანხმები მას, რომ ეს კანდიდატურა უნდა იყოს შეჯერებული კოალიციასთან, კოალიციის ლიდერთან. თავად მეც არ მესიამოვნა, რომ ასეთი უხერხული საუბარი შედგა“.**

როგორ უნდა აეცილებინა ეს უხერხულობა ირაკლი ალასანიას იმ პირობებში, როცა თვით აშშ-მა შესთავაზა პირველი პირის სავარძელი? ამგვარ საქმეებში კარგად ჩახედული ხალხი ამბობს, რომ პირველი, რაც მას უნდა გაეკეთებინა — მისულიყო და თავად ეთქვა ივანიშვილისთვის, თუ ვინ და რატომ მისცა მას ეს წინადადება. **პრემიერმა არჩევნების შემდეგვე აჩვენა ალასანიას „ყვითელი ბარათი“, როცა განაცხადა, რომ პრეზიდენტობის საუკეთესო კანდიდატად რესპუბლიკელი ვახტანგ ხმალაძე ესახება.**

ამის მიუხედავად, ალასანიამ „პატარა შეცდომა“ ისევ დაუშვა და „ხმალაძე პრეზიდენტად“ უკვე წითელი ბარათის სახით აუფრიალეს. ბიძინა ივანიშვილმა 5 თებერვალს სრულიად ნათლად განაცხადა: **„პრეზიდენტის პოსტზე მე ვახტანგ ხმალაძე აბსოლუტურად შეგნებულად დავასახელე. ეს იყო სიმბოლური იმისა, რომ საზოგადოებასა და კოალიციის წევრებს კარგად გაეგოთ ახალი ინსტიტუტის მნიშვნელობა. ის ინსტიტუტი, რომელიც დღეს არის და შემოდის, პრინციპულად განსხვავებულია. ამისთვის ეტალონურია ხმალაძე. ახალი ინსტიტუტის დროს პრეზიდენტს უფრო კრიზისის შემთხვევაში მომრიგებლის როლი აქვს“.**

**„სრულიად შეგნებულად“** — ხაზი გაუსვა პრემიერმა და ისევ საკუთარ გუნდს მიანიშნა, რომ მათი ამბიციებისა თუ თვითდაჯერებულობის მიუხედავად, ივანიშვილის გარეშე ისინი ვერაფერს მიაღწევენ: **„საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის ალასანიას ყველაფრის უფლება აქვს. თვითონ თუ მოუნდება, გუნდის ნებისმიერ წევრს შეუძლია ეს გააკეთოს, ოღონდ ფორმები დაიცვას. თუ კოალიციაშია, კოალიციას შეეკითხოს, თუ მის აზრს არ გაიზიარებს, გადის კოალიციიდან და აკეთებს, რისი სურვილიც აქვს. კოალიციაში ამის განხილვა არ დაგვიწყია, შესაბამისად, პასუხი არ გვაქვს, თუმცა ჩემი პირადი გადმოსახედიდან, ალასანია ამ ეტალონს, რაზეც უკვე ვისაუბრე, ვერ ერგება, მაგრამ მე მარტო არ გადავწყვეტ ამ საკითხს, გარწმუნებთ“.**

კიდევ უფრო მწვავედ გაიჟღერა მისმა განმარტებამ, რომ, თუ ალასანიას ან სხვა ვინმეს მისი ეს აზრი არ მოეწონება, შეუძლია კოალიციიდან გავიდეს და კენჭი ცალკე იყაროს. ცალკე ვინ რისი მიმღებია, კოალიციის წევრებმაც იციან, ივანიშვილმაც და ამომრჩეველმაც. ამიტომ ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კოალიციის ლიდერი საკუთარ შეუცვლელობაში დაარწმუნონ. და ეს სულაც არ ეხება მხოლოდ ალასანიას.

**უცნაური მხოლოდ ის არის, რომ „ნაციონალებთან“ შერკინების ნაცვლად „ქართული ოცნება“ კოალიციის შიგნით ურთიერთობების გარკვევით არის დაკავებული.** ამერიკა და ევროპა კვლავ კოაბიტაციას ითხოვენ, ხოლო ამომრჩეველი ამ ვიწრო პოლიტიკურ თამაშებში ნელ-ნელა კარგავს მოთმინებას. **ამერიკასა და ევროპას ეს ვითარება ხელს აძლევს: მათ სააკაშვილიც და ივანიშვილიც მოკლე საბელზე ჰყავთ და ერთმანეთის ბოლომდე გამეტების უფლებას არ აძლევენ. ასე უფრო ადვილია ორივე მხარეზე გავლენის შენარჩუნება და საკუთარი ინტერესების მაქსიმალურად უზრუნველყოფა.**

დღეს საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებს, რომ პრეზიდენტის მიერ მთავრობისა და პარლამენტის დათხოვნის საკითხზე საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის შესახებ უმცირესობის წევრების დადებით ან უარყოფით პასუხზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად გააგრძელებს მმართველი ძალა საპარლამენტო ოპოზიციის ცალკეულ წევრებთან თანამშრომლობას.

საპარლამენტო უმრავლესობის აზრით, წლების განმავლობაში **სააკაშვილის ზურგს უკან მიმალულ ადამიანებს, რომლებიც პერსონალურად არასოდეს არაფერზე აგებდნენ პასუხს, მოუწევთ საკუთარი აზრის მკაფიოდ დაფიქსირება კონკრეტულ საკითხზე — უნდა ჩამოერთვას თუ არა პრეზიდენტს ხალხისა და პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის უფლება?**

კაცმა რომ თქვას, „ნაციონალურ მოძრაობას“ ამ საკითხზე არაერთხელ აქვს გაცემული პასუხი: მათთვის საქართველოზე მაღლა სააკაშვილი დგას, ხოლო ხალხის მართვა ყველაზე უკეთ დიქტატურის გზით ეხერხებათ. ახლა უმრავლესობის მხრიდან გუშინდელი უმრავლესობისთვის ამ რიტორიკული შეკითხვების დასმა მგლის თავზე სახარების კითხვის იგავის თანამედროვე ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

**რაც შეეხება მომავალ პრეზიდენტობის კანდიდატს, თუკი აქამდე ვინმეს ეგონა, რომ ივანიშვილის მიერ დასახელებული ვახტანგ ხმალაძე რეალური კანდიდატია, მიხვდა, რომ მწარედ შეცდა... შეცდნენ ისინიც, ვინც პრეზიდენტობის მომავალ კანდიდატად ირაკლი ალასანიას მიიჩნევდნენ.**

არადა, ეს საკითხი უკიდურესად მნიშვნელოვანია. ორიოდე კვირის წინ ჩვენს გაზეთში დავით მხეიძემ წერილში **„რა უნდა სააკაშვილს სამეგრელოში და რა კრიტერიუმებით უნდა შევარჩიოთ პრეზიდენტობის კანდიდატი“** მოსწრებულად შენიშნა, რომ:

„თუკი მომავალი პრეზიდენტის, ასე ვთქვათ, „სამუშაო პრიორიტეტებს“ ჩამოვაყალიბებთ, მან უნდა იმუშაოს იმ მიმართულებებზე, იმ საკითხებზე, რომელთა დარეგულირება პრემიერისა და პარლამენტის სპიკერისთვის სირთულეს წარმოადგენს. ამ მხრივ საგულისხმოა ისიც, რომ პრეზიდენტის რანგში ჩამოთვლილ გამოწვევებთან გამკლავება შეუძლია მხოლოდ ისეთ ფიგურას, რომელიც არ იქნება გამაღიზიანებელი აფხაზებისა და ოსებისთვის და შეუძლია სამეგრელოს შემობრუნება ცენტრალური ხელისუფლებისკენ, ასევე „ნაცმოძრაობის“ დესტრუქციული ქვენა გრძნობების განეიტრალება რეგიონში და, რაც მთავარია, ეს უნდა იყოს ადამიანი, რომელთანაც სასაუბროდ დასხდებიან რუსები.

სადღეისოდ სწორედ ამ კრიტერიუმების შესაბამისად უნდა ხდებოდეს პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატის შერჩევა, რადგან სწორედ ეს კრიტერიუმებია ძირითადი იმ მოთხოვნებიდან, რომელთაც საზოგადოება ხელისუფლებას უყენებს“.

ფაქტია, რომ ამ კრიტერიუმების შესაბამისი კანდიდატი მომავალი პრეზიდენტის პოსტზე ოცნებას არ ჰყავს. რაც შეეხება ალასანიას, მან თავისი საქციელით არამარტო საკუთარი პოლიტიკური კარიერა დააყენა ეჭვქვეშ, არამედ საკუთარი ცოლის დის, საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის კარიერასაც კითხვის ნიშანი დაუსვა. ამდენად, თუკი ალასანიას ჰგონია, რომ ხელთათმანი, რომელიც დღეს ივანიშვილმა ესროლა, მისი მთავარი პრობლემაა, ურჩევნია, კარგად დაფიქრდეს, რადგან შინ მისულს, ივანიშვილის მიერ გიგი უგულავას ცოლთან თუ მის დაქალთან დაკავშირებული კალამბურის გამო, საკუთარი ცოლის დისგან არათუ ხელთათმანის, არამედ გაცილებით მძიმე საყოფაცხოვრებო საგნების აცილება მოუწევს...

თუ რატომ — ცოლის დისგან, ამაზე მომავალში მოგახსენებთ.

**თამარ დავითულიანი**

**შეგვიძლია, თამამად ვუმასპინძლოთ გარბოლოგთა მომავალ მსოფლიო კონგრესს, რადგან ჩვენი ქვეყანა ბოლო წლებში ,,ნაგვის პოლიტოლოგიის“ და შესაბამისი კონსპიროლოგიის სამშობლო გახდა. ან კიდევ, რომელ ქვეყანაში არსებობს დასუფთავების სამსახურის საფარქვეშ მოქმედი ცოცხოსანთა იდუმალი ორდენი, რომელიც ასობით წევრს აერთიანებს?**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ნაგავგეიტი», ანუ უგულავა და ცოცხოსანთა ორდენი

**,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ისტორიაში ნაგავს გამორჩეული ადგილი უკავია და, წესით, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბოლო სკანდალიც მას უკავშირდება. ჯერ კიდევ ,,ვარდების რევოლუციამდე“ მიხეილ სააკაშვილი გლდანის ნაგავსაყრელზე მელოდრამატულ პიარაქციებს აწყობდა; შემდეგ იყო ლოზუნგი ,,გახდი შენი ქალაქის მეეზოვე“ და დასუფთავების სამსახურის ფორმებში გამოწყობილი ზონდერების დაუვიწყარი ღამის იერიში ოპოზიციონერებზე 2009 წლის 11 აპრილს, რომელმაც, სავარაუდოდ, მხოლოდ იმიტომ ვერ დაჩრდილა კაცობრიობის მეხსიერებაში მსუბუქი ბრიგადის შეტევა ბალაკლავასთან, რომ ბრიტანელებს პოეტ-ლაურეატად ალფრედ ტენისონი ჰყავდათ, ხოლო ,,ნაციონალებს“ — ალექსი ქავთარაძე (ლექსენი). თუმცა ეს არაფერია დასუფთავების გადასახადის დახარჯულ ელექტროენერგიაზე მიბმის ეპოქალურ გადაწყვეტილებასთან შედარებით, რომლის დემონსტრაციულ თავხედობასა და სიღრმისეულ იდიოტიზმს ანალოგი, უბრალოდ, არ აქვს.**



მოკლედ, ამ და მრავალი სხვა ეპიზოდის კვალობაზე, მოსახლეობაში ჩამოყალიბდა მყარი რწმენა-წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ „ნაცმოძრაობას“ და საყოფაცხოვრებო ნარჩენებს იდუმალი მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი აკავშირებს, რადგან იქ, სადაც ჩნდებოდა ერთი (რიგითობას მნიშვნელობა არ აქვს), უცილობლად ჩნდებოდა მეორეც. ამიტომ **ფართო აუდიტორიისთვის „ნაგავგეიტში“ მთავარი, სავარაუდოდ, არა ხსენებული ნარჩენებით დაფარული ავანსცენა და ბინძური დეკორაციები იყო, არამედ ის უპრეცედენტო გაქანება, მეტიც, აღმაფრენა, რომლითაც თითოეული ჩვენგანის ჯიბიდან ყოველთვიურად დენის გათიშვის მუქარით ამოღებული თანხა იხარჯებოდა.**

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, 2009 წლის დეკემბერში დასუფთავების სამსახურის მაშინდელმა უფროსმა ტარიელ ხიზანეიშვილმა (ამჟამად თბილისის ვიცე-მერია), დაავალა შპს „თბილსერვის ჯგუფს“ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, ამ სამსახურში ფორმალურად „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება“ შეექმნა და ამ განყოფილებაში **2 წლის განმავლობაში ფიქტიურად დასაქმებულიყო „ნაციონალური მოძრაობის“** 764 აქტივისტი ე.წ. **პარტიული კოორდინატორი, რომელთა უმეტესობას ამ სამსახურში არც ერთი დღე არ უმუშავია,** რადგან ისინი, როგორც წესი, უკვე დასაქმებულები იყვნენ სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში და პარალელურად პარტიულ საქმიანობასაც ეწეოდნენ. **მათ ხელფასის სახით 5 მილიონ 245 ათას 945 ლარი დაერიცხათ. „თბილსერვის ჯგუფის“ საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი 2010 წლის 6 აგვისტოს გიგი უგულავამ დაამტკიცა.**

„აქამდე ფულის მოტაცებას გვედავებოდნენ, ამ გამოძიებით ფულის დარიგებას გვედავებიან. კერძოდ იმას, რომ დაგვისაქმებია 700 ადამიანი და ხელფასი გადაგვიხდია მათთვის. ამ ადამიანების ერთადერთი დანაშაული კი ისაა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და აქტივისტები არიან. წუხილს გამოვთქვამ, რომ მხოლოდ 700-ის დასაქმება შევძელით. ასევე, მინდა ვთქვა, რომ ეს აღვირახსნილი პოლიტიკური დევნის კლასიკური შემთხვევაა“, — აღნიშნა უგულავამ საპასუხო განცხადებაში და ხსენებული თანამშრომლების მოვალეობები შემდეგნაირად აღწერა: **„ეს ხალხი მუშაობდა, მათ კონკრეტული ფუნქცია ჰქონდათ, რადგანაც ამ პერიოდში ხდებოდა ძალიან მტკივნეული პროცესი ქალაქში — ეს იყო ბუნკერების გაუქმება, რამაც უამრავ თბილისელს შვება მოუტანა და დღეს თბილისელები თანხმდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ ბუნკერები უნდა გაუქმებულიყო. ამ საკითხს სჭირდებოდა კომუნიკაცია, ამ საკითხს სჭირდებოდა უამრავი ადამიანი, რომელიც დადიოდა და კარდაკარ უხსნიდა ამ საჭიროებას და სწორედ ეს ხალხი ამ მიზნით იყო აყვანილი“.**

გაივლის წლები და, ალბათ, ასეთ დიალოგსაც მოვისმენთ:

**— ბაბუ, სააკაშვილის დროს რას აკეთებდი?**

**— ობერბუნკერფიურერი ვიყავი, ბაბუ გენაცვალოს, ზონდერკომანდო „ვარკეთილი“, აინზაცგრუპე „ბ“.**

**— და რატომ ტირი, ბაბუ?...**

ვერაფერს ვიზამთ, ვიღაც ისტორიაში 300 არაგველის ან სპარტელის შემადგენლობაში მოიხსენიება, ვიღაც კი — 700 მენაგვის (ეს ფრაზა სულაც არ ისახავს მიზნად დასუფთავების სამსახურის პატიოსანი თანამშრომლების ღვაწლის დაკნინებას; ისინი ყოველდღიურად ზრუნავენ ქალაქზე, რომლის თითოეული მოსახლე წელიწადში 300 კილოგრამამდე საყოფაცხოვრებო ნარჩენს წარმოქმნის, სამრეწველო და ა. შ. ნარჩენებს თავი რომ დავანებოთ). აქ სხვა რამ არის საინტერესო, **თურმე ამდენი ხანი ჩვენ გვერდით ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც ნებისმიერ ამინდში კარდაკარ დადიოდნენ და ხალხს „ჭეშმარიტ ბუნკერზე“ ესაუბრებოდნენ.** ეს ბოლო ზმნა ერთობ უმარილოა და სიტუაციას ჯეროვნად ვერ აღწერს, არა — ისინი გასხივოსნებულები ქადაგებდნენ, ხოლო ნაგავში ჩაფლული უგულო ბრბო დასცინოდა და დევნიდა მათ, მეტიც, გადმოცემით, ბუნკერებში ამოქოლვას უპირებდა. ვთხოვ ყველას, ვისაც ცალი თვალით მაინც უნახავს ეს უშიშარი მქადაგებლები (თვითმხილველი ჯერჯერობით ვერ ვიპოვე), მომაწოდოს ინფორმაცია მათ შესახებ; ფილმი უნდა გადავიღო და, ამ ისტორიის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობიდან და ფილოსოფიური დატვირთვიდან გამომდინარე, მინიმუმ სამი „ოსკარი“ ავიღო.

**ყველა გარემოება, ფაქტობრივად, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვასთან, „ნაცმოძრაობის“ პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე;**

იმ ფაქტს, რომ დასაქმებულები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და აქტივისტები იყვნენ, უგულავა არ უარყოფს. ალბათ, არავინ იდავებს იმაზე, რომ დახარჯული თანხის მეათედიც კი, გონივრული გამოყენების შემთხვევაში, საკმარისი იქნებოდა ისეთი საინფორმაციო კამპანიის ჩასატარებლად, რომელიც ყველა რეალურ და წარმოსახვით პრობლემას მოხსნიდა. ამასთანავე, **„საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში“ ამდენი თანამშრომლის კონცენტრირებას მსოფლიოში ანალოგი არ აქვს, ეს რაღაც ზებუნებრივი და ძლიერ ფსიქიატრიულია.** მაგრამ, ყოველივე თქმულის მიუხედავად, ბრალის წაყენება კონკრეტული პირებისთვის ამ შემთხვევაში არც ისე იოლი იქნება (შეიძლება პარადოქსულად გაიჟღეროს, მაგრამ ასეა) და გამორიცხული არაა, რომ, იურიდიული სირთულეებიდან გამომდინარე, საბოლოოდ, საუბარი არა დანაშაულზე, არამედ მხოლოდ ხარჯების ფარდობით არაგონივრულობაზე მოგვიწევს. თუმცა **ეს ეპიზოდი, 99%-იანი ალბათობით, კიდევ უფრო განამტკიცებს ყოფილი მმართველი პარტიისა და ნაგვის ზემოთ აღწერილ კავშირს, რომელიც საზოგადოების აღქმაში უდავოდ არსებობს.**

ჟურნალ „პოპულარ საიენსის“ „ყველაზე ცუდი პროფესიების რეიტინგში“ გარბოლოგები (**გარბოლოგია** ითარგმნება, როგორც **ნაგავმცოდნეობა**; მის ჩარჩოებში ნაგვის არქეოლოგიაც შედის) მეოთხე პოზიციას იკავებენ. ეს რთული, პირდაპირი მნიშვნელობით, ძალზე ჭუჭყიანი სამუშაოა, მაგრამ ის საჭიროა საზოგადოებისთვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება. **შეგვიძლია, თამამად ვუმასპინძლოთ გარბოლოგთა მომავალ მსოფლიო კონგრესს, რადგან ჩვენი ქვეყანა ბოლო წლებში „ნაგვის პოლიტოლოგიის“ და შესაბამისი კონსპიროლოგიის სამშობლო გახდა.**

ან კიდევ, რომელ ქვეყანაში არსებობს დასუფთავების სამსახურის საფარქვეშ მოქმედი **ცოცხოსანთა იდუმალი ორდენი,** რომელიც ასობით წევრს აერთიანებს? (არადა, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე პარიზში იყო მეტწილად მეეზოვეებისგან შემდგარი საზოგადოება; მის წიაღში დაიბადა უცნაური ეთიკური მოძღვრება, რომლის ქვაკუთხედს ყოვლისმომცველი სისუფთავის იდეა წარმოადგენდა. მისი წევრები საინტერესო და ღიმილისმომგვრელ რიტუალებს ატარებდნენ, თუმცა ისინი გაუბედავი მოყვარულები იყვნენ, ჩვენები კი პროფესიონალები არიან). თანაც ეს ორდენი, როგორც ჩანს, არ თვლემს და „ნაცმოძრაობის“ გენმდივნის, ვანო მერაბიშვილის (საინტერესოა, ხსენებული ორდენის ჩრდილოვან იერარქიაში ის „დიდი მაგისტრია“ თუ „ისე რა, საშუალო“?), განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა, აქტიური მოქმედებისთვისაც ემზადება.

**„ამ მთავრობას ჩვენ, პირდაპირ ვიძახი, 4 წელიწადს ვერ ვაცლით... ეს არ ნიშნავს, რომ ვთქვათ, აუცილებელია საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს იმიტომ, რომ ხელისუფლებაში მოხვიდე. ხელისუფლებაში მოსვლის სხვადასხვა ფორმები არსებობს — რეალურად საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება; მისი ინსტიტუტების დასუსტება — სახელმწიფოს იმ ინსტიტუტების, რომელიც რეპრესიულია; გადაბირება ადამიანების... დღეს ამ მთავრობას და საზოგადოების დიდ ნაწილს აქვს განცდა, რომ ქუჩას ესენი აკონტროლებენ... მიტინგებს დღეს ესენი ატარებენ ხომ. ანუ ხელისუფლება, რომელიც უკვე მიტინგებს ატარებს, ჯერ ეს ერთიც სუსტია, განწირულია, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ შეტევაზე ვერ გადავედით, ანუ ჩვენი პირველი ამოცანა რა არის, რომ ჩვენ ინიციატივა ავიღოთ იგივე მიტინგებზე, პიკეტებზე და ა.შ. მერე შემდეგი ეტაპი იქნება უკვე აქტიური მონაწილეობა სხვა პროცესებში ან პარალელურად,** — განაცხადა მერაბიშვილმა, — **ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შევავიწროვოთ ეს ხელისუფლება და არ მივცეთ მას საშუალება ან დავბლოკოთ მისი დესტრუქციული ქმედებები, ან დავაჩქაროთ ამ ხელისუფლების ცვლილება. როგორი ფორმით, ამას აჩვენებს დრო და ის საშუალება, რომელიც ჩვენ გვექნება“** (სივილ.ჯე). ამასთანავე, მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ შუალედურ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მისი პარტიის გამარჯვების შანსი მცირეა. ასევე საინტერესო იყო პასაჟი იმის თაობაზე, რომ, ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში, „ნაცმოძრაობას“ იმდენი ძალაუფლება მაინც აღარ ექნება, რამდენიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჰქონდა, რადგან ქვეყანა შეიცვალა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა კომენტატორმა ამ განცხადების მიღმა მეტად ავისმომასწავებელი ქვეტექსტი დაინახა, რაც, უპირველესად, „ვერ ვაცლით“ მონაკვეთს და დესტრუქციაზე პრაქტიკულად შეუნიღბავ სწორებას უკავშირდება. მასში პარადოქსულად იყო მარცხის (ნაწილობრივი) აღიარებაც და პირველი გაუბედავი ნაბიჯი, რომელიც რეალობის ადეკვატური აღქმის მიმართულებით გადაიდგა. მერაბიშვილს ამ გამოსვლაში, სხვა ყველაფერთან ერთად, „ნაციონალების“ ყურადღება გადაჰქონდა არჩევნებზე (რეალურად 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებზე) იმ მითიური გადატრიალებიდან, რომელიც სააკაშვილმა თითქოსდა მის ხელთდარჩენილი საკონსტიტუციო ბერკეტების გამოყენებით შეიძლება უახლოეს მომავალში მოაწყოს, რასაც პარტიის ეგზალტირებული ნაწილი ცეცხლოვან იმედებს და შესაბამის ხილვებს უკავშირებს. რა თქმა უნდა, თეორიულად შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ, **ძალთა ბალანსის გათვალისწინებით, არჩევნების შედეგების გადახაზვის მცდელობით „ნაცმოძრაობა“ „ბართლომეს ღამეს“** (სახლში მიტანით) **თუ მოიმკის. მთავარია, რომ „ნაციონალებმა“ ამ ავანტურაზე შეგნებულად თქვან უარი, ყველაფერი დანარჩენი კი ბელეტრისტიკაა, იმიტინგონ, რამდენიც უნდათ** (ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დავითვლით მაინც) **და არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ; ჩვენთან, იდეაში, დემოკრატიაა.**

არადა, პუტჩი რომ მოეწყოთ, სუფთა კინემატოგრაფიული თვალსაზრისით, მაგარი სანახაობა იქნებოდა. წარმოიდგინეთ: „ჭ-დღეს“, გამთენიისას, **მენაგვეთა ერთიანი ნაციონალური ორდენის** წევრები, ცეცხლს უკიდებენ ყველა ბუნკერსა თუ კონტეინერს, ბლოკავენ საკვანძო მაგისტრალებს თავიანთი სპეცმანქანებით და ცოცხებით ხელში გადადიან ფსიქიკურ შეტევაზე კანცელარიის, გენშტაბის და ტელევიზიის მიმართულებით; მთავრობა პანიკაშია, გარნიზონი — შოკში, ტელეოპერატორებს ხელები უკანკალებთ, „ნაგვის რევოლუცია“ ძალას იკრებს... თუმცა, არა, მაგათი ამბავი რომ ვიცი, ალბათ, მაინც ვერ გარისკავენ.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმ ფაქტის კონსტატაციაში, რომ კოალიციის დაშლა გარდაუვალია, არაფერი კატასტროფული არ არის, ეს სავსებით ნორმალურია და, სავარაუდოდ, „ნაცმოძრაობის“ სრული მარგინალიზაციისა და კრახის შემდეგ მოხდება.**

# ვინ გაიმარჯვებს ოპოზიციის კასტინგში?

**არჩევნებიდან 4 თვე გავიდა, ხოლო სიტუაცია ქვეყანაში ვერა და ვერ დასტაბილურდა, რაც მოსახლეობის განწყობასა და ეკონომიკის პერსპექტივებზე უარყოფითად მოქმედებს. საქმე მხოლოდ სააკაშვილის ჯგუფის დესტრუქციულ ქმედებაში როდია; ის პრობლემები, რომელთაც „ნაციონალები“ დღეს ქმნიან, ტაქტიკური ხასიათისაა და, სავარაუდოდ, მალე მოიხსნება. ამ პარტიის გავლენა სწრაფად მცირდება, ხოლო მისი დაბრუნება ხელისუფლებაში ისეთივე წარმოუდგენელი ჩანს, როგორც უკურნებელი სენის მეოთხე („ნაცმოძრაობის“ შემთხვევაში, ალბათ, მეხუთე) სტადიაზე მყოფი პაციენტის გამოჯანმრთელება. მაგრამ სრული გაურკვევლობა სუფევს იმასთან დაკავშირებით, რა სისტემა შეიქმნება მათი, პრაქტიკულად გარანტირებული, პოლიტიკური ანიჰილაციის შემდეგ და რამდენად სტაბილური იქნება ის. ვინ დაიკავებს „მთავარი ოპოზიციური ძალის“ ნიშას? რა პროცესები განვითარდება ივანიშვილის კოალიციის შიგნით? გაუძლებენ თუ არა მისი წარმომადგენლები იმ ცდუნებებს, რომლებმაც, თავის დროზე, „ნაციონალები“ პოლიტიკური დეგრადაციის გზით წაიყვანეს? რაც უფრო მკაფიო პასუხებს მიიღებს საზოგადოება ამ კითხვებზე, მით უფრო იმედიანად შეხედავს მომავალს; ეს, ერთი შეხედვით, არამატერიალური, ფსიქოლოგიური ფაქტორია, თუმცა ქვეყნის აღორძინებისთვის მას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.**



## როდის იწყება თავდავიწყება?

არ არსებობს კარგი ხელისუფლება კარგი ოპოზიციის გარეშე, ამას არა მხოლოდ საქართველოს, არამედ უამრავი სხვა ქვეყნის ისტორია ადასტურებს. ძნელი სათქმელია, ცუდი ოპოზიცია ეყოლება ივანიშვილის ხელისუფლებას თუ კარგი, თუმცა ფაქტია, რომ მის ფორმირებაში ჩართული იქნებიან: ა) ის პარტიები, რომლებიც (რეალურად თუ ფორმალურად) სააკაშვილის რეჟიმის ოპოზიციაში იყვნენ, მაგრამ კოალიცია „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში არ შევიდნენ; ბ) ის, რაც „ნაცმოძრაობისგან“ უახლოეს მომავალში დარჩება; გ) ჯგუფები, რომლებიც დროთა განმავლობაში კოალიციას გამოეყოფიან. **სრულიად ახალი, ძლიერი გაერთიანების მოულოდნელ გამოჩენას, ალბათ, არ უნდა ველოდოთ.**

**ლეიბორისტებმა და ქრისტიან-დემოკრატებმა ჯერჯერობით ვერ იპოვეს „გენერალური ხაზი“, რომელიც ახალი რეალობის მიმართ ადაპტირებაში დაეხმარებათ; ორივე პარტიაში რღვევაა, როგორც ზედა, ისე ქვედა რგოლებში. „მემარჯვენეებზე“ თითქმის არაფერი ისმის.** როგორც ჩანს, პარტიამ ჯერჯერობით „ვერ გადახარშა“ ის ფაქტი, რომ მისმა ლიდერებმა ქვეყნისთვის გადამწყვეტ მომენტში უკვე მეორედ წამგებიანი, არაპოპულარული არჩევანი გააკეთეს და პრაქტიკულად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. კიდევ ერთხელ დადასტურდა ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ გაჩენილი ეჭვი, რომ დავით გამყრელიძე, შესაძლოა, კარგი ექიმი და მეწარმეა, მაგრამ არამც და არამც პოლიტიკოსი. როგორც ჩანს, **ჯერჯერობით გაურკვევლობაში იმყოფებიან ედპ, გიორგი თორთლაძის გარშემო გაერთიანებული ჯგუფი და სხვა შედარებით მცირე შესაძლებლობის მქონე პარტიები;** ლოგიკურად თუ მივუდგებით, დღეს ისინი არ უნდა აჩქარდნენ, რყევების დასრულებას უნდა დაელოდონ და ახალ სისტემაში საკუთარი, პირველ ეტაპზე ფრიად მოკრძალებული ნიშის მოძებნა სცადონ. **ყველაზე ოპტიმისტური ამ შემადგენლობიდან, იმ პრობლემების მიუხედავად, რომლებიც ბოლო დროს თავს დაატყდა, მაინც შალვა ნათელაშვილის პერსპექტივა ჩანს, უპირველესად, იმ პოზიციის გამო, რომელსაც ის „ისტორიულად“ მარცხენა ფლანგზე იკავებს, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ მისთვის მძიმე გარდამავალ პერიოდში ადეკვატურად იმოქმედებს.**

ნინო ბურჯანაძის მდგომარეობა განსხვავებული და განსაკუთრებულია, მას შეუძლია ახალი სისტემის ფორმირებაში უშუალო მონაწილეობა მიიღოს. **კომენტატორები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ბურჯანაძეს შესაძლებლობა აქვს მოიზიდოს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ამომრჩეველი, რომელსაც არ მოსწონს „ოცნების“ (და მითუმეტეს „ნაცმოძრაობის“) სწორხაზოვანი სწორება ნატოსა და აშშ-ზე.** მაგრამ განსხვავებული ხედვა საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, სრულფასოვანი ალტერნატივის ფორმულირებისთვის საკმარისი არაა, საჭიროა დამატებითი, საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებული ფაქტორი და, ბურჯანაძის საბედნიეროდ, ის ნამდვილად არსებობს.

**საქმე ისაა, რომ „ქართული ოცნების“ ბევრ ამომრჩეველს არ მოსწონს ის ცერემონიები, რომლითაც ახალი ხელისუფლება ყოფილ მაღალჩინოსნებს ეპყრობა. ეს ადამიანები „ნაციონალურ მოძრაობას“ ფაშისტურ ორგანიზაციად თვლიან, მოითხოვენ მის ამოშანთვას ქართული პოლიტიკიდან და მისი თავკაცების დასჯას იმ დანაშაულისთვის, რომელიც, მათი აზრით, ზედაპირზე დევს** (ბოლო დროს ისინი საინტერესო ლოზუნგს იყენებენ: „მე კოაბიტაციისთვის ხმა არ მიმიცია!“). ეს გარემოება ნინო ბურჯანაძეს რადიკალიზმის კარტის გათამაშების შესაძლებლობას აძლევს. მას შეუძლია უთხრას ამ ხალხს, რომ „რევოლუციას ბოლომდე მიიყვანს“ (ის, რაც საქართველოში 1 ოქტომბერს მოხდა, არსებითად რევოლუცია იყო) და, ვოლტერის თქმის არ იყოს, „გველს თავს გაუჭეჭყავს“. ძნელი სათქმელია, რამდენად დამაჯერებლად შეასრულებს ნინო ბურჯანაძე ტერუან დე მერიკურის როლს, მაგრამ ერთი ფაქტია: სივრცე (ნატოს მოწინააღმდეგეები+„ანტინაციონალი“ რადიკალები), სადაც მას შეუძლია წარმატებული თამაში აწარმოოს, ნამდვილად არსებობს. საინტერესოა, რომ ყოველივე ეს ბიძინა ივანიშვილის სტრატეგიულ გეგმებში შეიძლება სავსებით ლოგიკურად ჩაჯდეს.

**რეალისტური, დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის გატარება უფრო მოსახერხებელია მაშინ, როდესაც ოპოზიციური ჯგუფები ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავებული კურსის გატარებას მოითხოვენ.** ზომიერი საშინაო პოლიტიკის გატარება კი (მაგალითად, სამართლიანობის აღდგენის საკითხში), მაშინ, როდესაც ერთნი ამბობენ **„საერთოდ არ შეეხო“** (უფრო სწორად, „არ შეგვეხო“), მეორენი კი ყვირიან **„ყველანი გილიოტინაზე!“.** მარტივად რომ ვთქვათ, **თუ ძალები ამ სქემით გადაჯგუფდებიან, ბიძინა ივანიშვილი ორი დაპირისპირებული მხარიდან ერთ-ერთის ლიდერის ნაცვლად, ერთგვარი „უმაღლესი არბიტრი“ გახდება, რომელიც „ოქროს შუალედის პოლიტიკას“ გაატარებს, რაც მისთვის მომგებიანია.** ამან შეიძლება მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ ბურჯანაძისთვის რეზერვირებულია არცთუ უმნიშვნელო ადგილი ავანსცენაზე და ის დაიკავებს მას, თუ აქტიურად და ადეკვატურად იმოქმედებს. ნინო ბურჯანაძის პოზიცია ცნობილი, სავარაუდოდ, მალე გახდება, მას შემდეგ, რაც მისი ასდღიანი ნებაყოფლობითი მორატორიუმის ვადა ამოიწურება, რომელმაც, არსებითად, აუცილებელი ტაქტიკური პაუზა შენიღბა (საინტერესოა, შევა თუ არა მასთან გრძელვადიან ალიანსში კახა კუკავა, არა იმიტომ, რომ მისი პარტია ძლიერია, უბრალოდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს საკმაოდ საგულისხმო სიგნალი იქნება).

## ქარწაღებულნი და წყალწაღებულნი

**მსჯელობა ოპოზიციური პარტიების პერსპექტივებზე ადრე თუ გვიან ახალი საპარლამენტო არჩევნების იდეამდე მიგვიყვანს. არსებული პარლამენტი არჩეულია პირობებში, როდესაც ხელისუფლება ამომრჩეველზე უპრეცედენტო ზეწოლას ახდენდა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში ოპოზიციამ გაიმარჯვა, ჩვენ მაინც არ გვაქვს შესაძლებლობა, ვთქვათ, რომ ადგილების განაწილება პარლამენტში ამომრჩეველთა პოზიციას ადეკვატურად ასახავს.**

საქმე მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ უზომოდ გაბერილ (ძალადობით მოპოვებული ხმების ხარჯზე) წარმომადგენლობაში როდია; დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები მოითხოვს, რომ ქვეყანას ზეწოლისგან თავისუფალ პირობებში არჩეული პარლამენტი ჰყავდეს. თუმცა ეს არ სჭირდება არც „ნაციონალებს“ და არც იმ პარტიებს კოალიციიდან, რომლებიც არჩევნებზე დამოუკიდებლად ან სუსტი ბლოკის შემადგენლობაში გასვლის შემთხვევაში ძალიან ცოტა ხმას მიიღებენ.

ურიგო არ იქნება თუ პარლამენტის პრობლემას ზემოთ ნახსენები „კარგი ოპოზიციის“ ძიებას დავუკავშირებთ; **შეიძლება თუ არა „ნაცმოძრაობის“ წიაღიდან რაიმე გამოსადეგი გამოვიდეს?**

მისი ფრაქციის (და ზოგადად პარტიის) **მომავალთან დაკავშირებით განსხვავებული ვარაუდები გამოითქმის.** ზოგი მიიჩნევს, რომ ეს უკიდურესად დესტრუქციული ოპოზიციაა; საგულისხმოა, რომ მისი ბოლოდროინდელი განცხადებები აშშ-ის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა გააკრიტიკა: **„მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მთავრობას ჰქონდეს საშუალება, მართოს ქვეყანა, რადგან საზოგადოება ელოდება შედეგს, ვითარების გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ოპოზიცია პასუხისმგებლობით მოეკიდოს მთავრობის კრიტიკას და მისი მხრიდან მთავრობის კრიტიკა არ გახდეს თვითმიზანი“.** როგორც ჩანს, „ნაციონალების“ დღევანდელი ქცევა ამერიკელებისთვის სასურველი კოაბიტაციის ჩარჩოებში არ ჯდება. თუმცა ზოგიერთი კომენტატორი მიიჩნევს, რომ პარტიის (და ფრაქციის) ძირითადი ნაწილი, ფანატიკურად განწყობილი „ნეომიშისტების“ გამოკლებით, მალე „ქრისტიან-დემოკრატიზაციის“ (აქ იგულისხმება გიორგი თარგამაძის გამოცდილება და არა შესაბამისი იდეა) გზას დაადგება. **კაცმა რომ თქვას, „კარგ ოპოზიციამდე“ არც ერთი გზა არ მიდის — არც ყოვლისმომცველი შეურიგებლობა „თალიბანის“ სტილში, არც ფსევდოკონსტრუქციულობა, რომელიც ხშირად ბანალურ პოლიტიკურ პროსტიტუციას ნიღბავს.**

**რაც შეეხება, „ერთიანი ნაციონალური სხეულიდან“ ე.წ. ლიბერალთა ჯგუფის შესაძლო გამოყოფას, მიუხედავად იმისა, რა დამოკიდებულება გვაქვს ამ ადამიანების წარსულის და შეხედულებების მიმართ, ეს, ალბათ, მაინც დადებითი მოვლენა იქნება, რადგან მათ შესაძლებლობა მიეცემათ, ნაწილობრივ გათავისუფლდნენ ტაქტიკური კონიუნქტურისგან და ჩამოაყალიბონ ერთობა იდეის და არა ხელისუფლებაში მყოფი ბელადის გარშემო.** საუბარი ამ ჯგუფის რამდენადმე სერიოზულ პერსპექტივაზე მომავალ ათწლეულში (აბსოლუტური მაქსიმუმი მათთვის, სავარაუდოდ, ხმების 5-7% იქნება, თანაც რამდენიმე წლის შემდეგ) არასერიოზულია, თუმცა, თქმულის მიუხედავად, ეს, ალბათ, მაინც სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი გახდება.

პარადოქსულია, მაგრამ ის სავარძლები პარლამენტში, რომელთაც „ნაციონალების“ დიდი ნაწილი თავის თავდაცვით ზღუდედ, ერთგვარ „მაჟინოს ხაზად“ განიხილავს, სინამდვილეში კისერზე ჩამოკიდებული დოლაბია, რომელიც ფსკერისკენ მიაქანებს და გადარჩენის შესაძლებლობასართმევს.

## განშორების დღე ახლოვდება

**ვიდრე „ნაციონალური რევანშის“ თუნდაც თეორიული საფრთხე არსებობს, ოპოზიციაში გადასვლა კოალიციაში შემავალი ნებისმიერი პარტიისთვის რეიტინგის განულების ტოლფასია.** მაგრამ მაშინ, როდესაც ეს საფრთხე მოიხსნება (იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება „ნაციონალური ბუას“ ხელოვნური გამოკვება და შენარჩუნება; კაცმა რომ თქვას, ესეც ერთ-ერთი შესაძლებელი ტაქტიკაა, თუმცა ძლიერ არაკეთილსინდისიერი) ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ძალების ერთი ქოლგის ქვეშ დარჩენა ფრიად არაბუნებრივი გახდება. **იმ ფაქტის კონსტატაციაში, რომ კოალიციის დაშლა გარდაუვალია, არაფერი კატასტროფული არ არის, ეს სავსებით ნორმალურია და, სავარაუდოდ, „ნაცმოძრაობის“ სრული მარგინალიზაციისა და კრახის შემდეგ მოხდება.**

დღეს კოალიციის ხელმძღვანელობა მასში შემავალ პარტიებს და ცალკეულ პოლიტიკოსებს თამაშის მკაცრ (ზოგიერთი შეფასებით, ზედმეტად მკაცრ) წესებს სთავაზობს. **ირაკლი ალასანია, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, რომ თანაპარტიელებთან პრეზიდენტობის კანდიდატზე საუბარს შეცდომად ჩაუთვლიდნენ და საჯაროდ გაკი-** ▶

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფსევდოოპოზიციამ დაკარგული პოზიციების დაბრუნებისთვის ბრძოლა დაიწყო და ეს ამბავი „ნაცების“ ხელისუფლებაში დაბრუნების მცდელობასთან ერთად უნდა განვიხილოთ — ხვლიკების, „ახლების“, ლეიბების „ოპოზიციაც“, „ნაცებთან“ ერთად იმუშავებს, პირველ რიგში, „ოცნების“ დისკრედიტაციისთვის!**

# მაინც ამოძვრა...

**◀ ცხავდნენ (რაც არ უნდა შევალამაზოთ, არსებითად, ეს გაკიცხვა იყო), ხოლო მის პარტიაში „ჩანერგილი ხალხის“ თემა საყოველთაო განხილვის საგანი გახდებოდა.** ამ ეპიზოდში განსაკუთრებით საგულისხმო იყო დავით საგანელიძის მიერ „ჩანერგილების“ სიის სამართალდამცავებისთვის გადაცემა, შეიძლება პარტიიდან გარიცხვა, გვარების სააშკარაოზე გამოტანა და „ამხანაგური სასამართლოს“ მოწყობა, საზოგადოებაში ისეთი განწყობის შექმნა, რომ ეს ადამიანები არც ერთმა პარტიამ არ მიიღოს, მაგრამ **სადაური წესია შსს-სთვის სიის გადაცემა?! 1937 წელია თუ რა ხდება?**

დავით საგანელიძემ ძალზე საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა ეს სულაც არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ირაკლი ალასანიას; მისი პარტია, ლიდერის კარგი სასტარტო პოზიციების მიუხედავად, კოალიციაში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი და მცირერიცხოვანი იყო და მისი სასწრაფოდ გაძლიერების იდეით შეპყრობილმა ხელმძღვანელობამ, კოლეგებისგან განსხვავებით, ახალი წევრების მიღება პრაქტიკულად ყოველგვარი ფილტრაციის გარეშე დაიწყო. დღევანდელი მოვლენები ამ პოლიტიკის შედეგია.

დისციპლინა კარგია და აუცილებელია ომში, მის გარეშე კოალიცია ვერც არჩევნებს მოიგებდა და ვერც ხელისუფლებას შეინარჩუნებდა. მაგრამ ომი მალე დასრულდება; მოწინააღმდეგის მარცხი გარდაუვალი ჩანს (დღეს „ქართული ოცნების“ ბევრი მხარდამჭერი დაახლოებით ასეთ განწყობაზეა — „აგერ — ბერლინი, აგერ — რაიხსტაგი, რაღას ველოდებით?!“). შემდეგ კი დაიწყება ახალი ცხოვრება, რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე, მაგრამ მშვიდობიანი; ქართული პოლიტიკა შეიცვლება, ხოლო შიდაკოალიციური (და ზოგადად, პოლიტიკური) თამაშის წესები, რომლებიც ადეკვატური, მეტიც, ერთადერთი შესაძლებელი იყო 2012-13 წლების სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების დროს, ბევრისთვის დამთრგუნველი და მიუღებელი გახდება (განსაკუთრებით, უცხოელი პარტნიორების დაჟინებული რჩევებისა და შემდგომი თანადგომის შემთხვევაში). **მიჩნეულია, რომ ის პარტიები, რომლებიც კოალიციას დატოვებენ აპრიორი, უპირატეს მდგომარეობაში იქნებიან „არასაპარლამენტო“ კოლეგებთან შედარებით (საპარლამენტო ფრაქცია, მასმედიის ყურადღების კონცენტრირება და ა. შ.), თუმცა ყველაფერი ფარდობითია და განშორების ფორმასა და დროზეა დამოკიდებული.**

ძველი რომაელების თქმის არ იყოს, დრო იცვლება, მაგრამ საინტერესოა, შევიცვლებით თუ არა მასთან ერთად ჩვენ, ცნობილი ანდაზის მეორე ნაწილის თანახმად? ჩვენ ხომ დაგვავიწყდა (ან არ ვიცით), როგორ გამოიყურება და რა შეგრძნებებს უკავშირდება პოლიტიკური და სამოქალაქო მშვიდობა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მასზე სრულიად საქართველო ოცნებობს.

**დიმიტრი მონიავა**

**ამოძვრა და იმავე საღამოს მოგვიშვირა უძარღვო შუბლი „რუსთავი 2“-ის ეთერით გიორგი თარგამაძემ, რომელსაც ისე ზუსტად მოერგო და ისე მყარად მიეწება მეტსახელი, რომ, როგორც იტყვიან, ბავშვმაც კი იცის, ვინ არის „ჰალსტუხიანი ხვლიკი“...**

არადა, როგორ მიამიტურად გვეგონა, რომ 1 ოქტომბერს, მეცოცხვეებთან ერთად, წლების მანძილზე „ნაციონალების“ აშკარა თუ ფარული ხარჭა ოპოზიციური პარტიებიც გავუყუენეთ პოლიტიკური საიქიოს გზას, მაგრამ დღეს, „მეოცნებეთა“ მმართველობიდან „საკრალური“ 100 დღის შემდეგ, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ისევ გვიშლიან ნერვებს „ნაცმოძრაობის“ ძველი თუ ახალი მექისეები; ისევ გარიტორდნენ ე. წ. კვალიფიციური ოპოზიციონერები...

თუმცა მანამდე სხვა რელიქტებმა ამოიღეს ხმა; ჯერ „ახალი მემარჯვენე“ – ძირძველი პოლიტიკური ჩუკენები გამოფხიზლდნენ, შემდეგ დუშეთის მთებიდან გაისმა ქართული დემოკრატიის მოდარაჯე ლეიბ-შალვას წკავწკავი და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიღვიძა ჰალსტუხიანმა რეპტილიამ!

თუმცა ეს სამივე „ოპოზიცია“ ერთი თვისებით ტყუპებივით ჰგავანან ერთმანეთს — სამშობლოზე მზრუნველ რაინდობაზე ერთნაირად აცხადებენ პრეტენზიას და გამოჩენისთანავე სამივეს მზად დახვდათ „რუსთავი 2“-ის თუ „საზმაუს“ აშკარად პრონაცური პირდაპირი ეთერები და, სავარაუდოდ, მომავალში, არც „თავისუფალი“ ტელევიზიები დასწყვეტენ ამ მხრივ გულს!

მაგრამ მოდით, ყველა-ყველაფერზე — ცალ-ცალკე და გამოწვილვით...

## „ახლები“, ანუ „ზოგი კაცი კაცი არის, ზოგი კიდევ – კაციტაძეო“...

ეს ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც შევარდნაძის პატრონაჟით შეიქმნა. ისინი მაშინაც ვითომ ოპოზიციაში ჩაუდგნენ მამა-მარჩენალს. სინამდვილეში კი წარმატებით კურტიზანობდნენ პოლიტიკაში და შევარდნაძის მყუდრო „კრიშის“ ქვეშ შავი დედალივით გაკეთდნენ — ეს რომ ასე იყო, სხვა რომ არაფერი, „ტეხასმოტრები“ და „ალდაგიც“ კმარა საბუთად.

**„ახლებმა“ შეუვსეს „ვარდების რევოლუციის“ დღეს ქვორუმი შევარდნაძეს და ის ზღაპრები, რომ იცოდნენ, რა დამანგრეველი ძალა მოდიოდა „ნაცების“ სახით, ბებია ელპიტეს მოუყვნენ,** რადგან არც მიშასთან იყვნენ უმზრახად — დათო გამყრელიძე იყო პირველი, რომელმაც აგვისტოს ომის შემდეგ, იმის მაგივრად, რომ „ყელში წვდომოდა“ და ბოლომდე მოეხრჩო, **მორატორიუმი გამოუცხადა მიშას და, ეს რომ „სახელმწიფოებრივი აზროვნებიდან“ გააკეთეს, მაგ „პარაშაც“ ბებია ელპიტეს აჭამონ!**

მორატორიუმის შემდეგაც ფარულად ილევნეს მიშას ფაშისტური რეჟიმის გამაგრებისთვის — ჯერ 2009-ში აზვირთებული საპროტესტო აქციებისას ითითლიბაზეს, შემდეგ 2010-ის ადგილობრივი არჩევნები რესპებთან ერთად „ახლებმაც“ გაუპრავეს „ნაცებს“, ხოლო **რვიან-ექვსიანის ცნობილი კლოუნადისას ხომ საერთოდაც ჩამოიხსნეს ნილაბი, როდესაც მამუკა კაციტაძეს მილიონზე ვაჭრობისას წაასწრეს პალიკო კუბლაშვილთან რესტორანში, რითაც არა მარტო საკუთარი პარტიის, არამედ ოპოზიციის, როგორც ასეთის საქართველოში, საბოლოო დისკრედიტაცია მოახდინეს** — პოლიტიკური პროცესი, რომელიც ისედაც სულს ღაფავდა, საერთოდ ჩაკვდა. მოსახლეობამ, ერთი ამათი დედებიცო, ერთნაირად შეუკურთხა ოპოზიცია-პოზიციას, რაც იქნება იქნებაო, ხელი ჩაიქნია და ქართველმა საზოგადოებამ ლიტურგიული ძილით მიიძინა...

## „მივალ, მივყვები მე ჩემს ფარასა“...

**მას მერე, რაც „ერთხელ მაინც“ არ ანდეს ლეიბების „ნათელ შვილს“ ქვეყანა და ქართველებმა კიდევ ერთხელ გავაწბილეთ შალიკო, იმდენ ხანს არ ჩანდა კი არა, ჩამიჩუმი არ ისმოდა პირველი ლეიბორისტისა, რომ ნაღდად ვიფიქრე, ივანიშვილმა, ალბათ, პატარა ფარა უყიდა და მშობლიურ დუშეთში გადის მწყემსობის სტაჟირებას და, თუ ამ გაზაფხულზე დოლიც არ ჩაუვარდება, იქნება საქართველოს მთავარ სარქლობასაც გამოჰკრას ხელი-მეთქი — იქით პოლიტიკა დაისვენებდა „დაუნ დიქტეიტესგან“ და აქეთ მეცხვარეობაც აღორძინდებოდა...**

მაგრამ არა, თურმე შალიკო ისევ თავისი დემაგოგიის ფარას მიერეკება, მიერეკება და, რომ იტყვიან, მართლაც გარეკა „რუსთავი 2“-ის მიერ მისთვის ოპოერატიულად „გაჩითულ“ ეთერში — შევარდნაძე რა შუაში იყო ანდა მისი რუსული მითუმეტეს. ედუარდმა, ცეკას მდივანი რომ გახდა, რუსული არ იცოდა, მაგრამ ნიჭიერი იყო და ისწავლა. აი, ივანიშვილი ვერასოდეს ისწავლის რუსულსო!

მართლაც სასაცილოა, რომ „მაია დედუშკა, მოი ბაბუშკას“ დონის მორუსულე შალიკო ივანიშვილს რუსულის არცოდნაში ამუნათებდეს — ვისაც ამ ორი წლის წინ გინახავთ, თუ როგორ „სხლავდა“ რუსულად ნათელაშვილი ვიქტორ ტოპალერთან RTVI-ზე, უეჭველად ზურიკელა ვაშალომიძე და რუსულის ზაბლონა მასწავლებელი გაგახსენდებოდათ, მაგრამ ეს ისე, მცირე ლირიული გადახვევა განტვირთვისთვის...

სხვაფრივ კი — ვერაფერი ახალი, ისევ იდიოტური არგუმენტაციით ახსნა იმისა, თუ რატომ სთავაზობდა შალიკო პრემიერობას წინა არჩევნებზე ბიძინას, თუ რატომ დაუთმო, კიდევ უფრო წინა არჩევნებზე, იმჯერად მიშას საკრებულო და ა. შ. მსგავსი სისულელეების ჩამოთვლას აზრი არ აქვს — ერთადერთი ახალი ის იყო, რომ ამ აბსურდულ გამოსვლას კიდევ ერთხელ „მე ვიწყებ“-ს შედეგად მართლაც მოულოდნელი რამ მოჰყვა — ლეიბების **უმაღლესმა „პარტიერარქებმა“: სოსო შატბერაშვილმა, კახა ძაგანიამ და სხვებმა აღიარეს ერესი, გამოტყდნენ, რომ ლეიბორისტული პარტია წლების მანძილზე სააკაშვილის მეხამრიდობას ეწეოდა.** მათ პროტესტის ნიშნად დატოვეს პარტიის რიგები, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, „ლეიბმარშალი“, ოდენ გიორგი გუგავას „მაღალი ინტელექტის“ ამარად დარჩენილი, იხტიბარს არ იტეხს და „ჯერ არნახულ, ჯერ არ გაგონილ“ ამბებს გვპირდება...

## ხვლიკი, შადიმანა თუ იუდა?

არა, იუდა ნამდვილად არა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ღალატი, ფარისევლობა ჰალსტუხიანი ხვლიკის ბუნებრივი მდგომარეობაა, თარგამაძესთან შედარებით იუდაც კი დადებითი კონტექსტის მატარებელა, რამეთუ ქრისტეს გამყიდველი მიხვდა დანაშაულს და თავი ჩამოიხრჩო!

ამას წინათ ელიავას ბაზრობაზე კაპრონის თოკის ფასი ვიკითხე და 1 მეტრი 87 თეთრი ყოფილა. ჰოდა, უანგაროდ ვკისრულობ, „პრიჟოკში“ მეტრ-ნახევარ ხვლიკს რა ზომის თოკიც დასჭირდება, ოღონდ კი იგი მონანიების გზას დაადგეს. თუმცა მეტი არაა ჩემი მტერი, თარგამაძეს ნამუსი აღმოაჩნდეს და მირჩევნია აქვე, ამ წერილში „ჩამოვახრჩო“ სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ მექისეთა „მოკლე უსტაბაში“!

ვუყურებდი იმ საღამოს შუბლაძის „პოზიციაში“ „ოპოზიციის“ აღიარებული ფლაგმანის გამოსვლას და ბრაზთან ერთად სირცხვილის გრძნობაც გამიჩნდა, რომ მეც ამ „თუქსუასთან“ ერთად, ერთ ქალაქში ვცხოვრობ, ერთი ჰაერით ვსუნთქავ, მეც ქართველი მქვია და მაგასაც...

**რამდენი აფურთხეს, რამდენი აგინეს, მას შემდეგ, რაც 2007-ში თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა, მაგრამ რაა, როოო? ფურთხს იწმენდს, ჟუჟუნა წვიმააო და აგერ ახლაც ახალ მთავრობას სთხოვს 7 ნოემბრის ამბების გამოძიებას, შებღალული ღირსება აღგვიდგინეთ, მე და ჩემს „კამანდასაო“. რა უნდა აღუდგინონ, რაც არასოდეს ჰქონიათ?**

ბადრი პატარკაციშვილის თხასავით გაყიდვას თავიც რომ დავანებოთ, ქრიატიან-დემოკრატები არ იყვნენ, რომ პარლამენტის ბოიკოტს არა თუ მხარი არ აუბეს, ეს თემა არც კი განიხილეს, ისტერიკა დაირთეს და 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე 2 თვით ადრე, ვანო მერაბიშვილის კაბინეტში შექმნილი ნაჟურნალისტარების პარტია ურცხვად შესრიალდა პარლამენტში, რითიც ლეგიტიმურობა შესძინა სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმს!

სამაგიეროდ ამ მართლა „შადიმანამ“, ნაცბანდის საერთაშორისო კავშირების მეშვეობით, ხვლიკების პარტიას, მთავარი ოპოზიციისა და „ნაცების“ შემდეგ, მნიშვნელობით მეორე პარტიის სახელი დაუგდო დასავლეთში — ეშტონ-მეშტონები, ბაროზო-მაროზოები ისე არ წავიდოდნენ საქართველოდან, შადიმანასთან რომ არ ეფურშეტათ!..

ისიც კარგად გვახსოვს, მას შემდეგ, რაც ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა, როგორ აიფოფრა დასავლეთი და სწორედ ზემოხსენებული კავშირების წყალობით, ლენჩი სააკაშვილის საპატივცემულო ლანჩზე, როგორ უმშვენებდნენ გვერდებს (დიახ გვერდებს, აქეთ-იქიდან ესხდნენ) მამა-მარჩენალ მიშას ინგლისში დათო (თითლიბაზი) გამყრელიძე და გიორგი (ხვლიკი) თარგამაძე — ამ „პეიზაჟით“ მიშამ მთელ მსოფლიოს უჩვენა, აი, მე, პრეზიდენტი და აგერ ჩემი ოპოზიციაც და ბიძინა ივანიშვილი ვინ მიგდიაო?!

რაღა ბევრი გავაგრძელო, ბატონებო, და სურათი ნათელია — **ფსევდოოპოზიციამ დაკარგული პოზიციების დაბრუნებისთვის ბრძოლა დაიწყო და ეს ამბავი „ნაცების“ ხელისუფლებაში დაბრუნების მცდელობასთან ერთად უნდა განვიხილოთ — ხვლიკების, „ახლების“, ლეიბების „ოპოზიციაც“, „ნაცებთან“ ერთად იმუშავებს, პირველ რიგში, „ოცნების“ დისკრედიტაციისთვის!**

ამას ისიც დაუმატეთ, რომ **ვანო მერაბიშვილი არ აპირებს, ბიძინას 4 წელიწადი კიდევ აცალოს და არჩევნების გარეშე ფიქრობენ „ნაცები“ ხელისუფლებაში დაბრუნებას.** რასთან გვაქვს საქმე, ადვილი მისახვედრია...

რა გამოვა აქედან, ეს სხვა თემაა, მაგრამ ფსევდოოპოზიციისა და „ნაცების“ ალიანსი რომ სახეზეა, ამას არ უნდა დიდი მარჩიელობა!

თუმცა ვიმეორებ და იქნება ლეიბ-ახლების საწყენადაც — ყველაზე „აპასნი“ მაინც ხვლიკია, რადგან ყველაფრის მკადრებლობის ნიჭში მასთან ახლოსაც ვერ მივლენ მამუკია თუ შალვა — ჯერ მარტო ამ ღვთის პირიდან გავარდნილთა პარტიის სახელი ნახეთ: ქრისტიან-დემოკრატები!

იმდენიც მოახერხა თავის დროზე ხვლიკმა, რომ მას შემდეგ, რაც ტელეიმედი მიშასთვის საჭირო დროს დახურა და სანაცვლოდ პოლიტიკური პარტია გაუიმასქნეს, ჩვენს მოხუც პატრიარქს გამშვენებული ჯვარი დასტყუა თავისთვის და ლოცვა-კურთხევა საკუთარი პარტიისთვის — რა უნდა ექნა მის უწმინდესობას, ქრისტიანებს და ჰამაც დემოკრატებს პატრიარქი უარს როგორ ეტყოდა?!

ჰოდა, ამ „ქუდით“ ემსახურებოდა და დღესაც ემსახურება საქართველოს ამომგდებ მიშა სააკაშვილს და მის „ნაციონალურ მოძრაობას“ შადიმანა, ჰალსტუხიანი ხვლიკი და იუდა, რომელიც, თუ „ელექტორატი“ არ დაეხმარა, თავს არასოდეს მოიკლავს...







**დავით მხეიძე**

ინტერვიუ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვფიქრობ, აფხაზეთისა და ცხინვალის საკითხი რუსეთის გარეშე არ გადაწყდება. პირდაპირი ურთიერთობა და ფეხებზე დაკიდება კი ბავშვური საუბარია, სულ მცირე, მიამიტური და დილეტანტური. ვფიქრობ, რუსეთთან ურთიერთობის დამყარება და გაუმჯობესება შესაძლებელი იქნება სამმხრივი, შესაძლოა, ოთხმხრივი მოლაპარაკებების შემდეგად. ეს ხანგრძლივი პროცესია, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ფორმატი აუცილებლად უნდა იყოს რუსეთის მონაწილეობით.“



ვალერი ხაბურძანია:

# ზაქარეიშვილს ძალზედ გრძელი ფეხები ჰქონია, რუსეთი თუ ზედ ჰკიდია

**უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ 8-წლიანი დუმილი დაარღვია და პოლიტიკაში ბრუნდება. ამის შესახებ მან ცოტა ხნის წინ განაცხადა.**
**ხაბურძანია 1992-1997 წლებში მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში (განყოფილების უფროსად, მთავარი სამმართველოს უფროსად), 1997-2001 წლებში კი — ეროვნული უშიშროების საბჭოში; 2001 წელს იყო საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი. 2001-2004 წლებში იყო სახელმწიფო უშიშროების მინისტრი. ეს თანამდებობა ეჭირა მას „ვარდების რევოლუციის“ დროს.**
**2004 წლის თებერვალში გადაიყვანეს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილედ, ამ თანამდებობაზე მუშაობდა იმავე წლის ივნისამდე. 2005 წლიდან ეწევა კერძო საადვოკატო მომსახურებას.**
**„საქართველო და მსოფლიო“ ბატონ ვალერის მოსკოვში დაუკავშირდა. გთავაზობთ მასთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერს.**



## «გასაკვირია, შაშკინი ამერიკის მოქალაქე როგორ აღმოჩნდა... ეს ხალხი შეიფარა იმ სახელმწიფომ, რომელიც მათ მართავდა»

**— როგორ შეაფასებთ 2003 წლის 23 ნოემბრისა და 1 ოქტომბრის მოვლენებს?**

— 23 ნოემბერს პრეზიდენტის გადადგომაზე, ფაქტობრივად, ცალკეული პოლიტიკოსებისა და ხალხის მღელვარებამ იმოქმედა. მათ აიძულეს პრეზიდენტი, გადამდგარიყო და მე ამას ვუწოდებ აბდიკაციას. კარგი იურიდიული ტერმინია და მიესადაგება იმ პროცესებსა და მოვლენებს, რომლებიც 2003 წლის ნოემბერში მოხდა. რაც შეეხება 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებს, ფაქტობრივად, ახალი ძალა მოვიდა ხელისუფლებაში, თუმცა ვფიქრობ, ხელისუფლება იძულებული იყო, ეს შედეგები ეღიარებინა, რადგან მათზე ასევე იყო ზეწოლა. **თუ 2003 და 2012 წლებში მომხდარ მოვლენებს შევადარებთ, ცხადია, რომ ორივეგან ხელისუფლება აიძულეს, პირველ შემთხვევაში — გადამდგარიყო, ხოლო მეორე შემთხვევაში — არჩევნების შედეგები ეღიარებინა.**

**— რა არის დღეს, თქვენი აზრით, მთავარი პრობლემა და გამოწვევა „ქართული ოცნებისთვის“?**

— „ოცნებისთვის“ მთავარი პრობლემა და გამოწვევაა სოციალური პრობლემები, რომლებიც მწვავედ დგას საქართველოში. მათ წინასაარჩევნოდ საკმაოდ ფართომასშტაბიანი დაპირებები გასცეს, ქვეყნის მწირი შესაძლებლობები და ბიუჯეტი კი, არა მგონია, ამის საშუალებას იძლეოდეს. ამიტომ მთავარი გამოწვევა მაინც სოციალური საკითხია და ამ თემაზე რევანშისტული ძალები შეეცდებიან უპირატესობის მოპოვებას.

**— როგორ შეაფასებთ პროკურატურის მიერ მაღალჩინოსნების ბოლოდროინდელ დაკავებებს. თუ 3-ათასიანი გირაოებით მათი გამოშვება გაგრძელდა და არავინ დაიჭირეს, რა პროცესებს გამოიწვევს ეს?**

— დღევანდელი ხელისუფლება ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გირაოთი გამოშვებას. დაკავების შემდეგ ჯერ სასამართლო პროცესებია ხოლმე და, ჩემი აზრით, მოსამართლეებიც ველარ მიდიან კანონის წინააღმდეგ. მათ უნდა გააგრძელონ ჩვეულებრივად მუშაობა. **ბევრი პირი უნდა მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რადგან ასეთი დანაშაულები ძალიან ბევრი იყო, და შემდეგ სასამართლო პროცესზე გამოჩნდება ყველაფერი.** იყო ცნობილი პიროვნებების ღია სასამართლო პროცესები. დაჭერას და დაკავებას, ვფიქრობ, არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ საქმეებზე სამხილებს სრულად არ შეაგროვებენ და გამოძიებას ბოლომდე არ მიიყვანენ. ამ შემთხვევაში სასამართლო უკვე ველარსად გაექცევა არსებულ მტკიცებულებებს. სჯობს, საგამოძიებო ორგანოებმა თავიანთი საქმიანობა ეფექტურად წარმართონ.

**— როგორ შეაფასებთ დასავლეთის დამოკიდებულებას საქართველოში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში? დღეს გახდა ცნობილი, რომ ევროპელმა დიპლომატებმა შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში ბოლოდროინდელ დაჭერებთან დაკავშირებით და ეს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად შეაფასეს.**

— დასავლელი პოლიტიკოსები ხმას არ იღებდნენ, როდესაც პოლიტიკური დაჭერები მიმდინარეობდა 2003 წლის შემდგომ პერიოდში. ეს ყველაფერი, მე ვფიქრობ, იმ ლობიზმის შედეგია, რომელსაც თავის დროზე აწარმოებდა სააკაშვილის ხელისუფლება დასავლეთის მიმართ. **ცალკეულ პოლიტიკოსებს არ სურთ, საქართველოში შერცხვენილები დარჩნენ. გახსოვთ, ალბათ, საქართველოს უწოდებდნენ „დემოკრატიის შუქურას“, ახლა აღმოჩნდა, რომ ამ „დემოკრატიის შუქურაში“ ძალიან დიდი რაოდენობით პოლიტპატიმრები არიან, კორუმპირებულები, მაშინ, როდესაც იძახდნენ, რომ კორუფცია დამარცხებულია.** რა თქმა უნდა, საკუთარი სირცხვილის წარმოჩენა არ სურთ და ამიტომ ცდილობენ, პროცესები უფრო ლოიალური გახადონ, შეარბილონ და ამ ტიპის განცხადებებს იმიტომ აკეთებენ. ვფიქრობ, ასეთ განცხადებებს ხელისუფლებამ ყურადღება არ უნდა მიაქციოს და უნდა გააგრძელოს დასავლეთთან ურთიერთობა. საერთოდ, გამარჯვებულებს არ სჯიან. შესაბამისად, დასავლეთიც გაჩერდება და მიიღებს ხელისუფლებას ისეთს, როგორიც არის.

**— ალბათ, არ იცით პაატა ზაქარეიშვილის ასეთი გამონათქვამი: „ვინ არის რუსეთი? სულ ფეხებზე მკიდია რუსეთი! ჩვენ დაველაპარაკებით აფხაზებს, მე რუსეთი არ მაინტერესებს. ჩვენ რუსეთის გარეშე გავაკეთებთ ამას. ჩვენ არ ვაპირებთ, რუსეთს ვთხოვოთ, დაგვიბრუნოს აფხაზეთი. ამას ხვეწნის გარეშე გავაკეთებთ“, — აცხადებდა ბატონი პაატა „პრაიმ-ტაიმთან“ინტერვიუში.**

— პაატა ზაქარეიშვილს ძალზედ დიდი ფეხები ჰქონია, თუ ამხელა რუსეთი ფეხებზე ჰკიდია. ვფიქრობ, ეს აბსოლუტურად ემოციური განცხადებაა, რომელიც პაატა ზაქარეიშვილს ახასიათებს ხოლმე. ვიცნობ მას, ახლოს არა, მაგრამ ვხვდები, რომ ეს მხოლოდ ემოციებზე დაყრდნობილი განცხადებაა და მეტი არაფერი. თუმცა საკითხიც კარგად იცის. კარგ ცოდნაში ნამდვილად ვერ ჩავუთვლი რუსეთის ასეთ მკვეთრ იგნორირებას. **ადამიანმა, რომელმაც იცის აფხაზეთი და ცხინვალი და არ იცის რუსეთი, ნამდვილად ვერ გადაწყვეტს ამ საკითხებს, ამიტომ ვურჩევ, რომ ასეთი მკვეთრი და ხისტი განცხადებებისგან თავი შეიკავოს, მითუმეტეს მინისტრია.**

**— პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას აქვს რიგი მნიშვნელოვანი მოსაზრებებისა აფხაზეთთან ურთიერობის დარეგულირებასთან დაკავშირებით, რაზეც პრესაშიც იწერება. თუ იზიარებთ მათ და რაშია, თქვენი აზრით, გამოსავალი?**

— **ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებებს ვიცნობ და აბსოლუტურად ვეთანხმები მას. ბევრ რამეში ჩვენ საერთო შეხედულებები გვაქვს. ვფიქრობ, აფხაზეთისა და ცხინვალის საკითხი რუსეთის გარეშე არ გადაწყდება. პირდაპირი ურთიერთობა და ფეხებზედაკიდება კი ბავშვური საუბარია, სულ მცირე, მიამიტური და დილეტანტური. ვფიქრობ, რუსეთთან ურთიერთობის დამყარება და გაუმჯობესება შესაძლებელი იქნება სამმხრივი, შესაძლოა, ოთხმხრივი მოლაპარაკებების შემდეგად. ეს ხანგრძლივი პროცესია, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ფორმატი აუცილებლად უნდა იყოს რუსეთის მონაწილეობით.**

**— რას ფიქრობთ იმასთან დაკავშირებით, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი იყოს ამერიკის მოქალაქე, მისი ერთ-ერთი წინამორბედი კეზერაშვილი კი — ისრაელის მოქალაქე?**

— გასაკვირია, შაშკინი ამერიკის მოქალაქე როგორ აღმოჩნდა, კეზერაშვილი კიდევ გასაგებია. ეს ხალხი შეიფარა იმ სახელმწიფომ, რომელიც მათ მართავდა. მე ნამდვილად არ მომცემენ, აბა, ამერიკის მოქალაქეობას, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი ღვაწლი მიმიძღვის აშშ-თან. ზოგადად ჩემთვის გასაგებია, რასაც ნიშნავს შაშკინისთვის ამერიკის მოქალაქეობის მიღება, მაგრამ ეს ნამდვილად არაა ჯანსაღი პროცესი.

**— ბოლო დროს ხშირად ისმის პარლამენტის უმცირესობის წევრებისგან განცხადებები იმის თაობაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში ისევ მოვა, რადგან ამის დიდი შანსი აქვს. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს კუდის მოქნევის შანსი, ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი კი ნულია. ამ პარტიას შემდგომ არჩევნებშიც ვერ ვხედავ. მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მისმა რაღაც ნამსხვრევებმა შეიძლება მიიღოს მონაწილეობა.

**– ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ ხართ ადამიანი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, შევარდნაძის, გუნდიდან, რომელმაც საქართველოს ტერიტორია სააკაშვილის გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დატოვა. თუმცა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თქვენ თებერვალში გენერალური პროკურორის მოადგილედ გადაგიყვანეს, სადაც ივნისამდე მუშაობდით. რას ნიშნავდა ეს? ხომ არ შედგა თქვენსა და სააკაშვილს შორის ერთგვარი გარიგება?**

— არავითარი გარიგება, ამ თემაზე ბევრი ვისაუბრე, ეს ნაბიჯი სააკაშვილის მხრიდან ჩემი ხელისუფლებიდან უმტკივნეულოდ (მათი აზრით) გაცილებას ემსახურებოდა. მე დავთანხმდი იმიტომ, რომ მქონდა მყისიერი რეპრესიების მოლოდინი, თუმცა მერე მივხვდი, რომ ამ ნაბიჯით შეცდომა დავუშვი.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**



„ქართველები უნდა აცნობიერებდეთ ერთ მარტივ საკითხს: მოგწონთ თუ არა, ფაქტია, საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში არასდროს მიიღებენ."

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სერგეი მიხეევი:

# სისულელეა, მხოლოდ ერთი კაცის — პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამო ორ ქვეყანას შორის ასეთი დაძაბული ურთიერთობა იყოს

**ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე „საქართველო და მსოფლიოს" რუსეთის „პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის" გენერალური დირექტორი, ექსპერტი სერგეი მიხეევი ესაუბრა.**

## «როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის ინტერესებშია, კომპრომისული ურთიერთთანამშრომლობის ფორმა მოვძებნოთ»

**— რა არის თქვენი საქართველოში ვიზიტის მიზანი?**

— მე ვმუშაობ როგორც რუსეთის, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ პრობლემებზე. ახლახან ვიმყოფებოდი სომხეთში და მივიღე მოწვევა, ჩამოვსულიყავი საქართველოში. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩემი ვიზიტის მიზნები მარტივია: დიდი ხანია, არ ვყოფილვარ თქვენს ქვეყანაში, ამიტომ გადავწყვიტე, მენახა, როგორ ცხოვრობს საქართველო და არჩევნების შემდეგ რა ცვლილებები განხორციელდა ქვეყანაში. ასევე დიდი სურვილი მქონდა, შევხვედროდი ძველ ნაცნობებს, მათ შორის, „ევრაზიის ინსტიტუტის" დირექტორს, ბატონ გულბაათ რცხილაძეს, რომელიც წლების წინ, საქართველოში ყოფნის დროს გავიცანი. ის ახალ მოძრაობას იწყებს და სამომავლო თანამშრომლობაც დავგეგმეთ. ასევე ვმონაწილეობ „ახალგაზრდა ჟურნალისტთა სკოლის" ღონისძიებაში.

**— აღნიშნეთ, რომ გსურდათ საკუთარი თვალით გეხილათ არჩევნების შემდეგ ქვეყანაში განხორციელებული ცვლილებები. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ და იგრძნობა თუ არა ცვლილებები, თუნდაც ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების კუთხით?**

— სიმართლე გითხრათ, ჯერ ვერ მივხვდი, რა ხდება, თუმცა ცვლილებები იგრძნობა იმ მხრივ, რომ საკითხი აღარ ფიგურირებს ისე მწვავედ, როგორც ადრე იყო — ან ჩვენ, ან თქვენ! **ღმერთმა ისურვა, რომ მეზობლები ვართ, ისტორიულადაც ბევრი რამ გვაქვს გასახსენებელი და არ შეიძლება ერთმანეთს ზურგი შევაქციოთ.**

**ახლა რასაც ვხედავ, ყველაფერი ნელ-ნელა სალ აზრს უბრუნდება.** არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ მეზობლები ვართ, უამრავი საერთო ინტერესი გვაქვს და იქნებ აქვს აზრი, ეს საკითხები განვიხილოთ და რაღაც შევცვალოთ? რადგან, **სისულელეა, მხოლოდ ერთი კაცის — პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამო ორ ქვეყანას შორის ასეთი დაძაბული ურთიერთობა იყოს.**

**— ფიქრობთ, რომ მხოლოდ სააკაშვილის გამო დაიძაბა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა?**

— ასეთი მწვავე დაძაბულობა სწორედ სააკაშვილის ბრალი იყო. პრობლემები დაიწყო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის დროს. რა დამოკიდებულებაც არ უნდა გვქონდეს და როგორც არ უნდა განვიხილოთ ეს საკითხი, საბჭოთა კავშირის დაშლა გეოპოლიტიკურ კატასტროფას წარმოადგენდა, რომელმაც ბევრი მტკივნეული, ავადმყოფური მეტასტაზი გააჩინა. ერთ-ერთი ასეთი იყო რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობა. თანაც მაშინ, როცა ბევრი პრობლემის მოგვარება სხვაგვარადაც შეიძლებოდა, ორივე მხრიდან ვიღაცებმა მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იბრძოლეს, ოღონდაც კი ძალაუფლება მიეღოთ საბჭოეთის ნგრევის დროს და ამ პროცესის „გვერდითი მოვლენები" მათთვის არაფერს წარმოადგენდა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ელცინი, მან ქვეყანაც კი გასწირა, რათა გორბაჩოვისგან ძალაუფლება მიეღო. აქაც იგივე მოხდა. სააკაშვილმა მხოლოდ გაამწვავა არსებული პრობლემები.

**— ცოტა ხნის წინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთს ეწვია, შეხვდა რუსეთის პატრიარქსა და პრეზიდენტს და განაცხადა, რომ ომი არც ქართული და არც რუსული მხარის ბრალი არ ყოფილა. რა ცვლილებებს შეიძლება ველოდოთ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში აღნიშნული ვიზიტის შემდეგ?**

— მე ამ თვალსაზრისს სავსებით ვეთანხმები. საერთოდ კი, რელიგიური თვალსაზრისით, მართლმადიდებლობა რუსებისთვის მაიდენტიფიცირებელი ფაქტორი ყოველთვის იყო, არის და რჩება. ის რაც მოხდა, დიდი და მძიმე ცდუნება იყო, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ გავუძელით. **ის, რაც მოხდა, ორივე მხარისთვის იყო კოლექტიური თვითმკვლელობა, რასაც, ბუნებრივია, ახნა და გამართლება არ მოეძებნება. სამწუხაროდ, დღესაც გვიბიძგებენ ვიღაცები, ერთმანეთი დავხოცოთ.**

**პოსტსაბჭოთა სივრცეში დამანგრეველი პროცესები მიმდინარეობს არა სტიქიურად, დასავლეთის მხრიდან. მოგვწონს ეს თუ არა, ამაზე კამათი შეიძლება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. დასავლეთი მრავალი წლის განმავლობაში პოსტსაბჭოთა სივრცეში სხვადასხვა სახის კონფლიქტების პროვოცირებას ახდენს, ვინაიდან ნებისმიერი ინტეგრაცია, რეინტეგრაცია ან, უბრალოდ, ნორმალური ურთიერთობა ამ ტერიტორიაზე მისთვის არამომგებიანია.** დასავლეთის კულტურული მატრიცა, გულახდილად რომ ვთქვათ, აგრესიულად არის განწყობილი ტრადიციული საზოგადოებებისადმი და, ბუნებრივია, ამ ტერიტორიაზე არანაირი პოლიტიკური ურთიერთობების ალტერნატივა მას არ აინტერესებს. ამიტომ, ვფიქრობ, დასავლეთი თავის ამოცანებს წყვეტს, ჩვენ კი მხოლოდ მათი ინსტრუმენტები ვართ.

**— საქართველოს დასავლური კურსი აქვს არჩეული, ჩვენი მიზანი ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებაა, ეს კურსი არც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ შეცვლილა. ერევანში საქართველოს პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მისთვის სომხეთის მოდელია მისაღები, რომელიც ითვალისწინებს კარგ ურთიერთობას როგორც დასავლეთთან, ასევე რუსეთთან. საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვა და რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ და რა პოზიცია აქვს ამასთან დაკავშირებით რუსეთს?**

— ვფიქრობ, ერთი მეორეს ხელს არ უშლის. ცხადია და ყველამ დავინახეთ, რომ რადიკალური ცვლილებები ამ მომენტისთვის შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ ან ვეძებთ მიზეზს კონფლიქტისთვის, ან ვეძებთ მიზეზს ნორმალური ურთიერთობებისთვის.

დიახ, ეს სიმართლეა, სომხეთმა იპოვა არაკონფლიქტური თანამშრომლობის ფორმა რუსეთთანაც და დასავლეთთანაც, რადგან სომხეთმა იცის, რომ რუსეთთან ურთიერთობა მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, კარგად ხვდება, რომ სხვა გარანტიები, გარდა რუსეთისა, მათთვის არ არსებობს. მეორე მხრივ, სომხეთს ისიც ესმის, რომ მთელი რიგი დადებითი მხარე აქვს ევროკავშირთან და დასავლეთთან ურთიერთობებს და ამიტომ იპოვეს კომპრომისი. ვფიქრობ, ასეთი კომპრომისის პოვნა რუსულ-ქართულ ურთიერთობებშიც შეიძლება. მთავარია, ეს ყველაფერი არ გადაიზარდოს აგრესიულ-კონფლიქტურ ვითარებაში. თუმცა, **ვფიქრობ, ამერიკელებს სურთ, ჩვენ შორის ურთიერთობა მუდმივად დაძაბული და კონფლიქტური იყოს. ეს მათთვის სავსებით მისაღებია. ხოლო, თუ ვიომებთ, ეს მთლად ბრწყინვალე იქნება მათთვის. ჩვენთვის კი ეს საკითხები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.** არც ერთი ქვეყნის — არც საქართველოს და არც რუსეთის, ინტერესებში კონფლიქტი არ არის. პირიქით, როგორც საქართველოს, ასევე რუსეთისთვის ხელსაყრელია, კომპრომისული ურთიერთთანამშრომლობის ფორმის მოძებნა.

**— ერევანში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ასევე ისაუბრა რა ამიერკავკასიის მაგისტრალის შესახებ, განაცხადა, რომ ეს ყველაფერი დიდწილად დამოკიდებული იქნება რუსეთის პოზიციაზეც. რა პოზიცია ექნება რუსეთს ამ შემთხვევაში?**

— მართალია, მე არ ვარ ჩინოვნიკი, დამოუკიდებელი ექსპერტი გახლავარ, მაგრამ **ვფიქრობ, რომ რუსეთი თანახმა იქნება საქართველოსა და რუსეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლა განხორციელდეს, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე გაივლის.** რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მხოლოდ განცხადება მისი მხრიდან ცოტაა. მთავარია, მოქმედება. აფხაზეთთანაც უნდა მოიძებნოს კომპრომისები და ვფიქრობ, ყველაფერი შესაძლებელია.

ივანიშვილს, ვფიქრობ, შიდა პრობლემების გადაწყვეტაც მოუწევს, რადგან, რამდენადაც ვიცი, საქართველოშიც ყველა არ ეთანხმება აღნიშნული პროექტის განორციელებას. ამას გარდა, პრობლემას წარმოადგენს აზერბაიჯანის პოზიციაც, რომლისთვისაც არახელსაყრელია ეს ყველაფერი და ეცდება, ზეწოლა მოახდინოს საქართველოს ხელისუფლებაზე, რაშიც ამერიკელებიც დაეხმარებიან.

**პრინციპში, ყველა კონფლიქტი, სამხრეთ კავკასიის დერეფნის გაყოფის თაობაზე არსებულ ამერიკულ გეგმაში თავსდება. დარწმუნებული ვარ, თავის დროზე ამერიკელებმა გარკვეული როლი ითამაშეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის გამწვავებაში, ვინაიდან მათთვის მომგებიანია საქართველოში დაძაბულობა და არასტაბილურობა, რაც მისცემთ საშუალებას, სამხრეთ კავკასიაში გაზისა და ნავთობის მისაწოდებლად საკუთარი დერეფანი გაიყვანონ.**

**— ანუ თქვენ ამბობთ, რომ ყველაფერში მხოლოდ ამერიკელები არიან დამნაშავენი?**

— არა, ამერიკელებმა ჩვენს სიგიჟეებზე თავისი თამაში „ითამაშეს". დამნაშავე ჩვენ ვართ — რუსეთი, საქართველო, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ყველა, ვინც მისცა უფლება ასე მოქცეოდნენ. ამერიკელებისთვის მომავალშიც მომგებიანი იქნება მსგავსი ვითარება, რადგან, რაც ნაკლები იქნება რუსეთ-საქართველოს შორის კავშირები, მით მეტად ადვილი იქნება მათთვის აქ მუშაობა.

**— ცოტა ხნის წინ საქართველოს დსთ-ში გაწევრიანების შესახებ დაწყებული საუბრების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, თუმცა ზურაბ აბაშიძემ და ახალმა ხელისუფლებამ ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს. რას ნიშნავდა რუსეთის საგარეო უწყების დსთ-ს ქვეყნების პირველი დეპარტამენტის დირექტორის, მიხეილ ევდოკიმოვის, განცხადება? არის დღეს რუსეთის დღის წესრიგში საქართველოს დსთ-ში გაწევრიანება?**

— ვფიქრობ, ახლა ამ საკითხის წამოჭრას აზრის არ აქვს. შეიძლება განვიხილოთ ეს საკითხი, მაგრამ დსთ ძალიან პრობლემური ორგანიზაციაა, ვინაიდან ის საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში წარმოიშვა და ვერ იქცა ინტეგრაციულ გაერთიანებად. **დსთ-ს ბევრი პრობლემა აქვს და ვფიქრობ, ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. თუმცა საქართველოსთვის ეს შეიძლებოდა მომგებიანი ყოფილიყო და ოდესმე შეიძლება ქართული საზოგადოება თავად მიხვდეს, რომ ეს საკითხი მისთვის საინტერესოა.**

ამ ეტაპზე კი ეს მწვავე თემაა და მესმის, რომ მისი წამოჭრა სკანდალს გამოწვევს.

მაგრამ, მეორე მხრივ, **ქართველები უნდა აცნობიერებდეთ ერთ მარტივ საკითხს: მოგწონთ თუ არა, ფაქტია, საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში არასდროს მიიღებენ.** ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს, პირველ რიგში ის, რომ ევროკავშირის გაფართოების პროცესი უკვე დასრულებულია და მათ ისედაც უამრავი პრობლემა აქვთ. **მნიშვნელოვანია ასევე თურქეთის ფაქტორი. სანამ თურქეთს არ მიიღებენ ევროკავშირში, საქართველოს არანაირი შანსი არ აქვს.**

ევროკავშირისკენ სწრაფვა კიდევ მესმის, მაგრამ გაუგებარია, რას გაძლევთ ნატო?!

**— მაგალითად, უსაფრთხოების გარანტიას...**

— გააჩნია, რა კუთხიდან შევხედავთ. ერთის მხრივ, შესაძლოა, ეს იყოს უსაფრთხოების გარანტია, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს შეიძლება აღმოჩნდეს საფრთხის გარანტია. ვინაიდან, **სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაწევრიანებით, თქვენ უკვე გადაწყვეტით, საბოლოოდ ამტკიცებთ საკუთარ თავს რუსეთის მოწინააღმდეგედ და, სიმართლე რომ ვთქვათ, სამხედრო მოქმედებების პოტენციური არენა ხდებით.**

**— თუმცა ჩვენთან საუბრობენ, რომ პირიქით: ის ქვეყნები, რომლებიც გაწევრიანდნენ ნატოში, მაგალითად პოლონეთი, უნგრეთი, მათ რუსეთი აღარ განიხილავს როგორც მოწინააღმდეგეებს და პირიქით, უკეთ პოულობენ საერთო ენას...**

— ვფიქრობ, რუსეთისთვის ნატოს არანაირი მნიშვნელობა არ ექნებოდა, თავად ნატო რომ არ განიხილავდეს რუსეთს თავის გეგმებში მოწინააღმდეგედ. რუსეთს, უკვე დიდი ხანია, აღარ აქვს სურვილი იმ სისტემის წარმოებისა, რომელიც ქვეყნებს თავისიანებად და მოწინააღმდეგეებად ყოფდა. **დააკვირდით რუსეთის პოლიტიკას ბოლო წლებში, მედვედევისა და პუტინის წინადადებებს, ჩვენ გამუდმებით ვთავაზობთ ევროპას, რომ საერთო უსაფრთხოების სისტემა შევიმუშაოთ, მაგრამ მათ ეს არ სურთ, რადგან იმავე ამერიკელებისთვის მომგებიანია, თუ ევროპასა და რუსეთს შორის გამუდმებული კონფლიქტური სიტუაცია იქნება. რადგან, თუ ოდესმე ევროპა და რუსეთი მოილაპარაკებენ, ამერიკა არავისთვის საჭირო აღარ იქნება.**

**— საქართველოსთვის მნიშვნელოვანია დაკარგული ტერიტორიების საკითხი. რას ფიქრობენ რუსეთში: იყო თუ არა შეცდომა რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება?**

— მე ვფიქრობ, ეს საკითხი პროვოცირებული იყო მიხეილ სააკაშვილისა და ამერიკელების მიერ, რადგან რუსეთს დიდი ხნის განმავლობაში არ სურდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება, მაგრამ ამ სამხედრო ოპერაციამ რუსეთი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. ამერიკელებმა საკუთარი ექსპერიმენტებისთვის მედვედევის წინააღმდეგ, უბრალოდ, გამოიყენეს სააკაშვილი. ყველასათვის ცნობილია, რომ ამ მოვლენებამდე საქართველოში ჩამოსული გახლდათ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, რომელიც ესაუბრა სააკაშვილს და მათ ერთად განიხილეს მომავალი სამხედრო ოპერაცია.

**ესაუბრა შორენა ციცქარაშვილი**

## პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივი ორგანიზაციაა. იზოლაციაში უნდა მოვაქციოთ, რადგან „ნაციონალი“ და კრიმინალი დღეს სინონიმებია. საქართველოს ახალი ხელისუფლება „ნაციონალების“ ბრიყვულ ბრალდებებზე თავს არ უნდა იმართლებდეს. მათი საქმე არ არის, ივანიშვილი პუტინს მოკითხვას შეუთვლის თუ სხვა ვინმეს შეხვდება... გარანტიას გაძლევთ, რომ ისინი მალე ჩაირეცხებიან.“**



*გულბაათ რცხილაძე:*

# სახელმწიფო დაწესებულებებში ახალი ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილი ბევრი პირია — ძალოვანი სტრუქტურები «ნაციონალური მოძრაობისგან» უნდა გათავისუფლდეს!

**ქართულ-რუსული ურთიერთობების თემაზე სულ მალე ევრაზიის ინსტიტუტი საზოგადოებრივ დისკუსიას იწყებს. სამოქმედო გეგმებისა და მიზნების შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი გულბაათ რცხილაძე ესაუბრება.**

— ევრაზიის ინსტიტუტის ინიციატივით იწყება საზოგადოებრივი დისკუსია. მასში მონაწილეობის მისაღებად ვეპატიჟებით ყველა ორგანიზაციას, ყველა დაინტერესებულ პირს, რომელთაც სურვილი აქვთ, წვლილი შეიტანონ ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების პროცესში. მოვიწვევთ ასევე რუს ექსპერტებსა და საზოგადოების რიგით წარმომადგენლებს.

ჩვენი დისკუსიის მიზანია, ჯერ თვითონ საქართველოში, ქვეყნის შიგნით ჩამოვაყალიბოთ ჩვენი მიზნები და ამოცანები, ვინაიდან, **როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, საინტერესოა, როგორ გვესმის ეს მთლიანობა, ურთიერთობის რა მოდელი შეიძლება შევთავაზოთ აფხაზებსა და ოსებს.** ასევე უნდა გავითვალისწინოთ, ჩვენ მიერ ნათქვამი ნებისმიერი ფრაზა, ნებისმიერი ტერმინი როგორ აღიქმება პირობითი საზღვრის მეორე მხარეს აფხაზებისა და ოსების მიერ, მათთვის რამდენად მისაღებია ეს ყველაფერი და ხომ არ ასოცირდება ეს ტერმინოლოგია ნგრევასთან და ომთან. დროა, გავარკვიოთ, რას ველით და რა გვსურს მათგან.

**— წლების მანძილზე აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობები „გაყინულია“. როგორ აპირებთ დაკარგული კავშირების აღდგენას?**

— აუცილებლად ვაპირებთ ურთიერთობის აღდგენას. გასაგებია, რომ ეს საკმაოდ რთული იქნება, ვინაიდან სააკაშვილის ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა ეს ურთიერთობები არ განვითარებულიყო. **როდესაც ამბობ, რომ რუსეთი საერთოდ უნდა გამოირიცხოს ამ ურთიერთობის აღდგენის პროცესიდან, ფაქტობრივად, უარს ამბობ აფხაზებთან და ოსებთან დიალოგზე, ვინაიდან არც ოსები და არც აფხაზები არ გვენდობიან და ჩვენთან პირდაპირი დიალოგი არ სურთ.**

თუ ვიტყვით, რომ რუსეთი არ გვინდა, ის ოკუპანტია, ასე არაფერი გამოვა. ეს არის სააკაშვილის მიერ თავსმოხვეული პოზიცია და, თუ ისევ ამ ტერმინებს გამოვიყენებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისევ სააკაშვილი გვმართავს. ჩვენ რაღაც ახალ ფორმულირებამდე უნდა მივიდეთ.

**— რატომ გადაწყვიტეთ მაინც და მაინც ახლა ამ მოძრაობის დაწყება?**

— ჩვენ ველოდებოდით უწმინდესის ვიზიტს მოსკოვში და მის შედეგებს. ფაქტობრივად, **პატრიარქმა ღიად განაცხადა, რომ ომი პირადად სააკაშვილმა დაიწყო, ვინაიდან ქართველ და რუს ხალხს ეს ომი არ სურდა.** საქართველო და სააკაშვილი უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან. უკვე ღიად ითქვა აგვისტოს ომის მიზეზებზე, ამიტომაც გაღიზიანდნენ „ნაციონალები“. მიმაჩნია, რომ **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კიდევ ერთხელ გაამართლა ქართველი ხალხის იმედები და დაამტკიცა, რომ ის არა მხოლოდ ქვეყნის სულიერი ლიდერი, არამედ ნომერ პირველი დიპლომატია საქართველოში.**

**— თუმცა ამის გამო პატრიარქმა „ნაციონალების“ სერიოზული რისხვაც დაიმსახურა...**

— ჩვენ, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ომის მიზეზებზე ღიად ვსაუბრობდით, ეს რისხვა, დიდი ხანია, თავს დაგვატყდა, ამიტომ ძალიან კარგია, რომ ეს პატრიარქმა თქვა, რადგან მის სიტყვას სულ სხვა ძალა და მნიშვნელობა აქვს. მართალია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ნარჩენები აყიყინდნენ (თვითონ სააკაშვილის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ). დღეს ისინი უნდა გარიყოს ქართველმა ხალხმა, რათა მათ არ ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიმდინარე პროცესებზე იდეოლოგიური გავლენა მოახდინონ. მათ საერთოდ უნდა აეკრძალოთ საქართველოს პოლიტიკაზე გავლენა. **ჩვენ უნდა გამოვიდეთ „ნაციონალური“ ფსიქოზიდან,** სწორედ ამ მიზნით ვთავაზობთ საზოგადოებას დისკუსიის დაწყებას.

**— როგორი იქნება თქვენი მუშაობის ძირითადი მიმართულებები?**

— ჩვენ მოვიწვევთ არა მარტო პოლიტოლოგებსა და ჟურნალისტებს, არამედ ყველა დაინტერესებულ პირს. ინტელიგენციის, ეკლესიის წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს – ყველას, გარდა „ნაციონალებისა“. მათი აზრი არ გვაინტერესებს, რადგან **„ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივი ორგანიზაციაა. იზოლაციაში უნდა მოვაქციოთ ისინი, რადგან „ნაციონალი“ და კრიმინალი დღეს სინონიმებია. საქართველოს ახალი ხელისუფლება „ნაციონალების“ ბრიყვულ ბრალდებებზე თავს არ უნდა იმართლებდეს. მათი საქმე არ არის, ივანიშვილი პუტინს მოკითხვას შეუთვლის თუ სხვა ვინმეს შეხვდება... გარანტიას გაძლევთ, რომ ისინი მალე ჩაირეცხებიან.**

**— „ნაციონალები“ არ მალავენ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნებას აპირებენ. ფიქრობთ, არ აქვთ დაბრუნების შანსი?**

— ხელისუფლებაში დაბრუნების არავითარი შანსი „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს, ამიტომ მათთვისვე სჯობს, გაჩუმდნენ. თუმცა, რა თქმა უნდა, კვლავ შეეცდებიან, მოახდინონ ახალი ხელისუფლების დანაწევრება, რათა თავად ხელშეუხებლები დარჩნენ და მიტაცებული ქონებაც გადაარჩინონ. **მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებებში ახალი ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილი ბევრი პირია დარჩენილი და არ არის გამორიცხული, მათზე დაყრდნობით მოინდომონ სიტუაციის არევა. საზოგადოება მზად უნდა იყოს ყველაფრისთვის და არ უნდა მივცეთ მათ საშუალება,** რაიმე გავლენა მოახდინონ ქვეყნის განვითარებაზე. სწორედ ამას, საზოგადოების მობილიზებას ემსახურება ჩვენი გააქტიურება მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

ახალმა ხელისუფლებამ ძალოვან სტრუქტურებს სერიოზულად უნდა მიხედოს. ძალოვანი სტრუქტურები „ნაციონალური მოძრაობისგან“ უნდა გათავისუფლდეს და მაქსიმალურად პროფესიონალი, მაგრამ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი კადრებით უნდა დაკომპლექტდეს.

**— რას ფიქრობთ პრეზიდენტის ინიციატივაზე, ქვეყნის საგარეო კურსი ამიერიდან კონსტიტუციით განისაზღვროს, რისთვის არის აღნიშნული ცვლილება საჭირო?**

— ეს არის სააკაშვილის მორიგი სისულელე და სიმხდალე. მას არ სურს რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზება, რასაც ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დავუშვებთ.

**ესაუბრა შორენა ციჭქარაშვილი**

# ქართულ-რუსული ურთიერთობების აღდგენა იწყება



**თბილისში 4 თებერვალს ჟურნალისტიკის რუსულ-ქართული სკოლა გაიხსნა. ოლეგ-სანდრო პანფილოვმა და ქართული ჟურნალისტიკის სხვა „სინდისებმა“ ამ დღეს თავი გამოიჩინეს და სასტუმრო „ამბასადორის“ წინ მცირერიცხოვანი პიკეტი მოაწყვეს. მათი ღრმა რწმენით, რუს ჟურნალისტებს ქართველებისთვის არაფრის სწავლება არ შეუძლიათ, თუმცა მაშინ რაღას აკეთებს საქართველოში იგივე პანფილოვი, აღარ დაუზუსტებიათ. მის ეთნიკურ წარმომავლობას არ ვეხებით, მაგრამ აწ მაუწყებლობაშეჩერებულ ტელეარხ „პიკის“ დამხმარე ძალად რუსეთიდან ჩამოყვანილი ეს პიროვნება, როგორც იყო, ისევე დარჩა სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მეხოტბედ.**

პიკეტი მალევე დაიშალა. მისი მონაწილეები კითხვებს სვამდნენ, მაგრამ პასუხებს აღარ უსმენდნენ. ჟურნალისტურ სკოლაში ქართული მედიის 50-მდე ჟურნალისტი ჩაეწერა და მოპიკეტეების გულისწყრომაც სწორედ ამან გამოიწვია. წლების განმავლობაში განხორციელებული იზოლაციის პოლიტიკამ არ გაამართლა. ახალგაზრდა ჟურნალისტებს აინტერესებთ რუსეთთან კონტაქტი, იქაური ვითარება, პროფესიული გამოცდილების გაზიარება. მოპიკეტეებს არც იმაში გაუმართლათ, რომ მათი 20-კაციანი აქცია მათივე თანამოაზრე „რუსთავი 2“-მაც კი მხოლოდ ერთხელ და ისიც შუადღის საინფორმაციო გამოშვებაში გააშუქა.

**ერთი კვირის განმავლობაში წამყვანი რუსული მასმედიის — საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“, რადიო „მაიაკის“, ჟურნალ „რუსკი რეპორტიორის“, გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“, საინფორმაციო-ანალიტიკურ პორტალ „ვესტნიკ კავკაზას“ ჟურნალისტები თავიანთი ქართველი კოლეგებისთვის ჩაატარებენ ტრენინგებსა და მასტერკლასებს უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებასა და მულტიმედიური კონტენტის შექმნაში.**

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალისტები, ქართველ ექსპერტებთან ერთად, წაიკითხავენ ლექციებს მასმედიის თანამედროვე ტენდენციებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ, წარმოადგენენ თავიანთ ხედვას სამხრეთ კავკასიის რეგიონის მომავლის შესახებ, მრგვალი მაგიდის ფარგლებში, სახელწოდებით **„სამხრეთ კავკასია 2020: რეგიონის განვითარების პერსპექტიული სცენარები“.**

სკოლაში სწავლების შემაჯამებელ დღეს გამოცხადდება კონკურსის პირობები ესეს შესაქმნელად, რომლის შედეგადაც სამხრეთ კავკასიის, მათ შორის, საქართველოს საუკეთესო ჟურნალისტები 2013 წლის ბოლოს შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა ჟურნალისტთა რეგიონულ სკოლაში, ქალაქ სოჭში.

ჟურნალისტიკის რუსულ-ქართული სკოლის მუშაობის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ სპეციალური სერთიფიკატები.

**სკოლის ორგანიზატორები არიან რუსეთის პოლიტოლოგიური ცენტრი „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ და არაკომერციული ორგანიზაცია „კავკასიური თანამშრომლობა“.**

ასეთი სკოლა უკვე გაიმართა მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში.

4 თებერვალს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მოხსენების პრეზენტაცია კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა გამართა **ნიკოლაი სილაევისა** და **ანდრეი სუშენცოვის** მოხსენების პრეზენტაცია **„საქართველო 2012 წლის არჩევნების შემდეგ და რუსულ-ქართული ურთიერთობების პერსპექტივები“.** პრეზენტაციას დაესწრო **საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე.**

იგი მიესალმა ქართულ-რუსულ საექსპერტო დიალოგს და იმედი გამოთქვა, რომ **ამგვარი კვლევები და დისკუსიები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.**

მის განხილვაში ქართველი ექსპერტების ფართო სპექტრმა მიიღო მონაწილეობა. ***ივლიანე ხაინდრავამ*** აღნიშნა, რომ იგი არ აკრიტიკებს სააკაშვილის კურსს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში, რადგან ქვეყნის პირველი „ვერ შეეგუებოდა მცოცავ ანექსიას“. პრეტენზიები კი მის მიმართ ამ კურსის განხორციელების უუნარობის მიმართ აქვს. **ექსპერტმა ლადო პაპავამ** ისაუბრა რუსული ბიზნესისთვის სააკაშვილის მიერ ფართოდ გაღებულ კარზე და ისურვა, რომ მოხსენების ავტორებს მეტი ინფორმაცია გამოეყენებინათ საქართველოს რეალური ეკონომიკის შესახებ.

**ექსპერტმა სერგი კაპანაძემ** ძირითადად წინა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ მიღწევებზე ისაუბრა. მისი განცხადებით, საქართველოს ევროატლანტიკურ არჩევანს ალტერნატივა არ აქვს, რის დასტურადაც NDI-ს კვლევები დაასახელა. ამ განცხადებას დარბაზში ირონიული რეპლიკები მოჰყვა. **ექსპერტმა ნანა დევდარიანმა** მიუთითა, რომ არჩევნების წინ ამ ორგანიზაციის მიერ პოლიტიკური პარტიების კვლევებმა მისი ავტორიტეტი საბოლოოდ შეარყია და ნატოში ინტეგრაციის ისეთი მაღალი მაჩვენებელი, როგორიც არის 77 პროცენტი, ეჭვს ბადებს.

**მიუხედავად გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა, მთლიანობაში ქართველმა ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს მოხსენება და მისი პრეზენტაცია თბილისში, რაც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებამდე წარმოუდგენელი იყო.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ბიზნესს თავისუფლება უნდა მისცენ, რადგან ყველაზე მეტად ესმის, რა შეიძლება ამ ქვეყნისგან გამოვიდეს. ის თვითონ მიაგნებს იმ სფეროებს, რომლებიც მომგებიანი იქნება და უკეთესი ქვეყნისთვის. ბიზნესს ვერ ეტყვი, შენ აქ ეს გააკეთე ან ესო, ბიზნესი თვითონ არ დატოვებს ასათვისებელს, სწორედ ბიზნესზე დაყრდნობით უნდა განსაზღვრო პრიორიტეტები და არა პირიქით."

გიორგი აბაშიშვილი:

# ახალი ხელისუფლება ზედმეტ ოპტიმიზმსა და თვითტკბობაში არ უნდა ჩავარდეს

**„ნაცმოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, პირადად ჩემთვის გაუგებარი იყო „ეკონომიკის მდგრადი განვითარების" მცნება და ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ახალი ხელისუფლების პერიოდშიც იმავეს მოვისმენდი, რომ ეს გაუგებარი სახელწოდება შერჩებოდა ეკონომიკის სამინისტროს. ეს ისე, უბრალოდ ვახსენე. ოღონდ ეკონომიკა აღორძინდეს და ვინ დაეძებს, რა ერქმევა ან მინისტრს, ან სამინისტროს. კარგა ხანია, ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და ხელისუფლებას შორის ციფრებით დავა მიმდინარეობს. ოპოზიცია ამბობს, რომ ეკონომიკური კლება გვაქვსო, ხოლო ხელისუფლება ამბობს, მატება არისო. ასეთივე ინფორმაციას გვაწვდიან ექსპერტებიც, ხელისუფლების მომხრეები იმათ სათქმელს ამბობენ, ხოლო ოპოზიციის მომხრეები (ასეთები კიდევ არიან) მათ ინფორმაციას ადასტურებენ.**

**რა ხდება სინამდვილეში და როგორი ვითარებაა ქვეყანაში ეკონომიკის თვალსაზრისით, რას უნდა ველოდოთ უახლოეს პერიოდში და გველოდება თუ არა ეკონომიკური კრიზისი – ამ და სხვა საინტერესო თემებზე ეკონომიკის ექსპერტი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, ბატონი გიორგი აბაშიშვილი გვესაუბრება.**



— დღევანდელი მონაცემებით, ეკონომიკაში ვარდნა არის და, თუ ამას მიეცემა განვრცობითი ხასიათი, ვარდნის ბოლო კრიზისია. საბოლოო შეფასების გაკეთებას კვარტლის ბოლოს შევძლებთ. თუ პირველი კვარტლის შედეგები დამაიმედებელ სურათს არ მოგვცემს, მაშინ გაცილებით უფრო დიდი განგაშის ზარი იქნება შემოსაკრავი.

ქვეყანაში ვითარება ასეთია: **„ნაცმოძრაობა" ზედმეტად ტრაგიკულად აფასებს სიტუაციას, ახალი ხელისუფლება კი ზედმეტად ოპტიმისტურად არის განწყობილი. რეალობა კი სულ სხვაა — საქართველოში ეკონომიკური აქტივობა იკლებს.** რას ნიშნავს ეკონომიკური აქტივობის კლება? ხალხისთვის გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, ეკონომიკური აქტივობის კლება ნიშნავს იმას, რომ ადამიანები ნაკლებად მოტივირებულები არიან თანხის ხარჯვაში. ადამიანებს არ აქვთ სტიმული გააკეთონ შესყიდვები, ბანკებიდან ნაკლები ფული გამოაქვთ, არ სურთ, ქონება სესხით შეიძინონ, ანუ იპოთეკური და სამომხმარებლო სესხების რაოდენობა არის დაკლებული, ნაკლებს ხარჯავენ ძვირადღირებულ ნივთებში, როდესაც მოსახლეობა თანხის დაზოგვას იწყებს და მხოლოდ გადაუდებელი საკვების გარდა არაფერს ყიდულობს, ეს ნიშნავს, რომ რაღაცას ერიდებიან, მათ შიშის ფაქტორი აქვთ, არ იციან, რა იქნება მომავალში. ეს კი სწორედ ეკონომიკური აქტივობის კლების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია. ადამიანებს არ აქვთ ხარჯვის სტიმული.

**— რამ შექმნა ეს შიში ადამიანებში?**

— საქართველოში არსებულმა გაურკვეველმა პოლიტიკურმა ვითარებამ. პროგნოზირება იმისა, რა შეიძლება იყოს მომავალში, არის საკმაოდ რთული. ამიტომ ადამიანები ცდილობენ, დაიცადონ, ასეთი ტიპის დაცდა კი, როგორც წესი, ეკონომიკის დაცემის მაპროვოცირებელია. ქვეყანაში საკმაოდ დიდი ნიშნებია იმისა, რომ ეკონომიკური კრიზისი შეიქმნას.

**იმას, რასაც „ნაციონალური მოძრაობა" ციფრობრივად ასაბუთებს, ვერ გავექცევით და თვალის დახუჭვაც არ ღირს, რადგან იმავე ინფორმაციას სტატისტიკის დეპარტამენტიც ადასტურებს, ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა იკლებს.**

**«იმას, რასაც «ნაციონალური მოძრაობა» ციფრობრივად ასაბუთებს, ვერ გავექცევით, რადგან იმავე ინფორმაციას სტატისტიკის დეპარტამენტიც ადასტურებს — ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა იკლებს»**

არსებული სიტუაციიდან გამოსავალს კი ხელისუფლება ინვესტორების მოზიდვაში ხედავს, მაგრამ როგორი იდეალური კანონმდებლობაც არ უნდა იყოს ფურცელზე დაწერილი, ისეთ ქვეყანაში, რომელშიც პოლიტიკური სტაბილურობა არ არის, არავინ ფულს არ ჩადებს. ბიზნესში არსებობს რამდენიმე ტიპის გარემო, რომელიც ინვესტორს აფიქრებინებს, გადაწყვეტილება მიიღოს. ეს არის: ბიზნესის სამართლებრივი გარემო, ბიზნესის სოციალურ-კულტურული გარემო, მაგრამ ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი ბიზნესისთვის პოლიტიკური გარემოა. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნისთვის უნიშვნელოვანესია პოლიტიკური სტაბილურობა.

ოპოზიციამ და ხელისუფლებამ როგორმე უნდა შეძლონ და შეთანხმებას მიაღწიონ თუნდაც ეკონომიკის ნაწილში, მაგრამ, სამწუხაროდ, არანაირი ნიშნები არ იკვეთება, რომ ამის მცდელობა აქვთ.

**— ეკონომიკის განვითარების როგორი კურსი აირჩია ახალმა ხელისუფლებამ?**

— საქართველოს ეკონიმიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სწორედ ის არის, რომ ვერც ერთმა მთავრობამ ვერ შეძლო, მკაფიოდ ჩამოეყალიბებინა, თუ როგორი იქნებოდა მისი ეკონომიკური გეგმა. ახალი ხელისუფლების პირობებში კი ცოტა ძნელი განსასაზღვრია, თუ როგორია მათი გეგმა, ამაზე არც არავის უსაუბრია, რადგან კოალიცია „რთული აგებულებისაა", მათი პოლიტიკური თუ ეკონომიკური შეხედულებები განსხვავდება, იქ არიან ლიბერალებიც, არიან სოციალ-დემოკრატიის მომხრეებიც, არიან სოციალური საბაზრო ეკონომიკის მომხრეებიც. ჯამში ამ ნაზავმა როგორი ტიპის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა შემოგვთავაზოს, გაუგებარია. **ამ წუთამდე ვერავინ ისაუბრებს ახალი ხელისუფლების ერთიან, დეკლარირებულ გეგმაზე, მათ არ უთქვამთ, რომ ეს არის ჩვენი ეკონომიკური გეგმა და ამ გეგმის მიხედვით მივდივართ. ეს იყო წინა ხელისუფლების პრობლემაც,** ამას თან ერთვოდა ისიც, რომ ისინი რეფორმების პროცესში ხალხს არ ესაუბრებოდნენ, ისინი ხალხისგან შორს იყვნენ და რეფორმის ნეგატიურ შედეგებს მოსახლეობას არ აცნობდნენ. თუ მოსახელობას წინასწარ ექნება ინფორმაცია რეფორმების თაობაზე, ამას შეიძლება ნეგატიური შედეგი ცოტა ხნით ჰქონდეს, მაგრამ გრძელვადიანი შედეგი აუცილებლად იქნება პოზიტიური. **თუ საქართველოში ოდესმე რომელიმე ხელისუფლება მოსახლეობას რეფორმების დადებით და უარყოფით შედეგებზე დაელაპარაკება და აუხსნის, მაშინ ხელისუფლებას უკეთესი შანსი ექლევა, იდგეს სწორ და ხალხისთვის მისაღებ პოზიციაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხის უნდობლობას გამოიწვევს.**

**«როდესაც მოსახლეობა თანხის დაზოგვას იწყებს და მხოლოდ გადაუდებელი საკვების გარდა არაფერს ყიდულობს, ეს ნიშნავს, რომ რაღაცას ერიდება, შიშის ფაქტორი აქვს, არ იცის, რა იქნება მომავალში»**

ისევე, როგორც „ნაცმოძრაობის" დროს, ახლაც მიჭირს გავიხსენო ის რეფორმა, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ დაასახელა და ახსნა მისი დადებითი თუ უარყოფითი შედეგები და, რაც მთავარია, დაასახელა დრო, როდემდე შეიძლება ესა თუ ის პროცესი გაგრძელდეს. ხელისუფლებები არ გვთავაზობენ მკაფიო გეგმას, რომელშიც ჩვენ საკუთარ თავს ვხედავთ.

**— ხელისუფლება ამბობს, რომ დაქცეული ეკონომიკა ჩაიბარა და ბიუჯეტშიც კაპიკი ფული არ იყო.**

— წარმოუდგენელია, რომ ბიუჯეტში არ იყო კაპიკი, მაშინ ვერაფრით დარიგდებოდა ხელფასები, პენსიები, სოციალური დახმარებები. ბიუჯეტში ფული არ არის — ძალიან ვირტუალური ნათქვამია, რადგან ბიუჯეტში ფული ბრუნავს, რაღაც დროს ეს ფული გადის და შემდეგ ისევ შემოდის, მუდმივად სავსე ბიუჯეტი უტოპიაა.

ახალმა ხელისუფლებამ არსებული ბიუჯეტიდან უკეთესად გადაანაწილა ხარჯები და შეძლო ბიუჯეტის ზრდა და რადგან ეს შესაძლებელი გახდა, ესე იგი ეს 2012 წლის ბიუჯეტის დამსახურებაა.

საერთოდ, ალბათ, ნაჩქარევი იქნება იმაზე საუბარი, თუ რა და როგორ იქნება. ჩვენ აუცილებლად უნდა დაველოდოთ პირველი კვარტლის შედეგებს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე უფრო მეტად შესამჩნევი კლებითი ნაწილია, მაგრამ, როგორც ხელისუფლება ამბობს, ინვესტორების იმედი აქვთ. ისინი გვპირდებიან, რომ ძალიან სერიოზულ უცხოელ ინვესტორებს დააინტერესებენ. ამიტომ უნდა დაველოდოთ, ინვესტორების დალოდება აუცილებელია. მარტის თვემდე, ანუ კვარტლის ბოლომდე, სავარაუდო ინვესტორების ვინაობა და წარმოშობა დაანონსებული მაინც უნდა იყოს. სიტყვა **სერიოზული ინვესტორი** ძალიან ზოგადია, აღნიშნულ საკითხს მეტი გამჭირვალობა სჭირდება.

ისე, ეკონომიკას ცოტა ხანი ინერციით სიარული შეუძლია.

**— ხელისუფლება პრიორიტეტად კვლავ ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას ასახელებს.**

— მთავარი შეცდომა, რომელიც შეიძლება ხელისუფლებამ დაუშვას, არის ის, რომ აქცენტი ეკონომიკის ერთ რომელიმე დარგზე გააკეთოს, იქნება ეს ტურიზმი ან თუნდაც სოფლის მეურნეობა, რადგან აუცილებლად უკუეფექტი ექნება. ქვეყანაში უნდა იყოს პრიორიტეტული დარგები შერჩეული, რომლებზეც დაიხარჯება მეტი ენერგია და იზრუნებენ მის პრომოუშენზე, მაგრამ იმაზე საუბარი, რომ ტურიზმი გადაგვარჩენს, ზღაპარია.

**ბიზნესს თავისუფლება უნდა მისცენ, რადგან ყველაზე მეტად ესმის, რა შეიძლება ამ ქვეყნისგან გამოვიდეს. ის თვითონ მიაგნებს იმ სფეროებს, რომლებიც მომგებიანი იქნება და უკეთესი ქვეყნისთვის. ბიზნესს ვერ ეტყვი, შენ აქ ეს გააკეთე ან ესო, ბიზნესი თვითონ არ დატოვებს ასათვისებელს, სწორედ ბიზნესზე დაყრდნობით უნდა განსაზღვრო პრიორიტეტები და არა პირიქით.**

ახალი ხელისუფლება უამრავი გამოწვევის წინაშე დგას, ამიტომ ზედმეტ ოპტიმიზმსა და თვითტკბობაში არ უნდა ჩავარდეს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## კანადაში ედმონტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კიბოს წამალს მიაგნეს

**კარგად ცნობილი პრეპარატი დიქლორაცეტატი (dichloroacetate ), რომელიც გამოიყენება ჩვეულებრივ ნივთიერებთა ცვლის დარღვევისას და არ წარმოადგენს რთულ ქიმიურ პრეპარატს, აღმოჩნდა, რომ კიბოს უჯრედებს არნახული ეფექტურობით ანადგურებს, ხოლო ჯანმრთელ უჯრედებს არ ეხება.**

სენსაციური შედეგით დასრულდა კონკრეტული ექსპერიმენტი, როდესაც ეს პრეპარატი გამოიყენეს მკერდის საკმაოდ რბილი ქსოვილებისა და ტვინის უჯრედების კიბოს დროს.

აღმოჩნდა, რომ ეს ორგანოები სრულად განიკურნა და ჯანმრთელი უჯრედები ხელშეუხებელი დარჩა. ნებისმიერ ორგანიზმში არსებობს კიბოს უჯრედების საწინააღმდეგო უჯრედები, მაგრამ მათი ამოქმედებაა საჭირო. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ პრეპარატის — dichloroacetate-ის მიღების შედეგად, ორგანიზმში მათი მოქმედების გააქტიურება მოხდა. აშკარაა, რომ პრეპარატს კიბოსთან ბრძოლა უჯრედის დონეზე შეუძლია. მეცნიერები ამ ნივთიერებას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ვინაიდან მისი გვერდითი მოვლენები მინიმალური იქნება და რაიმე განსაკუთრებული პატენტი მკურნალობის ამ ხერხს არ დასჭირდება.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ხომ არ არის ქვეყნის ინტერესებისთვის უფრო საფრთხის შემცველი მათი პოლიტიკური გუნდის მხრიდან მუდმივი ქილიკი და უადგილო, უსაფუძვლო, პიროვნული ლანძღვა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მისამართით, რასაც ჩვენი ქვეყნისთვის სიკეთე არ მოუტანია?!“

# ლაშა ჟვანია: გავა დრო და იცოდეთ, 2008 წლის მოვლენები შეფასდება, როგორც ჩვენი მხრიდან სერიოზული შეცდომა

**მოსკოვში პატრიარქის ვიზიტი პოლიტიკურ წრეებში აქტიური განხილვის საგნად კვლავ რჩება. ნაწილი (ძირითადად „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები) მსგავს შეხვედრებს სკეპტიკურად უყურებენ და მიიჩნევენ, რომ რუსეთის დღევანდელ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აზრი არ აქვს. ნაწილმა ის უკვე შეაფასა, როგორც პირველი სერიოზული გარღვევა ორ ქვეყანას შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობაში. თავად პატრიარქმა კი ვიზიტს ისტორიული უწოდა და იმედი გამოთქვა, რომ მას კარგი შედეგი მოჰყვება. რას უნდა ველოდოთ მომავალში და რას შეცვლის რეალურად ახალი ხელისუფლების მიერ კრემლის მესვეურებთან დაწყებული დიალოგის მცდელობა, — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი ლაშა ჟვანია.**



**— ბატონო ლაშა, რამდენიმე დღის წინ რუსეთიდან დაბრუნებულმა ჩვენმა პატრიარქმა ბრძანა, რომ მისი ვიზიტი მოსკოვში წარმატებული იყო და ის კარგ შედეგს მოიტანს. თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ შეხვედრას და კონკრეტულად რა შედეგის მოლოდინი შეიძლება გვქონდეს?**

— საერთოდ, ეკლესიის საჭეთმპყრობლის ვიზიტი მეორე ქვეყნის ეკლესიაში ყოველთვის მნიშვნელოვანია. მითუმეტეს, როცა ეს მეორე ეკლესია არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მასშტაბური. ის ერთადერთი, ასე ვთქვათ, სტრუქტურაა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის სახელმწიფო სივრცეში, რომლის იურისდიქციაც არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ვრცელდება: უკრაინაზე, ბელარუსზე, მოლდოვაზე, აზერბაიჯანზე, ყაზახეთზე, თურქმენეთზე, იაპონიასა და ჩინეთზეც კი. ამასთან, ის აღიარებს საქართველოს იურისდიქციას აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მიუხედავად რუსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან სხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებისა.

რაც შეეხება კითხვას, რას უნდა ველოდოთ, ვიზიტის ფარგლებში რამდენიმე საკითხი იქნა განხილული: პირველი ეს იყო ეკლესიებს შორის ურთიერთობები და მსოფლიო საეკლესიო კრებასთან დაკავშირებული თემები. ასევე საუბარი შეეხო ქართველი მეფეების გადმოსვენებას, რაც, შეუძლებელია, ტექნიკურად დროულად მოგვარდეს, იმიტომ, რომ ჩვენ მოვითხოვეთ დეენემის ანალიზი, რომლის ჩატარებასაც, სულ ცოტა, სამი თვე დასჭირდება. **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობა კათოლიკოს-პატრიარქის ყველა შეხვედრაზე ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობლის მიერ იყო დაფიქსირებული, ისევე, როგორც ყველა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ საჯარო გამოსვლაში.** რუსეთის მხრიდან კი გაიჟღერა ასეთმა ფრაზამ, რაც, ვფიქრობ, ნიშანდობლივია: **შეცდომები იქნა დაშვებული და ისინი უნდა გამოსწორდეს... ჩემი აზრით, ეს ჯანსაღი, კონსტრუქციული დიალოგისთვის საუკეთესო ბაზისია.**

**— თქვენი აზრით, განცხადების ავტორი რას გულისხმობდა — შეცდომებს ორივე მხრიდან თუ მარტო საქართველოს მიერ დაშვებულს?**

— ეს თავად ავტორმა უნდა თქვას. საერთოდ, ზოგადი განცხადების ინტერპრეტირება მრავალნაირად შეიძლება, მაგრამ, როდესაც შეცდომებზე იყო საუბარი და არ დაკონკრეტებულა, რომელმა მხარემ დაუშვა ის, მაფიქრებინებს, რომ მომავალში რუსეთის ფედერაციას ექნება მზაობა მოლაპარაკებათა მაგიდასთან დასაჯდომად. მოდი, ნურც იმის ილუზიას შევიქმნით, რომ დღეს და ხვალ ყველაფერი გადაწყდება. ეს პროცესი ძალიან დიდ დროს მოითხოვს, ამიტომ ჩვენც მზად უნდა ვიყოთ ამისთვის. ფაქტი ერთია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაწყვეტაში რუსეთთან, როგორც ერთ-ერთ ძირითად მოთამაშესთან, დიალოგი აუცილებელია.

**— საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა, სერგო რატიანმა და ზურაბ ჯაფარიძემ, პატრიარქის ვიზიტში და მის განცხადებაში, რომ ეს ვიზიტი ისტორიული იყო, საფრთხე დაინახეს. ამის შესახებ სოციალურ ქსელში გამაფრთხილებელი განცხადებაც გაავრცელეს და მისი უწმინდესობა, ფაქტობრივად, დამოძღვრეს.**

— ალბათ, კარგი იქნება, ამ ადამიანებმა შეიგრძნონ ის რეალობა, რა რეალობაშიც თავად არიან და ის დონე, მასშტაბები, რომლებიც აქვს საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან მიმართებაში ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელს. როცა ისინი ამას გააცნობიერებენ, ცოტა უფრო მორიდებით იქნებიან და დაუკვირდებიან, რა განცხადებებს აკეთებენ. მის უწმინდესობას, ილია მეორეს, თავისი სამღვდელმთავრო 50 და საპატრიარქო 35-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს. მისი ცხოვრება ამის ნათელი მაგალითია. ასე რომ, რა იპოვეს, რა დაინახეს ჯაფარიძემ და რატიანმა რუსეთის ფედერაციასთან დიალოგის სურვილში სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხისშემცველი, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

**— ისინი საუბრობდნენ საფრთხის ალბათობაზე, რომელიც, მათი აზრით, შესაძლოა, მომავალში შეგვექმნას.**

— ჰოდა, მათ ვეკითხები: ხომ არ არის ქვეყნის ინტერესებისთვის უფრო საფრთხისშემცველი მათი პოლიტიკური გუნდის მხრიდან მუდმივი ქილიკი და უადგილო, უსაფუძვლო, პიროვნული ლანძღვა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მისამართით, რასაც ჩვენი ქვეყნისთვის სიკეთე არ მოუტანია?!

**— სხვათა შორის, არანაკლებ ხმამაღალი განცხადება გააკეთა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ეკა ხერხეულიძემაც. მისი თქმით, პატრიარქის ვიზიტი მოსკოვში პერსპექტიული ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება, რადგან თურმე სწორედ ამ დღეებში განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა, რომ მან მოახდინა საქართველოს ინტერვენცია და ის არის ოკუპანტი. არ ვიცი, სად და როდის მოისმინა ქალბატონმა ხერხეულიძემ ვლადიმერ პუტინისგან ეს „აღიარება“, მაგრამ ფაქტია, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს კრემლთან საერთო ენის გამონახვაზე საუბარიც კი აშინებთ და აღიზიანებთ.**

— არც ქალბატონი ეკა ხერხეულიძე და არც ის ადამიანები, რომლებიც მსგავსი განცხადების ავტორებად მოგვევლინნენ, ჩემთვის არ წარმოადგენენ რაიმე განსაკუთრებული საზოგადოებრივი აზრის მატარებელ პიროვნებებს, რომელთა გამონათქვამებს შეიძლება იმხელა მნიშვნელობა მივანიჭოთ, რომ ამაზე საუბარს მოვანდომოთ თუნდაც თქვენი ძვირფასი გაზეთის ერთი ან ნახევარი სვეტიც კი.

**— რამდენიმე დღის წინ საპარლამენტო უმცირესობამ წამოაყენა ინიციატივა, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის უცვლელობის შესახებ. რა აზრის ხართ ამაზე?**

— მსგავსი არც ერთი პრეცედენტი არ არსებობს და არ შეიძლება, კონსტიტუციაში წერო ყველაფერი, რაც უმცირესობას მოუნდება, პირზე მოადგება. რატომ თავის დროზე არ ჩაწერეს?!

**— ჩვენს დროს ეს პრობლემა არ იყოო.**

— რა პრობლემა არ იყოო, დღე და ღამ ამაზე საუბრობდნენ. სამი-ოთხი თვის წინანდელ განცხადებებს მოუსმინეთ, დილიდან საღამომდე ყურები გვქონდა გამოჭედილი, საგარეო პოლიტიკური ვექტორი შეიძლება შეიცვალოს და ამიტომ მოგვეცით ხმაო. უმრავლესობა მათ ხელში იყო, საკონსტიტუციო ცვლილება რომ გააკეთეს, პრეზიდენტის უფლებამოსილების გასაგრძელებლად, იმ დროს რატომ არ მიიღეს ეს კანონი?! თუ ეგონათ, რომ მუდმივად იქნებოდნენ...

ახლა მთელი ჩვენი საუბარი მიდის იქით, მე, როგორც რესპონდენტი, უნდა ვამტკიცებდე, რომ ქვეყნის საგარეოპოლიტიკური ვექტორის შეცვლის საფრთხეს ვერ ვხედავ. არავის ადვოკატობას არ ვაპირებ, მაგრამ არ იცვლება არაფერი... **აუცილებელია ასეთი ტიპის შეხვედრები, ვიზიტები, კიდევ უფრო ინტენსიური დიალოგი და აუცილებელია, ჩვენ ვისაუბროთ იმაზე, თუ რა შეცდომები იყო დაშვებული. აქ ლაპარაკია დიალოგზე არა მხოლოდ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებთან, არამედ აფხაზებთან და ოსებთან, იმიტომ, რომ ჩვენ ეს რეგიონები ამ ხალხის გარეშე არ გვინდა.**

**— საინტერესოა, თავის მხრივ, აფხაზები და ოსები როგორ უყურებენ შეცდომებზე საუბარს.**

— მოდი, ამ შემთხვევაში ჩვენ ჩვენს შეცდომებზე ვისაუბროთ. **რატომ არ გვინდა იმის აღიარება, რომ საქართველოს წინა ხელისუფლება წამოეგო პროვოკაციას?! გავა დრო და იცოდეთ, 2008 წლის მოვლენები შეფასდება, როგორც ჩვენი მხრიდან სერიოზული შეცდომა.**

ისტორია თავის სიტყვას იტყვის, უბრალოდ, ახლა, სამწუხაროდ, ისტორიის იმ ნაწილში ვართ, როცა სათქმელი ჯერ ვერ ითქმევა...

**— დასასრულს მიმდინარე დაკავებებზე გკითხავთ: ბევრის აზრით, ინვესტიციების კლება, რაზეც ექსპერტები გამუდმებით საუბრობენ, გარკვეულწილად, შესაძლოა, სწორედ ამას უკავშირდებოდეს. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე?**

— თქვენ, როგორც ამ შეკითხვის ავტორს, იქეთ მინდა გკითხოთ: **როგორ ფიქრობთ, მე რატომ არ მაკავებენ? რატომ არ აკავებენ იმ ათობით და ასობით პატიოსან, მაღალი დონის ყოფილ სახელმწიფო მოხელეს, რომლებიც წესიერად ცხოვრობდნენ?! რატომ მძინავს მშვიდად და წყნარად ნებისმიერი ცვლილების დროს?!**

აქვე გიპასუხებთ: იმიტომ, რომ არ ჩამიდენია დანაშაული, არ დამირღვევია კანონი, იმის მიუხედავად, რომ იყო დავალებაც, არაერთი მითითებაც და ხიბლიც. მე დღეს ლაღად ვხვდები იმ ადამიანებს, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს გაქცეულები იყვნენ საქართველოდან, რომლებიც ციხეში ისხდნენ. უკვე ვმეგობრობ მათთან. ახლა გეკითხებით, რატომ უნდა ვიყო გათანაბრებული იმ მოხელეებთან, ჩინოვნიკებთან, რომლებმაც ფული იშოვეს სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობის დროს?! მაშინ ეს ხომ მომავალში თანამდებობის სხვა პირებისთვის ცუდი მაგალითი იქნება?! — მიხვალ სამსახურში, იმუშავებ, ფულს გააკეთებ და არც არავინ არაფერს მოგკითხავს...

**— ფაქტობრივად, დღე ისე არ გავა, წინა ხელისუფლების რომელიმე მაღალჩინოსანი პროკურატურაში არ დაიბარონ, არ დაკითხონ ან არ დააკავონ. ერთია, რომ სამართლებრივი პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ, თქვენი აზრით, ეს ყველაფერი რამდენად შეიძლება, საბოლოოდ მივიდეს უშუალოდ პრეზიდენტის, როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლისა და „ნაციონალური მოძრაობის“ რეალური ხელმძღვანელის, პასუხისმგებლობის საკითხამდე?**

— პასუხისმგებლობა აბსოლუტურად ყველასია და გეტყვით, რატომ: ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში მყოფმა ადამიანმა შეიძლება ერთი მითითება მოგცეს, მაგრამ, თუ ამას შემსრულებელი, წამხალისებელი და ქათინაურის მთქმელი არ ჰყავს, ის მარტო ვერ განახორციელებს. აქედან გამომდინარე, **მარტო ერთი პიროვნების პასუხისმგებლობაზე ვერ ვისაუბრებთ, აქ იყო გუნდი, რომელიც წყვეტდა საკითხებს და პლიუს მათ ჰყავდათ შემსრულებლები.** სადმე წყვეტა რამეს, რომ ვთქვათ, შემსრულებელს ეთქვა უარი ან თავკაცს ცოტა მეტი გონიერება გამოეჩინა, შედეგი ასეთი მძიმე არ იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იყო საათივით აწყობილი სისტემა, რომელიც ყოველგვარი შიდაწინააღმდეგობის გარეშე დაუბრკოლებლად მოქმედებდა.

**— შემსრულებელი ყოველთვის მოიძებნება, მთავარია, სათავეში იყოს ჯანსაღი ძალა.**

— ზუსტად ესაა პრობლემა, რომ შემსრულებელი მოიძებნება. ამ შემთხვევაში უკვე მთლიანად საზოგადოების სინდრომულ ავადმყოფობაზეა საუბარი. რაც შეეხება ისევ პასუხისმგებლობას, მიხეილ სააკაშვილის გუნდმა ეს პასუხისმგებლობა პოლიტიკურად უკვე იწვნია, საზოგადოებამ მათ გამოუტანა განაჩენი; სხვა დანარჩენი სამართალდამცავი სტრუქტურების საქმეა და, ალბათ, ისინი მიხედავენ ყველაფერს, როგორც საჭიროა...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„ჩემი დაპატიმრების რეალური მიზეზი მედიაკავშირ „ობიექტივში“ გაკეთებული განცხადება გახდა, როცა გავაკრიტიკე მაშინდელი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი და „ნაციონალები“.

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თორნიკე არევაძე:

# ისეთი სასტიკი ზეწოლა ხორციელდებოდა ჩემზე, ტკივილს რომ ველარ ვუძლებდი, ხელზე საკუთარი ხორცი კბილებით ამოვიჭამე

**ამნისტიის შედეგად გათავისუფლებული პოლიტპატიმრის, თორნიკე არევაძის, სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. მას რესტორან „ქალაქურში“ ნიზამ გამბაროვისთვის სხეულის განზრახ დაზიანებაში ედება ბრალი. თუმცა საყურადღებოა, რომ ის ინციდენტიდან რატომღაც მხოლოდ ორი თვის შემდეგ დააპატიმრეს. არევაძემ თავი დამნაშავედ არ სცნო. ამბობს, რომ სამართლიანობის აღდგენის იმედი აქვს, მაგრამ საქმეს ართულებს ის ფაქტი, რომ თანამდებობებზე დღესაც იგივე მოსამართლეები და პროკურორები მუშაობენ. პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ ქვემო ქართლის კოორდინატორი თორნიკე არევაძე სასჯელს სისასტიკით ცნობილ გლდანის მერვე საპყრობილეში იხდიდა. ის „საქართველო და მსოფლიოს“ ციხეში გატარებულ პერიოდსა და დაპატიმრების მიზეზებზე ესაუბრა.**



**— თქვენ ბრალი არ აღიარეთ, როგორ ფიქრობთ, რა გახდა თქვენი დაპატიმრების რეალური მიზეზი?**

— ყველაფერს დაწვრილებით მოვყვები, რათა ნათელი წარმოდგენა შეგექმნათ, რა მოხდა სინამდვილეში. დაპატიმრებამდე უცნობი პირები მირეკავდნენ და მემუქრებოდნენ. ამას გარდა, კუდის თანამშრომლების გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფებოდი და ამას არც მალავდნენ, ღიად დამყვებოდნენ. სავარაუდოდ, სურდათ, შემშინებოდა. 8 მარტს მეგობრებთან ერთად აღვნიშნავდი რესტორან „მწვადის სახლში“, რომელიც ჩემს მეგობარ ვახტანგ დანელიას ეკუთვნოდა, თუმცა, **სამწუხაროდ, ჩემმა ბავშვობის მეგობარმა, ვახტანგ დანელიამ, რასაც ჰქვია, სინდის-ნამუსზე ხელი აიღო. აღმოჩნდა, რომ სწორედ მას ჰქონდა დავალებული, ჩემთვის იარაღი „შეეტენა“. დანელია კუდის თანამშრომელი იყო და ჩვეულებისამებრ იარაღით დადიოდა. პირველად რომ გამომიწოდა იარაღი და მითხრა, შენ გქონდეს, რადგან, რომ ვთვრები, ვისვრიო, არ გამოვართვი, თუმცა მან იარაღი მაინც დადო მაგიდაზე და გარეთ გავიდა. 5 წუთში პოლიციის თანამშრომლები დაბარებულებივით შემოვიდნენ. მიმტანს ვთხოვე, ვახოს იარაღია და შეუნახე-მეთქი. უკვე მივხვდი, რომ ჩემ წინააღმდეგ პროვოკაცია იგეგმებოდა, ამიტომ იქ აღარ გავჩერდი და რამდენიმე მეგობართან ერთად რესტორან „ქალაქურში“ წავედი, თუმცა ეს არ მითქვამს დანელიასთვის. ამის მიუხედავად, დაახლოებით ერთ საათში ის იგებს ჩემს ადგილსამყოფელს და ისევ ჩვენთან მოდის.**

რესტორანში სრულიად მშვიდი სიტუაცია იყო. მოულოდნელად დანელიას ვიღაც ურეკავს, გარეთ გადის და შემოსვლისას სრულიად უმიზეზოდ აგინებს ცალკე მაგიდასთან მყოფ სამ აზერბაიჯანელ მოქალაქეს. ისინი ხმას არ სცემენ, მეტიც, ცოტა ხანში დგებიან და მიდიან. მაგრამ დანელიამ არ მოისვენა, ადგა და მათ გარეთ გაჰყვა. 10 წუთში პოლიცია მოვიდა. ვახტანგ დანელიამ დაინახა რა პოლიციის თანამშრომლები, იარაღი ისევ გამომიწოდა, დამიჭირეო, რაც, რა თქმა უნდა, არ გავაკეთე. საყურადღებოა, რომ პირველ შემთხვევაში, საკუთარი იარაღი მომაწოდა, მეორედ კი უკვე „მაკაროვის“ სისტემის სრულიად სხვა იარაღი, რომელიც, დღემდე არ ვიცი, ვის ეკუთვნოდა.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანელებმა ანიშნეს დანელიაზე, ეს არის დამნაშავეო, მას მხოლოდ ფორმალურად ჩამოართვეს ახსნა-განმარტება. თავის დაზღვევის მიზნით, მეორე დღეს თანამესუფრებთან ერთად ჩემი ნებით გამოვცხადდი პოლიციაში, თქვენ არაფერ შუაში ხართო, გვითხრეს, დანელია ჩვენი მეგობარიაო და გამოგვიშვეს.

საინტერესოა, რომ ამ ამბიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ დამაპატიმრეს. **ჩემი დაპატიმრების რეალური მიზეზი მედიაკავშირ „ობიექტივში“ გაკეთებული განცხადება გახდა, როცა გავაკრიტიკე მაშინდელი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი და „ნაციონალები“.**

ჩემი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ დაფარული ნომრებიდან მირეკავდნენ ვიღაცები, ვითომ ჟურნალისტები იყვნენ და შეხვედრას მთხოვდნენ. როდესაც ჩვენს პრესცენტრში ვამოწმებდით, ასეთი ჟურნალისტები საერთოდ არ არსებობდნენ. რომ არაფერი გამოუვიდათ, რუსთავში ქუჩიდან გამიტაცეს, ძალით ჩამსვეს მანქანაში და არც ის უთქვამთ, რაზე დამაკავეს. მოვითხოვე ადვოკატი, მაგრამ არ მომიყვანეს. წამართვეს ტელეფონი და წამიყვანეს რუსთავის პოლიციის პირველ განყოფილებაში, სადაც მოვიდნენ კუდის თანამშრომლები და გავიგონე, როგორ უთხრეს პოლიციელებს, წაიყვანეთ და დაკითხეთ, ჩვენ თქვენთან ვართო. რის შემდეგაც წამიყვანეს რუსთავის პოლიციის მთავარ სამმართველოში. პოლიციის უფროსს, ჭანტურიას ვთხოვე, ადვოკატი მოეყვანა, რისი უფლებაც ისევ არ მომცეს. არც დამარეკვინეს. იქ შევხვდი პროკურორ მირზა სუბელიანს, რომელიც ჩემთვის 3-5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითხოვდა. **პროკურორი მირზა სუბელიანი დღეს სასჯელაღსრულების სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანი რუსთავში ყველა „შავბნელ საქმეში“ მონაწილეობდა. რუსთავში თუ ვინმე პოლიტიკური ნიშნით დააპატიმრეს, ყველას პროკურორი ის იყო.**

შემიყვანეს ამოცნობის ოთახში. ძალით შეადგინეს ამოცნობის ოქმი. პირდაპირ უთხრეს გამბაროვს, ხომ ეს არისო და ისიც დაეთანხმა.

**— ნაზიმ გამბაროვმა და მისმა სუფრის წევრებმა რატომ მისცეს თქვენ წინააღმდეგ ჩვენება?**

— იმიტომ, რომ ერთ მათგანს 6 წელი, მეორეს კი 7 წელი ჰქონდა პირობითი სასჯელი და შეაშინეს. ისინი აიძულეს, ჩვენება ჩემ წინააღმდეგ მიეცათ, რაც მათ აბსურდულ ჩვენებებშიც გამოჩნდა. სამივემ სხვადასხვა ჩვენება მისცა. როგორც ჩანს, ვერ დაიზეპირეს, რაც უნდა ეთქვათ.

**— ვახტანგ დანელიას რა ბედი ეწია?**

— ისიც დაიჭირეს იმ პირობით, რომ 6 თვეში გაუშვებდნენ, მაგრამ 6 თვე რომ გაიწელა მისი პატიმრობა, გავიგონე, როგორ უყვიროდა პროკურორს, ერთი თვე შემპირდი და ექვსი თვე რატომ ვზივარო. უკვე პანიკაში იყო. მალე გაუშვეს კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მოწმე ადასტურებდა, რომ იარაღი მან ჩაარტყა გამბაროვს. პროკურორსა და მოსამართლეს ერთი კითხვა არ გასჩენიათ მის მიმართ. არანაირი გამოძიება არ ჩატარებულა, იმითაც კი არ დაინტერესებულან, ვისი იარაღი მომაწოდა დანელიამ რესტორანში. ვახტანგ დანელია დარბაზიდან გაათავისუფლეს, ხოლო მე 4 წელი მომისაჯეს.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ თქვენი დაპატიმრება ვანო მერაბიშვილის მისამართით გაკეთებულმა კრიტიკულმა განცხადებამ განაპირობა. ამას რის საფუძველზე ამბობთ?**

— ქალაქის სამმართველოშივე მითხრეს, განყოფილების უფროსები აღარ გაკმაყოფილებს და ახლა მინისტრებზე გადახვედიო?! შეურაცხმყოფელი სიტყვებით მომმართავდნენ. **პირდაპირ მითხრა პროკურორმა მირზა სუბელიანმა, ვიცი, რომ უდანაშაულო ხარ, მაგრამ რა ვქნა, მე ვერაფერს ვწყვეტო. ახლა მოვლენ ვიღაცები და, თუ მეტყვიან, რომ გაგათავისუფლო, გაგიშვებ, თუ არადა, უნდა დაგაპატიმროთო.** სამმართველოშივე მოვიდა რუსთავის კუდის უფროსი ლევან ტყეშელაშვილი, რომელიც ჩემი კლასელი და ბავშვობის მეგობარია, მაგრამ არც კი შემომხედა, ისე შევიდა განყოფილებაში და ათ წუთში დამაპატიმრეს.

**— თქვენი ოჯახის წევრები, ადვოკატი აცხადებდნენ, რომ თქვენზე ციხეში ძლიერი ზეწოლა ხორციელდებოდა, რას ითხოვდნენ თქვენგან?**

— ითხოვდნენ, რომ დანაშაული მეღიარებინა, თითქოს ნიზამ გამბაროვს მე ვცემე. მას შემდეგ, რაც მიხვდნენ, რომ სუფრის წევრებიც არ შეშინდნენ და ჩემ წინააღმდეგ ჩვენება არ მისცეს, უკვე ზეწოლას ახორციელებდნენ ჩემზე, რათა მათ არ მიეცათ ჩვენება სასამართლოში და არ გამოეყენებინა სასამართლოს მოწმეებად ეს ადამიანები. **ისეთი სასტიკი ზეწოლა ხორციელდებოდა ჩემზე, ტკივილს რომ ველარ ვუძლებდი, ხელზე საკუთარი ხორცი კბილებით ამოვიჭამე. ოფიცრის ოთახში გვცემდნენ. თან ამ ყველაფერს ვიდეოკამერით იღებდნენ. რეჟიმის უფროსს, ოლეგ ფაცაციას, პირადად მიუღია მონაწილეობა ჩემს ცემაში, მაიძულებდა, მათთან თანამშრომლობაზე მომეწერა ხელი. თუ დავთანხმდებოდი, შემდეგ, როგორც აგენტს, შეგიშვებდნენ საკანში ინფორმაციის გამოსატანად. პატიმრების 90%-ს სწორედ ამ მიზეზით სცემდნენ.**

სასტიკად სცემდნენ და აწამებდნენ პატიმრებს. 6 კაციან საკანში 8-10 კაცი შემოდიოდა და უმოწყალოდ სცემდა ყველას. გაიძულებდნენ, საწოლის ქვეშ შემძვრალიყავი. თუ არ შეძვრებოდი ან მუხლებზე არ დადგებოდი, გცემდნენ. კბილები აღარ მაქვს. ივარჯიშეს ჩემზე, ჯალათები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ერთი მარცხენა მხრიდან მირტყამდა, მეორე — მარჯვენა მხრიდან.

თუ მასობრივად მთელ საკანს არ სცემდნენ, ინდივიდუალურად პატიმრების ცემა და წამება აბანოში მიმდინარეობდა. რადგან იქ ვიდეოკამერა არ იყო დამონტაჟებული. განსაკუთრებული სისასტიკე კარანტინის დაშლის დროს ხდებოდა. პარასკევობით მთელ ციხეში პატიმრების გოდების ხმა ისმოდა. სცემდნენ ჯოხით, ხელით, ფეხით. შეურაცხყოფას გვაყენებდნენ, აბა, შეაგინე ბურჯანაძეს, ახლა გიშველოს ბურჯანაძემო, გვეუბნებოდნენ. **ყოფილა შემთხვევა, რომ გაუყვანიათ პატიმარი, სასტიკი ნაწამები მოუყვანიათ და ამის შემდეგ მას ვენები გადაუჭრია ან ყელი გამოუჭრია. ისეთ პირობებში ვიყავით, ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, ნახევარზე მეტი პატიმარი ცოცხალი ვერ გამოვიდოდა ციხიდან.**

**— იცოდა თუ არა ციხის ყველა თანამშრომელმა პატიმრების წამების შესახებ?**

— ყველამ ყველაფერი იცოდა. ზოგიერთები კი შედარებით ადამიანურად ექცეოდნენ პატიმრებს. მაგალითად, ყოფილა შემთხვევები, ცემის დროს ყურში უთქვამთ, ახლა დაეცი, კამერა გვიღებსო. ყველა არ იყო სადისტი. მაგრამ იყვნენ ისეთი სადისტებიც, ცემის დროს, როცა რეკავდა ტელეფონი და ვიღაც ეუბნებოდათ თავი დაანებეთ, ეყოფაო, იმდენად ეშხში იყვნენ შესულები, თავს მაინც არ გვანებებდნენ და ცემას აგრძელებდნენ.

**— ლადო ბედუკაძეს თუ შეხვედრიხართ?**

— პირველად მას 2009 წელს შევხვდი, როცა საპროტესტო აქციიდან წამიყვანეს და დამაპატიმრეს. ბედუკაძის მოვალეობაში შედიოდა, გაეფორმებინა საბუთები, ექიმს გაესინჯა პატიმარი და შემდეგ ის კარანტინისთვის გადაეცა. ლადო ბედუკაძეს პატიმრები ემადლიერებოდნენ, მათგან მომისმენია, რომ ყველას ადამიანურად ექცევაო.

**— ახლა რას აპირებთ?**

— ჩემი სასამართლო პროცესი გრძელდება, ვინაიდან მე დარჩენილი მქონდა სააპელაციო ვადა. 31 იანვარს მქონდა სასამართლო პროცესი, როცა გამამართლებელი განაჩენი უნდა გამოეტანა მოსამართლეს, მაგრამ ასე არ მოხდა. 12 თებერვალს ისევ გაიმართება სასამართლო პროცესი და დიდი იმედი მაქვს, მოსამართლე სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანს, თუმცა **ჯერჯერობით ვერ ვხედავ, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგა, რადგან ძირითადად ისევ ის პროკურორები და მოსამართლეები მუშაობენ, რომლებიც უკანონო ქმედებებში უშუალოდ მონაწილეობდნენ.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

> **«კბილები აღარ მაქვს. ივარჯიშეს ჩემზე, ჯალათები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ერთი მარცხენა მხრიდან მირტყამდა, მეორე — მარჯვენა მხრიდან»**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამოძიებაში მონაწილე პროკურორებიდან მხოლოდ ერთი იყო მეტ-ნაკლებად ორიენტირებული სამართლებრივ საკითხებში. დანარჩენები იმდენად სტერილურები იყვნენ, რომ მათი საცოდაობის ცქერისას ტირილი მოგინდებოდა.**

# პროფესორ გაბიანის საქმე

**ეს საქმე ბანალურია, ყოფილი ხელისუფლების საქმიანობის სტილშია „ნამუშევარი“, ბიზნესის დატერორების თვალსაჩინო მაგალითია. დღეს რომ აყვირდა და აქოთქოთდა უმცირესობაში გადასული გუშინდელი ხელისუფლება — პოლიტიკური ნიშნით მიმდინარეობს დაკავება და დაკითხვებიო, წარსულში ბრუნდება ქვეყანა და თავზე გვექცევა სახელმშიფოო, მთელ ამ პროპაგანდისტულ ბლეფს აბათილებს და ხაზს გადაუსვამს თუნდაც ეს ერთი მაგალითი ერთი დამსახურებული კაცისა, რომელიც თავისი მეცნიერული მოღვაწეობით, საზოგადოებრივი საქმიანობით სახელგანთქმული იყო საქართველოში და მის საზღვრებს გარეთაც. მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, დოქტორმა, პროფესორმა, საერთაშორისო დონის ექსპერტმა ანზორ გაბიანმა ბიზნესს მოჰკიდა ხელი, წარმატებითაც. მაგრამ სწორედ ეს არ მოეწონა რეკეტიორ ხელისუფლებას და, ჟარგონით რომ ვთქვათ, „გაპარსა“, ელიტური კორუფციის ერთ-ერთ მსხვერპლად აქცია. დღეს ვაქვეყნებთ ბატონ ანზორ გაბიანის საჩივარს და იმედი გვაქვს, რომ დღევანდელი მართლმსაჯულება არ დატოვებს მას „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.**



### საქართველოს იუსტიციის მინისტრს, დიდად პატივცემულ ქალბატონ თეა წულუკიანს
### საქართველოს მთავარ პროკურორს, დიდად პატივცემულ ბატონ არჩილ კბილაშვილს
### მცხ. ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №29ა, ბინა 25-ში ანზორ ალექსანდრეს ძე გაბიანის

## საჩივარი

მოგახსენებთ, რომ ვარ საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სოციოლოგიის დოქტორი, პროფესორი, სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიისა და ნორმიდან გადახრილი ქცევის სოციოლოგიაში დაახლოებით ორასი პუბლიკაციის ავტორი, მათ შორის თხუთმეტი მონოგრაფიის, რომლებიც ისეთ აქტუალურ პრობლემებს ეძღვნება, როგორიცაა ნარკოტიზმი, ლოთობა და ალკოჰოლიზმი, დამნაშავეობის გეოგრაფია, პროსტიტუცია და ა.შ., მანამ, სანამ სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი რეჟიმი ჩარეცხილებად გამოგვაცხადებდნენ, ვხელმძღვანელობდი ჩემ მიერვე შექმნილ საქართველოს შსს-ს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, ვიყავი თსუ იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის პროფესორი და ა. შ.

**მ. სააკაშვილისა და მისი კრიმინალური ჯგუფის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ უსაფუძვლოდ და უკანონოდ რეპრესირებულ მრავალ ადამიანთა რიცხვში მეც აღმოვჩნდი და ძალაუნებურად თითქმის მთელი ცხრა წლის მანძილზე იმ დროს მოქმედი რეპრესიული აპარატის მიერ უსამართლოდ დევნილთა ბედი გავიზიარე,** რაც 2005 წლის გაზაფხულზე იმით დამთავრდა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურისა და მისი სატელიტი მთაწმინდის პროკურატურის მუშაკების მხრივ მრავალთვიანი დაშინებისა და შანტაჟის შემდეგ პატიმრობის კანდიდატთა სიაშიც აღმოვჩნდი და, თუმცა ჩემი დაპატიმრებისთვის ნიადაგის მომზადება ფრიად საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა, მოვახერხე მიმალვაში ვყოფილიყავი მთელი 15 თვის მანძილზე, რის შემდეგაც სააკაშვილ-ადეიშვილის ჯგუფის მიერ ჩემ მიმართ, ისევე, როგორც შპს „თეთრი ქალაქის“ დირექტორის, პატიმრობაში მყოფი თამაზ ბაქანიძისა და საქმეთა მმართველის, ასევე პატიმრის, გია მეტრეველის მიმართ, პოზიციები შეიცვალა და, **უშველებელი თანხების გადახდის შემდეგ აღნიშნული პირები პატიმრობიდან გათავისუფლდნენ, მე კი კიდევ ექვსი თვის განმავლობაში მიმალვაში ყოფნის შემდეგ, აგრეთვე გამათავისუფლეს გამოსასყიდის გადახდის სანაცვლოდ, რომლის რაოდენობამ 210 ათასი ლარი, ანუ ჩემთვის ასტრონომიული თანხა შეადგინა.**

მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: ერთ მშვენიერ ზაფხულის დღეს აღნიშნულ საქმეში ჩვენმა ადვოკატმა **გოჩა სვანიძემ** მითხრა, რომ დიდი ხნის, თითქმის 15 თვის, განმავლობაში ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნის შემდეგ ყველაფერი გვარდებოდა და 2006 წლის 10 აგვისტოს ამ უზომოდ გაჭიანურებულ საქმეს წერტილი უნდა დასმოდა, რისთვისაც საჭირო იყო თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩვენი გამოცხადება.

ბატონმა გოჩამ ისიც მითხრა, რომ სასამართლოში ჩვენ აუცილებლად პოლიციელის თანხლებით უნდა მივსულიყავით, მაგრამ იმ დღეს ამისთვის შესაფერისი პოლიციელის პოვნა თითქმის ორ საათს გაგრძელდა და ჩვენ, სამივენი — ბატონი გოჩა სვანიძე, უცნობი პოლიციელი და მე, მივედით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ იმის გამო, რომ იმ დროს აღნიშნული სასამართლოს შენობის რეკონსტრუქციისა და შეკეთების სამუშაოები პიკს აღწევდა, ძალზე გაუძნელდა ბატონ გოჩა სვანიძეს იმის დადგენა, თუ სად უნდა გვენახა სასამართლოს შემადგენლობა და რომელ დანგრეულ ოთახში უნდა მომხდარიყო ჩემი ეგრეთ წოდებული გასამართლება.

ბოლოს, რომელიღაც მოზრდილ ოთახში მიგვიწვია ბატონმა გოჩამ, სადაც ისეთი ინტენსიური რემონტი მიმდინარეობდა, რომ არც დასაჯდომი და არც წესიერად დასადგომი ადგილი არ იყო და სადაც მორჩილად ველოდებოდით სასამართლოს შემადგენლობას. დაახლოებით 15-20 წუთის შემდეგ ოთახში შემოვიდა ორი გოგონა თუ ახალგაზრდა ქალი, ეგრეთ წოდებული პროცესიც დაიწყო და სულ რამდენიმე წუთში დამთავრდა მხიარულ ატმოსფეროში. გოგონები საკმაოდ ენამახვილები აღმოჩნდნენ და სიცილ-კისკისში დამისვეს ერთადერთი შეკითხვა: ვცნობდი თუ არა თავს დამნაშავედ, რაზეც მე მყისვე დადებითი პასუხი გავეცი. რის შემდეგაც გოგონები ისევე მოულოდნელად გაუჩინარდნენ, როგორც გამოჩნდნენ.

ამიტომ სიმართლეს არ შეესაბამება ის, რაც ჩემ მიმართ გამოტანილ განაჩენშია აღწერილი, რომ თითქოს 2006 წლის 10 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე შორენა გუნცაძემ თეა გეგიას მდივნობით პროკურორ მ. ჟვანიას, ადვოკატ გ. სვანიძის მონაწილეობით განიხილა ა. გაბიანის ეს ყბადაღებული სისხლის სამართლის საქმე.

რაც შეეხება თვით განაჩენს, რომლის ტექსტი ამჟამად, მისი გამოტანიდან მრავალი წლის შემდეგ, ადვოკატ დავით ჯინჯოლავას მეცადინეობით, ჩემს ხელთ აღმოჩნდა, უნდა თავიდანვე ითქვას, რომ ასეთი აბდა-უბდა დოკუმენტი, ალბათ, სააკაშვილის დიქტატორული მმართველობის პერიოდისთვისაც კი, გარკვეული თვალსაზრისით, იშვიათობას წარმოადგენს.

დავიწყოთ იმით, რომ ეს ეგრეთ წოდებული განაჩენი იმგვარად არის შედგენილი, რომ გაუთვითცნობიერებელ მკითხველს უქმნის სრულ შთაბეჭდილებას, თითქოს მე, ნ. ნავაძე, რ. ერსაძე, თ. ბაქანიძე და გ. მეტრეველი არა მარტო ერთი განზრახვით ვმოქმედებდით, როდესაც ჯერ კიდევ 1993 წელს მივითვისეთ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ქონება ანგარების მიზნით, არამედ ერთდროულად ვიმყოფებოდით პატიმრობაში და ვასრულებდით სხვადასხვა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მანიპულაციებს, გამოძიების პროცესშიც ერთად ვმონაწილეობდით იმ საგამოძიებლო მოქმედებებში, რომლებიც მაშინ ამ საქმეზე ტარდებოდა.

**სინამდვილეში კი, აბსოლუტურად განსხვავებულ სიტუაციასთან გვქონდა საქმე. კერძოდ, ამ საქმეში, სავარაუდოდ, მთავარი დამნაშავეები იყვნენ ნ. ნავაძე (თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ყოფილი დირექტორი) და რ. ესაძე (ექსპერიმენტული კინოსტუდია „+1“-ის მეპატრონე და დირექტორი), რომელთაც თავიანთი უცოდინარობით შეადგინეს ჯერ კიდევ 1993 წელს ეს სრულ გაუგებრობაზე აგებული დოკუმენტი და თვითონვე იჩუქეს სახელმწიფო ქონება.** სინამდვილეში, არა მარტო მე, არამედ არც თ. ბაქანიძესა და გ. მეტრეველს ამ დანაშაულებრივ ქმედებაში არავითარი მონაწილეობა არ მიგვიღია. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურას (და რატომღაც არა დიდუბე-ჩუღურეთის, სადაც მდებარეობდა ეს სადავო ობიექტი) პირველ რიგში წინასწარ პატიმრობაში უნდა აეყვანა ნ. ნაკაძე და რ. ესაძე, რომელთაც ჩაიფიქრეს და განახორციელეს ეს უაზრო ოპერაცია, მაგრამ სინამდვილეში საქმე სრულიად სხვაგვარად იყო. კერძოდ, **არც ერთი მათგანი პროკურატურის მიერ პატიმრობაში არ ყოფილა აყვანილი, რაც გამორიცხულია, რომ იმჟამინდელ გენერალურ პროკურორ ზურაბ ადეიშვილსა და მიხეილ სააკაშვილთან შეთანხმების გარეშე მომხდარიყო.** პატიმრობაში არც მე არ ვყოფილვარ არც ერთი წუთი და, ქალაქში გავრცელებული ხმების მიხედვით, საზღვარგარეთ ვიმყოფებოდი, ამიტომ ჩემთან რაიმე საგამოძიებო მოქმედების და, გნებავთ, ელემენტარული მოლაპარაკების წარმოების არავითარი შანსი არ არსებობდა. ამგვარად, ცხრათვიან პატიმრობაში, როგორც ჩემთვის ცნობილია, ერთ კამერაში ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო დირექტორი თამაზ ბაქანიძე და საქმეთა მმართველი გია მეტრეველი იმყოფებოდნენ, რომლებიც, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ცხრა თვის მანძილზე დაკითხვებითა და შეკითხვებით არავის შეუწუხებია. ისინი სინამდვილეში მძევლებად ჰყავდათ, ფულის გამოძალვის მიზნით, **ამიტომ ამ სრულიად უაზრო საქმის გამაგრებაზე არავინ ზრუნავდა, მითუმეტეს, რომ, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, გამოძიებაში მონაწილე პროკურორებიდან მხოლოდ ერთი იყო მეტ-ნაკლებად ორიენტირებული სამართლებრივ საკითხებში. დანარჩენები იმდენად სტერილურები იყვნენ, რომ მათი საცოდაობის ცქერისას ტირილი მოგინდებოდა, იმდენად უაზროდ და უზრდელად იქცეოდნენ.**

**რაც შემეხება მე, იმ პერიოდში, ანუ 1993 წელს, როდესაც მოხდა ბალანსიდან ბალანსზე ორი ადამიანის — ნუგზარ ნავაძისა და რეზო ესაძის მიერ ქონების, როგორც ახლა იტყვიან, ვირტუალური გადაცემა, რაშიც იურიდიული პასუხისმგებლობა მთლიანად ნუგზარ ნავაძეს უნდა დაკისრებოდა, როგორც თანამდებობის პირს, არა მარტო იმ პერიოდში, ანუ 1993 წელს, არამედ კიდევ დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში ნუგზარ ნავაძეს არა მარტო არ ვიცნობდი, არამედ მისი არსებობის შესახებაც წარმოდგენა არ მქონდა, ამიტომ რკინისებური ალიბით ვიყავი დაცული, მაგრამ ისეთ საიდუმლო ვითარებაში წარიმართა და დასრულდა ეს სამარცხვინო ეპოპეა, რომ არ შევხვედრივარ არც ერთ პროკურატურის მუშაკს და არც იმის შესაძლებლობა გამჩენია, რომ უბრალოდ მეკითხა, თუ რას ჰგავდა ეს განუკითხაობა, თვითნებობა და ა. შ.**

**რაც შეეხება საპროცესო გარიგების ასტრონომიულ თანხას, რომელიც თურმე ჩემსა და პროკურორ გ. გოდერძიშვილს შორის იყო გაფორმებული, წარმოდგენა არ მქონდა მანამ, სანამ ახლახან ადვოკატმა, ბატონმა დავით ჯინჯოლავამ არ მოიპოვა განაჩენის ტექსტი, რომელიც, ჩემთვის არავის არასოდეს ჩაუბარებია. ამ ეგრეთ წოდებული განაჩენის ტექსტიდან შევიტყვე, რომ საპროცესო გარიგება 210 ათას ლარზე გაფორმებულა ჩემსა და მითოლოგიურ პროკურორ რ. გოდერძიშვილს შორის, რომელიც არასოდეს თვალით არ მინახავს.**

სინამდვილეში, ეს 210 ათასი დოლარი, რომლის გადახდაც სასამართლომ უკანონოდ „დამაწერა“, მითხრეს, რომ იყო ჯარიმა, რომელიც დამეკისრა პირობით მსჯავრთან ერთად.

რაც შეეხება საქმის რეალურ არსს, 1993 წელს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მე ძალზე შორს ვიყავი ამ საქმიდან, ნამდვილად გაფორმდა ▶

**რაც შეეხება თვით განაჩენს, ასეთი აბდა-უბდა დოკუმენტი, ალბათ, სააკაშვილის დიქტატორული მმართველობის პერიოდისთვისაც კი, გარკვეული თვალსაზრისით, იშვიათობას წარმოადგენს**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს ეგრეთ წოდებული განაჩენი მაგალითია იმ განუკითხაობისა, ცინიზმისა და ელემენტარული უცოდინარობისა, რომელიც სუფევდა იმდროინდელ პროკურატურასა და სასამართლოში და ყოველივე ეს სათავეს იღებდა ქვეყნის ეგრეთ წოდებულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში.**

◀ დანაშაულებრივი გარიგება თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების დირექტორსა და შპს „თსკ+1“-ის დირექტორ რეზო ესაძეს შორის სატრანსპორტო გაერთიანების სარგებლობაში და არა საკუთრებაში არსებული 9500 კვ.მ მიწისა და მასზე განლაგებული სრულიად ამორტიზირებული სპორტული და კულტურული დანიშნულების შენობა-ნაგებობების უსასყიდლოდ, ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის შესახებ, მაგრამ ამის გამო ამ საქმეში ბრალეულ ნუგზარ ნავაძესაც კი 2005 წელს არ უნდა ეგო პასუხი, რადგან ქონების გადაცემის მცდელობა იყო ფუჭი, უვარგისი და მას არავითარი იურიდიული ან ფაქტობრივი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ჯერ კიდევ 1994 წელს ქ. თბილისის მერიაში აღმოჩნდნენ თანამშრომლები, რომელთაც ფაქტობრივად გააუქმეს ბატონ ნუგზარ ნავაძის ეს ბრძანება, აგრეთვე, აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო შპს „თეთრი ქალაქი“, რომელიც ამ ტერიტორიაზე 1995 წელს იწყებდა საქმიანობას, მოქმედებდა მის მიერ ქ. თბილისის მერიასთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე. ყველაფერთან ერთად, 1994 წლიდან 2005 წლამდე სისხლის სამართლის საქმის აღძრის ხანდაზმულობის ვადა უკვე კარგა ხნის წინ იყო გასული, ამიტომ მთელი ეს ისტორია უკეთეს შემთხვევაში პროვოკაციის მოსაწყობად თუ გამოდგებოდა.

**შემდეგ აღნიშნულ ეგრეთ წოდებულ განაჩენში არის იმისი უვარგისი მცდელობა, რომ 1995 წელს შექმნილ, არსებითად ახალ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში მისი დამფუძნებლების მიერ ქონებისა თუ ქონებრივი უფლების კანონსაწინააღმდეგო მიტაცებისას ვითომ ფართოდ მიმართავდნენ წილების განაწილების უკანონო მანიპულაციებს, რასაც შედეგად მათ მიერ მატერიალური ღირებულებების უკანონო მისაკუთრება მოჰყვა, ოდნავადაც არ შეესაბამებოდა ჭეშმარიტებას.** სინამდვილეში პროკურატურისა და სასამართლოს ის მუშაკები, რომლებმაც ეს განაჩენი შეადგინეს, შეცდომით მიიჩნევდნენ, რომ თითქოს წილების ფლობა, მათი რეალური ღირებულების თვალსაზრისით, პირდაპირპროპორციულია ქონების ოდენობასთან. საქმე ისაა, რომ საწესდებო კაპიტალსა და ორგანიზაციის ქონებას შორის დიდი სხვაობაა (მაგალითად, უკვე რამდენიმე წლის წინ შპს „თეთრი ქალაქის“ საწესდებო კაპიტალი ჯერ კიდევ სულ 200 ლარის ოდენობით განისაზღვრებოდა, ხოლო ქონება იმავე პერიოდში 8 მილიონ ლარად იყო აღრიცხული. ამიტომ წილების, კუპონებისა და ამერიკულ დოლარებთან მათი მიმართების შესახებ მსჯელობას განაჩენში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს, მაგრამ იგი არ არის სათანადოდ დასაბუთებული და გაუგებრობაზეა აგებული. ავიღოთ, მაგალითად, ამ ორგანიზაციის რომელიმე წევრის ქონებრივი მდგომარეობა, რომელიც ამჟამად შპს „თეთრ ქალაქში“, პირობითად, 10%-ს ფლობს (რაც განაჩენის ავტორთა უაზრო გაანგარიშებით ამ შპს-ს დაფუძნებისას 4,7 ამერიკული დოლარის ექვივალენტზე მეტს არ შეადგენდა), თუმცა დღეისათვის არაზუსტი გათვლებით იმის ქონება, ვინც თავის დროზე, ანუ 1995 წელს, მაშინ არსებული წესის მიხედვით, საწესდებო კაპიტალში 4,7 ამერიკული დოლარის ექვივალენტი კუპონი შეიტანა, დაახლოებით 800 ათასი ლარის ღირებულების ქონების მესაკუთრეა.

უკანონო განაჩენი, რომელსაც ვიხილავ და რომლის გაუქმებისა და ახალი გამოძიებით, აგრეთვე, სასამართლო პროცესის გამართვის მოთხოვნის დასასაბუთებლად გამოყენებას ვგეგმავ, მრავალ სიყალბესა და აშკარა გაუგებრობასა თუ რეალობისგან დიდად დაშორებულ მსჯელობას შეიცავს, რომელთაგან გაკვრით შევეხები მხოლოდ ზოგიერთს, რომლებიც საჩივრის ფორმატმა შეიძლება დაიტიოს, ხოლო დანარჩენზე, იმედი მაქვს, რომ პასუხს გავცემ სამართლიან გამოძიებასა და სასამართლოს.

კერძოდ, ამ ეგრეთ წოდებული განაჩენის მე-4 გვერდის მე-6 აბზაცის მეორე ნაწილში მოცემულია მორიგი ცილისწამება, ამიტომ ეს ტექსტი მოგვაქვს ამონარიდის სახით: „იმ მოტივით, რომ მათ თაღლითურად და დოკუმენტების გაყალბების გზით ხელში ჩაეგდოთ მათზე დამაგრებული 9500 კვ.მ მიწის ნაკვეთი, შპს „თეთრი ქალაქის“ მიერ 1998 წლის 31 დეკემბერს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილ იქნა არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის წლიური გადასახადის შესაბამისი 2 755 ლარის თითქოსდა გადახდის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტები, რომლებზეც დასმული არის საქართველოს „ბინსოცბანკის“ მთაწმინდის განყოფილების ბეჭედი, რომელიც იმ პერიოდისთვის ლიკვიდირებული იყო და არ არსებობდა“. განაჩენის შემდეგ მე-5 გვ. მე-2 აბზაცში კი წერია კიდევ ერთი დიდი ტყუილი და ცილისწამება, რომ „აღნიშნული ქმედების ჩადენისთვის ანზორ გაბიანს 2005 წლის 12 მაისს წარედგინა ბრალი და ბრალდებულის სახით მიცემულ იქნა პასუხისმგებაში საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით“. ამავე გვერდის მე-3 აბზაცში კი წერია, რომ „თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2005 წლის 14 მაისის ბრძანებით, ა. გაბიანს აღმკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა“.

**ზემოთ მოტანილი მთელი ეს ვითომ იურიდიული მსჯელობა ტყუილსა და უვიცობაზე არის დაფუძნებული, რაც ავტორთა დიდი სირცხვილია და იმის კარგი ილუსტრაცია, თუ როგორ ტყუიან თვალსა და ხელს შუა მიხეილ სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი კლანი ზურაბ ადეიშვილისა და მთაწმინდა-კრწანისის პროკურორის, აწგარდაცვლილი პ. ტყეშელაშვილისა და მისი ქუჩის ბიჭების დონეზე მყოფი ვითომ პროკურორების სახით, რომლებიც ისეთ უაზრობას ამტკიცებენ, რაც რეალობისგან შორს დგას.**

**კერძოდ, თუ ის ქვითრები, რომლებიც ამ აღვირახსნილი გაუნათლებელი ბიჭ-ბუჭების მიერ მიჩნეულ იქა ყალბად, მაშინ ხომ უნდა გაუქმებულიყო შპს „თეთრი ქალაქის“ საკუთრების უფლება ხსენებულ 9500 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელიც დღესაც ამ ორგანიზაციის საკუთრებას წარმოადგენს?!**

სინამდვილეში ერთ-ერთი კომისიის წევრი, რომელიც მუშაობდა შპს „თეთრი ქალაქის“ ჩაძირვაზე, ელემენტარულად შეცდა, როდესაც გაუქმებულად მიიჩნია ბეჭედი, რომელიც ფულის გადახდის ქვითარს ერტყა.

მტკნარი სიცრუეა, აგრეთვე, ის, რომ თითქოს 2005 წლის 12 მაისს წარმედგინა ბრალი და ბრალდებულის სახით მიცემულ ვიქენი პასუხისგებაში, რადგან ამ დროს უკვე მიმალვაში ვიყავი და არავითარი შეხვედრა პროკურატურის მუშაკებთან არ მქონია.

**მტკნარი სიცრუეა, აგრეთვე, ის, რომ თითქოს 2005 წლის 12 მაისს წარმედგინა ბრალი და ბრალდებულის სახით მიცემულ ვიქენი პასუხისგებაში, რადგან ამ დროს უკვე მიმალვაში ვიყავი და არავითარი შეხვედრა პროკურატურის მუშაკებთან არ მქონია**

ყველაზე დიდი დანაშაული, რომელიც მათ, ანუ ეგრეთ წოდებულმა პროკურორებმა ჩაიდინეს, ის სიყალბეა, რომელსაც შეიცავს ჩემ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება თაღლითობისა და, მით უმეტეს, სხვისი ქონების (ჩვენ შემთხვევაში სახელმწიფო ქონების) მითვისების თუ გაფლანგვის ბრალდებით, რადგან, როდესაც 1993 წელს თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების მაშინდელი უფროსი ნუგზარ ნავაძე უცოდინარობით ბრძანებას აფორმებდა ბალანსიდან ბალანსზე სატრანსპორტო გაერთიანების არა საკუთრებაში, არამედ სარგებლობაში, შპს „თსკ+1“-ისათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, რომელსაც შესრულება არ ეწერა, მე მას საერთოდ არ ვიცნობდი და მხოლოდ დაახლოებით წელიწად-ნახევრის შემდეგ გავიცანი, ამიტომ არ შემეძლო მასთან დანაშაულებრივ გარიგებაში შესვლა.

**ყველაზე დიდი დანაშაული, რომელიც მათ, ანუ ეგრეთ წოდებულმა პროკურორებმა ჩაიდინეს, ის სიყალბეა, რომელსაც შეიცავს ჩემ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება თაღლითობისა და, მით უმეტეს, სხვისი ქონების (ჩვენ შემთხვევაში სახელმწიფო ქონების) მითვისების თუ გაფლანგვის ბრალდებით**

განსაკუთრებით აბსურდულია ჩემი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება სსკ-ის 182-ე მუხლით (მისი მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით ჩემ შემთხვევაში ვითომ სახელმწიფო ქონების ან ქონებრივი უფლების მითვისების ან გაფლანგვისთვის, რადგან თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ხსენებული ქონება (რომელიც მისი არც არასოდეს ყოფილა, რადგან იგი ამ ქონებას ფლობდა მუდმივი სარგებლობის უფლებით) არასოდეს ყოფილა ჩემს რამენაირ მართლზომიერ მფლობელობასა თუ გამგებლობაში. ქ. თბილისის მერიასთან 1995 წელს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, მე სხვა პირებთან ერთად ვფლობდი სარგებლობის უფლებით აღნიშნულ ქონებას, მაგრამ არც მიმითვისებია და მით უმეტეს არ გამიფლანგავს.

ამ ეგრეთ წოდებული განაჩენის მე-5 გვერდის ბოლო, მე-7 აბზაცში ჩამოთვლილია ის საფუძვლები, რაზეც იგი აიგო.

**განაჩენის ამ ნაწილში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მოწმეების — გურამ დიდბარიძის, რეზო ესაძისა და დავით ბაშალეიშვილის ჩემ საწინააღმდეგოდ მიცემული ჩვენებებით დასტურდება ჩემი ბრალეულობა. მე ამ ჩვენებების შინაარსს არა მარტო არ ვიცნობ, არამედ იმაზეც არ მაქვს წარმოდგენა, თუ ვინ არიან გურამ დიდბარიძე და დავით ბაშალეიშვილი. ხოლო რაც შეეხება რეზო ესაძეს, იგი თვითონ იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის ეგრეთ წოდებული ოპერაციის მონაწილე,** რადგან იყო იმ დროს შპს „თსკ+1“-ის დირექტორი, მე კი ამ დროს ყოვლად გაუბედურებულ შპს-ში 2005 წლის აპრილში ახალი მისული ვიყავი და არც კი ვიცოდი, თუ რა მოიმოქმედეს მისმა მესვეურებმა, ანუ ბატონებმა ნუგზარ ნავაძემ და რეზო ესაძემ.

მთლიანობაში ეს ეგრეთ წოდებული განაჩენი და, ალბათ, საგამოძიებო მასალები, რომელთა გაცნობის „ბედნიერება“ მე არ მქონია, არის ნათელი მაგალითი იმ განუკითხაობისა, ცინიზმისა და ელემენტარული უცოდინარობისა, რომელიც სუფევდა იმდროინდელ პროკურატურასა და სასამართლოში და ყოველივე ეს სათავეს იღებდა ქვეყნის ეგრეთ წოდებულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში.

ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ მოვიტან ამონარიდებს აღნიშნული ვაიგანაჩენიდან, კერძოდ, მისი მე-6 გვერდის 1-ლ, მე-2 და მე-3 აბზაცებს მთლიანად:

„სასამართლო დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმება დადებულია ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე, ნებაყოფლობით და განსასჯელს ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება (ხ.ჩ.ა.გ.)...

სასამართლო დარწმუნდა, რომ განსასჯელის მიმართ პოლიციელების ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას“ (ხ.ჩ.ა.გ.).

ქალბატონო თეა და ბატონო არჩილ!

ამ ფალსიფიცირებულ, უპასუხისმგებლო, ცინიკურ, უკაცრავად პასუხია, განაჩენში კარგად ჩანს, როგორი ძირმომპალი იყო თავიდანვე სააკაშვილისა და მისი ამფსონების მიერ დამყარებული ყოვლად უზნეო რეჟიმი და მისი ეგრეთ წოდებული მართლმსაჯულება, რომლის ადეკვატური აღწერისთვის შესაბამისი სიტყვებისა და გამოთქმების პოვნა შეუძლებელია, და როგორ სამუდამოდ არიან გადაგვარებულნი პროკურატურისა თუ სასამართლოს ის ახალგაზრდა მუშაკები, რომლებიც მთელი ცხრა წლის მანძილზე ამ სიმყრალეში საქმიანობდნენ და მის ოხშივარს ისუნთქავდნენ!

**ამ ფალსიფიცირებულ, უპასუხისმგებლო, ცინიკურ, უკაცრავად პასუხია, განაჩენში კარგად ჩანს, როგორი ძირმომპალი იყო თავიდანვე სააკაშვილისა და მისი ამფსონების მიერ დამყარებული ყოვლად უზნეო რეჟიმი და მისი ეგრეთ წოდებული მართლმსაჯულება**

დასასრულ, ამ სამარცხვინო დოკუმენტის ბოლო აკორდიც მაჟორულია, რადგან ყველას, მათ შორის ჩემს, გასახარად აცხადებს, რომ „ანზორ გაბიანის მიმართ შერჩეული აღმკვეთი ღონისძიება — დაპატიმრება გაუქმდეს და დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს იგი სხდომათა დარბაზიდანო“. ამას ისეთი დამაჯერებლობით ამბობს განაჩენი, რომ თითქოს მე ჩემი ფეხით არ ვიყავი მისული სასამართლოში და მთელი არასასიამოვნო, სამარცხვინო პროცედურების ერთადერთი ანგარებითი მიზანი, ჩემთვის 210 ათასი ლარის იძულებითი გადახდევინება, არ ყოფილიყოს იმ ვირტუალური დანაშაულისათვის, რომელიც არასოდეს ჩამიდენია.

უნდა მოგახსენოთ, რომ 210 ათასი ლარის გადახდის შემდეგაც არ შეწყვეტილა ჩემი დევნა და შევიწროება უკვე შპს „თეთრი ქალაქისა“ და მის ბაზაზე მოქმედი სხვა შპს-ების მესვეურთა და მათ მაღალ მფარველთა მხრიდან, სააკაშვილის უახლოესი გარემოცვიდან, რასაც მოჰყვა ჩემი იძულება, ვითომ ნებაყოფლობით, ამ ორგანიზაციის გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გადადგომისა, აგრეთვე, სერიოზული შევიწროება იმ დამფუძნებელთა მხრიდან, რომლებმაც მოძებნეს საერთო ენა სააკაშვილის გარემოცვასთან, რაც საბოლოოდ, დაახლოებით 3 წლის წინათ ამ შპს-სა და მისი ტერიტორიიდან განდევნით დამთავრდა. კვლავ და კვლავ არ შენელებულა განზრახვა ამ ორგანიზაციის უკვე საკმაოდ სოლიდური ქონების ხელში ჩაგდებისა, მაგრამ ყოველივე ეს ცალკე პრობლემაა და არ შედის ამ საჩივრის ჩარჩოებში. ამით ამჯერად მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ უმსგავსობას, რაც შპს „თეთრი ქალაქის“ დღევანდელ მესვეურთა უკანონო ქმედებებში გამოიხატა, დღემდე არ უჩანს დასასრული და ჩემთან ერთად დაახლოებით 3000 მცირე და საშუალო მეწარმის ინტერესების უხეშ დარღვევაში გამოიხატება.

დასასრულ უმორჩილესად გთხოვთ:

**1. გააუქმოთ ჩემ მიმართ გამოტანილი უკანონო განაჩენი და დანიშნოთ ახალი გამოძიება ამ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისა და შებღალული ავტორიტეტის აღდგენის მიზნით, სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის მსხვერპლთა კატეგორიისათვის ჩემი მიკუთვნების გზით;**

**2. დაავალოთ სათანადო ორგანოებს სააკაშვილის, როგორც ამბობენ ხოლმე, ჯიბის პროკურატურისა და სასამართლოს მიერ ჩემ მიმართ სრულიად უკანონო სამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფასურად გადახდილი 210 ათასი ლარის ჩემთვის დაბრუნება კომპენსაციის სახით;**

**3. მიიღოთ სათანადო ზომები შპს „თეთრი ქალაქის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ჩემი აღდგენის შესახებ, რაც შეესაბამება ათასობით ჩვენთან დასაქმებულ მცირე და საშუალო მეწარმეთა სურვილს, აგრეთვე, შესაძლებელს გახდის, გამოვიყვანოთ უმძიმესი მდგომარეობიდან აღნიშნული შპს ეფექტური რეფორმების გატარების გზით.**

უღრმესი პატივისცემით,

**ანზორ გაბიანი**

მოდერნიზებული დემოკრატია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენებით არ შეიძლება გადაწყვიტო სამართალში მიცემულის ბედი. ამიტომ მივესალმები ჩვენი პროკურატურის მოქმედებას, რომელიც არ ჩქარობს დანაშაულის დამტკიცებას ნახევრადფაბრიკატული მტკიცებულებებით“.**



## გრიგოლ შონია:

# რატომ ამხედრდა ქურდების წინააღმდეგ სააკაშვილი?

**„საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია გადამდგარი პოლკოვნიკი გრიგოლ შონია.**

**— წლების განმავლობაში თქვენ, ბატონო გრიგოლ, სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობდით და ებრძოდით, მათ შორის, დამნაშავეობის ისეთ სახეობას, რომელსაც დღეს კერძო მესაქმეობა, ანუ ბიზნესი ჰქვია.**

— მაშინ სხვა სახელმწიფოებრივი წყობილება იყო და სხვა პრინციპებზე იყო აგებული ქვეყანა. მაგალითად, სპეკულაცია მაშინ კანონდარღვევად ითვლებოდა, უწინ სპეკულანტი მოგებაზე მუშაობდა, დღეს მთელი ბიზნესი ამ საფუძველზე დგას. მაშინ ეს ამორალურ ქმედებად ითვლებოდა, დღეს წარმატებულობის ნიშანია.

**— ქურდობა, რომელიც ჯერ ლოკალური მოვლენა იყო, შემდეგ ორგანიზებულ დანაშაულად ჩამოყალიბდა და სახელმწიფო წყობილებას დაემუქრა.**

— ამიტომაც ვებრძოდით. კორუფცია, რომელსაც ელიტური ვუწოდეთ, იმავე პრინციპზეა აგებული, ოღონდ ამ შემთხვევაში ყვლეფენ სახელმწიფო ბიუჯეტს, ითვისებენ სახელმწიფო ხარჯებს.

იყო დრო, როცა ქურდებს საქართველოს საპატიმრო დაწესებულებებში გადამწყვეტი ხმა ჰქონდათ: შრომა-გასწორების სისტემა მათზე იყო დამოკიდებული. 90-იან წლებამდე პერიოდზე მოგახსენებთ. გროვდებოდა „ობშჩიაკი“, ციხეში პატიმრების საკითხებს ისინი წყვეტდნენ, სახელმწიფო სისტემა მოშლილი იყო და საქართველოს შსს ხელმძღვანელობა იძულებული იყო, რასაკვირველია, საკავშირო ორგანოების თანხმობით, კანონიერი ქურდების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ ჩვენს საპატიმრო ადგილებში, გადაგვეყვანა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარის კოლონიებში — ცენტრალური რუსეთი, ურალი, ციმბირი.

წელიწადში ზოგჯერ 100-მდე პროფესიონალი კრიმინალი იგზავნებოდა ამ მარშრუტებით.

იმ პერიოდში საქართველოში პირველად შეიქმნა შსს-ს სისტემის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამსახური, რომლის მუშაობა ქურდული სისტემის წინააღმდეგ იყო მიმართული.

**— როგორ ებრძოდით?**

— უპირველეს ყოვლისა, ოპერატიული დამუშავებით, მაგრამ ხშირად ისინი მშვენივრად იძვრენდნენ თავს მოსალოდნელი სანქციისგან.

ისინი ხომ შეკვეთას იღებდნენ ძირითადად ე.წ. საქმოსნებისგან, ვინც მაშინ დამნაშავედ იყვნენ მიჩნეულნი და რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. ამ „ელემენტს“ თვითონ ხმა არ ამოეღებოდა კანონის წინაშე. მათი კანონი და განმსჯელი ორგანიზებული დანაშაულის „ბოსები“ იყვნენ, ისინი „ურჩევდნენ“ საქმეებს.

ამიტომ იყო, რომ **ერთი კანონიერი ქურდის დაჭერას უამრავი დრო და ენერგია სჭირდებოდა. ახალმა კანონმა კანონიერი ქურდების შესახებ ოპერატიულად გაწმინდა სიტუაცია.** არ შეიძლება, სახელმწიფო შეურიგდეს მის სინამდვილეში ფაქტობრივად არსებული კრიმინალურ ტრადიციებს, მოქმედი კანონი მათ “მრწამსისთვის”, ე.ი. გულში რაც უდევს, იმისთვის კი არ სჯის, არამედ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისთვის, რაც კანონში გარკვეულადაა ასახული. ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს თუ მოვუსმენთ და დავუჯერებთ, მაშინ კრიმინალური იდეების პროპაგანდას საზოგადოებაში გზა უნდა გაეხსნას.

**— მაშასადამე, ამ ლოგიკით, ქურდების ამნისტირება უარყოფითი მოვლენაა?**

— ვისაც ამნისტია შეეხო, უნდა გამოსულიყო კიდეც ციხიდან. ამნისტირებულის ციხეში დატოვება ანტიკონსტიტუციური, კანონსაწინააღმდეგო ქმედება იქნებოდა, ადამიანის უფლებათა დარღვევა. **საქართველოში ამოქმედებული ამნისტია ყველას ეხება, მათ შორის, ქურდს. მისი გამოსწორება დროის ამბავია.** ამნისტია პრობლემის ერთი მხარეა. მეორე მხარე პოტენციური კრიმინალების წინააღმდეგ პრევენციული ქმედების, კრიმინალურ ვითარებასთან ბრძოლის მაქსიმალური გაძლიერებაა, რომელიც ქვეყანაში ვითარების გაწმენდისკენ იქნება მიმართული. და არ მესმის, რატომაა ამის წინააღმდეგი ბატონი სააკაშვილი?!

პერსპექტივა კომპლექსშია განსახილველი. **მაინცდამაინც ხალხის დაშინება ამნისტიის მოსალოდნელი ნეგატიური შედეგებით, მე რომ მკითხოთ, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა და არა ხალხზე ზრუნვის დემონსტრირება, რასაც ასე მონდომებით ცდილობენ რიგი ოპოზიციონერებისა.**

**— ამნისტიით ციხიდან გამოსული პროფესიონალი ქურდი, ადრე მიღებული კანონით, საქართველოში ვერ იცხოვრებს.**

— ეს მცდარი შეხედულებაა. თუ იგი ხელს აიღებს ქურდობაზე, უარს იტყვის ქურდულ „გაგებაზე“, პატიოსან შრომას თუ შეუდგება, მას შეეძლება იცხოვროს ისე, როგორც საქართველოს ყველა სხვა მოქალაქეს.

**— თუ უარს არ იტყვის, მაშინ ერთი გზა აქვს დარჩენილი — ქვეყნიდან გასვლა.**



**«ხალხის დაშინება ამნისტიის მოსალოდნელი ნეგატიური შედეგებით, მე რომ მკითხოთ, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა და არა ხალხზე ზრუნვის დემონსტრირება»**

— თუ უარს არ იტყვის, ორი გზა აქვს დარჩენილი: ერთი, რომელიც თქვენ ახსენეთ, მეორე — შებრუნდეს უკან, ციხეში.

**— ხომ არ იქმნება ჩიხური სიტუაცია? ჯერ ერთი, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შეძლოს ქურდული მენტალიტეტის დაძლევა, მეორეც, არც ერთი ქვეყანა ჩვენს ქურდებს არ მიიღებს, თავისიც ყოფნის.**

— ამნისტია სახელმწიფოს ნების გამოხატვაა: გზასაცდენილს სრულფასოვან მოქალაქედ გარდაქმნის შესაძლებლობის პირობას უქმნის. ხოლო ისარგებლებს თუ არა ამნისტირებული ადამიანი ამ პირობით, მისი გადასაწყვეტია.

**— სახელმწიფო ხელს იბანს?**

— არა. ჩვენს დროს (არ გეგონოთ წარსულს ვაიდეალებ), თქვენც გახსოვთ, მუშაობდა სახელმწიფო სტრუქტურები, მთელი სისტემა სასჯელმოხდილების საზოგადოებაში ადაპტირებისთვის. წინა ხელისუფლებას ამაზე არ უზრუნია. **შეწყალების აქტები, რომელთაც პრეზიდენტი გამოსცემდა, მისივე პიარკამპანიის შემადგენელი ნაწილი იყო.**

მთავარი მაინც ის არის, რომ ერთპიროვნული მმართველობა, რისი მოწმეც ჩვენ 9 წლის განმავლობაში ვიყავით, თვით იყო დანაშაულის წყარო. ერთ მაგალითს დაგისახელებთ.

იმაზე დიდი დანაშაული რა უნდა იყოს, როცა მილიონიან ქონებას ქვეყნის მმართველი ვიღაცეებს, როგორც წესი, მასთან დაახლოებულ ადამიანებს, ერთ ლარად მიჰყიდის. ეს ხომ ხალხის მიერ დაგროვილი სიმდიდრის მითვისებაა!

ის პიროვნება, რომელიც ამ „მეფურ საჩუქარს“ ხელის აუკანკალებლად მიიღებს, იმავე დანაშაულს არ სჩადის? ისიც მიმთვისებელია.

საზოგადოებრიობა კი ხმას არ იღებს. **ხომ არ მივეჩვიეთ, როცა ქალაქის მერიის სტრუქტურებში ყალბ სამსახურს ქმნიან და ამ სამსახურში „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებს აფორმებენ, რაშიც 5 მილიონ ლარს ხარჯავენ, ხოლო თბილისელები ასეთ თავხედურ კანონდარღვევას, როგორც კინოფილმის მოგონილ სიუჟეტს? ვუყურებთ და ინტერესით ველით მოქმედების განვითარებას, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი აღშფოთება ქუჩაში გამოვიტანოთ. ხომ არ დავიჯერეთ, რომ არჩევნებში ხმის მიცემით ამოვწურეთ ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა?**

მე მგონი, ამის ნიშნები აშკარად ჩანს.

სააკაშვილის ყოველდღიურ „ქადაგებებს“ ჩვენი ელექტრონული მედია რომ გვასმენინებს და გვაყურებინებს, ამასაც, როგორც გასართობ ატრაქციონს, ისე ვუდგებით. არ გვაშფოთებს. მე არ მინახავს არც ერთი ტელევიზიის წინ შეკრებილი მოქალაქეები, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ ვადაგასული პრეზიდენტის ტელევარსკვლავად ქცევის გამო. ეს, ჩემი აზრით, არც „დაბალანსებული პოლიტიკაა“, არც ჭეშმარიტი დემოკრატია... უფრო მოდელირებულს ჰგავს.

**— ამნისტიით ციხიდან გამოსული დამნაშავეები დაამძიმებენ ქვეყანაში კრიმინოგენულ ვითარებას?**

— ჩემი პასუხი დამყარებული იქნება იმ გამოცდილებაზე, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა და პროფესიონალების მიერ არის გამოწვლილვით გაანალიზებული.

**ამნისტიით თუ რომელიმე სხვა სახელმწიფოებრივი აქტით გათავისუფლებულთა საერთო რაოდენობიდან ციხეებში ბრუნდებოდა 20-30 პროცენტი. ეს მაქსიმუმი იყო.**

**იმის შიშით, რომ პატიმარი თავისუფლდება, არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება უარი ვთქვათ ამნისტიაზე, შეწყალებაზე, პატიმრობის ვადის გასვლისთანავე ადამიანის საპყრობილიდან გათავისუფლებაზე. არ შეიძლება ჩვენი მასშტაბის ქვეყანას ასეთი დიდი რაოდენობის ადამიანები ჰყავდეს დამწყვდეული საპატიმრო ადგილებში.**

ამიტომ მე მხარს ვუჭერ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ოღონდ გათავისუფლებულ ადამიანებს უნდა მიეცეთ რაღაც ფუნქცია, რათა გარიყულად არ იგრძნონ თავი. ესაა ახლა საზრუნავი, რადგან სწორედ ეს არის ის მთავარი პრობლემა, რომლის მოგვარებითაც მაქსიმალურად შევამცირებთ რეციდივების საშიშროებას, ანუ დამნაშავეობის გაზრდის შესაძლებლობას.

საზოგადოება შეიძლება „გაგებით მოეკიდოს“, მაგრამ ვინც ამ საქმეზეა პასუხისმგებელი, ანუ ჩვენმა სამართალდამცავმა ორგანოებმა ხელებდაკაპიწებულებმა უნდა იმუშაონ. თუ საჭიროება მოითხოვს, სპეციალური დანაყოფები და სამსახურებიც კი შექმნან.

ერთსაც ვიტყვი: ჩვენს დროს საპატიმრო ადგილებში უმძიმესი მდგომარეობა იყო, მაგრამ პატიმრის ცემა იშვიათი მოვლენა იყო. რატომ, რისთვის უნდა ეცემა ვინმეს პატიმარი, რომელიც ისედაც დასჯილი და საზოგადოებისგან იზოლირებული იყო?! იმას თავისი ჰყოფნიდა!

წლების განმავლობაში ვხელმძღვანელობდი ოპერატიულ და რეჟიმის სამსახურებს და, გულწრფელად გეტყვით, ასეთი შემთხვევები ერთეული იყო. გამონაკლისი ყველგან არის და, შეიძლება, მაშინაც გვქონდა. საპატიმრო ადგილებში მუშაობის აქცენტი პატიმრების შრომით დასაქმებაზე იყო გადატანილი.

**— მოწმის ჩვენებისადმი, როგორც დანაშაულის დადგენის სამხილისადმი, თქვენი დამოკიდებულება როგორია?**

— **როცა 200 კაცზე მეტს დაკითხავ და ყველა ერთსა და იმავეს ამბობს ერთ დანაშაულთან დაკავშირებით, ეს სარწმუნოდ მიმაჩნია, როგორც ეს იყო თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურის შემთხვევაში.**

მაგრამ ერთი მოწმის ჩვენებით ხუთ კაცს რომ უსჯიდნენ და ციხეებში აგზავნიდნენ დიდი ვადით, როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს იყო, დაუშვებელია. ჩემს პრაქტიკაში მილიციის თანამშრომლის მოწმედ გაყვანა იშვიათი გამონაკლისი იყო. **ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენებით არ შეიძლება გადაწყვიტო სამართალში მიცემულის ბედი. ამიტომ მივესალმები ჩვენი პროკურატურის მოქმედებას, რომელიც არ ჩქარობს დანაშაულის დამტკიცებას ნახევრადფაბრიკატული მტკიცებულებებით.**

**— დღევანდელი მთავრობის წევრებს შორის, თქვენი აზრით, ვის მიიჩნევთ ყველაზე ღირსეულად?**

— იმედია, სხვები ცუდად არ გამიგებენ, მაგრამ ძალიან მომწონს ქალბატონი **თეა წულუკიანი — იუსტიციის მინისტრი.** სიმტკიცესთან ერთად იგი ინარჩუნებს ჰუმანურობის გრძნობას. სასწაული ადამიანია. დიდი ხანია, ქართველებს ასეთი ხელმძღვანელი ქალბატონი არ გვყოლია.

დავასახელებ **არჩილ კბილაშვილს — საქართველოს მთავარ პროკურორს.** მე მას არ ვიცნობ, მაგრამ ვუსმენ. იგი არის მაგალითი იმისა, როგორი უნდა იყოს პროფესიონალი, რომელიც აღჭურვილია სხვისი ბედის გადაწყვეტის უფლებით.

ძალიან მომწონს ბატონი **დავით საგანელიძე.** მასაც არ ვიცნობ, მაგრამ ვხედავ, რომ ძალიან მტკიცე კაცი და მართალი პიროვნებაა. ეს თვისებები უაღრესად საჭიროა ქვეყნის სათავეში მოსული ახალი ძალის წარმომადგენლებისთვის.

უკეთილშობილესი პიროვნებაა ქალბატონი **ეკა ბესელია,** რომელმაც დიდი ბრძოლა გადაიტანა პოლიტპატიმრების გათავისუფლებისთვის, პარლამენტში ამნისტიის საკითხის გატანისთვის.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. — ხოლო ბატონ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობის შეფასების უფლებას საკუთარ თავს არ მივცემ, — თქვა საუბრის დასასრულს ბატონმა გრიგოლ შონიამ, — მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს პიროვნება ყოველთვის ცდილობს გულახდილი და გულწრფელი იყოს თავისი ხალხის წინაშე. ეს ღვთივ ბოძებული ნიჭია.**

**„იმათ, უკვე წასულ ხელისუფლებას, სჭირდებოდა დამსჯელი, ჯალათი, ხალხის დამთრგუნველი, თანაც აქ და ამ დროს, მაგრამ ვერ შეძლებდნენ, არჩილ კბილაშვილისგან მოეთხოვათ, გამხდარიყო მამულოვი, სამაგიეროდ იპოვეს მერაბიშვილი, ადეიშვილი, ახალაია, რომლებმაც მამულოვი თავიანთი სისასტიკით ჯიბეში ჩაისვეს. მონსტრები მოიცილა საქართველომ.“**

საითაც გავიქცევი, იქით წავიქცევი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თემო გოცაძე: მიშა დამთავრდა, სააკაშვილის პერიოდი — არა!

**საქართველოს სახალხო მხატვარ თემო გოცაძესთან დღევანდელ პრობლემებზე სასაუბროდ მივედი, მაგრამ „მაგთიკომის“ მიერ გამოცემული მისი ალბომის საჩუქრად მიღების გამო სჯა-ბაასი თავიდან სხვა მიმართულებით წარიმართა. უპირველეს ყოვლისა, მადლობა ვუთხარით „მაგთის“ მესვეურს — გია ჯოხთაბერიძეს, რომელიც მართლაც ქართულ საქმეს აკეთებს. შემდეგ ხელოვნებაზე გადავედით.**

— ჩემთვის ამოსავალი წერტილი ყოველთვის მშვენიერება იყო. ყველაფერში, რაც გინდა მეკეთებინა. რადგან არსებობს მშვენიერებისკენ სწრაფვა, ყველაფერი სხვა ამაზეა დაფუძნებული — სიყვარული, კაცთმოყვარეობა, შენდობა, პატიოსნება, მაღალი სულიერება, მოქალაქეობა, რაც საბოლოოდ აყალიბებს პიროვნებას, რომელიც ამ საზოგადოებაში ცხოვრობს.

ამასთან, შემოქმედებას რისამე პრეტენზია რომ ჰქონდეს, ცხოვრებიდან უნდა მომდინარეობდეს, საზოგადოებრივი ცხოვრებაც უნდა ახლდეს თან.

დრო აფასებს შემოქმედებას, დღეს ძალიან ძნელია ამის გაკეთება. შემფასებელი მოვა, სხვა ეპოქის, სხვა დროის, ერთი ამოსავალი წერტილი ექნება — ეს მართლა არის შემოქმედება თუ არა, კონიუნქტურის პროდუქტია თუ მიზანთან სანახევროდ მიახლოება... ცხოვრებასთან ურთიერთობა თუ გაკლია, შემოქმედებაც ნაკლულია.

**— დაველოდოთ შემფასებლის მოსვლას და დღეს დღევანდელი დღისა ვთქვათ.**

**არ დაგიმალავ და, მე მგონი, კონტრასტი არა, მაგრამ შენი შემოქმედების ზეციური სიმაღლეები, სითბო და სილაღე მაინც და მაინც არ ესადაგება შენსავე საზოგადოებრივ საქმიანობას, მისთვის დამახასიათებელ სიმკაცრეს, შემტევითობას, უკომპრომისობას, პრინციპულობას, რომელიც ზოგჯერ მაქსიმალიზმის დონემდე არის ასული.**

— ყველაფერი, რაც ჩამოთვალე, არის გზა, საშუალება იმ ჰარმონიულობისკენ, რომელიც, შენი თქმით, ჩემს შემოქმედებაში დაინახე და რომლისკენაც ისწრაფვის ჩვენი საზოგადოება.

ეს ერთი. მეორე. **არც ერთ ჩვენგანს არ გვაკლია ადამიანური სისუსტეები. მაგრამ არ შეიძლება, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაიწყო იმ ღირებულებების ნგრევა, რომლებზეც აღზრდილი ხარ. თანაც ისე, რომ სანაცვლოდ არაფერი შესთავაზო.**

**— აქედან ხომ არ მოდის ის შეხედულება, რომ ახალი არაფერი მივიღეთ, რომ არ გვაქვს დემოკრატია და, ქართული ანდაზისა არ იყოს, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი? ხომ არ აღმოვჩნდით გატეხილი ვარცლის ანაბარა?**

— წინა ხელისუფლების დროს ფაქტობრივად ყველაფერი დაინგრა: აღარც მეგობრობა აღარ მუშაობს, აღარც კაცური ურთიერთობა, იმიტომ, რომ გუშინდელებმა შემოიღეს დასმენის, „ჩაშვების“ ინსტიტუტი, ნულოვანი ტოლერანტობა და ათასი ასეთი უბედურება.

დღეს ყველაფერი აღსადგენია, მათ შორის, ჭეშმარიტი დემოკრატიაც.

ამათ ხომ ვიცნობ მე, ყველას, ვინ რას წარმოადგენს: არავინ არაფრის მაქნისი არ არის. ორი წინადადების ერთმანეთზე გადამბმელი არავინაა, **ამ უვიცებმა ადამიანის შეცვლა მოინდომეს. ჰიტლერივით ნიცშეანური მიზანი დაისახეს — ქართველი ხალხის მენტალიტეტის შეცვლა.**

**— ამათ უნდოდათ, თუ სხვამ უკარნახა?**

— პრინციპულად მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ისაა, რომ იყო ამათი მზაობა. თორემ, ცხადია, რომ უკარნახეს. **ის, რაც ჩვენთან მოხდა, მხოლოდ საგანგაშო კი არ არის, საკივლელია, რადგან ჭკუათმყოფელმა არ შეიძლება გააკეთოს ის, რაც ამათ დამართეს ჩვენს საზოგადოებას!**

**— დამთავრდა სააკაშვილის პერიოდი.**

— არ დამთავრდა სააკაშვილის პერიოდი. დამთავრდა სააკაშვილი. რაც უფრო ხშირად გამოჩნდება ეკრანზე, მით უარესი მისთვის. დამიჯერე! ადამიანი, რომელსაც აქვს პრეტენზია, იყოს პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, თავს გვაჩვენებს, თითქოს მოვლენების სიღრმეებში ერკვევა, სინამდვილეში ელემენტარულად ვერ საზღვრავს იმას, რასაც ლაპარაკობს.

**— ვერ საზღვრავს?! აბა, კინორეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ ამასწინათ თქვა, რომ სააკაშვილმა ტრიბუნაზე გამოსვლა იცის, ამას ვერ წაართმევო?!**

— ვერ საზღვრავს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მის საუბრებს კომპოზიცია, როგორც ასეთი, არ აქვს: დასაწყისი, განვითარება და ფინალი არ გააჩნია. ერთი თემა არ აქვს, თემიდან თემაზე ხტება.

**— სუმბურია, ანუ აბდაუბდა.**

— რაღაც საშინელი ვინეგრეტია, ცუდი ვინეგრეტი.

**— ამონანთხევი!**

— არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ ამას ჰგავს მთელი მისი ფილოსოფია და მისი გამოსვლები. **რანაირად შეიძლება, ადამიანს, რომელსაც ცხრა წელიწადია უყურებ,**



**ერთი გამოსვლა არ ჰქონია, ისეთი, სიყვარულს რომ აფრქვევდეს, ადამიანებს რომ ეფერებოდეს...**

**— რატომ? პარლამენტში გამოსვლისას გმირები რომ წარმოგვიდგინა — კირკიტაძე და სხვები?**

— ყალბი იყო თავიდან ბოლომდე. იცი, რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ მისი ცოდნა ნაჭერ-ნაჭერ ამოგლეჯილია ხან საიდან, ხან საიდან.

**— „ნაჭერ-ნაჭერ ღრუბლი მოდის“...**

— აკადემიური ცოდნა არ აქვს, გამიგე? ის ცოდნა არ არის, რომელიც სჭირდება სახელმწიფო მოღვაწეს. ის ცოდნა არ არის, რომელიც ჰქონდა ზვიად გამსახურდიას — აკადემიური, ნიჭიერი კაცი იყო.

**— მიშაზეც ხომ ამბობენ, ნიჭიერიაო?**

— ელემენტარული ავანტიურისტია. შექმნილ სიტუაციაში ავანტიურას ზოგჯერ მოაქვს სარგებელი. მასაც მოუტანა. თავისნაირი, ნაწილ-ნაწილ შეკოწიწებული ადამიანები შემოიკრიბა. პიროვნება რომელია, მითხარი!

**— მერაბიშვილი ხერხემალია, თანაც — ქვეყნის!**

— კარგი, რა! **შეიძლება, 40 წელს მიაღწიო და არაფერი დაგრჩეს?! ან სახლი უნდა დატოვო აშენებული, ან წიგნი დაწერილი, ან ისეთი სიყვარული შეგეძლოს, რომ ლეგენდად იქცეს, ან ისეთი კაცი იყო, რომ თბილისს ეამაყებოდე, ხალხს უხაროდეს ქუჩაში შენი დანახვა. არსად არაფერი! გაგიჟდები! ასეთი უფერული, ასეთი სიცარიელე, ბნელი, ბინძური, მართლა ბინძური სახეები არსად მინახავს.**

მოუსმინე მათ ლექსიკას, შეხედე მათ ჩაცმულობას, დააკვირდი მათი ცხოვრების წესს.

სააკაშვილის დრო არ დამთავრებულაო, იმიტომ ვამბობ, რომ არ დამთავრებულა ასეთი ადამიანების კონგლომერატი.

**— როდის დამთავრდება, აბა?**

— როცა განათლების ნამდვილი რეფორმა განხორციელდება საქართველოში: სკოლა სკოლას დაემსგავსება, უმაღლესი — უმაღლესს. როცა მომავალი თაობა განვითარდება ისე, როგორც უნდა განვითარდეს და მიიღებს ისეთ განათლებას, როგორიც სჭირდება დღევანდელ დღეს.

**— განათლების რეფორმაზე ისინიც ბევრს ლაპარაკობდნენ და ტრაბახობდნენ ამ რეფორმით.**

— მათი რეფორმა მათივე მსგავსი თაობის, როგორც პროდუქტის, მიღებას ემსახურებოდა — ბნელების, ჩამშვებების, ყველაფერზე ხელის მომწერების გამოზრდას.

**პირველი ხილული შედეგი იმ ორმეტრიანი, ფორმიანი მუტრუკების მოქმედება იყო, რომლებიც არბევდნენ დემონსტრაციებს, სასიკვდილოდ იმეტებდნენ უიარაღო ადამიანებს. გეკითხები, ეს ნორმალურია?! იმათზე კი არ მაქვს ამჯერად ლაპარაკი, ვინც უბრძანა. არა. მე იმ ახალგაზრდებზე ვლაპარაკობ, რომლებიც ასეთ ბრძანებას ასრულებდნენ. ტვინი არა გაქვს, რომ ერთხელ მაინც შეეკითხო საკუთარ თავს — რას ვაკეთებ, ვის ვურტყამ — ძმას, მამას, შვილს? ფულზე გაქვს გაყიდული სინდისი, კაცობა?**

**— სწორი გზით მივდივართ ახლა მაინც?**

— სწორი გზით მივდივართ. მართალია, ადამიანები ჩქარობენ, დღესვე სურთ შედეგის დანახვა, მაგრამ მე არ ვარ იმისი მომხრე, რომ ვიჩქაროთ და ამ სიჩქარეში რამე გავაფუჭოთ, გზა გავიმრუდოთ.

რა მომწონს, იცით? ეს კაცი ყველაფერში რომ არ ერევა. ბიძინა ივანიშვილს ვგულისხმობ.

**— ვარგა ეს?**

— ჩვენ უნდა მივეჩვიოთ ბრძანებებისა და დირექტივების გარეშე ცხოვრებასა და არსებობას. ყველანი, ყველა დონეზე. კი, ეს ძალიან მძიმე იქნება, გაგვიჭირდება, შეცდომებიც ბევრი გვექნება, მაგრამ უნდა მივეჩვიოთ.

გსმენიათ, რომ ბიძინა ივანიშვილს ვინმეზე ზემოქმედება მოეხდინოს, იძულებული გაეხადოს, დაემორჩილებინოს?

შეუძლია, უფლება აქვს, მაგრამ არ აკეთებს, გამოდის, უხსნის, რაც სავსებით საკმარისია გონიერი ადამიანებისთვის სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ის ტვინი, რომელიც ბიზნესს გეგმავს და განახორციელებს, სხვაა. ეს ტვინი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონების: ლასკერის, ბოტვინიკის, კაპაბლანკას ტვინია, რომელიც მეცამეტე და მეოცე სვლას წინასწარ გათვლის და იმარჯვებს.

ბიძინა ივანიშვილმა ხომ ჩვეულებრივი ცხოვრებით იცხოვრა — დაამთავრა სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, როგორც მილიონმა სხვამ. მაგრამ ასჯერ და ათასჯერ მეტი გააკეთა. იცი რატომ?

**— რას გულისხმობ, არ ვიცი.**

— იმიტომ, რომ, გენეტიკურად რაც მოსდევს, ის განვითარდა სწორედ მასში, მასში იფეთქა.

ვაჟას „გველისმჭამელი“ ხომ გახსოვს? მინდიას

**„ესმის დღეიდან ყოველი,**
**რასაც ფრინველნი**
**გალობენ,**
**ან მცენარენი, ცხოველნი,**
**როდის ილხენენ,**
**წვალობენ.**
**რაც კი რამ დაუბადია**
**უფალს სულიერ-უსულო,**
**ყველასაც თურმე ენა აქვს,**
**არა ყოფილა ურჯულო“.**

ეს სამყაროს ენა მოულოდნელად იფეთქებს ადამიანებში, რომ არ ელოდები, მაშინ, უცებ და იქ, სადაც წარმოუდგენელი გეგონა... რა უნდოდა ჩარგალში ვაჟა-ფშაველას?! რა უნდოდა გორის ღარიბულ უბანში სტალინს?!

წამოვიდა ის რაღაც, საუკუნეებით დაგუბებული, მდორედ მდინარე... როგორც სომერსეტ მოემი, დიდი ინგლისელი მწერალი ამბობდა: „ღმერთის დოლაბები ნელა ფქვავს, მაგრამ სწორად ფქვავს“, იმისთვის ფქვავს, ვისთვისაც განკუთვნილია.

ეს მისტიური მოვლენაა, რომელიც კიდევ სხვა ძალებთან არის დაკავშირებული... ასეთ ადამიანებს სამყაროს ფეთქვაზე აქვთ ხელი დადებული.

**იმათ, უკვე წასულ ხელისუფლებას, სჭირდებოდა დამსჯელი, ჯალათი, ხალხის დამთრგუნველი, თანაც აქ და ამ დროს, მაგრამ ვერ შეძლებდნენ, არჩილ კბილაშვილისგან მოეთხოვათ, გამხდარიყო მამულოვი, სამაგიეროდ იპოვეს მერაბიშვილი, ადეიშვილი, ახალაია, რომლებმაც მამულოვი თავიანთი სისასტიკით ჯიბეში ჩაისვეს.**

**მონსტრები მოიცილა საქართველომ.**

**— მაგრამ ხალხი რომ მოითხოვს უმეტეს სიმკაცრეს, ყველას ციხეში ჩაყრას, ხალხი სისხლისმსმელია?!**

— არა. ხალხი არ არის სისხლისმსმელი. ისინი, ვის დასჯასაც მოითხოვს ხალხი, იმდენად გახრწნილები არიან, რომ მოსპეს სამხილები, რომლებიც კანონის წინაშე მათ ავკაცობას დაადასტურებდა, ეტყობა, ამიტომ ჭიანურდება გამოძიების პროცესი. თორემ, ისინი რასაც წარმოადგენენ, ყოველთვის და ყველასთვის იყო ცნობილი.

მიადგებიან აუცილებლად, მაგრამ ამას დრო დასჭირდება. რთულდება, და კიდევ კარგი, რომ დროში იწელება, რადგან ხმლის მოქნევასავით გადაწყვეტილების მიღებაში ყოველთვის არის შეცდომის შანსი.

**— როგორც მხატვარს, ფერმწერს, როგორ წარმოგიდგენია ის უბედურება, რომელიც თავს გადაგვხდა?**

— დიდი ხანია, ვხატავ სურათს, რომელსაც ჰქვია „ღრეობა ჭირიანობის დროს“. ჯერ სურათი დამთავრებული არ არის, ესკიზი კი იმ წიგნშია, „მაგთიმ“ რომ გამოსცა. როცა პროცესი დამთავრდება, მაშინ ვაპირებ დასრულებას.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

მამები და შვილები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი ტრადიციების პატივისცემა იმთავითვე უნდა ისწავლოს ბავშვმა, იგრძნოს და შეითვისოს. ჩემს შვილებს ვაჟას ლექსით ვუნერგავდი ამას. რა სიღრმეა, რა ფილოსოფია, როგორი ზნეობა... როგორი აქტუალურია დღესაც.**

ვასილ კბილაშვილი:

# სკოლა დღეს ცარიელი კედლებია



ბატონი ვასილი და ქალბატონი ლეილა

**გასული საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა კავშირში დისკუსიის დიდი ტალღა აგორდა — „ფიზიკოსები და ლირიკოსები", ანუ ზუსტი მეცნიერება თუ პოეტური სიტყვა უნდა მიჩნეულიყო აღმატებულად და უპირველესად.**
**პრობლემა მოგონილს ჰგავდა, მაგრამ დავა-კამათი საინტერესო და გულწრფელი იყო.**
**ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში ცხოვრობდა ფიზიკის მასწავლებელი ვასილ კბილაშვილი, რომელსაც თავისთვის გადაწყვეტილი ჰქონდა ეს საკითხი — პოეზიის დიდი მოყვარული, დიმელ გოგო-ბიჭებს ფიზიკას გატაცებით ასწავლიდა — თვალსაჩინოებათა გამოყენებით, ცდების დემონსტრირებით. საინტერესოდ.**
**და როცა ბიჭი წამოეზარდა, 3-4 წლისა რომ გახდა, ცხოვრების სიბრძნესა და სილამაზეს ვაჟა-ფშაველას პოემებით აზიარა: ბუხრის პირას დასვამდა და უკითხავდა.**
**ზეპირადაც შეასწავლა. უპირველესი „სტუმარ-მასპინძელი" იყო...**
**ჩვენც დავსხდებით იმ ბუხართან, ფიჩხს ცეცხლს წაუკიდებს ბატონი ვასო და იტყვის:**

— ჩვენი ტრადიციების პატივისცემა იმთავითვე უნდა ისწავლოს ბავშვმა, იგრძნოს და შეითვისოს. ჩემს შვილებს ვაჟას ლექსით ვუნერგავდი ამას. რა სიღრმეა, რა ფილოსოფია, როგორი ზნეობა... როგორი აქტუალურია დღესაც:

**„სიკვდილი ყველას**
**გვაშინებს,**
**სხვას თუ ჰკვლენ,**
**ცქერა გვწადიან,**
**კაცნი ვერ ჰგრძნობენ**
**ბევრჯელა,**
**როგორ დიდ ცოდვას**
**სჩადიან.**
**რამდენი ავსული ვიცი,**
**წარბშეუხრელად დადიან:**
**თავის მტანჯველის**
**შემუსვრა**
**ან კი ვის არა სწადიან?!"**

— ვენახი გვაქვს სახლიდან ცოტა მოშორებით, ორ კილომეტრზე მეტია, სამი არ იქნება, — **იხსენებს დედა, ქალბატონი ლეილა,** — ბაღდათის ხედი იქიდან არაჩვეულებრივად ჩანს. ფერდზეა. დადგებოდა აჩიკო და იქიდან ზეპირად ამბობდა „სტუმარ-მასპინძელს". სამი წლისა თუ იქნებოდა მაშინ.

## „დღეს სტუმარია ეგ ჩემი"

ეს საუბარი მას შემდეგ შედგება, რაც დაუპატიჟებელი სტუმრის სტატუსიდან გაშინაურებაში გადასვლა კბილაშვილების პატარა ეზოში ფეხის შედგმისთანავე ბუნებრივად, დაუძალებლად მოხდება: მამისა და შვილის მსგავსება იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ უნებურად აღმომხდა:

— როგორ გგავთ თქვენი ვაჟი!

მასპინძელს გულიანად გაეცინა:

— პირიქით რომ გეთქვათ, მეწყინებოდა.

და თავისით დაირღვა უხერხულობის ბარიერი, როგორც ყოველთვის, როცა ინტელიგენტურ ოჯახში შეხვალ, განათლებული ადამიანების უბრალოებაში.

მობოდიშებით დაგვხვდა ოჯახის უფროსი — ვაზსა ვსხლავდი და „კალოშების" გახდა ვერ მოვასწარიო.

ახლა კი დროა ფრჩხილების გახსნის: საქართველოს მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის მშობლებს ვსტუმრობთ მე, ამ სტრიქონების ავტორი, და ჩემი სამი მეგობარი.

ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში.

სახლი სართულნახევრიანია — ბელეტაჟი. მამაპაპისეული. მიწის მუშა ყოფილა ბატონი სანდრო — არჩილის ბაბუა, კარგი მეურნე. იმას აუშენებია. ნახევარი საუკუნის განმავლობაში კბილაშვილებს ორიოდ ოთახი მიუმატებიათ. აივანიც. ჩვენი საზაფხულო რეზიდენციააო. ჩეროა ამ მხარეს და გრილა.

დღეს კი ისეთი მზიანი ამინდია, ისეთი სითბო დგას ამ შუა იანვარში, რომ ბარემ აქვე დავსხდეთ სასაუბროთ-მეთქი, შევთავაზე.

შევცდი: სტუმარს ეზოში როგორ მიიღებს იმერელი კაცი?! ეს ერთი. მეორეც, სოფელს დიდი თვალები აქვს. მით უფრო, როცა კბილაშვილებისკენ იყურება.

შინ შევედით და პატარა ოთახში პატარა, ოთხკუთხა მაგიდას მივუსხედით.

## „თემს რაც სწადიან, მას იზამს თავის თემობის წესითა"

— შრომაში ვზრდიდით შვილებს, მათი ასაკის შესაფერისად. 3-4 წლის ბიჭს მამა ვენახში რომ წაიყვანდა, ხან წყალს მიაწოდებდა, ხან რა დავალებას შეუსრულებდა. შრომისადმი პატივისცემას ბავშვობიდან ვუნერგავდით, — **ყვება ქალბატონი ლეილა.**

**— თქვენმა შვილმა თქვა, მამას ებარაო ვენახის პატრონობა.**

— დღესაც ასე გრძელდება. ოღონდ ძველებური შეძლება აღარ მოგვდევს, — **ეღიმება დედას.**

**— იქით სკოლის მოსწავლეები, აქეთ საკუთარი შვილები, პლიუს ოჯახის საქმეები... როგორ ასწრებდით ყველაფერს?**

— ვიჭირვებდით. შაბათ-კვირაც ხომ ჩვენი იყო.

**— დამოუკიდებელ საქართველოშიც აგრძელებდით მასწავლებლობას თუ უკვე პენსიაში ხართ?**

— დიდი ხნის სტაჟი მაქვს, — **ამბობს მამა,** — 1962 წლიდან დღემდე სასკოლო ჟურნალი ხელიდან არ გამიგდია.

— რუსულის მასწავლებლად ვმუშაობდი, — **განაგრძობს ქალბატონი ლეილა,** — სანამ სააკაშვილმა „ჩარეცხილები" უწოდა ჩვენს თაობას. არ გავკადნიერდები და ბევრს არ ვიტყვი, მაგრამ სკოლაში სანამ ვიყავი, თავი არ დამიზოგავს, სულ იმას ვცდილობდი, რაც ვიცოდი, ყველაფერი ბავშვებისთვის გადამეცა, მესწავლებინა. ძალიან განვიცდიდი, თუ მოსწავლე მოუმზადებელი მოვიდოდა კლასში. მიზეზს ყოველთვის საკუთარ თავში ვეძებდი: ალბათ, რაღაც დავაკელი, ალბათ, კარგად ვერ მივიტანე ბავშვებამდე.

**სახლი სართულნახევრიანია — ბელეტაჟი. მამაპაპისეული. მიწის მუშა ყოფილა ბატონი სანდრო — არჩილის ბაბუა, კარგი მეურნე. იმას აუშენებია. ნახევარი საუკუნის განმავლობაში კბილაშვილებს ორიოდ ოთახი მიუმატებიათ. აივანიც...**

ლეილა კბილაშვილი:

# ბავშვებმა ძალიან ბევრი დაკარგეს რუსული კულტურის, მწერლობის მიუწვდომლობის გამო

ლეილა, მეუბნებოდნენ ჩვენი გამოცდილი პედაგოგები, ყველაფერი ასე გულთან თუ მიიტანე, ვერ გაუძლებო. მაგრამ გავუძელი. **ისიც გადავიტანე „ჩარეცხილები" რომ გვიწოდა სააკაშვილმა, თუმცა გამიჭირდა, რადგან უდიდეს შეურაცხყოფად მივიღეთ მეც და ჩემმა დამსახურებულმა კოლეგებმაც.**

**— რუსულს ასწავლიდით, ხომ ასეა?**

— დიახ, დიახ.

**— რა მოიგეს ქართველმა ბავშვებმა იმით, რომ არ იციან პუშკინი, ტოლსტოი არ იციან, არაფერი გაუგიათ ლერმონტოვზე, ორიგინალში ვერ კითხულობენ თავიანთი თანამემამულის — ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებას.**

**Только**
**нога**
**вступила в Кавказ,**
**Я вспомнил,**
**что я -**
**грузин**
**Эльбрус,**
**Казбек.**
**И еще -**
**как вас?!**
**На гору**
**горы грузи!..**

— სამამულო ომის დროს ჩვენს სკოლებში გერმანულის სწავლება გრძელდებოდა. თუ მტერია, მისი ენა მით უფრო უნდა იცოდე.

**ბავშვებმა ძალიან ბევრი დაკარგეს რუსული კულტურის, მწერლობის მიუწვდომლობის გამო.**

**მთელი ჩვენი განათლების სისტემა უკუღმა შეატრიალეს. დღეს მოსწავლეს მოსწავლის სახე აღარ აქვს. მასწავლებელს შეუზღუდეს უფლებები, მოსწავლეებს — გაუზარდეს.** მაგრამ დაავიწყეს სწავლის მოვალეობა რომ აკისრიათ.

თანდათან გვეკარგება განათლებული ერის სახელი.

**— ბიბლიოთეკა არის დიმში?**

— იყო და, სამწუხაროდ, აღარ არის, — **თემას განაგრძობს ბატონი ვასილი,** — მითითება მოდიოდა ზემოდან ასეთი: ერთი პატარა კომპიუტერი უდრის ერთ ბიბლიოთეკას. მაგრამ სადაა ეს კომპიუტერი? დავერიეთ წიგნებს, ზოგი დავწვით, ზოგი გადავყარეთ. შეგეცოდებოდა, ისეთ დღეში ჩავყარეთ წიგნები.

სკოლის ბიბლიოთეკა გადავაქციეთ ნახმარი სახელმძღვანელოების საწყობად. სახელმძღვანელოები იმდენად ძვირია, რომ ბავშვები იძულებული გავხადეთ, ნახმარი წიგნებით გავიდნენ იოლად.

**განათლების სისტემას პედაგოგი მინისტრი რომ არ ღირსებია, ამაზეც ვთქვით, მასწავლებლის პირად მაგალითზეც („ჩრდილში დაჯდომის" უგვანობაზე), ლოტოტრონით მოსულ დირექტორზეც, რომელიც „სულ არ იყო მოდებაში ამ საქმეზე".**

— ახლა გული იმაზე მწყდება, რომ გაკვეთილს არ ჩავატარებდი თვალსაჩინოების გარეშე, — **ამბობს ბატონი ვასილი,** — მთელი ეს მატერიალური ფასეულობა განადგურდა ისე, რომ არავის პასუხი არ უგია. სკოლაში აღარ არის სამნეო ნაწილის გამგე, აღარ არის ლაბორანტი.

**— სკოლა კი არის?**

— სკოლა დღეს ცარიელი კედლებია.

— ქიმიის მასწავლებელმა შემომჩივლა ამასწინ, — **საუბარში ერთვება მაია, ამათი ქალიშვილი,** — თქვენი ბავშვობის დროინდელი რეაქტივები თუ შემომრჩა, თორემ სხვა არაფერი მაქვს, წლებია აღარაფერი ჩამომსვლიაო.

**სოფლის გაჭირვებაზე მიდგა სიტყვა:**

— ფული აღარ ტრიალებს სოფელში. დიმელები საზღვარგარეთ გადაიხვეწნენ ფულის საშოვნელად.

**— კაცები, ქალები...**

— ქალები მეტად, — **აზუსტებს ქალბატონი ლეილა,** — ბავშვებს დედა რომ სჭირდებათ, ბებიების ამარა დარჩნენ. იმათ კი რამდენი შეუძლიათ? დედები ლუკმა-პურის საშოვნელად არიან წასულები. ესაა ერის ტრაგედია.

**— თქვენმა ვაჟმა მითხრა, რომ ოჯახში უწმაწური სიტყვა არ გაუგონია. სოფელი ზნეობის ოაზისად აღიქმებოდა ყოველთვის. დღესაც ასეა?**

— ზოგან შემორჩენილია. ზოგიერთი სოფელი ისეთია — ხანი, საკრაულა, ზეგანი, სადაც მაცხოვრებელი გვარები — ჩხეიძეები, კიკნაველიძეები ზრდილობის ნიმუშია. ცუდად არ შეიგინებიან. აგერ ცენტრში კი, ატეკასთან ისე იგინებიან, ყურს არ გაეგონება.

თქვენ წარმოიდგინეთ, ქალებიც კი იგინებიან. აგერ წუხელ თუ უყურებდით, „პროფილში", ასათიანთან რანაირი ქალები იყვნენ და რას ლაპარაკობდნენ. სულ სექსუალურ ურთიერთობაზე, — **წუხს ბატონი ვასო.**

## „წყევლა ხალხისა ჭექაა, ნაფურთხი წვიმის ცვარია"

**ჩვენი საუბრის მომდევნო მონაკვეთი საკმაოდ მხიარული გამოდგა, რადგან მიხეილ სააკაშვილის ზეპირმეტყველებას, ნეოლოგიზ-** ▶

მამები და შვილები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ნაციონალები“ ისე აშანტაჟებდნენ ხალხს, მეტი არ შეიძლებოდა — არ გაბედოთო 41 ნომრის შემოხაზვა, თორემ დახმარებას მოგიხსნით, სამსახურებიდან დაგითხოვთ და ასე შემდეგო.

◀ **მებსა და ლექსების ციტირებას შეეხო. პოლიტკორექტულობის გამო („მთავრობის კაცის“ ოჯახში ვართ), როგორც ახლა იტყვიან, „არ გავვრცელდები“. ცოტაც ჟურნალისტების ენაზეც ვთქვით. ეს კი ჩემი პრობლემაა — კოლეგიალობის წინაღობას ასე იოლად ვერ გადააბიჯებ.**

— ძველი ნათქვამია: ისე უნდა ილოცო, როგორც მოგყვება მრევლი, — **ასკვნის ბატონი ვასილი.**

**— ამ სააკაშვილმა ტელეეკრანზე თავის „ლოცვებს“ რომ მოუხშირა, გაჰყვება ვითომ მრევლი?**

— **ყველაფრის თქმა შეიძლება?! სირცხვილის გრძნობა დაკარგა და ხავსს მოჭიდებით ცდილობს, შეინარჩუნოს თავისი ძალაუფლება.**

— **არ ვიცი, ფსიქიურად აიშალა თუ რა დაემართა. მილიონს გადააჭარბა ხელმოწერებმა მისი გადადგომის მოთხოვნით და ვერ შეიგნო, არ ესმის, რომ უნდა წავიდეს.**

— **კუბოს რომ მიასვენებდნენ ზუგდიდში მისი სურათით, ამას რომ ნახავ, რა გაჩერებს, ადამიანო? სულ დაკარგე თავმოყვარეობა?**

— **ვარდებით დაიწყო და ცოცხებით დაამთავრა. სიმართლე ესაა.**

**ასეთია მოკლე ამონარიდები კბილაშვილების პასუხებიდან.**

**— სოფელი ჭრელია. რას ფიქრობთ, დარჩნენ დიმში მიშისტები?**

— სამწუხაროდ, — კი. წინასაარჩევნო პერიოდში აჩიკოს დეპუტატობის კანდიდატის პლაკატები „ნაციონალებმა“ სასწრაფოდ ჩამოხიეს. ახლაც ისეა ჩამოხეული.

შემორჩნენ. შეინიღბნენ ოღონდ. „ნაციონალები“ ისე აშანტაჟებდნენ ხალხს, მეტი არ შეიძლებოდა — არ გაბედოთო 41 ნომრის შემოხაზვა, თორემ დახმარებას მოგიხსნით, სამსახურებიდან დაგითხოვთ და ასე შემდეგო.

**— მაგრამ არჩილ კბილაშვილმა მაინც გაიმარჯვა.**

— ღმერთისა და ხალხის წყალობით, — **ამბობს დედა.**

— კი ვატყობდი, მაგრამ ასე დამუხტული თუ იყო ხალხი, ასე თუ იყო ავსებული მისი მოთმინების ფიალა, მაინც ვერ წარმომედგინა. ხალხი დიდი ძალაა, — **ამატებს მამა.**

**— რახან ხალხზე დავიწყეთ ლაპარაკი, ბარემ ისიც ბრძანეთ, თქვენი ვაჟის მთავარ პროკურორად დანიშვნის შემდეგ ხომ არ შეიცვალა თქვენდამი სოფლის დამოკიდებულება?**

**უწინ ადვოკატი იყო, სამართალში მიცემულის დამცველი. ახლა ბრალმდებელია. იმოქმედა თქვენს ურთიერთობაზე ასეთმა ცვალებადობამ?**

— არა, — **დარწმუნებულია ბატონი ვასო,** — რადგან ორივე პოზიცია სამართლიანობისთვის ბრძოლასთანაა დაკავშირებული. გულწრფელად მოგვილოცეს. უმეტესობამ მაინც. ამ უბანში გაზრდილი ბავშვია აჩიკო. მართლა გაუხარდათ...

**ძვირი სანახავი გახდაო, დაიჩივლა დედამ. ესმით, როგორ არ ესმით, რომ დრო აღარ რჩება, მაგრამ სახლის გზა დაავიწყდება, ასე თუ გაგრძელდაო: პირველი ოქტომბრის შემდეგ შინ არ ყოფილა. ბაღდადში ჩასულა ერთი-ორჯერ, მაიასთან შევიკრიბეთ (ბაღდადში ცხოვრობს), რომ გვენახაო.**

— რძალს ვურეკავ და ამბავს მისგან ვიგებ, მაგრამ ღამის 2 საათამდე სახლში რომ ვერ შედის, აბა, მითხარით...

— **წინადადებას ვერ ამთავრებს და ხელებსა შლის ცოტათი გულდაწყვეტილი ქალბატონი ლეილა. თუმცა აქვე ამატებს,** — ახლა წინა პლანზე, სოციალურზე უფრო, სამართლიანობისთვის ბრძოლაა წამოწეული.

**და ვიწყებთ დაუსრულებელ ლაპარაკს კონკრეტულ ფაქტებზე, როცა უსამართლოდ მსჯავრდებულნი ციხიდან გათავისუფლდნენ პროკურატურის ძალისხმევით, უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებაზე, ბიზნესმა თავისუფლად რომ ამოისუნთქა იმაზეც და ასე შემდეგ, ჩვენი შენიშვნებისა და სურვილების გულწრფელი დაფიქსირებით.**

## „ვაჟკაცობისას ამბობენ, ერთურთის დანდობისასა“

**— აფასებს სოფელი დროის მოტანილ სიახლეებს?**

— როგორ არა. თუმცა ცოტა გულდაწყვეტილები არიან, აჩიკო რომ არ არის დეპუტატი, ამის გამო. ვინ იქნება აწი ჩვენი მაჟორიტარი და აჩიკოსავით ვინ მოგვხედავსო!

— მაგრამ მაინც აჩიკოს იმედი აქვთ, — **ადასტურებს დაი მაია,** — ეამაყებათ აჩიკოს ბაღდათელობა. ეს გამოჩნდა იმ სამასამდე შეხვედრაზე, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში ჰქონდა. ასეა დღესაც.

მაგრამ ისეთი სიტუაციაც იყო, რომ შეხვედრა, რომელიც აჩიკოს სკოლის ეზოში უნდა გამართულიყო, არ შედგა, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით იქ არ შეუშვეს. რომ შეეშვათ, დირექტორსაც მოხსნიდნენ და მასწავლებლებსაც გაყრიდნენ.

ბაღდათში კლუბის კარი არ გაუხსნეს, ამიტომ სტადიონზე გაიმართა შეხვედრა და კიდევ კარგი, რადგან იმდენი ადამიანი მივიდა, რომ რვაასადგილიან კლუბში მაინც ვერ დაეტეოდა.

— რაც გასცა აჩიკომ, უკან სიკეთედ უბრუნდება, — **ამბობს ბატონი ვასილი.**

ჩვენი საუბრის მომდევნო მონაკვეთის მთავარი რესპონდენტია ქალბატონი ლეილა:

— მითითება ისწავლეთო, ჩემს ბავშვებს არ სჭირდებოდა, მხოლოდ — გაკონტროლება. სანამ არ მომეწონებოდა, როგორ ჰქონდათ ნასწავლი გაკვეთილები, არ მოვეშვებოდი.

**— აჩიკოს მედალზე ხომ არ დაუმთავრებია?**

— არა. იმ დროს მედალი რაიკომის მდივნების შვილებისთვის იყო განკუთვნილი. მამა სკოლის დირექტორი იყო, მაგრამ ნაჩუქარი ნიშნები რად გვინდოდა?! ჟურნალს რომ გადავხედავდი და აჩიკოსთვის ჩაწერილ ხუთიანს ვნახავდი, საგნის მასწავლებელს ვეკითხებოდი: ხუთიანი რომ უწერია, მისაღებ გამოცდაზე ოთხს მაინც მიიღებს? რად გვინდოდა ტყუილი ნიშანი?!

**— ეგ როდის?**

— დამამთავრებელ კლასში რომ იყო, 1989 წელს. ჩემს ხელშიც ხომ გაიარა, და იმდენს ვეკითხებოდი, მისი კლასელები მეუბნებოდნენ, ლეილა მასწავლებელო, კარგით რა, ეყოფაო. ჯერ ყველანაირად მინდოდა, ცოდნა რომ ჰქონოდა, მერე, ბავშვებს ვათქმევინებდი, ხუთიანი დაუმსახურებლად დაუწერაო?!

ყველაფერი კარგად აგიხდეთ, რა კარგადაც, სულ ხუთებზე ჩააბარა მისაღები გამოცდები იურიდიულ ფაკულტეტზე.

**— უნივერსიტეტის „კორუმპირებულ“ ფაკულტეტზე?**

— ახლა მაგაზე გეტყვით. ისეთი თავისუფალი თემა დაწერა ქართულის გამოცდაზე, რომ უნივერსიტეტის ვესტიბიულში იყო გამოფენილი.

ძალიან ბევრს კითხულობდა.

— შექსპირის ხუთტომეული გამოიცა მაშინ, — **იხსენებს მაია,** — გამოიტანდა აივანზე და კითხულობდა.

— კითხვა რომ უყვარდა, კარგი იყო, მაგრამ გაკვეთილები — პირველ რიგში! სამეცადინო ოთახში დაჯდებოდა განმარტოებით, ვასოს ოთახს ვეძახდით. შევიდოდი იმის სანახავად, თუ რას კითხულობდა. კითხვას როგორ დავუშლიდი, მაგრამ ჯერ გაკვეთილი უნდა ესწავლა!

ერთსაც ასწრებდა და მეორესაც.

სხვათა შორის — ფეხბურთის თამაშსაც. ძალიან უყვარდა ფეხბურთი. ახლაც უყვარს. ტელევიზორში ფეხბურთის გატაცებით რომ უყურებდა, რაიმეს დავავალებდი, აბა, როგორ მოიქცევა-მეთქი, დათმობს თუ არა ფეხბურთს? ადგებოდა. უჭირდა, მაგრამ მაინც ადგებოდა, დედის დავალებას შეასრულებდა აუცილებლად.

მკაცრად ვზრდიდი.

დამამთავრებელ კლასში რომ იყო, აქ მდინარე ჩამოდის — ხანის წყალი, არ ვუშვებდი, მეშინოდა, ცურვა არ იცოდა ბავშვმა.

**— ახლა იცის?**

— ახლა ისე იცის, მგონი, ზღვას გადაცურავს... მაშინ რომ მიმეშვა, ზოგიერთი თავისი ამხანაგივით „ბირჟაზე“ იდგებოდა.

**არმაზ სანებლიძე**

**ჯემალ კასრაძის** ფოტო



ეს ის ბუხარია, რომლის წინ მამა პატარა აჩიკოს ვაჟას პოემებს უკითხავდა

## კი ვატყობდი, მაგრამ ასე დამუხტული თუ იყო ხალხი, ასე თუ იყო ავსებული მისი მოთმინების ფიალა, მაინც ვერ წარმომედგინა. ხალხი დიდი ძალაა



ვენახის პატრონობა მამას აბარია

## «ბაღდათში კლუბის კარი არ გაუხსნეს, ამიტომ სტადიონზე გაიმართა შეხვედრა და კიდევ კარგი, რადგან იმდენი ადამიანი მივიდა, რომ რვაასადგილიან კლუბში მაინც ვერ დაეტეოდა»

**P.S. გამომშვიდობებისას არჩილ კბილაშვილის მშობლებს ვკითხე:**

**— რას უსურვებთ თქვენს ვაჟს?**

**— ბატონმა ბიძინამ აჩიკოს უთხრა: გავაადამიანუროთ პროკურატურაო. ამ შეთავაზების შესრულებას ვუსურვებთ.**



## «ირაკლი ალასანია საპრეზიდენტო კანდიდატურას ვერ ერგება»

**პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი კოალიცია „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას საპრეზიდენტო კანდიდატად ირაკლი ალასანიას დასახელების თაობაზე არც ადასტურებს და არც გამორიცხავს.**

როგორც მან სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, ყველა საქართველოს მოქალაქეს, მათ შორის ირაკლი ალასანიას, ყველაფრის უფლება აქვს.

**„მას თუ მოუნდება, აქვს უფლება, დაასახელოს საკუთარი კანდიდატურა, ოღონდ ფორმები უნდა დაიცვას სწორად. თუ მას კოალიციაში ყოფნა უნდა, შეეკითხოს კოალიციას, თუ წევრების აზრს არ იზიარებს, გამოდის და აკეთებს იმას, რისი სურვილიც აქვს. კოალიციაში ჩვენ ამის განხილვა არ დაგვიწყია. ჩემი აზრით, ირაკლი ალასანია ამ ეტალონს ვერ ერგება“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

## ივანიშვილი ალასანიასა და უგულავას ცოლის დუბაის ვიზიტზე ალაპარაკდა

**პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ირაკლი ალასანიას დუბაიში ვიზიტს „პატარა შეცდომად“ აფასებს.**

რაც შეეხება, დუბაის გარდა, ალასანიას საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში არაოფიციალური მოგზაურობების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, პრემიერის თქმით, არსებული კითხვების მოხსნის მიზნით, ის თავდაცვის მინისტრს მოსთხოვს, გამოაქვეყნოს, თუ ვის და როდის შეხვდა ბრიტანეთში.

„პალიტრა ტვ“-ს ინფორმაციით, პრემიერმა ისიც დასძინა, რომ ალასანია კოალიციის გუნდის წევრია და „ქართული ოცნებიდან“ მის გასვლასთან დაკავშირებით „არავითარი კითხვები არ ისმის“.

ბიძინა ივანიშვილს ირაკლი ალასანიას გიგი უგულავას მეუღლესთან ერთად მგზავრობაზე ჰკითხეს. პრემიერმა განმარტა, რომ იგი სხვის პირად ცხოვრებაში არ ერევა.

მეზღაპრე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მინდია გულუას წამებული ოპოზიციონერის სახელი უნდა გავარდნოდა, რომ მერე მისი ფსევდოოპოზიციური ქმედებები სარწმუნო ყოფილიყო, ხალხს მისი ნდობა ჰქონოდა, გაჰყოლოდა და რეალური ოპოზიციური ძალების ხმები გულუას პარტიას წაეღო.**



# მეზღაპრე პოლიტიკოსი და «მაშველი რგოლი» «ნაცმოძრაობისთვის»

**საქართველოში ქართველი მილიონერი, ბიზნესმენი და პოლიტიკოსი მინდია გულუა დაბრუნდა. კულუარული ინფორმაციით, გულუა აქტიურად აპირებს ქართულ პოლიტიკაში ჩაბმას. მას ხომ საკუთარი პარტიაც აქვს — „განახლებული საქართველოსთვის“, რომელიც 2011 წლის ზაფხულში დააფუძნა და რომლის მრჩეველიც არის საგარეო პოლიტიკის საკითხებში. თავად გულუა პარტიას სათავეში იმიტომ ვერ ჩაუდგა, რომ საქართველოს მოქალაქეც არ იყო და ვერც საქართველოში ჩამოდიოდა (არ უშვებდნენ). პარტიის დე იურე ლიდერი მისი და, ნანა გულუა, გახლავთ. სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში ამ პარტიის ყრილობა გაიმართება და მინდია გულუა ოფიციალურად გახდება მისი თავკაცი.**

## „მაშველი რგოლი“

პოლიტიკური კულუარების თანახმად, **მინდია გულუა ქართულ პოლიტიკაში დამოუკიდებელი ფიგურა, სავარაუდოდ, არასდროს ყოფილა და ამჟამადაც კონკრეტული პოლიტიკური ძალის დაკვეთას შეასრულებს. ეს პოლიტიკური ძალა კი, როგორც ვარაუდობენ, ამჯერადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა“.** საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ პროცესები იქითკენ მიდის, რომ მალე რამდენიმე არაპროდასავლური ორიენტაციის პარტია შეიქმნება საქართველოში. ეს ცხადია, საგრძნობლად შეცვლის პოლიტიკურ ბალანსს ქვეყანაში და განსაკუთრებით მძიმე დარტყმას პროამერიკულ „ნაციონალურ მოძრაობას“ მიაყენებს. გულუა სწორედ სააკაშვილისა და მისი გუნდის შეკვეთას შეასრულებს. მინდია გულუა შესანიშნავი საშუალებაა პრორუსი პოლიტიკური ძალების დაქსაქსვისთვის, მით უფრო, რომ მას, როგორც თავად აცხადებს, რუსეთის პოლიტიკურ ბომონდთანაც ნორმალური ურთიერთობა აქვს.

მინდია გულუა ქართული მედიით აცხადებდა, რომ მას დათა და ბაჩო ახალაიები ებრძოდნენ, ვანო მერაბიშვილთან კი ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა. მისი ეს განცხადება იქცა კობა დავითაშვილთან პოლიტიკური ალიანსის ჩაშლის მიზეზად — **დავითაშვილმა შეწყვიტა დაწყებული მოლაპარაკებები გულუასთან და მკაფიოდ განაცხადა, რომ კაცი, რომელსაც მერაბიშვილთან კარგი ურთიერთობა აქვს, ვერ იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ ოპოზიციონერი და სააკაშვილი-მერაბიშვილის რეჟიმთან ბრძოლაში პარტნიორად ვერ გამოადგებოდა.**

მინდია გულუა შემდეგ რეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ და მისმა მეუღლემ, ქორეოგრაფმა ლელა მაქაცარიამ ამხილეს. **დაადასტურეს, რომ სტამბულში მათ მინდია გულუამ განუცხადა — ჩვენი პარტიის მთავარი ამოცანა საპარლამენტო არჩევნებში ივანიშვილის პარტიისთვის ხმების გაყოფააო. აქედანაც ჩანს, როგორი გააფთრებითაც „ებრძოდა“ გულუა სააკაშვილის რეჟიმს, რასაც ის კარგა ხანს იბრალებდა.**

ქართულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მინდია გულუას ერეკლე კოდუასთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. კრასნოდარში, ერთ-ერთ რესტორანში გულუამ რუსეთში მცხოვრებ გავლენიან ქართველ ბიზნესმენებს უმასპინძლა, რომელთაც ქართულ პოლიტიკაში ამა თუ იმ ფორმით სურდათ ჩართვა. სწორედ ამ საკითხის განსახილველად ეწვივნენ ისინი გულუას კრასნოდარში. **შუა ლხინისას კი მასპინძელმა მათ „სიურპრიზი“ შესთავაზა — დარბაზში ძმები, ერეკლე და გიორგი კოდუები, გამოჩნდნენ და სუფრას მიუსხდნენ. გულუას სტუმრებმა პროტესტით დატოვეს რესტორანიც და კრასნოდარიც — აქ კოდუების სანახავად არ ჩამოვსულვართ და, ვინც კოდუებთან მეგობრობს, არც იმ კაცთან გვსურს საქმის დაჭერაო.** კულუარული ინფორმაციით, **მინდია გულუასა და ერეკლე კოდუა საერთო ნავთობკომპანიას ფლობენ, ბიზნესპარტნიორები არიან და დღესაც მშვენიერი ურთიერთობა აქვთ.**

მკითხველს უთუოდ ემახსოვრება წინასაარჩევნოდ, ირაკლი ალასანიას სკანდალური განცხადება: სამეგრელოს ტყეებში მიხეილ სააკაშვილი შეიარაღებულ ფორმირებებს აყალიბებს და მათ გამოყენებას, თუკი დასჭირდა და გაუჭირდა, საარჩევნოდ აპირებსო. მართალია, „ნაცმოძრაობის“ ლიდერებმა და მათ შორის, გიგა ბოკერიამ განაცხადეს, რომ ისინი ჩვეულებრივი რეზერვისტები იყვნენ, მაგრამ მედიასაშუალებებმა დადეს ფაქტები, რომლებიც ამ ვერსიას აბათილებდა. დადასტურდა ის ფაქტი, რომ „რეზერვისტთა“ უმეტესობას შს სამინისტროს სპეცრაზმელები, სამეგრელოს რაიონების კუდის თანამშრომლები შეადგენდნენ. მედიით ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ „რეზერვისტთა“ ერთ-ერთ ბანაკში „ტყის ძმების“ მეთაური დავით შენგელიაც იმყოფებოდა. იმავე დროს მედიით ისიც ითქვა, რომ **ვანო მერაბიშვილის სპეცსამსახურების მეშვეობით, მინდია გულუასა და დავით შენგელიას ფარული კავშირი ჰქონდათ და გულუა ტყის ძმებს აფინანსებდა.**

ახლა კი — იმის შესახებ, რაც არ თქმულა: **აფინანსებდა თუ არა გულუა კონკრეტულად შენგელიას არაფორმალურ სამხედრო დაჯგუფებას?** ძნელი სათქმელია, თუმცა, კულუარული ინფორმაციით, **მისთვის „საძულველი“ ძმების, დათა და ბაჩო ახალაიების, ხელით მინდია გულუა არც ძლვენს იშურებდა საქართველოს ხელისუფლების დიდჩინოსანთათვის. პრინციპში ძღვენია: ვანო მერაბიშვილს, როგორც ამბობენ, საკუთარი ინიციატივითა და ხარჯით, ჩხოროწყუს პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობა აუშენა, უფეშქაშა;**

**თავის „მოსისხლე მტერს“, იმხანად თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას კი 130000 დოლარად ღირებული „რენჯ როვერი“ აჩუქა.** აი, ასე — პოლიციის შენობის აშენებითა და ქვეყნის ყველაზე ცნობილი სადისტის დასაჩუქრებით „უპირისპირდებოდა“ ოპოზიციონერი ბიზნესმენი და შემდეგ პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილის პოლიციურ რეჟიმს.

შესაძლოა, საქმეში ჩახედულ მკითხველს მთელი რიგი შეკითხვები გაუჩნდეს: თუ მინდია გულუა სააკაშვილის ხელისუფლებასთან იყო შეკრული, 3 წლის მანძილზე რატომ არ დართეს ნება, საქართველოში ჩამოსულიყო? რატომ დაუყადაღეს საქართველოში რამდენიმე ფონდის ანგარიში? რატომ არ გაატარა ცესკომ რეგისტრაციაში მისი პარტია, რის შემდეგაც „განახლებულ საქართველოს“ არ მიეცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება? კონტროლის პალატამ რატომ დააჯარიმა „განახლებული საქართველოს“ 6 წევრი პარტიის ანგარიშზე გადარიცხული თანხის ათმაგი ოდენობით — ჯამში 650000 ლარით? კი, ლეგიტიმური კითხვებია, მაგრამ, რაც წაიკითხეთ და რასაც ქვემოთ მოგითხრობთ, იმის ფონზე, ერთადერთი პასუხი მაქვს: **მინდია გულუას წამებული ოპოზიციონერის სახელი უნდა გავარდნოდა, რომ მერე მისი ფსევდოოპოზიციური ქმედებები სარწმუნო ყოფილიყო, ხალხს მისი ნდობა ჰქონოდა, გაჰყოლოდა და რეალური ოპოზიციური ძალების ხმები გულუას პარტიას წაეღო.**

მაგრამ პოლიტიკური პროექტი „მინდია გულუა“ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჯეროვნად არ (ან ვერ) გამოიყენა. ყოფილმა ხელისუფლებამ ის პოლიტიკურ მინდორზე სათამაშოდ შემოუშვა, მაგრამ რიგიანად არ დატვირთა. რატომ? ეს, ალბათ, მინდია გულუამ და ვანო მერაბიშვილმა იციან.

## მეზღაპრე

**ძნელია მოიძებნოს ბიზნესმენი ან პოლიტიკოსი, რომლის სიტყვა და საქმე ისე იყოს ერთმანეთისგან დაშორებული, როგორც მინდია გულუასი. ამის დასტურად რამდენიმე ფაქტის მოხმობაც კმარა.**

2010 წლის 25 ოქტომბერს მინდია გულუამ საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად დააფუძნა ფონდი მსოფლიოს ქართველთა მოძრაობა საქართველოსთვის სახელწოდებით „მზე შინა და მზე გარეთა“. ფონდის იურიდიული მისამართიც კი საპატრიარქოსი იყო — ერეკლეს მოედანი №2. მისი მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში არსებული მონასტრების რესტავრაცია და ახალი მონასტრების აშენება. ამ ფონდის ეგიდით მინდია გულუამ 2 ეკლესიის მშენებლობა დაიწყო — სამების საკათედრო ტაძარში სვიმონ კანანელის სახელობის მონასტრისა და ჩხოროწყუს ეკლესიისა. ჩხოროწყუში მშენებლობა ბოლომდე კი მიიყვანა, თუმცა შუა მშენებლობის დროს, **დაფუძნებიდან 7 თვის შემდეგ, საპატრიარქომ ფონდი დატოვა. ეს მეუფე შიოს გადაწყვეტილებით მოხდა. ოფიციალური ვერსიით, საპატრიარქომ იმიტომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რომ გულუა ეკლესიის სახელის გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისთვის აპირებდა.** ის უკვე პოლიტიკაში მოდიოდა, თან როგორც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მხარდამჭერი და მისი ფავორიტი. **მეუფე შიომაც ეს განაცხადა — ფონდი პოლიტიკურ ელფერს იძენს და საპატრიარქომ ამიტომაც დატოვაო.** მინდია გულუა თავს იმით იმართლებდა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ აძლევდა ნებას, ფონდს საქმიანობა გაეგრძელებინა. ფონდის ანგარიში მართლა დააყადაღეს, მაგრამ გულუას მხრიდან ნათლად და გასაგებად არაფერი თქმულა საპატრიარქოს გადაწყვეტილებაზე, დაეტოვებინა ფონდი. ერთ-ერთი ვერსიით, გულუას პარტნიორობაზე კიდევ 2 მიზეზით თქვა უარი საპატრიარქომ: **1. მინდია გულუა ითხოვდა საპატრიარქოსგან, მისი სახელით ეწარმოებინა მოლაპარაკებები რუსეთში, რაზედაც საპატრიარქომ უარი განაცხადა, 2. საპატრიარქოს წარმომადგენლებს გაუჩნდათ ეჭვი ეკლესიების მშენებლობისას დახარჯული თანხების საეჭვო წარმომავლობის, მათ შორის, ე. წ. შავი ფულის გათეთრების შესახებ.** კულუარული ინფორმაციით, სხვათა შორის, ამ დროისთვის გულუას საპატრიარქოს სოლიდური ფინანსური დავალიანება გააჩნია.

შარშან მინდია გულუას პარტიამ „განახლებული საქართველოსთვის“ 2 თვით ადრე დააანონსა, რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში 100000-კაციან აქციას მართავდა, რომელიც ქართველთა, აფხაზთა და ოსთა შერიგების დღედ გამოცხადდებოდა. ეს გულუას წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილიც იყო, რომლის მთავარი მიზანიც სამეგრელოში ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობის გულების (ხმების) მონადირება იყო. შეკრების დღეც გამოცხადდა — 12 მაისი. აქციაზე ათასიოდე კაცი მოაგროვეს. **გულუა აცხადებდა, რომ მას სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა შეუშალეს ხელი, ხალხი დააშინეს და აქციაზე წასვლა აუკრძალეს. რეალურად კი სამეგრელოს კუდის რეგიონული სამსახურის თანამშრომლებს საკუთარი ავტომანქანებით მიჰყავდათ ხალხი აქციაზე.** ამ შეკრებას სპეცსამსახურების უამრავი თანამშრომელი და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებიც დაესწრნენ, მაგრამ გულუას ბენეფისი მაინც ვერ შედგა.

**მინდია გულუამ, როცა „დევნილთა კონგრესი“ შექმნა, განაცხადა, რომ კონგრესთან შეიქმნებოდა მრავალმილიონიანი ფონდი და ეს უზარმაზარი თანხები დევნილთა პრობლემების გადაჭრას მოხმარდებოდა,** ხოლო პირველ შენატანს, 50 მილიონ დოლარს, თავად გადარიცხავდა. სიტყვა სიტყვად დარჩა.

მინდია გულუას პარტიას „განახლებული საქართველოსთვის“ ცესკომ უარი უთხრა რეგისტრაციაზე. ამის შემდეგ **ბალათურიას დაჰპირდა, რომ მთელ საარჩევნო კამპანიას დააფინანსებდა, თუ გაერთიანდებოდნენ, შეთანხმდნენ და ამის მერე დაიწყო ტყუილების წვიმა მინდია გულუასგან.** 2012 წლის 2 სექტემბერს **მინდია გულუამ განაცხადა, რომ ერთდროულად აპირებდა „თელასის“, „ყაზტრანსგაზისა“ და „თბილისის წყლის“ საკონტროლო პაკეტების შეძენას.**

სათავისოდ როცა დაიგულებდა ამ კომპანიებს, გულუა ხალხს უპრეცედენტოდ დაბალ გადასახადებს დაჰპირდა ელენერგიასა და გაზზე, ხოლო წყალი უფასოდ გექნებათო. ხალხს იმასაც შეჰპირდა, რომ ყველა კომუნალურ დავალიანებას ჩამოაწერდა. გულუას ეს ნათქვამი მეორე დღეს ჯონდი ბაღათურიამ ბრიფინგით გაამყარა. თუმცა ყველა სახტად დარჩა, როცა „თელასის“, „ყაზტრანსგაზისა“ და „თბილისის წყლის“ წარმომადგენლებმა ერთნაირი განცხადებები გააკეთეს — კომპანიების წილების გაყიდვას არ ვაპირებთ, ჩვენთვის ამის თაობაზე არც არავის მოუმართავს, მინდია გულუა კი რა ხილია, საერთოდ არ ვიცითო. ჰო, აქვე გულუას კიდევ ერთი წინასაარჩევნო ტყუილი გავიხსენოთ. **წარბი არ შეუხრია, ისე თქვა, თითქოს „საქართველოს რკინიგზის“ 25%-ის შეძენას აპირებდა და ამის თაობაზე თბილისის მერთან, გიგი უგულავასთან, მოლაპარაკება უკვე დაწყებული ჰქონდა.** თბილისის მერიამ სპეციალური განცხადება გაავრცელა, — ჩვენთვის არავის მოუმართავს „საქართველოს რკინიგზის“ შეძენის სურვილითო.

საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ **მინდია გულუამ საკუთარი დის, „განახლებული საქართველოს“ თავმჯდომარის, ნანა გულუას, საარჩევნო კამპანიაც კი არ დააფინანსა, რომელიც ჩხოროწყუს რაიონში მაჟორიტარად იყრიდა კენჭს.**

ჯერ სადა ხართ! **გულუამ განაცხადა: მე შევქმნი „ქართული ოჯახების გადარჩენის ფონდს“, რომელიც მოიზიდავს 2 მილიარდ ლარს. ეს ფონდი საქართველოს ყველა იმ მოქალაქის უძრავ ქონებას გამოისყიდის, რომელთაც ის ბანკებში აქვთ ჩადებულიო.** გულუას ეს დაპირებაც დაპირებად დარჩა.

ამ მილიარდებთან რა მოსატანია, მაგრამ მაინც ვიტყვი: რეჟისორი ლევან ანჯაფარიძე ადანაშაულებს მინდია გულუას — აფხაზეთზე ფილმის გადაღება შემიკვეთა, სცენარიც დაწერილი მქონდა და ბოლოს ფილმის გადასაღები ფული არ მომცაო. ანჯაფარიძე ირწმუნება, რომ გულუამ ის 60000 დოლარში „გადააგდო“.

**ლევან ჯავახიშვილი**

**პოლიტიკური პროექტი «მინდია გულუა» „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჯეროვნად არ (ან ვერ) გამოიყენა. ყოფილმა ხელისუფლებამ ის პოლიტიკურ მინდორზე სათამაშოდ შემოუშვა, მაგრამ რიგიანად არ დატვირთა. რატომ? ეს, ალბათ, მინდია გულუამ და ვანო მერაბიშვილმა იციან...**

**„ძალიან საწყენია, რომ ისეთი სუფთა წარსულის მქონე, შემართული, პატრიოტი მამულიშვილი, როგორიცაა ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, საქართველოში არ იმყოფება და მას არავინ ექახის. სამწუხაროდ, მე მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ვარ აქტიური მკითხველი მისი პუბლიცისტური, პოლიტიკურ-ანალიტიკური მასალებისა; იგი მეცენატიც არის, მეცნიერიც და პოლიტიკოსიც. ასეთი პიროვნება ბარე ორი არ მეგულება საქართველოში.“**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### ვახუშტი ფარცვანია:

# უკეთესის მოლოდინში უარესი მივიღეთ!

**ამ დღეებში ზუგდიდში პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარდა, რასაც ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. კონფერენცია თითქმის დახურულ ვითარებაში წარიმართა, მასზე დასწრების უფლება არ მისცეს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ აქტივისტს, ფილოსოფიის დოქტორს, პროფესორ ვახუშტი ფარცვანიას. დღეს ის ჩვენი გაზეთის სტუმარია და თავის მოსაზრებებს გვიზიარებს.**

**— ბატონო ვახუშტი, „ქართული ოცნების“ პარტიული კონფერენცია, შეიძლება ითქვას, კონსპირაციულად ჩატარდა. მას არ ესწრებოდა ბევრი აქტივისტი. თბილისის ცენტრალური ოფისიდან არ ჩამოსულა არც ერთი წარმომადგენელი. თქვენ რატომ არ შეგიშვეს კონფერენციაზე?**

— ეს კონფერენცია კი არა, მარაზმის კულმინაცია იყო. დასცინიან კომუნისტებს, ვერტიკალური პრინციპით ნიშნავდნენ კადრებსო, მაგრამ ისინი ღირსეულ კადრებს მაინც არჩევდნენ. მე შემთხვევით გავიგე, რომ ზუგდიდში დანიშნული იყო „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი კონფერენცია. გამიკვირდა, ასე საიდუმლოდ რატომ ტარდებოდა. ვიფიქრე, ალბათ, ვერ მოასწრეს ჩემი გაფრთხილება-მეთქი, ამიტომაც საგანგებოდ მოვემზადე, მაგრამ ჩემთვის არამარტო არ იყო გამოწერილი მანდატი, არამედ საერთოდ სიაშიც არ ვიყავი. პატარა წვლილი მაინც ხომ მიმიძღოდა, სტუმრის სტატუსით რომ ვყოფილიყავი ამ კონფერენციაზე. ასე რომ, ლამაზად გამომაპანღურეს კონფერენციიდან. გამოდის ვინმე ერთი უსახელო ქალბატონი და ამბობს: კუმ ფეხი გამოყოო და ვილაცები მოვიდნენო, ახლა უნდათ პარტიაში გაწევრიანებაო. ეს ჩემს თავზე მივიღე. უსირცხვილო ხალხის ბოდვებია ეს. გავიგე, რომ თბილისში დაუნიშნავთ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თვალის ასახვევად მაინც წამოეყენებინათ რამდენიმე კანდიდატი. **ზუგდიდის შეურაცხყოფაა, რომ წინასწარ დანიშნული პიროვნება დასვეს „ქართული ოცნების“ ადგილობრივ ხელმძღვანელად. ეს არის უზნეობა, ხალხის აბუჩად აგდება.** მე ეს დანიშნული პიროვნება, ლაშა გოგოხია, საერთოდ არ მინახავს ზუგდიდში, არც წინასაარჩევნო და არც შემდგომ პერიოდში. თბილისიდანაც არავინ ინება ჩამობრძანება. ასე რომ, სამეგრელოში, როგორც სრულიად საქართველოში, არ შეცვლილა ვითარება. უკეთესის მოლოდინში მივიღეთ უარესი. სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. პოლიტიკა და სირცხვილი სინონიმები გახდა.

**— ბატონო ვახუშტი, როგორ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ ცვლილებები არ განხორციელებულა?**

— ბატონი ბიძინას მოსვლა პოლიტიკაში ძალიან გამეხარდა. ისე, რომ მთელი ღამეები არ მიძინია და მზად ვიყავი მასთან თანამშრომლობაზე. არაფერი მინდოდა, კარისკაცად დადგომას ვითხოვდი, ოღონდ ქვეყანას დასდგომოდა საშველი. შევუთვალე რამდენიმეჯერ, რომ დიდი სურვილი მქონდა მასთან საუბრისა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ თეორიულ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. 27-ჯერ ჩავედი „ქართული ოცნების“ ოფისში და ბატონ ბიძინას რეზიდენციასთან მივედი, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, 27-ჯერვე გამომიჯახუნეს კარი, თანაც უნდა აღვნიშნო, რომ ფიზიკური შრომით მოპოვებული ფინანსური სახსრებით 27-ჯერ თბილისში წასვლა-წამოსვლა, მოგეხსენებათ, რა ხარჯებს უკავშირდება. თანაც საგულისხმოა ისიც, რომ არ მეუბნებოდნენ, რატომ არ უნდოდათ ჩვენი შეხვედრა.

**— მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც გაწევრიანდით „ქართულ ოცნებაში“, რატომ?**

— დიახ, მაინც მივიღე ეს გადაწყვეტილება. ჯერ გავწევრიანდი საზოგადოებრივ მოძრაობაში თბილისში, ხოლო პარტიაში — ზუგდიდში. არასოდეს ვყოფილვარ არც ერთი პარტიის წევრი, გარდა „ქართული ოცნებისა“. ამ ღვთისნიერ კაცს, ბიძინა ივანიშვილს, დავუდექი გვერდით სამშობლოს სიყვარულის გამო.

**— არსებობს მოსაზრება, რომ ბიძინა ივანიშვილი განაწყენებულია სამეგრელოზე, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები წააგო სამეგრელოში. თქვენ აქტიურად იყავით ჩართული წინასაარჩევნო პროცესში. რამ განაპირობა „ქართული ოცნების“ მარცხი სამეგრელოში?**

— მე უშუალოდ მომსწრე ვიყავი ზუგდიდში მიმდინარე საშინელი პროცესებისა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იქნებიან თუ ოფისის თანამშრომლები ზუგდიდში, 98% მიუღებელი იყო საზოგადოებისთვის. მე მივმართავ ბატონ ბიძინას თხოვნით: ყველა ის პირი დაიბაროს, რომელთაც ანდო საკადრო პოლიტიკა. ეს იყო „ქართული ოცნების“ მიზანმიმართული დისკრედიტაცია. ღირსეული სახეები, ავტორიტეტული ადამიანები კოალიციაში წარმოდგენილნი არ იყვნენ. **წინა პლანზე იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ყოველთვის გამოირჩეოდნენ ამბიციურობით და ყველა ხელისუფლებაში ინტრიგების ხლართვით იყვნენ დაკავებულნი.**

ამის შესახებ მე თქვენს გაზეთში ადრეც ვწერდი, მაგრამ ჩემი რჩევა ყურად არავინ იღო. ამიტომაც იმას, რასაც სამეგრელოზე ამბობენ, სირცხვილი სამეგრელოს ამომრჩევლებსო, ახალაიას და მისთანებს მისცეს ხმაო, არ ვეთანხმები. ისეთი სიტუაცია იყო „ქართული ოცნების“ მხრიდან, მე არ გამკვირვებია, რომ ჯალათებმა გაიმარჯვეს სამეგრელოში. ფაქტობრივად, არავის უმუშავნია, ღირსეული ადამიანები სახლებში ისხდნენ, დღეს კი ხალხი იფიურთხება და იმედი აქვს გადაწურული.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ყველა ფაქტი, რაც ხდება; არ ჩანს ის მერცხალი, იმ იმედის ნაპერწკალი, რომელიც მოგვათმენინებდა არსებულ ვითარებას. ზუგდიდში გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი დაინიშნა კანონის სრული დარღვევით. მე შევიტანე განცხადება ზუგდიდში გამგებლის თანამდებობის დასაკავებლად, რომელიც კონკურსის წესით უნდა აირჩეს. ძალიან მაინტერესებს, ვინ დამიპირისპირდება.

## «ისეთი სიტუაცია იყო «ქართული ოცნების» მხრიდან, მე არ გამკვირვებია, რომ ჯალათებმა გაიმარჯვეს სამეგრელოში»

**— ბატონო ვახუშტი, რამდენად არის მომგებიანი ქვეყნის პირველი პირებისთვის ისეთი რეგიონის იგნორირება, როგორიც სამეგრელოა?**

— მე ვერ დავიჯერებ, რომ ბატონი ბიძინა სამეგრელოს იგნორირებას უკეთებს, თუმცა დანაპირები ჯერ არ შეუსრულებია – პირველად სამეგრელოს ვეწვევიო. **რამდენიმეჯერ მითქვამს: კონფლიქტისპირა, ფრონტისპირა რეგიონს, როგორიც სამეგრელოა, უდიდესი და განსაკუთრებული როლი და მისია აკისრია და მისი იგნორირებით საქართველოში ვერასოდეს გამოსწორდება პოლიტიკური თუ ეკონომიკური სიტუაცია.** ჩემი აზრით, სამოქალაქო ჯგუფს უნდა ჰყავდეს თავისი საპრეზიდენტო და სამთავრობო კანდიდატები, ყველას უნდა ჰყავდეს თავისი გუნდი წარმოდგენილი, მაგრამ ჩვენთან, პარტიის გარდა, არავის აქვს უფლება, წამოაყენოს კანდიდატები ამა თუ იმ პოსტზე. სამოქალაქო სექტორი ჩაკლულია ჩვენთან.

**— ბატონო ვახუშტი, რა გვეშველება, სადაა გამოსავალი?**

— თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო ბატონ ბიძინა ივანიშვილს: ღირსეულო მამულიშვილო, მე თქვენ არაერთხელ მოგმართეთ. ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი დაგიდგებათ გვერდით, ოღონდ თქვენ შექმენით მექანიზმი, გამოავლინოთ ეს სახეები. ჩააჩოჩეთ უწიგნურნი, ილიას თქმისა არ იყოს: „ყველა ყრუი და ყველა ცრუი“. **სირცხვილია, რომ სამეგრელოში, დადიანების კუთხეში, უწიგნური ხალხი ბოგინობდეს. სირცხვილია, როცა კატები ყეფენ და ძაღლები დადუმებულნი არიან და ძალიან მწყინს, რომ თქვენი იმიჯი ილახება სამეგრელოში.** ბატონო ბიძინა, ერთი ანთებული ლამპარი ათიათასობით სანთელს აკიაფებს. **რაც უფრო მეტ ღირსეულ ადამიანს შემოიკრებთ, უფრო წაადგება ქვეყნის მომავალს.**

და ბოლოს, მინდა დავამატო: **ძალიან საწყენია, რომ ისეთი სუფთა წარსულის მქონე, შემართული, პატრიოტი მამულიშვილი, როგორიცაა ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, არ არის ჩართული ამ პროცესებში, რომელთა მოგვარების და რეგიონში „ნაციონალების“ ალაგმვის თვალსაზრისით, მას მართლაც ბევრის გაკეთება შეუძლია. მე მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ მისი პოტენციალი როგორც კონფლიქტურ რეგიონებთან, ასევე საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში ახალმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გამოიყენოს.**

ესაუბრა **ლადო ქირია**, ზუგდიდი

# ზუგდიდელები თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ

**ამ ბოლო დროს ზუგდიდში განვითარებული მოვლენები, რაც გამოიხატება „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების „ჩახუტებაში“, ზუგდიდელთა აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს. ისინი განსაკუთრებით მას შემდეგ აღშფოთდნენ, რაც „ქართული ოცნების“ პარტიული კონფერენცია პარტიზანულ, კონსპირაციულ ვითარებაში ჩატარდა და იქ მისვლისა და დასწრების უფლება ბევრ პიროვნებას, რომელნიც აქტიურად ებრძოდნენ „ნაცებს“, არ მიეცათ. ზუგდიდელები იმაზეც ამახვილებდნენ ყურადღებას, რომ იგნორირებულნი არიან საზოგადოების ავტორიტეტული პროფესიონალი ადამიანები და ასპარეზი დაეთმოთ მედროვეებსა და არაპროფესიონალებს.**

**თორნიკე ხუბუა**: — ზუგდიდში არსებულ ვითარებაზე შეიძლება ითქვას, „ბედაურები გადაშენდნენ და ვირებს შერჩათ მოედანიო“. არც თბილისი ინტერესდება ჩვენთან არსებული ვითარებით. ისეთ რაიონში, როგორიც ზუგდიდია, მმართველი პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე თბილისიდან „ქართული ოცნების“ არც ერთი წარმომადგენელი არ ჩამობრძანებულა და პირდაპირ, ვერტიკალური წესით, დაგვისვეს აქ თავმჯდომარედ პიროვნება, რომელიც ზუგდიდში არავის უნახავს და არავინ იცნობს.

**დავა მეუნარგია:** — ჩვენ იმისთვის არ გვიბრძოლია, რომ ზუგდიდში ასეთი გარიგებები წარმართულიყო „ოცნებისტებსა“ და „ნაცისტებს“ შორის და ებოგინათ ისეთ პიროვნებებს, რომელთაც არანაირი ავტორიტეტი და დამსახურება არ მიუძღვით საზოგადოების წინაშე. „უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო“ სწორედ ზუგდიდში არსებულ მდგომარეობაზეა ნათქვამი. ის, რაც ხდება ზუგდიდში, თითოეული ჩვენგანის შეურაცხყოფაა.

**სოსო ლაგვილავა:** — ყველა პარტიის უფლებაა, თვითონ განსაზღვროს და აირჩიოს საკუთარი კანდიდატი, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს გამჭვირვალედ. საზოგადოებისთვის სულერთი არ არის, თუ როგორი პიროვნებები ჩაანაცვლებენ „ნაცების“ კადრებს. **საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილისგან მალულად, ფარულად, ვიღაც-ვიღაცები იღებენ არასწორ გადაწყვეტილებებს.** საზოგადოება ითხოვს, სანამ ჯერ გვიან არ არის, ფაქიზად და სინდისიერად მიუდგეთ ამ საქმეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრება იმათ, ვინც ღალატობს ქვეყნის ხელისუფალთ.

**სოსო ბეჭვაია:** — მე „ქართულ ოცნებას“ ვედექი მხარში. სხვებისგან კი ვიგებ, რომ „ქართული ოცნების“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარედ აურჩევიათ ისეთი პიროვნება, რომელიც უცნობია ზუგდიდის საზოგადოებისთვის. როგორც გაირკვა, ეს პიროვნება ყოფილა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური წევრი, კუდის ყოფილი თანამშრომელი, რომელიც ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების დარბევასა და დაპატიმრებაში არის მხილებული. **თუ ასე გაგრძელდა საქართველოს მასშტაბით, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ მივიღებთ „ნაციონალებ 2“-ს და, თუ ასე განვითარდა მოვლენები, საქართველოში შეიძლება მოხდეს დაპირისპირება და ქაოსი, მერე გვიან იქნება თითზე კბენანი.**

**ბესიკ ადამია**: — მე ვიყავი „ქართული ოცნების“ კოორდინატორი ინგირის ზონაში, გამომყავდა ხალხი აქციებზე, თავი მქონდა გადადებული და კოორდინატორებზე ხელფასები ჯერ კიდევ არ არის დარიგებული. **ზუგდიდში ისე ჩატარდა პარტიული კონფერენცია და ისე აირჩიეს თავმჯდომარე და დელეგატები, ჩემისთანა ერთგული ადამიანებისთვის არც შეუტყობინებიათ. ზუგდიდში არაფერი შეცვლილა უკეთესობისკენ. პირიქით — უარესობაა, რადგან „ნაციონალები“ თავიან კადრებს ნიშნავენ „ქართული ოცნების“ სახელით. დროა, ხმა ამოვიღოთ, მეტის მოთმენა არ შეიძლება.**

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

თვალსაზრისი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიხეილ სააკაშვილის „ხელმწიფობის“ დროს დემოკრატია მოეთხოვებოდა მხოლოდ ხალხს, მაგრამ კეთილდღეობას „ნაცმოძრაობის“ ნომენკლატურა ეუფლებოდა პრინციპით: „დემოკრატია — უმრავლესობას, კეთილდღეობა — უმცირესობას“.**



# «ოკეანედალეულების» «საყმაწვილო სენი», რატომ არ შეიძლება დემოკრატიის «სესხება»

**თუ ამერიკელ ისტორიკოსს, პროფესორ სტივენ კოენს დავეთანხმებით, „გარდაქმნა — ეს ახლის საძიებლად მოგზაურობაა“, დავინახავთ, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდის საქართველოში „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური კლასი და მისი „ბელადები“ მთლიანად სხვა ქვეყნების გამოცდილების ტყვეობაში აღმოჩნდნენ.**

ახლის საძიებლად მოგზაურობამ საქართველო ცხრა წელი ახეტიალა დასავლეთში, აღმოსავლეთსა და აზიაში. ვაშინგტონი, დუბაი და სინგაპური გახდა ის მაცდუნებელი სიტყვები, რომელთა გაგონებაზე ახალგაზრდა „ოკეანედალეულები“ უსიტყვოდ ხრიდნენ თავს და „ხბოს აღტაცებით“ ჰპირდებოდნენ დემოკრატიისა და ეკონომიკის „ოქროს მთების“ აშენებას საქართველოს მოსახლეობას.

**თუ ისევ ს. კოენს გავიხსენებთ: სხვა ქვეყნიდან დემოკრატიის „სესხება“ შეუძლებელია ორი მიზეზის გამო, ჯერ ერთი, ვერავითარი პოლიტიკური სისტემა ვერც ერთ სახელმწიფოში სტაბილური ვერ იქნება, თუ ის ამ ქვეყანაში მის ნიადაგზე არ იშვა, როგორც საკუთარი პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგი.**

მეორე, მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელიც დიქტატურიდან დემოკრატიაზე უმტკივნეულოდ გადასულიყო. ამრიგად, **საქართველომ საკუთარი გზა უნდა აირჩიოს, თავისი ტიპის დემოკრატიას მიაგნოს და უბრალოდ, არავისგან არაფერი ისესხოს.**

უდავოა, ყველა ტიპის დემოკრატიას რაღაც საერთო აქვს. მითუმეტეს, ნებისმიერ ქვეყანაში დემოკრატიულობის სტაბილურობას განსაზღვრავს შემდეგი გარემოებები:

**პოლიტიკური კულტურა** — შეთანხმება პოლიტიკური თამაშის წესებზე, გამარჯვებულებისა და დამარცხებულების მხრიდან;

**კანონის მმართველობა** — სამართლებრივი სახელმწიფო;

**სამართლებრივი კულტურა** — მართლშეგნება.

საქართველოში ამ ინსტიტუტების ერთობლიობა ვერ შედგა და, შესაბამისად, სისტემად ვერ ჩამოყალიბდა. იგნორირებული აღმოჩნდა დემოკრატიული რეჟიმის წესები. მაგ.: ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობამ და ხელისუფლებიდან ედუარდ შევარდნაძის სახელმწიფო გადატრიალებით ჩამოცილებამ დაარღვია საზოგადოების სტაბილურობა.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომელიც მშვიდობიანი სახელმწიფო გადატრიალების, ანუ პარლამენტის „გარეკვის“ გზით მოვიდა ქვეყნის სათავეში, დემოკრატიის კომპონენტების „იმპორტირება“, ანუ „ყიდვა“ მოინდომა. მით უმეტეს, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საკუთარი შესაძლებლობებით ვერ შეძლებდნენ დემოკრატიის პრინციპების რეალურ აღიარებას, განვითარებასა და სრულყოფას.

**„ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ბირთვისთვის შეუცნობელი დარჩა ის ფაქტი, რომ ამერიკელებმა არაერთხელ სცადეს, „დემოკრატიისთვის ბრძოლის“ დროშით, უხეში ძალის გამოყენებით, სხვა ქვეყნებისთვის თავს მოეხვიათ თავისი გამოცდილება, მაგრამ ამ გზით ვერსად დამკვიდრდა ამერიკული დემოკრატია.**

უდავოა, ქართული დემოკრატია უნდა ფლობდეს დემოკრატიისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებს, მაგრამ რეალობა გვკარნახობს, ჩამოყალიბდეს ქართული დემოკრატიის ტიპი, მისი კონკრეტული ფორმებითა და თავისებურებებით, რომელიც გამოთავისუფლებული იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიის პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური „ეშმაკობებისა“ თუ სიმახინჯეებისგან, რომელიც ასე უხვად იყო ჩაწნული სააკაშვილის რეჟიმის პოლიტიკურ თაიგულში.

**შევარდნაძის მმართველობით დამძიმებულ საქართველოში ადვილი არ იყო პოლიტიკური სახისმეტყველების შეცვლა, თუმცა ეს პროცესი „ნაციონალური მოძრაობის“ „მესიტყვემ“ და მისმა გუნდმა თავისებური, გამუდმებული მოგზაურობა-ვიოაჟებით დაიწყო და დაემგვანა უკომპრომისო გემს, რომელიც გავიდა გაშლილ ზღვაში, მაგრამ უცნობი იყო, როდის მიაღწევდა სასურველ ნაპირს.**



## საქართველომ საკუთარი გზა უნდა აირჩიოს, თავისი ტიპის დემოკრატიას მიაგნოს და უბრალოდ, არავისგან არაფერი ისესხოს

**„ნაციონალურ მოძრაობას“ რეალური სტრატეგიული კურსი არ ჰქონდა. სწორედ ამ კურსის უქონლობამ გამოიწვია ის, რომ ცხრა წლის მანძილზე საქართველო ვერც ნატოში გაწევრიანდა, ვერც ევროკავშირში შევიდა და ვერც რუსეთ-საქართველოს ომი აიცდინა თავიდან.**

ახალი თაობის ამ პოლიტიკური ჯგუფისთვის გაუგებარი დარჩა, რომ დემოკრატია და საყოველთაო კეთილდღეობა სხვადასხვა კატეგორიაა. მაგალითად, აშშ-ში მეტია დემოკრატია, მაგრამ ნაკლებია „საყოველთაო კეთილდღეობა“: გარკვეულ პერიოდში, საბჭოთა კავშირი იყო „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“, თავისი ძლიერი სოციალური სისტემით. საბჭოეთის კონსტიტუცია გამოირჩეოდა დემოკრატიულობის მაღალი ხარისხით, მაგრამ პრაქტიკულად იგი არ სრულდებოდა.

„ვარდოსნებს“ მიზნად არ დაუსახავთ დემოკრატიისა და კეთილდღეობის შერწყმაზე ზრუნვა პრინციპით „ჯერ დემოკრატია, შემდეგ — კეთილდღეობა“, ან კეთილდღეობა გაეხადათ დაინტერესების უპირველეს საგნად და შემდგომში დაეწყოთ დემოკრატიის განვითარება.

**ახალი ხელისუფლების ლიდერების უმრავლესობა განუკურნებელი „საყმაწვილო სენით“ დაავადდა. მათი გამუდმებული სიცრუე, სიჯიუტე და ავადმყოფური ახირებანი იქცა ვირტუალურ მირაჟად, რომელმაც ცხრაწლიანი „ნისლიანი“, „წვიმიანი“ და „სისხლიანი“ წლები არგუნა საქართველოს.**

ქართველი „ოკეანედალეულების“ ეს ნაკადი თავს იწონებდა დემოკრატიის პარადიგმებით, სინამდვილეში კი საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდა და თანდათანობით უცხოვდებოდა საზოგადოებისგან.

დემოკრატიისა და კეთილდღეობის პრობლემის გადაწყვეტის ერთიანი მზა რეცეპტი მსოფლიოში არ არსებობს და ყველა საკუთარ გზას ირჩევს. საქართველოში გარდაქმნების თუ რეფორმების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო.

**2003 წლის ნოემბრიდან გარდაქმნების მოთავეები გახდნენ ქართველი „ხუნვეიბინები“, რომლებმაც ბრძოლა გაუმართეს ყოველგვარ ძველს, მათ შორის, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, მეცნიერებს, მწერლებს, კულტუროსნებს და სხვებს.** გამოაცხადეს ისინი ე.წ. ჩარეცხილებად, „ნაციონალური მოძრაობის“ „ახალ აზროვნებასთან“ შეუთავსებლობის გამო.

**თუ ახლო წარსულის საქართველოში ზვიად გამსახურდიას მმართველობა თავისუფლებიდან და კეთილდღეობიდან აპირებდა დემოკრატიისკენ თანდათანობით სვლას, ედუარდ შევარდნაძის ეპოქა ნულოვანი ვარიანტით ხასიათდებოდა. მიხეილ სააკაშვილის „ხელმწიფობის“ დროს დემოკრატია მოეთხოვებოდა მხოლოდ ხალხს, მაგრამ „კეთილდღეობას“ „ნაცმოძრაობის“ ნომენკლატურა ეუფლებოდა პრინციპით: „დემოკრატია — უმრავლესობას, კეთილდღეობა — უმცირესობას“.**

ოც წელზე მეტი გავიდა, რაც საქართველოში გარდაქმნა ფართო და პოპულარულ ცნებად იქცა და მას საზოგადოების ყველა ფენამ გამოუცხადა მხარდაჭერა, როგორც ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებას, მაგრამ **გარდაქმნის განმსაზღვრელი კომპონენტები — საჯაროობა, დემოკრატიზაცია, დეცენტრალიზაცია და საბაზრო რეფორმა ყოფილმა ხელისუფლებამ ხალხისთვის ერთიანად მისაღები ვერ გახადა.**

ამერიკელებისგან განსხვავებით, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროებში სახელმწიფო ძალაუფლების ჩარევას ზღუდავენ, „ნაციონალური“ ხელისუფლების „მამებმა“ გარდაქმნის ოთხივე კომპონენტი საკუთარი ძალაუფლების განვრცობის ჩარჩოში მოაქციეს.

მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურების პრაქტიკაში ძნელია იპოვო სააკაშვილის ქმედების მსგავსი მაგალითი, როდესაც სიცრუე, დემაგოგია და პიარკამპანიები, მოულოდნელად მიღებული უსამართლო გადაწყვეტილებები, ინფორმაციების გადაუმოწმებლობა, ადამიანების აბუჩად აგდება, დაუმსახურებელი გაკილვა და ა. შ. პრეზიდენტის საკვანძო საქმიანობა ხდებოდა, თუმცა მ. სააკაშვილი უაღრესად გულუხვი იყო მისი ფავორიტების მიმართ და ამის დამამტკიცებელი არაერთი ფაქტი არსებობს.

სამწუხაროდ, ხელისუფლების მთლიანად პოლიტიკურ ნებაზე დამოკიდებული, ეკონომიკური გარდაქმნები ვერ შედგა და, თუ გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის, კლიუჩევსკის, ფრაზას გადავაკეთებთ, **საქართველოს ისტორიის ცხრაწლიან მონაკვეთში „ხელისუფლება გასუქდა, ხალხი კი დასუსტდა“.**

ხელისუფლება თანმიმდევრულად ახორციელებდა განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის, თეატრებისა და სხვა სფეროების პოლიტიზირებას. მიმდინარეობდა სტუდენტების გადაბირებისა და მათზე ზემოქმედების პროცესი. იმავე დროს, **„ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები ღებულობდნენ გრანტებს, სხვადასხვა პრემიას, ფინანსურ დახმარებებს, საჩუქრებს.** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სა-

თვალსაზრისი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფოს მეთაური, რომელიც საკუთარ მთავრობას და პარლამენტს ასე გულმოდგინედ და მიზანმიმართულად ლანძღავდეს გარე სამყაროში. სწორედ ეს არის სამშობლოს ღალატი, ხელფანდურობა და არაქართველობა. ქვეყნის პრეზიდენტი თავის წარსულს ასე არ უნდა ემშვიდობებოდეს.

ბჭოები აუქმებდნენ ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილ სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებს, თუმცა მფარველობდნენ ხელისუფლების მხარდამჭერ უმაღლეს დაწესებულებებს.

„ნაციონალური მოძრაობა" მფარველობდა და ფინანსურ დახმარებას უწევდა გაზეთ „24 საათს", ჟურნალ „ტაბულას", „საზოგადოებრივ მაუწყებელს", „რუსთავი 2-ს", „იმედს", „კავკასიას" და სხვ. **სასოფლო-სამეურნეო სასწავლო ინსტიტუტის კომპლექსი, ფაქტობრივად, საჩუქრად გადაეცა საზოგადოებაში უაღრესად დაბალი რეიტინგის მქონე პირს — კახა ბენდუქიძეს, რომელსაც ეკუთვნის ფრაზა: „საქართველოში, სინდისის გარდა, ყველაფერი უნდა გაიყიდოს", თუმცა ხელისუფლებამ ქართულ მიწაწყალთან ერთად სინდისიც გაყიდა და ქართული ღირებულებებიც.**

უდავოა, ყოველივე ამან და ერისთვის მიუღებელმა სხვა ქმედებებმა მკვეთრად უარყოფითი როლი შეასრულა ქვეყანაში ვოლუნტარიზმის, ადამიანის უფლებათა დარღვევის, პატიმართა არაადამიანური წამებისა და სხვა მოვლენების დამკვიდრებაში და ხელი შეუწყო **სააკაშვილის პიროვნების კულტად ჩამოყალიბების** პროცესს.

საბოლოოდ, **2012 წლისთვის, საქართველოში ჩამოყალიბდა „ნაციონალური მოძრაობის" ნომენკლატურა, ე. წ. მონოლითური სახელისუფლო წრე, ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფენა, რომელთა ხელში აღმოჩნდა ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სადავეები.** ფაქტობრივად, სახელმწიფომ დაიმორჩილა საქართველოს საბაზრო სექტორი და ვერ მოხერხდა საზოგადოების დაცვა ხელისუფლების ფრთებზე დასკუპებული თვითნება ადამიანებისგან.

ახალი დავით აღმაშენებლის ტოლი სახელის მოპოვების იდეაფიქსით შეპყრობილი ქვეყნის პრეზიდენტი ისე გაიტაცა ქუთაისურ-ბათუმურმა და სხვა ვოიაჟებმა, რომ საქართველოს დედაქალაქი ახალი „აღმოსაჩენი" გახდა. **მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ქვეყნის მფლობელთა, მეფეთა თუ იმპერატორთა, პრეზიდენტთა თუ პრემიერთა, დიქტატორთა თუ დემოკრატთა მმართველობის ასეთი სტილი — გამუდმებული ტყუილები და გამუდმებული პიარმოგზაურობანი ხმელეთზე, ზღვებსა და ცაში.**

ახლო წარსულის საქართველოს ხელისუფლების მეთაურებისთვის ყოველთვის „აქილევსის ქუსლად" რჩებოდა საკადრო პოლიტიკა. ამ „სენისგან" ნ. ჟორდანია, ზ. გამსახურდია და ე. შევარდნაძეც ვერ განთავისუფლდნენ, მაგრამ მ. სააკაშვილის საკადრო შეცდომებმა მარაზმის ხასიათი მიიღო. **კადრების შერჩევის პრინციპი გახდა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის" უსიტყვო ერთგულება.** პრეზიდენტი და მისი ახლო გარემოცვა სხვადასხვა თანამდებობას „ურიგებდნენ" გაურკვეველი ან შეუფერებელი პროფესიის ადამიანებს, რომლებსაც „ზემოდან" ეძლეოდათ განკარგულება, „ჩართულიყვნენ" სხვადასხვა საკადრო, საფინანსო და ელიტარულ კორუფციულ გარიგებაში, **შემუშავდა „კაპიტალის შოვნის" თავისებური მექანიზმი, რომელიც საკმაოდ მყარი იყო და ითვალისწინებდა საქართველოში რამდენიმე ათეული ოჯახის ფინანსურ გაძლიერებას, მათივე კლანური, სახელისუფლო მმართველობის მუდმივად დამკვიდრების მიზნით. ამ სქემაში ბევრი არაქართული წარმოშობის ოჯახი მონაწილეობდა და ხელისუფლების დიდი მხარდაჭერითაც სარგებლობდა.**

**„ნაციონალური მოძრაობის" იდეოლოგიაში თანდათანობით გაქრა ეროვნულ-პატრიოტული ცნობიერების გამომხატველი ლექსიკა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საქართველო თავისი ცნობიერებით და ახალი არქიტექტურული სახით ყალიბდებოდა მრავალფეროვან, თავისი თავისებურებებისგან მკვეთრად განსხვავებულ კუნძულად, რომელსაც ჰყავდა ერთგული „ფეოდალებითა" და „შინაყმებით" გარშემორტყმული ერთი თავნება და ცრუ დიქტატორი — მეპატრონე, რომელიც ცდილობდა, საქართველო კავკასიაში გადაექცია „ამერიკის სადგისად რუსეთის საჯდომში".**

საკადრო მანიპულაციები პარლამენტსაც შეეხო. „ნაციონალური მოძრაობა" შეეცადა, შეემუშავებინა არა ქვეყნის, არამედ „ნაციონალური მოძრაობის" კონსტიტუცია, მითუმეტეს, მის ხელში იყო მთავრობა და სასამართლო ხელისუფლება. ამ მიზნით ჩამოყალიბდა წერა-კითხვის მცირედ მცოდნე ან ნაკლებად განათლებული საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც მოკლებული არ იყო „ელიტარულ კეთილდღეობას".

პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის" სხვა „გმირების" მიერ საკანონმდებლო ორგანოებში „გამწესებულმა" პარლამენტარებმა ვერაფერი სასახელო ვერ შესძინეს ქართული პარლამენტარიზმის ისტორიას, პირიქით, „დიდ სირცხვილად" მოევლინენ პარლამენტს და კიდევ უფრო მეტად მოჭრეს თავი „ნაციონალურ მოძრაობას" და ამ „სასიამოვნო" საქმეს დღესაც აგრძელებენ.

სამწუხაროდ, ნაციონალურ უმცირესობაში მოყოლილი ხუთ ათეულზე მეტი ძველი „ნათელი სახე": **დ. დარჩიაშვილი, მ. მაჭავარიანი, გ. გაბაშვილი, ა. მინაშვილი, პ. ცისკარიშვილი, გ. წერეთელი, გ. ბარამიძე, ა. ბობოხიძე, ნ. წიკლაური, გ. კანდელაკი** და მათ მიმხრობილი ახალი „ოქტომბრელ-პიონერები": **ზ. ჯაფარიძე, გ. ვაშაძე, დ. საყვარლიძე, მ. საჯაია, თ. ბოკუჩავა, ი. ნადირაშვილი, ს. რატიანი...** კვლავ დიდი შემართებით ებრძვიან „ქარის წისქვილებს" და **„ვერაფერი ისწავლეს და ვერაფერი დაივიწყეს".**

**მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფოს მეთაური, რომელიც საკუთარ მთავრობას და პარლამენტს ასე გულმოდგინედ და მიზანმიმართულად ლანძღავდეს გარე სამყაროში. სწორედ ეს არის სამშობლოს ღალატი, ხელფანდურობა და არაქართველობა.** ქვეყნის პრეზიდენტი თავის წარსულს ასე არ უნდა ემშვიდობებოდეს. რაც შეეხება უცხოელ, „საჩუქრებისა" და „კეთილდღეობის" მოყვარულ „ნაციონალური მოძრაობის" ცალკეულ მხარდამჭერებს, არა მგონია, მათმა „ყეფამ" „ქართული ოცნების" დიდი ქარავანი შეაჩეროს. დამარცხებულს პოლიტიკურ საფლავში არავინ ჩაჰყვება.

საინტერესოა, რომელ „ღობეზე მიხტუნაობენ" ახლა მედროვე **ბუბა კიკაბიძე, მიხეილ თავხელიძე,** მგოსნად წოდებული **დეფი გოგიბედაშვილი,** გაურკვეველი განათლების მქონე **თეა თუთბერიძე, გიგა ნასარიძე, ლევან რამიშვილი, გია ნოდია** და სხვები.

მსოფლიო ძალაუფლების ისტორია იცნობს „სამეულების" თუ „ხუთეულების" კოლექტიურ მმართველობას. ეს სინდრომი ახასიათებდა საბჭოეთის ბოლშევიკურ-კომუნისტურ რეჟიმსაც. **2003 წლის ნოემბრიდან საქართველოში კვლავ „გაცოცხლდნენ" თანამედროვე „სამეულები" და „ხუთეულები". „ნაციონალური მოძრაობის" „დიდი სამეული" — მ. სააკაშვილი, ზ. ადეიშვილი, ვ. მერაბიშვილი — წარმოადგენდა „ნაციონალური მოძრაობის" მთავარ ორგანიზაციულ ბირთვს,** რომელიც გეგმავდა ყველა პოლიტიკურ და სამართლებრივ გადაწყვეტილებას, რომლებიც შემდგომში ცნობილი ხდებოდა „ხუთეულისთვისაც". **მათ კაბინეტებში იგეგმებოდა ყველა „სიკეთე" თუ ბოროტება. როგორც ფაუსტი არჩევდა ჯოჯოხეთისთვის მსახურად უსწრაფეს სულებს, ისე შეძლო მ. სააკაშვილმა, ფაუსტის მსგავსად, ბევრი პრეტენდენტიდან ის სული შეერჩია, რომელსაც უნარი ჰქონდა, უსწრაფესად გადასულიყო სიკეთიდან ბოროტებაში. ეს მსახური კი, არც მეტი, არც ნაკლები, ზურაბ ადეიშვილი იყო. მართალი იყო დიდი ეპოპეის — „ასერგასის დღის" ავტორი მიხეილ კვესელავა, როდესაც წერდა, რომ „გერმანელი ნაცისტების ბოროტებას საზღვარი არ ჰქონდა". როგორც ჩანს, ქართველი „ნაცების" ბოროტებაც უსაზღვროა.**

ბოლო ცხრა წლის მანძილზე საქართველოში გაბატონებულმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სამართლებრივმა „ჟამიანობამ", საშინელმა რეპრესიებმა, კლანურმა ეკონომიკურმა იდეოლოგიამ და არაადამიანურმა სადამსჯელო სისტემამ, ხელისუფლების მიერ პროვოცირებულმა რუსეთ-საქართველოს ომმა და სხვა ნეგატივებმა მთლიანად გააშიშვლა „ნაციონალური მოძრაობის" საქმიანობა, რაც ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად დაედო საპარლამენტო არჩევნებში მათ დამარცხებას. ამ მიმართულებით საზოგადოების ერთ მუშტად შეკვრის საქმეში აქტიური როლი ითამაშეს ოპოზიციურმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, არასამთავრობო სტრუქტურებმა და სახალხო მოძრაობებმა. მათ შორის იყვნენ: „დემოკრატიული მოძრაობა", „სახალხო კრება", „თავისუფალი დემოკრატები", „კონსერვატორები", „მრეწველები", „ქართული დასი".

„ნაციონალური მოძრაობის" რეჟიმის წინააღმდეგ გაბედულად იბრძოდნენ ოპოზიციური ტელეარხები და პრესა. **„ობიექტივი", „კავკასია", „მაესტრო", „მეცხრე არხი", „ასავალ-დასავალი", „ქრონიკა", „ალია", „საქართველო და მსოფლიო", „საქართველოს რესპუბლიკა", „რეზონანსი", „ახალი თაობა", „ჯორჯიან თაიმსი", „ვერსია", „ახალი 7 დღე", „საერთო გაზეთი", „ილორი"** და სხვა გამოცემები.

„ნაციონალური მოძრაობის" ცხრაწლიან მძიმე „ჟამიანობას" გაემიჯნენ ქართველი მწერლები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები: **ჭაბუა ამირეჯიბი, რევაზ მიშველაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ამაშუკელი, თამაზ წივწივაძე, სოსო სიგუა, რეზო ჩხეიძე, მერაბ ბერძენიშვილი, ვახტანგ დავითაია, გურამ ფირცხალავა, ნინელი ჭანკვეტაძე, ვანო კილურაძე, ელიზბარ ჯაველიძე, ლელიკო ჯაფარიძე** და სხვ.

**როდესაც ქვეყნის წინაშე მწვავედ დადგა ეროვნული თვითმყოფადობისა და ცნობიერების გადარჩენის საკითხი, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა ცნობილი ბიზნესმენი, მეცენატი ბიძინა ივანიშვილი,** რომელმაც შეძლო ერის ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანება ერთი საერთო მიზნისთვის — საქართველოს გადასარჩენად. კოალიცია „ქართული ოცნება" გახდა ის ძალა, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა საპარლამენტო არჩევნებში.

**კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" იტვირთა ქვეყნის გადარჩენისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ურთულესი საქმე. მან უარი თქვა მოხმარებაზე ორიენტირებულ ყალბ იდეოლოგიასა და ავტორიტარიზმზე დაფუძნებულ კოლექტიურ კაპიტალიზმზე, მხარს უჭერს საშუალო კლასის — ეროვნული ბურჟუაზიის შექმნას. ბ. ივანიშვილის გუნდისთვის მისაღებია პრინციპი: „ლიბერალური ეკონომიკა და სოციალური სოლიდარობა".**

ახალი ხელისუფლების პოლიტიკურ კლასს მოუწევს, გარდაქმნას მეცნიერებისა და განათლების არსებული სისტემა, მოახდინოს პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაცია, მიაღწიოს ეროვნულ თანხმობასა და კონსოლიდაციას, იბრძოლოს სრული დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითდამკვიდრებისთვის, ცალსახად არ მიებას ამერიკულ, რუსულ და ევროპულ სამყაროს, მიაღწიოს სამართლის აღსრულებასა და რეალურ დამნაშავეთა დასჯას. მითუმეტეს, ქრისტიანული იდეოლოგია მოგვიწოდებს, **„ვისაც ტყვედ მიჰყავს სხვა, თვითონაც ტყვედ წაიყვანება, ვინც მახვილით კლავს, თვითონაც მახვილითვე განიგმირება".**

ცნობილია, რომ პოლიტიკური სივრცე სიცარიელეს ვერ ეგუება და, შესაბამისად, უნდა არსებობდეს ოპოზიცია და ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს სხვადასხვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგომი ბანკების თანამშრომლობის კულტურა.

ახლა ძნელია, დაბეჯითებით ვამტკიცოთ, როგორი ტიპის პარტია ჩამოყალიბდება ჩვენთან მომავალში, საპარლამენტო რესპუბლიკის არსებობის პირობებში. მით უმეტეს, პარტიებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ საკუთარი დანიშნულება და კონკრეტული ფუნქციები.

**პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება" დღეს ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე გუნდია, რომლის მთავარი მესაჭე ბიძინა ივანიშვილია.**

მისი სახით ქვეყანას დღეს ჰყავს ეროვნული, სახელმწიფო და პოლიტიკური მესიტყვე, რომელიც არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი პოლიტიკური კლასის წინამძღოლს ან რომელიმე ჯგუფის ინტერესების გამომხატველ ლიდერს. **ის საქართველოს მთელი მოსახლეობის საერთო ინტერესების დამცველი მოღვაწეა.**

უდავოა, ქვეყანაში ამოქმედდა ცვლილებათა მექანიზმი, რომელმაც დემოკრატიული და რეალური რეფორმები შეუქცევადი უნდა გახადოს. მაგრამ რამდენ რეფორმას უნდა გაუძლოს ხალხმა?

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ჩვენ ამ კითხვას ასე ვუპასუხებთ: **2012 წლის 1 ოქტომბრიდან ქვეყნის სათავეში მოვიდა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება", რომელიც ჰგავს თვითმფრინავს, რომელიც აფრინდა და იცის, სად უნდა დაფრინდეს, განსხვავებით „ნაციონალური მოძრაობის" იმ თვითმფრინავისგან, რომელიც აფრინდა, მაგრამ ცაში დაეხეტებოდა და არ იცოდა, სად უნდა დაშვებულიყო.**

**იგორ კვესელავა,**
საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგობრივი აკადემიის პრეზიდენტი



**2012 წლის 1 ოქტომბრიდან ქვეყნის სათავეში მოვიდა პოლიტიკური კოალიცია «ქართული ოცნება», რომელიც ჰგავს თვითმფრინავს, რომელიც აფრინდა და იცის, სად უნდა დაფრინდეს, განსხვავებით «ნაციონალური მოძრაობის» იმ თვითმფრინავისგან, რომელიც აფრინდა, მაგრამ ცაში დაეხეტებოდა და არ იცოდა, სად უნდა დაშვებულიყო**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მართლმადიდებლობის წინააღმდეგ შეტევის მცდელობა არის გალაშქრება არა მარტო რელიგიის წინააღმდეგ, არამედ ისეთი მართლმადიდებელი ერების წინააღმდეგ, როგორიც ქართველი და რუსი ერები არიან, მათი რწმენის, მათი თავისთავადობის წინააღმდეგ მიმართული ომია.**



# «ცისფერი კაცუნები» და საინფორმაციო ომი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ





**ცნობილია, რომ რელიგიური ომები უძველესი და კარგად შესწავლილი ფენომენია. დაუნდობლობა და უკომპრომისობა მათი მთავარი ნიშანია.**
**ასე იყო 30-წლიანი ომის დროსაც და ერთდღიან ომშიც, როცა 1572 წლის 24 აგვისტოს ღამეს ცივილიზებულმა ევროპელებმა — კათოლიკებმა და პროტესტანტებმა ერთმანეთი ისეთი ოდენობით დახოცეს, რამაც რუსეთის მეფის — ივანე მრისხანეს ზეობის პერიოდის მსხვერპლთა რაოდენობას დიდად გადააჭარბა.**

## „ინფორმაციული უზრუნველყოფის“ საზღვრები

ამ ომებს ყოველთვის თან სდევდა „ინფორმაციული უზრუნველყოფა“, რომელიც უძველეს დროში ზეპირი კომუნიკაციებით ვრცელდებოდა, დღეს კი გლობალური საინფორმაციო საშუალებებით არის კოლოსალურად გაძლიერებული.

ხოლო თვით ტერმინი „პროპაგანდა“ დღევანდელი გაგებით გაჩნდა რომის პაპის, გრიგოლ XV-ის, ხელდასმით 1622 წელს შექმნილი რწმენის პროპაგანდის კონგრეგაციის წყალობით, რომელიც კათოლიციზმის ინფორმაციული ომების მთავარ იარაღად იქცა.

**2012 წლის ზაფხული წარმოგვიდგა, როგორც XXI საუკუნის მართლმადიდებლობის წინააღმდეგ უპრეცედენტო გლობალური ინფორმაციული ომის დასაწყისი. უწინ ჩვენს სარწმუნოებას ცივი იარაღით თავს ესხმოდნენ მაგისტრები და მეფენი, დღეს დასავლეთის უდიდესი მედიამანქანა ამხედრდა მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ.**

ანალიტიკოსები ამ თემას რომ ეხებიან, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დარაზმულობა და საინფორმაციო შტურმის ვექტორის ერთიანი მიმართულება შეინიშნებოდა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში: 1999 წელს იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს აგრესიის დროს, ლიბიასა და სირიაში ცნობილი მოვლენების განვითარების პერიოდში. ამ საინფორმაციო ომს ახასიათებდა მსგავსი თემების სინქრონული შემოგდება, მათთვის საინტერესო საკითხების ინფორმაციის სათაურებში გამოტანა, არასაჭირო მასალების მიჩქმალვა და „ჩაძირვა“ და, არ გაგიკვირდეთ, სტილის ერთიანობა, ახალი ენობრივი კონსტრუქციების დანერგვა. ამ მიმართულების **მნიშვნელოვანი მექანიზმი იყო, პროტესტანტულ ჭრილში ერთმანეთისგან განეცალკევებინათ რწმენა და ეკლესია.** მაგრამ მართლმადიდებლობა არც პროტესტანტიზმია, არც ნეოპროტესტანტიზმი, რადგან ეკლესია რწმენის არსშია ჩაწნული და მათი განცალკევება არის რწმენისთვის დარტყმის მიყენების მცდელობა.

**2009 წელს „ჩაძირეს“ ისეთი ინფორმაციები, როგორიც იყო ნიუ იორკში ადამიანის სხეულის ნაწილებით მოვაჭრე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის დაპატიმრება, რომელშიც ებრაელი რაბინები მონაწილეობდნენ; როგორიც იყო 7 წლის განმავლობაში ანგლიკანური ეკლესიის მსოფლიოში უდიდესი მედიაჰოლდინგის News-corp-ის აქციონერობის დადასტურება. ნიშანდობლივია, რომ ეს ჰოლდინგი აქტიურად მხარს უჭერდა აშშ-ისა და მისი მოკავშირეების გლობალურ ომებს.**

დასავლური მასმედიის ტენდენციურობა ეკლესიათა ფინანსური შესაძლებლობების შეფასებაშიც გამოჩნდა. მათ საკითხთა-საკითხად აიტაცეს **რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის** ფინანსური აქტივები, რომელთა ოდენობა **2,3 მილიარდი რუბლია** (ნახეთ, რა მდიდარია!), ამ დროს კი **ანგლიკანური ეკლესიის** მმართველობის ხელშია **10 მილიარდი ევრო, ვატიკანი კი 12 მილიარდ ევროს** განაგებს.

რელიგიური ინფორმაციული ომის ტრადიციული დამახასიათებელი ნიშანია ციტირების დამახინჯება, პროპაგანდისტული მიზნით სახარებისეული წინადადების კონტექსტიდან ამოგლეჯა. პატრიარქ კირილის ინტრონიზაციის თაობაზე გამოქვეყნებულ მასალებში ხშირად იმეორებდნენ ერთ წინადადებას მათეს სახარების იგავიდან: **„უთხრა მათ იესომ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მებაჟეები და მეძავენი თქვენზე წინ მიდიან ღმერთის სასუფეველში“** ***(მათ. 21,31).*** გაგრძელებას კი, იგნორირებდნენ, არადა, მომდევნო ლექსში გახსნილია ამ წინადადების არსი, ლოგიკური დასასრული: **„ვინაიდან მოვიდა თქვენთან იოანე სიმართლის გზით და არ ირწმუნეთ იგი, ხოლო მებაჟეებმა და მეძავებმა ირწმუნეს იგი, თქვენ კი იხილეთ ეს და არ მოინანიეთ შემდეგ, რომ გერწმუნათ იგი“** (*მათ. 21,32*). მაშასადამე, დამახინჯებულად წარმოუდგინეს მორწმუნეთა მასას ამ იგავის ჭეშმარიტი არსი, რომ მხოლოდ მაშინ, თუ შენს ცოდვას გაითვითცნობიერებ და მოინანიებ, შეიძლება შეგიწყალოს ღმერთმა.

მართლმადიდებლობაში ეკლესია, როგორც სხეული ღმერთის, არის უცოდველი. ცოდვილები შეიძლება იყვნენ ღვთის ცალკეული მსახურნი. მორწმუნენი ცოდვების მიტევებას ეკლესიის მეშვეობით ცდილობენ, მაგრამ არავითარ

**საკითხთა-საკითხად აიტაცეს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ფინანსური აქტივები, რომელთა ოდენობა 2,3 მილიარდი რუბლია (ნახეთ, რა მდიდარია!), ამ დროს კი ანგლიკანური ეკლესიის მმართველობის ხელშია 10 მილიარდი ევრო, ვატიკანი კი 12 მილიარდ ევროს განაგებს**

შემთხვევაში არ ილტვიან მის შესაცვლელად. **პრობლემებში გარკვევა, რომლებიც მართლმადიდებლობაში არსებობს, მრევლსა და ღვთისმსახურთ თავად შეუძლიათ სხვა რელიგიების წარმომადგენელთა და ათეისტების ჩაურევლად.** ცნობილია, რომ რელიგიის წარმოდგენის მცდელობა, როგორც არააქტუალური, ვადაამოწურული და გაცვეთილი მოძღვრების, ხალხის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომის მნიშვნელოვანი მექანიზმია. **მართლმადიდებლობის წინააღმდეგ შეტევის მცდელობა არის გალაშქრება არა მარტო რელიგიის წინააღმდეგ, არამედ ისეთი მართლმადიდებელი ერების წინააღმდეგ, როგორიც ქართველი და რუსი ერები არიან, მათი რწმენის, მათი თავისთავადობის წინააღმდეგ მიმართული ომია.**

მაგრამ ისტორიულად ცნობილია, რომ, რაც უფრო მეტად ავიწროებდნენ მართლმადიდებლობას, მით უფრო ძლიერდებოდა იგი.

რელიგიაში არ შეიძლება არსებობდეს პლურალიზმი. თეოლოგები დარწმუნებით ამბობენ, რომ სხვა კონფესიების წარმომადგენლებს სჯერათ, რომ მხოლოდ მათი რწმენაა სწორი, ხოლო სხვისი რწმენა მცდარია. ჩვენ შეგვიძლია ვიკამათოთ ერთმანეთის რელიგიების შესახებ, კეთილსინდისიერად შევისწავლოთ და კრიტიკულად გავაანალიზოთ ისინი, მაგრამ ადამიანურ ურთიერთობათა კულტურა, საკუთარი ღირსების გრძნობა ნებას არ გვაძლევს, სხვისი რწმენის შეურაცხყოფამდე დავეცეთ, უცერემონიოდ განვსაჯოთ რელიგიური პრობლემები.

**სწორედ ისინი, ვინც შეურაცხყოფენ რელიგიებს, უარყოფენ ადამიანების სინდისის თავისუფლებას — ილოცონ იქ, სადაც სურთ, უბიძგებენ საზოგადოებას შუა საუკუნეების ობსკურანტივიზმისკენ და რელიგიური ომებისკენ.**

## „ცისფერი კაცუნების“ ხუნტრუცი

**სპეციალისტების საერთო აზრია, რომ „ცისფერი კაცუნები“, რომლებმაც ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში შეაღწიეს, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართული ომის ერთ-ერთი ახალი ტექნოლოგიის გამოვლინებაა.**

სამწუხაროა, რომ ამ ფრონტზე ჩვენი ქართული ეკლესია ისევე აქტიურად არ იბრძვის ამ ორიენტაციაშეცვლილთა წინააღმდეგ და იმ ღვთისმსახურთა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ეკლესიის გახლეჩას, როგორც უკრაინის ეკლესიის წმინდა სინოდი. უკრაინის იერარქებმა „დესტრუქციული ქმედებისა და უღირსი ქცევისა და ცხოვრების წესის გამო“ 2012 წელს, წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, ყველა თანამდებობიდან გაათავისუფლა და წმინდა სინოდის მუდმივი წევრობიდან განდევნა ერთ-ერთი მღვდელმთავარი (დრაბინკო).

თუ ვინმეს უჩნდება შეკითხვა, რა ძალაა ის, რომელიც მართლმადიდებლობას ებრძვის, ყველა მორწმუნე უპასუხებს, რომ ეს ძალა ეშმაკია. მას ძალუძს, ყველა საქმე ისე შეატრიალოს, თითქოს თავად არც არსებობს, ყველაფერი თავისით ხდება და „საუკეთესო სურვილებითაა“ ნაკარნახევი ან „მკაცრი აუცილებლობის“ შედეგია.

**ორი ათასწლეულია, რაც რელიგიური ომი მიმდინარეობს, მაგრამ ქრისტეს სიტყვა თავისი ეკლესიის შესახებ არ შერყეულა „და ჯოჯოხეთის კარიბჭემ ვერა სძლია იგი“.**

---

# კონკურს «სექს-იდიოტის» გამარჯვებული სასქესო ორგანოზე 54 კრაზანის ნაკბენის გამო გარდაიცვალა

**აშშ-ის ექსტრემალური შეგრძნებების მოყვარულთა ინტერნეტასოციაციამ ყოველწლიური კონკურსის, „სექს-იდიოტის“, გამარჯვებული უკვე მეხუთედ აირჩია.**

გამარჯვებული, როგორც ყველა ძველი ნომინანტი, ამჯერადაც გარდაცვლილია. 35 წლის შვედი ფერმერი მაგნუს შტოლებერგის გვამი მისი ფერმის უკანა ეზოში იპოვეს.

მთელი სხეული კრაზანების ნაკბენით იყო დაფარული. ექიმებმა ჯამში 146 ნაკბენი დათვალეს, მათგან – 54 სასქესო ორგანოზე. ფერმერი კრაზანების შხამისგან ისეთი გასიებული იყო, რომ მეზობლებმა ძლივს იცნეს.

სხეულის გაკვეთის შედეგად პათოლოგოანატომებმა შოკისმომგვრელი დასკვნა გააკეთეს: შვედი კრაზანების ბუდესთან სექსუალური კავშირის დამყარების შედეგად გარდაიცვალა. პოლიციელებმა კრაზანების სკაში შტოლებერგის თმა, თითების ანაბეჭდები, ხოლო მკვდარ ფუტკრებზე ფერმერის სპერმის კვალი აღმოაჩინეს.

**„სექს-იდიოტი-2012“-ის რეიტინგში მეორე ადგილზე ბრიტანელი გოგონა გავიდა, რომელიც დენის დარტყმისგან გარდაიცვალა. ის ჯაკუზში წოლისას ელექტრომასაჟორით ორგაზმის მიღწევას ცდილობდა.**

მესამე ადგილზე გავიდა ფრანგი ალპინისტების დუეტი. მათ საძილე ტომარაში სექსი ჰქონდათ, როდესაც მთიდან დაგორდნენ.

**ხომ არ ჯობია, გარკვეული პერიოდით საერთოდ შეჩერდეს დაკავებები, სანამ არ ჩატარდება სასამართლო რეფორმა?! რაც უფრო მეტ შეცდომას და პასიურობას გამოიჩენს მთავრობაც და საზოგადოებაც, მით უფრო შეუწყობს ხელს სააკაშვილს და „ნაციონალებს“ პარაზიტულ „ცხოვრებასა და საზრდოობაში“.**

თვალსაჩინო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პარაზიტები

**დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა პრეზიდენტის ვადის საკითხი. ამის შესახებ ბევრს საუბრობენ და წერენ. ფაქტია, რომ 2010 წელს მიხეილ სააკაშვილის პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვითაც შავით თეთრზე დაფიქსირდა, რომ პრეზიდენტს თავის პოსტზე ყოფნა შეუძლია არც მეტი, არც ნაკლები 5 წელი და 9 თვე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მომდევნო არჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილება ძალაში შევა ინაუგურაციის შემდეგ, გამოდის თითქმის 6 წლით განუსაზღვრიათ სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადა. იმ პერიოდში საზოგადოების უარყოფითმა რეაქციამ გავლენა ვერ მოახდინა ამ „დემოკრატიულ“ გადაწყვეტილებაზე. სამწუხაროა, რომ მაშინ რატომღაც არ აღშფოთებულან ჩვენი უცხოელი მეგობრები. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ სააკაშვილმა საზოგადოების აზრის იგნორირებითა და დასავლელ მეგობართა უშფოთველობის გამო უფრო თამამად განაგრძო „ცხოვრება და საზრდოობა“ .**



საერთოდ არ შევეხებოდი ჩვენი ზოგიერთი უცხოელი პარტნიორის უშფოთველობის თემას, რომ არა ერთი აღმოჩენა. მათ მყისიერი აღშფოთებები დაეწყოთ მხოლოდ ამ ბოლო 2-3 თვის განმავლობაში, საქართველოში ახალი ხელისუფლების მმართველობის პირობებში. ძირითადი აღშფოთების საგანი არის პოლიტიკურ და თანამდებობის პირთა დაკავებები. დარწმუნებული ვარ, გამოვხატავ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის განწყობას და ავუხსნი მათ, რომ ეს, უბრალოდ, პოლიტიკური თანამდებობის პირების დაპატიმრებები კი არ არის, არამედ ჩვეულებრივ კრიმინალთან ბრძოლაა. ისე, კარგი იქნებოდა, მათ „აღშფოთების“ კვალი დაეტოვებინათ ბევრად უფრო ადრე უამრავ ძალადობაზე, მკვლელობაზე, დაშინებაზე, ქონების ხელყოფაზე, დამოუკიდებელი მედიის დახურვა-წართმევაზე, გაყალბებულ არჩევნებზე და სხვ. დარწმუნებული ვარ, ბევრად ადრე სათანადოდ რომ აღშფოთებულიყვნენ, შეიძლება სააკაშვილი „ცოცხების რეჟიმამდე“ არც მისულიყო.

**არ ვიქნები ობიექტური, აქვე რომ არ აღვნიშნო: რომ არა აშშ და დასავლეთის უშუალო ჩარევა, 1 ოქტომბრის ღამე ისე მშვიდად არ ჩაივლიდა. „ხაშური“ მონაგონი იქნებოდა!**

რატომღაც საქართველოში ბევრს ეგონა, რომ კოაბიტაციის რეჟიმში სააკაშვილი უფრო მეტ გონიერებას გამოავლენდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი შეჩერება და ნორმალურ „განედზე“ დაბრუნება შეუძლებელი იქნება. ცოტა ხნის წინ, სტასბურგიდან პირდაპირი ჩართვის დროს, გადავწყვიტე, დამეთვალა სააკაშვილის ტყუილები. ერთ ტყუილს მეორე მოჰყვა, შემდეგ — მესამე, მეოთხე... იმდენჯერ იცრუა, რომ სათვალავი ამერია. ტყუილები იქეთ იყოს, მაგრამ საყურადღებოა, რომ მის განზრახ „აბდაუბდაში“ თითოეული ფრაზა რაღაც სამომავლო გეგმისთვის არის გამიზნული. **სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მას ისევ შეუძლია ბევრი რამ გააფუჭოს და დიდი ზიანი მიაყენოს საქართველოს. ჩემი აზრით, სააკაშვილი ნომერ პირველი საშიში პერსონაა ქვეყანაში.**

დიდი ხნის განმავლობაში ვიყავი დიპლომატიაში, მყავს ბევრი უცხოელი მეგობარი, მქონია უამრავი შეხვედრა პრეზიდენტებთან, უმაღლესი თანამდებობის პირებთან, მინახავს მათი გამოსვლები საერთაშორისო ორგანიზაციებში და ვიცი, რომ ევროპელები ვერც კი წარმოიდგენენ, რომ პრეზიდენტს, რომელიც მიმართავს პირდაპირ ეთერში მრავალმილიონიან საზოგადოებას, შეუძლია მოიტყუოს. მაგრამ საინტერესოა, როგორ ტყუვდებიან ჩვენთან? **ადამიანები, რომლებიც მუდმივად მოწმენი ხდებიან სააკაშვილის არაორდინალური და არანორმალური ცხოვრების, როგორ რჩებიან მისი ერთგულნი?** სავარაუდოა, რომ სწორედ ანგარების ჯაჭვში არიან გადახლართულები და ამიტომაც წყდება „ნაციონალური მოძრაობის“ ჯაჭვი არც თუ ისე სწრაფად, მაგრამ წყდება! დარწმუნებული ვარ, ერთ მშვენიერ დღეს თანაგუნდელები ერთმანეთს დაასწრებენ ჯაჭვის გაგლეჯას.

მინდა შევეხო „ნაციონალური მოძრაობის“ თითქოსდა ოპოზიციონერობას. ერთადერთი, რაც დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, ისაა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში ნამდვილად უმცირესობაა, მაგრამ ის, რომ ისინი ქვეყანაში, კლასიკური გაგებით, ოპოზიციას წარმოადგენენ, სისულელეა. **ამ პარტიის ლიდერი პარალელურად ქვეყნის პრეზიდენტის ფუნქციას ითავსებს, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელშია სასამართლო ხელისუფლება, ეროვნული ბანკი, პარტია აკონტროლებს კერძო ბანკებს. დედაქალაქში, რომელშიც კონცენტრირებულია საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი, ქალაქის მერი ნაციონალია, ეს ძალა აკონტროლებს მერიის უკლებლივ ყველა სამსახურს, ხელმძღვანელობს დედაქალაქის მერიის საკრებულოს. თბილისის რაიონების გამგებლებს და მათ სამსახურებს ასევე „ნაციონალები“ აკონტროლბენ. მთავრობის რიგ სამინისტროში მინისტრის მოადგილეები და მათ დაქვემდებარებულ უწყებებში 80% „ნაციონალების“ მმართველობის დროს მიღებული კადრებია. რეგიონებში გუბერნატორები, ბევრი გამგებელი და საკრებულოების დეპუტატთა უმრავლესობა, ასევე „ნაციონალები“ არიან. მათ მფლობელობაშია და კონტროლს ექვემდებარება ძირითადი სამაუწყებლო ტელეარხები „რუსთავი 2“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“.**

**ამ შემთხვევაში როგორ შეიძლება ეს ძალა წარმოადგენდეს ოპოზიციას?!** ისევ აღვნიშნავ, რომ „ნაციონალები“ მხოლოდ ქვეყნის პარლამენტში წარმოადგენენ უმცირესობას. აქედან გამოსავალი და ამის წამალი მხოლოდ ერთია, ქვეყანაში უნდა ჩატარდეს ადგილობრივი თვითმმართველობების რიგგარეშე არჩევნები, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, თბილისში. ამ პარტიის მომხრეთ კი შევახსენებ — დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ღირებულება სწორედ ისაა, რომ საზოგადოებრივი აზრის და ახალი რეალობის გათვალისწინებით, ნორმალურ ქვეყნებში ტარდება რიგგარეშე არჩევნები. დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი ფუნდამენტური არსი სწორედ რიგგარეშე არჩევნებშია.

რატომღაც ჩვენ ძალიან ადვილად და ინერტულად შევურიგდით „ნაციონალური მოძრაობის“ ოპოზიციონერობის განმარტებას. ამის გამო დავინტერესდი სხვა ქვეყნების მაგალითებით. აღმოსავლეთისა და აზიის ქვეყნები თავიდანვე გამოვრიცხე. გავეცანი ბევრი ქვეყნის მაგალითს და „შეგვიძლია ვიამაყოთ“! მსგავსი მძიმე პოლიტიკური გარემო არ დაფიქსირებულა არსად. რასაკვირველია, არის ქვეყნები, სადაც პრეზიდენტი და პარლამენტის უმრავლესობა სხვადასხვა ძალას წარმოადგენენ — ან პრემიერ-მინისტრია ოპოზიციაში, ან მერი კრიჭაში უდგას პრეზიდენტს, მაგრამ ისეთი მაშტაბური ძალაუფლება, როგორიც დღეს პრეზიდენტს და მის პარტიას აქვს საქართველოში, არ არის არსად. ასეთი ფსევდოოპოზიციონერობით „ნაციონალური მოძრაობა“ მშვენივრად ახერხებს ჩვენს ხარჯზე „ცხოვრებას და საზრდოობას“.Bბევრი ამბობს, იყვნენ, „ისაზრდოონ“, მათ ხომ არაფერი შეუძლიათ! ჩემი აზრით, ეს შეფასება მცდარი და ნაჩქარევია.

**უკვე აშკარაა, რომ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ქმედებები შინ და გარეთ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ერთიანობას. საკმარისია,** გავიხსენოთ სააკაშვილის ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები, რომ დავრწმუნდეთ, რამდენად **სახიფათოა მისი ყოველი დღე სახელმწიფოს ყველაზე მაღალ პოსტზე.**

პარლამენტის მიერ 2013 წლის ბიუჯეტის მიღებისთანავე სააკაშვილმა ბრძანა, რომ ამ ბიუჯეტით დაჩაგრეს აჭარლები, რომ ეს არის მასთან ანგარიშსწორება, მისი გულისთვის სჯიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას და მის მოსახლეობას.Eეს არ შეიძლება იყოს პრეზიდენტის განცხადება, ასეთი ტიპის განცხადებებს ქვეყნის მტრები აკეთებენ! თუნდაც ეს ერთი განცხადება შეიძლება გამხდარიყო იმის მიზეზი, რომ საზოგადოებას მისი იზოლაციის კანონიერი მოთხოვნა დაეყენებინა.

მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ ერთ მშვენიერ დღეს სააკაშვილი გამოვარდეს და თქვას, რომ მას სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობასაც უჩაგრავენ, მერე მოეჩვენოს, რომ დაუჩაგრეს ქვემო ქართლი. მეტი სიფრთხილე გვმართებს! სამოქალაქო დაპირისპირების ქარტეხილები უგუნური პოლიტიკოსების გამო ბევრჯერ გავიარეთ. დიდ სირცხვილად მიმაჩნია, რომ სააკაშვილმა დღეს საზოგადოებას ისევ აჯობოს და ჩაგვითრიოს თავის „თამაშში“. **სამწუხაროდ, ვრწმუნდები იმაშიც, რომ სააკაშვილი აღარ არის ადეკვატური მოვლენების მიმართ. ამიტომ არის რეალური საფრთხე იმისა, რომ ის სერიოზულ დანაშაულზეც წავიდეს სახელმწიფოს საზიანოდ.** ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეიძლება სამეგრელოში გადავიდეს, ზუგდიდის პრეზიდენტის რეზიდენციაში და იქედან დაგვმოძღვროს. არც ესაა გამორიცხული.

**დაუშვებლად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ დეპუტატებს იბარებენ საგამოძიებო უწყებებში მოწმის სტატუსით და ისინი არ ცხადდებიან, იგნორირებას უკეთებენ კანონს ანPპროკურორი დაკავებულს წაუყენებს ბრალს, ნაციონალი მოსამართლე კი ბრალდებულს ათავისუფლებს.** დავაკვირდი, „ნაციონალები“ ამით უკვე თავსაც იწონებენ, სასამართლოდან „გმირებად“ გამოდიან. არავინ არ თქვას, რომ ასეთი ფაქტები მოსახლეობაში გარკვეულ იმედგაცრუებას არ იწვევს. **ხომ არ ჯობია, გარკვეული პერიოდით საერთოდ შეჩერდეს დაკავებები, სანამ არ ჩატარდება სასამართლო რეფორმა?!**

**რაც უფრო მეტ შეცდომას და პასიურობას გამოიჩენს მთავრობაც და საზოგადოებაც, მით უფრო შეუწყობს ხელს სააკაშვილს და „ნაციონალებს“ პარაზიტულ „ცხოვრებასა და საზრდოობაში“.**

ჩემი აზრით, ძალიან პასიურია მთავრობა სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებზე. პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სომხეთში ვიზიტის დროს თქვა, რომ სომხეთს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს ნატოში შემავალ ქვეყნებთან და ასევე კარგი ურთიერთობა აქვს რუსეთთან, რაც მან დადებითად შეაფასა. გაუგებარი არაფერია. მიხეილ სააკაშვილმა ამას სხვა ფორმა მისცა და განაცხადა, რომ ორი გზა არ არსებობს, ნატოსთანაც კარგი ურთიერთობა გქონდეს და რუსეთთანაც, ეს გამორიცხულიაო. **რატომ არის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩუმად და რატომ არ აძლევს კვალიფიციურ პასუხს სააკაშვილის ამ აბდაუბდას?** მათ, ვისაც არ ახსოვთ, შევახსენებ: საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს თავისუფლების მოედანზე მრავალმილიონიან (ტრანსლირება ხდებოდა პირდაპირ ეთერში) აუდიტორიას მიმართა. მან თავის სიტყვაში მინიმუმ ორჯერ მოუწოდა სააკაშვილს და ხელისუფლებას, მიუხედავად ურთულესი ურთიერთობებისა, **გამონახონ საერთო ენა რუსეთის ხელისუფლებასთან და აღადგინონ ნორმალური ურთიერთობები.** განსაკუთრებულად დადებითად შეაფასა საქართველოს ნატოსკენ სწრაფვა და კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მხარდაჭერა. **ნატოს წევრი ქვეყნის ლიდერმა ერთმნიშვნელოვნად მოგვიწოდა რუსეთთან ურთიერთობისკენ და ამავე დროს ნატოსთან თანამშრომლობის გაღრმავებისკენ.** სხვათა შორის, სარკოზიმ მაგალითად საფრანგეთისა და გერმანიის ურთიერთობებიც მოიყვანა. გაიხსენა, როგორი მძიმე ურთიერთობა ჰქონდათ საფრანგეთსა და გერმანიას ოკუპაციის გამო. მაგრამ ჩვენ დავძლიეთ თითქოსდა დაუძლეველი მტრობა და დღეს საფრანგეთი და გერმანია ყველაზე წარმატებული ქვეყნები და პარტნიორები არიან ევროპაში, ამბობდა სარკოზი. აღსანიშნავია, რომ ორივე ნატოს წევრი ქვეყანაა, რომელთაც საუკეთესო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებთ რუსეთთან.

**ჩემი პოლიტიკური და დიპლომატიური გამოცდილებიდანაც კარგად მახსოვს, რომ არ ყოფილა არც ერთი მაღალი სტუმარი თუ დელეგაცია, რომელიც არ მოუწოდებდა საქართველოს, ჰქონოდა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობები. ჩვენი უზარმაზარი პრობლემა ყოველთვის იყო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხი, რომელიც, სააკაშვილის „დიდი პოლიტიკოსობის“ წყალობით, განსაკუთრებით დამძიმდა.**

ვხედავთ, რომ დღევანდელ ხელისუფლებას აქვს კონკრეტული გეგმა და მიზანი რუსეთთან კავშირების აღდგენის, რასაკვირველია, ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობების გარდა. სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ორი სუბიექტის დამოუკიდებელ ერთეულად აღიარება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სრულფასოვნად აღვადგინოთ ურთიერთობები.

ახალი მთავრობა, რუსეთთან შერიგებისა და ურთიერთობის აღდგენის გზაზე ძალიან ბევრ არასამართლიან და დემაგოგიურ განცხადებებს მოისმენს პარაზიტების მხრიდან, მაგრამ მინდა გოეთეს ნათქვამი შევახსენო: **„თუ მიზნისკენ მიდიხარ და გზად შეჩერდები, რათა ყველა ძაღლს ქვა ესროლო, რომელიც გიყეფს, მიზნამდე ვერასოდეს მიაღწევ“.**

„ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგებს სერიოზული საინფორმაციო ფრონტი აქვთ გაშლილი პრემიერ ივანიშვილის მთავრობის საწინააღმდეგოდ. თუ დააკვირდებით, მათ ერთ დიდ „ფეისბუქად“ უნდათ გადააქციონ ჩვენი საზოგადოება. თითქმის ყოველდღე შემოაგდებენ ახალ-ახალ თემებს, ინიციატივებს, რომლებზეც განუწყვეტლივ მიდის განხილვა, ხშირ შემთხვევაში, უაზრო კამათი და დროის ხარჯვა. რასაკვირველია, არის უმნიშვნელოვანესი თემები, რომლებშიც მთავრობის უწყებები უნდა იყვნენ ჩართულნი და იძლეოდნენ მკაფიოდ კვალიფიცირებულ განმარტებებს, მაგრამ სხვა დემაგოგიურ, „შემოგდებულ“ თემებზე დრო უნდა დაიზოგოს, რადგან დრო ყოველთვის ცოტაა, ხოლო გასაკეთებელი იმაზე მეტი, ვიდრე წარმოგვიდგენია.

**ზურაბ ჩიკვილაძე,**
პოლიტოლოგი, დიპლომატი,
საქართველოს ყოფილი
სრულუფლებიანი
წარმომადგენელი დსთ-ის
საპარლამენტთაშორისო
ასამბლეაში

**P.S. ერთ-ერთი აქტუალური თემა, რომელზეც საზოგადოების ყველა ფენაში საუბრობენ, არის საკადრო საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. იმას, რომ საკადრო საკითხებში გარკვეული პრობლემები არსებობს, ნაწილობრივ მეც ვიზიარებ. ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, ნუთუ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ არმაზ ახვლედიანის, სალომე ზურაბიშვილის, ლადო პაპავას... კვალიფიციური რესურსი არ იყოს გამოყენებული სახელმწიფოს სამსახურში? შეიძლება ვინმემ შეიტანოს ეჭვი ჩემ ტენდენციურობაში, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მათ შორის არც ერთი არ არის ჩემი ნათესავი ან ძმაკაცი, არც არასოდეს მიმუშავია მათთან ერთად. უბრალოდ, საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს მათ საქმიანობას, ნაშრომებს და ცხოვრების წესს.**

---

პარაზიტი (Parasitos) – ორგანიზმი, რომელიც სხვა ორგანიზმზე (ორგანიზმში) ცხოვრობს და მის ხარჯზე საზრდოობს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკულ სასამართლოში ამერიკელი გადასახადების გადამხდელების სახელით ახლახან შევიდა სარჩელი, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ბანკებმა 43 ტრილიონი დოლარი ოფშორში გადაიტანეს. ეს იმის ერთ-ერთი ილუსტრირებაა, რომ ბანკების ფინანსური მოგება, რომელსაც ისინი აჩვენებენ, მათი რეალური მოგების აისბერგის მწვერვალია.**

# «ფორბსის» რეიტინგები და მსოფლიო ბანკირების მოკრძალებული ხიბლი

**სტატიაში „სუპერსუბიექტის, ანუ კომიტეტ 147-ის შესახებ“ საუბარია იმ შვეიცარიელი მეცნიერების კვლევებზე, რომლებმაც სუპერკომპიუტერის საშუალებით „გამოითვალეს“ 147 უმსხვილესი კორპორაციისგან შემდგარი მსოფლიო ეკონომიკის ბირთვი. მაგრამ ამ „ბირთვის“ შემჩნევა მძლავრი გამომთვლელი ტექნიკის დაუხმარებლადაც შეიძლება, მაგალითად, უმსხვილესი კორპორაციებისა და პლანეტის უმდიდრესი ადამიანების საყოველთაოდ ცნობილი რეიტინგებით, რომელთაც რეგულარულად აქვეყნებენ ჟურნალები „ფორჩუნი“ და „ფორბსი“. მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებელია რეიტინგების შემდგენების „სამზარეულოს“ ზოგიერთი სიდუმლოს ცოდნა და ცალკეული მაჩვენებლის არსის გააზრება.**




პირველ რიგში, საინტერესოა „ფორბსის“ სიები, რადგან ისინი მთელი მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიებს მოიცავენ. „ფორჩუნის“ სიები სურათს მხოლოდ ამერიკული კომპანიების ასახვით ქმნიან, მაგრამ, ვინაიდან „ფორბსის“ სიებში უდიდეს ნაწილს სწორედ ამერიკული კომპანიები შეადგენენ, „ფორჩუნის“ ინფორმაციამ შეიძლება წარმატებულად შეავსოს მთელი მსოფლიოს ამსახველი მონაცემები.

**2012 წელს ამერიკულმა „ფორბსმა“ მეცხრედ შეადგინა მსოფლიოს ორი ათასი უმსხვილესი კომპანიის რეიტინგი „FORBES 2000“. რეიტინგი ასახავს 2011 წლის მდგომარეობას. „FORBES 2000“-ის შედგენისას ითვალისწინებენ ოთხ ძირითად მაჩვენებელს: 1. გაყიდვები, 2. მოგება, 3. აქტივები, 4. საბაზრო კაპიტალიზაცია.**

36 უმსხვილესი კომპანიის საერთო მაჩვენებლები შემდეგნაირია: 36 ტრილიონი დოლარის გაყიდვები (გასულ წელზე 12%-ით მეტი), 2,64 ტრილიონი დოლარის მოგება (გასუულ წელზე 11%-ით მეტი), 149 ტრილიონი დოლარის აქტივების მართვა (გასულ წელზე 8%-ით მეტი) და 37 ტრილიონი დოლარის საბაზრო კაპიტალიზაცია (გასულ წელზე 0.5%-ით ნაკლები).

რეიტინგში წარმოდგენილნი არიან 66 ქვეყნის კომპანიები, რაც გასული წლის რაოდენობას ოთხით აღემატება. ძველებურად, **აშშ დომინირებს 524 კომპანიით, მეორე ადგილზეა იაპონია 258 კომპანიით**. ამ ორმა ქვეყანამ ერთად რეიტინგში საკუთარი კომპანიების რაოდენობა გასულ წელთან შედარებით 14-ით გაზარდა. **ლიდერებს უახლოვდება ჩინეთი, ამჟამინდელ რეიტინგში ის 136 კომპანიითაა წარმოდგენილი,** მათგან 15 ახალბედაა. ლიდერების **სამეულს მოსდევს დიდი ბრიტანეთი (93 კომპანია), სამხრეთი კორეა (68 კომპანია) და ინდოეთი (61 კომპანია).**

რეიტინგში გეოგრაფიული გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება: 733 კომპანია წარმოადგენს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებს, 605 კომპანია — ევროპას, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკას, 524 — აშშ-ს, 145 — სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკას. როგორც გასულ წელს, რეიტინგში შევიდა რუსეთის 28 კომპანია, მათგან ოთხი — „გაზპრომი“ (მე-15 ადგილი), „ლუკოილი“ (68-ე ადგილი), „როსნეფტი“ (71-ე ადგილი) და „სბერბანკი“ (90-ე ადგილი) სიის პირველ ასეულშია.

მიუხედავად რყევებისა, რომლებიც ფინანსურმა სექტორმა განიცადა, 2011 წელს სწორედ ის დომინირებდა სიაში და 478 პოზიციას იკავებდა. მნიშვნელობის მიხედვით მეორეა ეკონომიკაში ნავთობსაგაზო სექტორი, მაგრამ სიაში, კომპანიების რაოდენობის მიხედვით, ის უიმედოდ ჩამორჩება ლიდერს და მხოლოდ 131 ადგილს იკავებს.

საგულისხმოა, რომ რეიტინგში „Forbes 2000“, რომელიც 2010 წელს გამოქვეყნდა და 2009 წელს არსებული სიტუაცია ასახა, ფინანსური სექტორი მხოლოდ 308 პოზიციას იკავებდა. გამოდის, რომ ფინანსური კომპანიების პოზიციები „ფორბსის“ რეიტინგში ორ წელიწადში 1,5-ჯერ გამყარდა.

ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებენ სიის პირველ ათეულებში მოხვედრილი კომპანიები. როგორც ჩანს, სწორედ ესაა მსოფლიო ეკონომიკის ბირთვი. განვიხილოთ „Forbes 2000“-ის პირველ 25 ადგილზე მოხვედრილი ჯგუფი. ამ ელიტურ ჯგუფში წარმოდგენილია ეკონომიკის ორი სექტორი — ფინანსური და ნავთობსაგაზო. ფინანსურ სექტორზე მოდის 11 პოზიცია, ნავთობსაგაზოზე — 9, დანარჩენ ხუთ პოზიციას სხვა სექტორების კომპანიები ავსებენ.

ზედიზედ რამდენიმე წლის მანძილზე „Forbes 2000“-ში პირველი ადგილები ბანკებს

**საგულისხმოა, რომ რეიტინგში «Forbes 2000», რომელიც 2010 წელს გამოქვეყნდა და 2009 წელს არსებული სიტუაცია ასახა, ფინანსური სექტორი მხოლოდ 308 პოზიციას იკავებდა. გამოდის, რომ ფინანსური კომპანიების პოზიციები «ფორბსის» რეიტინგში ორ წელიწადში 1,5-ჯერ გამყარდა**

ეკავათ. ლიდერები მონაცვლეობით იყვნენ „JPMorgan Chase“ (ირიცხება, როგორც ამერიკული ბანკი) და „HSBC Holdings“ (ირიცხება, როგორც ბრიტანული ბანკი). 2012 წლის რეიტინგში კი პირველ ადგილზე გავიდა ნავთობსაგაზო კომპანია „Exxon Mobil ყრ“, რომლის მაჩვენებლებიც მილიარდობით დოლარში შემდეგნაირია: გაყიდვები — 433,1; მოგება — 41,1; აქტივები — 333,1 და კაპიტალიზაცია — 407,4. პირველ 25 პოზიციაზე მოხვედრილ ფინანსურ კომპანიებს შორის არიან (ფრჩხილებში მოცემულია სიაში მათი ადგილი და ქვეყანა, რომელსაც „მიეწერებიან“ ეს კომპანიები):

JPMorgan Chase (2;აშშ),
ICBC//Industrial & Commercial Bank of China (5;ჩინეთი),
HSBC (6; ბრიტანეთი),
Berkshire (8; აშშ),
Wells Fargo (9; აშშ),
China Construction Bank (13; ჩინეთი),
Citygroup (14; აშშ),
Agricultural Bank of China (19; ჩინეთი),
BNP Paribus (20; საფრანგეთი),
Bank of China (21; ჩინეთი),
Banko Santander (23; ესპანეთი).

როგორც ვხედავთ, ლიდერებს შორის ლიდერობენ აშშ-ის და ჩინეთის ბანკები და ფინანსური კომპანიები. თუმცა, ბანკების, ყოველ შემთხვევაში დასავლური ბანკების, ამა თუ იმ ქვეყნისთვის „მიბმა“ ძალზე პირობითი საქმეა. ყველა მათგანი ტრანსნაციონალური კორპორაციაა, ოპერაციების უდიდეს ნაწილს ისინი იმ ქვეყნების გარეთ ახორციელებენ, რომლებშიც დარეგისტრირებულია კომპანია. უნდა აღინიშნოს, რომ „ფორბსის“ რეიტინგებში მნიშვნელოვნად დადაბლებულია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ფინანსური ინსტიტუტების რეალური ადგილი და მნიშვნელობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი შემდეგში მდგომარეობს:

**„Forbes 2000“-ში კომპანიების დიდი ნაწილი, ტრადიციურად, ირიცხებიან სამრეწველოებად, სავაჭრო ორგანიზაციებად ან მომსახურების სფეროს წარმომადგენლებად, მაგრამ სინამდვილეში ახორციელებენ მასშტაბურ ფინანსურ ოპერაციებს. ეს მტკიცდება მათი კონსოლიდარული ბალანსების ანალიზით, რომლებშიც აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი ფინანსურ ინსტრუმენტებზე — საბანკო დეპოზიტებზე, სესხებსა და კრედიტებზე, სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებზე მოდის.** ამგვარი სამრეწველო თუ სავაჭრო ორგანიზაციების შემადგენლობაში შეიძლება შეიქმნას და იმუშაონ ბანკებმა, სადაზღვევო ორგანიზაციებმა, ლიზინგის კომპანიებმა და ა.შ.

**მეორე მიზეზი** კიდევ უფრო სერიოზულია და უფრო თვალნათელიც. **რეიტინგი „FORBES 2000“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ემყარება ოთხ მაჩვენებელს, რომლებსაც თანაბრად ითვალისწინებს. ეს კი საკმაოდ უცნაური არითმეტიკაა და ძალიან ჰგავს შეკრების იმ ოპერაციას, რომლის დროსაც შესაკრებებია საზამთროები, კიტრები, კუჭები და ნაძვის გირჩები. ასეთია თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური კაბალისტიკა, რომელსაც აჩვევენ და ასწავლიან ობივატელს.**

გაყიდვების მაჩვენებლები ბევრზე არაფერზე მეტყველებს, ისინი ძალზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დარგის სპეციფიკაზე. მაგალითად, ხშირად ვაჭრობა გაყიდვების მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება, მაგრამ დანარჩენი მაჩვენებლების მნიშვნელობები ბევრად მოკრძალებულია. ბიზნესის კაპიტალიზაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვანწილად ექცევა ათასგვარი საბაზრო მანიპულაციების ქვეშ.

საბუღალტრო ანგარიშში ნაჩვენები მოგებაც ასევე ბევრს არაფერს ნიშნავს. ის თავისუფლად შეიძლება გადაერთოს კომპანიის მფლობელებისთვის ხელსაყრელ მიმართულებაზე. დღეს საყოველთაოდ ამცირებენ მოგების მაჩვენებლებს, რათა თავი აარიდონ გადასახადებს. ნამდვილი მოგების დიდი ნაწილი „საგადასახადო სავანეში“ ინაცვლებს. **რეიტინგის პირველ 25 ადგილზე განთავსებული ბანკები მოგებას 10-20 მილიარდი დოლარის ოდენობით აჩვენებენ.** ზოგიერთები — უფრო ნაკლებსაც. არადა, **ამერიკულ სასამართლოში ამერიკელი გადასახადების გადამხდელების სახელით ახლახან შევიდა სარჩელი, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ბანკებმა 43 ტრილიონი დოლარი ოფშორში გადაიტანეს. ეს იმის ერთ-ერთი ილუსტრირებაა, რომ ბანკების ფინანსუ-** ▶

## ლიდერებს შორის ლიდერობენ აშშ-ის და ჩინეთის ბანკები და ფინანსური კომპანიები



**უკვე რამდენიმე კვირაა, ამერიკაში მსჯელობენ იმაზე, რომ ობამა ერთი ტრილიონი დოლარის მონეტებს მოჭრის, რათა განაგრძოს ფედერალური ხელისუფლებისთვის გადახდა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ვალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღწეული. მაგრამ ფედერალურმა რეზერვმა ეს იდეა ჩაკლა და ჩაახშო და ეს არავის უნდა უკვირდეს, რადგან ფედერალური სარეზერვო სისტემა არასდროს დაუშვებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფულის შექმნაზე მის მონოპოლიას ვინმე და რამე დაემუქროს.**

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

BANK OF CHINA

**◀რი მოგება, რომელსაც ისინი აჩვენებენ, მათი რეალური მოგების აისბერგის მწვერვალია.**

რაც შეეხება მესამე მაჩვენებელს, ანუ აქტივებს, ეს უკიდურესად მნიშვნელოვანი თემაა, რადგან ის კომპანიის გავლენის ხარისხს განსაზღვრავს. ცხადია, რომ, სურვილის შემთხვევაში, ამ მაჩვენებლის „შელამაზებაც" შეიძლება მაგრამ მხოლოდ ძალზე შეზღუდულ ფარგლებში. „Forbes 2000"-ის რეიტინგში ეს მაჩვენებელი ნიველირებულია, მისი როლი დამდაბლებულია. მაგრამ თუ აქტივების მიხედვით შევადარებთ ერთმანეთს რეიტინგში შემავალ კომპანიებს, წარმოუდგენელ სურათს მივიღებთ: ფორბსის ნომინანტებს შორის აბსოლუტური დომინირება ფინანსურ კომპანიებს აქვთ. **იმისათვის, რომ სურათი თვალნათელი გახდეს, სიის პირველ 25 ადგილზე განთავსებული ბანკებისა და ფინანსური კომპანიების აქტივები უნდა ვიცოდეთ.** მილიარდ დოლარში განსაზღვრებით აქტივების რაოდენობების სია შემდეგნაირად გამოიყურება:

JPMorgan Chase 2.265,8
ICBC//Industrial & Commercial Bank of China - 2.039,1
HSBC - 2.550,0
Berkshire - 392,6
Wells Fargo 1.313,9
China Construction Bank 1.637,8
Citygroup - 1.873,9
Agricultural Bank of China - 1.563,9
BNP Paribus 2.539,1
Bank of China 1.583,7
Banko Santander 1.624,7

სულ ტოპ-25-ის 11 საფინანსო-საბანკო მონაწილეზე 19 345,5 მილიარდი დოლარის აქტივები მოდის. რომ დავამრგვალოთ, ეს 19,4 ტრილიონი დოლარია, რაც მნიშვნელოვანწილად აღემატება აშშ-ის წლიური საერთო შიდა პროდუქტის მოცულობას (დაახლოებით 15 ტრილიონი დოლარი). ამ სიაში ერთადერთ სუბიექტს აქვს შედარებით ნაკლები აქტივები. ეს უორენ ბაფეტის კუთვნილი ფინანსური (საინვესტიციო) კომპანია Berkshire-ია. ეს არის ერთადერთი სუბიექტი, რომელიც არ წარმოადგენს საკრედიტო ორგანიზაციას. დანარჩენი 10 სუბიექტიდან ყველა ბანკია.

**როგორი მდგომარეობაა ტოპ-25-ში შემავალ ნავთობკომპანიებთან დაკავშირებით?**

9 ამგვარი კომპანიის აქტივების საერთო რაოდენობა, „ფორბსის" მონაცემების თანახმად, 2 493,1 მილიარდი დოლარია. ტოპ-25-ში დანარჩენი 5 კომპანიის აქტივების სერთო რაოდენობა 1 736,3 მილიარდი დოლარია. ამრიგად, ტოპ-25-ის კომპანიების აქტივების ჯამური რაოდენობა შეფასდა 23 613,9 მილიარდ დოლარად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, — 23,6 ტრილიონ დოლარად. გამოდის, რომ ტოპ-25-ში ბანკებზე მთელი აქტივების 82% მოდის. და სწორედ ესაა მსოფლიო ეკონომიკაში ამ კომპანიების რეალური ადგილი. ეს უფრო „მაგარია", ვიდრე ის სურათი, რომელიც ციურიხელმა მეცნიერებმა დახატეს. მთელი „კონსპიროლოგია" ცნობილი ამერიკული ჟურნალის ფურცლებზეა დაშიფრული! არაა საჭირო არანაირი ზეძლიერი კომპიუტერები, არც რაიმე „ინსაიდერული ინფორმაცია", რომლითაც იტყუებენ მკითხველებს „საინფორმაციო პარტიზანები".

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა ყველაფერი. როგორც წესი, ჟურნალისტები და ეკონომისტებიც კი რეიტინგების მხოლოდ ზედა სტრიქონებს გადახედავენ ხოლმე. მთელი სიის შესწავლა მართლაც არაა იოლი საქმე, მაგრამ ღირს თუნდაც ტოპ-100-ის გადახედვა. იქ, საკმაოდ მოკრძალებულ სტრიქონებზე ისეთ ძველ ნაცნობებს გადავაწყდებით, რომლებიც სულ ორიოდე წლის წინ ტოპ-10-ში იწონებდნენ თავს, დღეს შედარებით „მოკრძალებულნი" არიან იმ სკანდალების წყალობით, რომლებიც დაატყდათ თავს უკანასკნელი ფინანსური კირიზისის დროს. მაგრამ ამ ბანკებს ისეთი აქტივები აქვთ, რომ ნამდვილად შეშურდებოდა „Exxon Mobil"-ის სიის ლიდერს. შეგახსენებთ, რომ ამ ნავთობვაჭრობის ლიდერს 331,1 მილიარდი დოლარის აქტივები აქვს. „ფორბსის" რეიტინგის 25-ე ადგილზე დაბლა განლაგებული ზოგიერთი ბანკისა და ფინანსური კომპანიის აქტივები კი შემდეგნაირად გამოიყურება (კომპანიის სახელწოდების წინ მოცემულია სიაში მისი რიგითი ნომერი):

39. ING Group 1.653,0
52. Deutsche Bank 2.809,4
53. Barclays 2.425,2
64. Sumitomo Mitsui Financial 1.654,9
77. Goldman Sachs Group 923,2
83. Bank of America - 2.129,0
94. Societe General 1.531,1
98. Mizuho Financial 1.934,4
100. Morgan Stanley 749,9

ამრიგად, „ფორბსის" რეიტინგში 52-ე და 53-ე ადგილები უკავიათ „Deutsche Bank"-სა და „Barclays"-ს, რომელთა აქტივები საბანკო ლიდერის — „JPMorgan Chase"-ის აქტივებს აღემატება. სხვათა შორის, ბანკების ეს ხსენებული სამეული შვეიცარიელთა მიერ „გამოთვლილი" სუპერსუბიექტების პირველ სტრიქონებზეა. **„ფორბსის" ასეულიდან ნებისმიერი ბანკის საკუთრებაში არსებული აქტივები ერთი თავით აღემატება მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობსაგაზო კომპანიის აქტივებს.**

თუ რეიტინგებს აქტივების მაჩვენებლებით შეადგენენ, სულ სხვა სია შედგება, ვიდრე „ფორბსის" პრიალა ფურცლებზე გამოქვეყნდა. ამ შემთხვევაში სიაში, სულ მცირე, 80 ადგილს ბანკები და სხვა ფინანსური კომპანიები შეავსებდნენ. რაც შეეხება ტოპ-25-ს, იქ ოცდახუთივე ადგილი ბანკების იქნებოდა.

სხვათა შორის, „ფორბსი" სულ სხვა ფოკუსს ატარებს: ის ყოველ წელს ადგენს კიდევ ერთ რეიტინგს, რომელსაც „Forbes 500" ჰქვია. ეს სია მხოლოდ გაყიდვებისა და მოგებების მაჩვენებლებს ეფუძნება და იქ აქტივები საერთოდ არაა გათვალისწინებული. გასაგები მიზეზების გამო, ამ სიაში ძალიან ცოტა ბანკი ხვდება. „Forbes 500"-ის საშუალებით ამერიკულ ჟურნალს ბანკები „ჩრდილში" გაჰყავს, რითაც დიდ სამსახურს უწევს მათ.

არადა, ფინანსური კაპიტალისთვის მთავარია არა გაყიდვების მოცულობა, არამედ მოგება და ეკონომიკის კონტროლი. მოგებას ფინანსური ოლიგარქია ოფშორებსა და საქველმოქმედო ფონდებში მალავს. მათი ნამდვილი ეკონომიკური გავლენა კი იმალება პრიალაფურცლებიან ჟურნალ „ფობრსის" გვერდებზე.

fondsk.ru

**«ფორბსის» ასეულიდან ნებისმიერი ბანკის საკუთრებაში არსებული აქტივები ერთი თავით აღემატება მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობსაგაზო კომპანიის აქტივებს**

Santander



# ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ობამას აჩვენა, ვინაა სახლში უფროსი

**აშშ-ში ბევრს საუბრობენ ხელისუფლების მიერ ახალი ერთი ტრილიონი დოლარის პლატინის მონეტების გამოშვების თაობაზე. უამრავი ამერიკელისთვის ამით კიდევ უფრო გაცხადდა, თუ რა სიტუაცია იქმნება სახელმწიფო მონეტარულ სისტემაში, როდესაც ეს სისტემა მთლიანად კონტროლდება კერძო კომპანიის — ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ. და ამქვეყნად არავის შეუძლია, შეეხოს ამ ორგანიზაციის წმინდათაწმინდა მოღვაწეობას. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თეთრ სახლში შესვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გააფართოა პრეზიდენტის უფლებამოსილებები, ეს ორგანიზაცია ვაშინგტონში იმდენად წმინდად ითვლება, რომ თავად ობამაც კი ვერ გაბედავს, მის წინააღმდეგ თუნდაც ერთი უარყოფითი სიტყვა დაიჩურჩულოს.**

მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ უკვე აჩვენა, არ ეშინია ვაშინგტონში ყველა დანარჩენთან კონფლიქტში ჩართვა, ობამა მაინც უარს ამბობს მის კრიტიკაზე. პრეზიდენტმა მშვენივრად იცის, რა დაემართათ სხვა პრეზიდენტებს, რომლებმაც ამ ორგანიზაციასთან დაიჭირეს საქმე. ნებისმიერ შემთხვევაში ცხადია, რომ ობამა ფედერალური სარეზერვო სისტემისთვის რაიმე საფრთხეს არ წარმოადგენს და ტრილიონი დოლარის მონეტების ირგვლივ დისკუსიაც ამის ნათელი მაგალითია. **უკვე რამდენიმე კვირაა, ამერიკაში მსჯელობენ იმაზე, რომ ობამა ერთი ტრილიონი დოლარის მონეტებს მოჭრის, რათა განაგრძოს ფედერალური ხელისუფლებისთვის გადახდა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ვალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღწეული.** მაგრამ ფედერალურმა რეზერვმა ეს იდეა ჩაკლა და ჩაახშო და ეს არავის უნდა უკვირდეს, რადგან ფედერალური სარეზერვო სისტემა არასდროს დაუშვებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფულის შექმნაზე მის მონოპოლიას ვინმე და რამე დაემუქროს. **ფედერალურ რეზერვს ობამასთვის რომ მიეცა უფლება, ვალის გარეშე ბეჭდოს ტრილიონი დოლარის მონეტები, ეს ძალზე სერიოზულ სახიფათო პრეცენდენტს შექმნიდა ამ ორგანიზაციისთვის.**

**ამერიკელი ხალხი მიხვდებოდა, რომ ფედერალურ ხელისუფლებას შეუძლია დამოუკიდებლად შექმნას ფული, როდესაც მოუნდება, და არავისგან არაფერი ისესხოს. ეს არის ის, რისთვისაც ფედერალური სარეზერვო სისტემა ცასა და დედამიწას შეძრავდა, მაგრამ ახლა უკვე ვერ გავიგებთ, მაინც რამდენად შეძრავდა ცასა და დედამიწას, რათა შეენარჩუნებინა მონოპოლია ფულის შექმნაზე, რადგან ობამას აზრადაც არ მოსვლია, ამერიკის ნამდვილი „ფინანსური უფროსების" გადაწყვეტილება გაეპროტესტებინა.**

**სამწუხაროდ, ამერიკელთა უმეტესობას არ ესმის, რომ კერძო საბანკო კარტელს ამერიკის მთელი ფულის შექმნაზე აქვს მონოპოლია და უკანასკნელ წლებში ძალზე ბოროტად იყენებდა ამ მონოპოლიას, უზომო რაოდენობით ფულს ბეჭდავდა და უკანასკნელი ფინანსური კრიზისის პერიოდში თავის მეგობრებს 16 ტრილიონი დოლარის კრედიტები დაურიგა.** ამერიკულ ფინანსურ სისტემაში კერძო ფედერალური სარეზერვო სისტემა ბეჭდავს ფულს, როცა უნდა და სხვა არავინ აპირებს ფულის შექმნას. ეს შეშლილი სისტემაა, მაგრამ პოლიტიკოსთაგან ვერავინ გაბედავს და ვერც ბედავს შექმნილი მდგომარეობის ეჭვქვეშ დაყენებას.

როგორც ხაზინის პრეზმდივანმა გამოაცხადა, ხაზინა და ფედერალური სარეზერვო სისტემა შეთანხმდნენ, რომ არანაირი პირობების შემთხვევაში არ მოჭრიან ტრილიონი დოლარის მონეტებს ობამას ადმინისტრაციის ვადის ამოწურვამდე. თუ ობამას ადმინისტრაცია მაინც შეიტანს ამ მონეტებს ფედერალურ სარეზერვო სისტემაში, ეს უკანასკნელი მათ, უბრალოდ, არ აღიარებს. ეჭვიც არავის ეპარება, რადგან არავინ მოინდომებს თავის ატკიებას მაშინ, როდესაც სისტემა ისედაც უპრობლემოდ მუშაობს ამერიკის ნამდვილი პატრონების გასამდიდრებლად.

საქმე ისაა, რომ **კრახის შემთხვევაში კრახი ელის მსესხებელს — აშშ-ს.** ამჟამინდელი მონეტარული სისტემის მფლობელები კი მხოლოდ მოიგებენ. ისინი ბოლომდე ივლიან ნაცადი გზით და იმუშავებენ მხოლოდ ფედერალური სარეზერვო სისტემის მფლობელების სასიკეთოდ, მხოლოდ ამის შემდეგ — ამერიკელი ხალხისთვის, ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმავე მფლობელებს აძლევთ ხელს. **ფედერალური სარეზერვო სისტემის მიზანი კი მსოფლიოში ყველა სახელმწიფოს განადგურებაა. მას ხომ არ აქლეჯს ამგვარი მსოფლიო, არამედ უზრუნველყოფს კერძო ხელისუფლებები და ხალხები, ზუსტად ისეთები, როგორიც ახლა აშშ და კიდევ არაერთი სხვა ქვეყანა გახდა.**

aftershock.su

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნატომ და აშშ-მა კი გაზარდეს მთელ მსოფლიოში თავისი სამხედრო დასწრების დონე მთელი იმ სივრცის დაკავებით, რომელიც საბჭოთა კავშირის კონტროლისგან გამოთავისუფლდა. ჯერ აშშ-ის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენის ქვეშ მოექცნენ ყოფილი ვარშავის შეთანხმების წევრი ქვეყნები, მოგვიანებით — ბალტიისპირეთი, უკრაინა, მოლდავეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, შუა აზიის რიგმა ქვეყნებმა კი პრორუსული ვექტორი პროამერიკულით ჩაანაცვლეს.**

# ანაკონდას მარყუჟები

**დასავლელი ექსპერტების გათვლებით, დღეისათვის მსოფლიოში არსებული სამხედრო ბაზების 95% ამერიკის საკუთრებაა. ნებისმიერი მეომარი სახელმწიფოსთვის სხვა ყველაფერთან ერთად არსებობს რესურსული თვითკმარობის გამოცდა — თუ სახელმწიფოს ომის პერიოდში ხანგრძლივი დროით შეუძლია გაძლოს საკუთარი სამხედრო, სამრეწველო, სასურსათე და ადამიანური რესურსების ხარჯზე, მას გამარჯვების შანსი აქვს. თუ სახელმწიფო თითქმის მთლიანად ვაჭრობით სულდგმულობს და არ ფლობს საკუთარ რესურსებს, საგარეო მტერს შეუძლია დააზიანოს სავაჭრო კომუნიკაციები და მხოლოდ ბლოკადის ხარჯზე მოიპოვოს გამარჯვება.**

ეს ყველაფერი საფუძვლად უდევს ამერიკელი კონტრადმირალის, ალფრედ ტაიერ მეხენის, სამხედრო-საზღვაო კონცეფციას, რომელიც ცნობილია „საზღვაო ძლევამოსილების“ სახელწოდებით. სხვაგვარად ამ კონცეფციას, რომელსაც უკვე მრავალი წელი დიდი წარმატებით იყენებს ამერიკის შეერთებული შტატები, „ანაკონდას პრინციპი“ ჰქვია.

მეხენი XIX საუკუნის ერთ-ერთი პირველი გეოპოლიტიკოსი იყო, ანუ ეთანხმებოდა მოსაზრებას განათლებაზე, განვითარებასა და სახელმწიფოთა ურთიერთქმედებაზე გეოგრაფიის გადამწყვეტი გავლენის შესახებ. მსოფლიო ოკეანეს იგი განიხილავდა, როგორც რაღაც საკომუნიკაციო სივრცეს, რომელიც არა თუ აცალკევებს, არამედ აერთიანებს სხვადასხვა კონტინენტზე მყოფ ქვეყნებს. ამასთან, ამ კავშირის საკვანძო ფაქტორი მისთვის საზღვაო ვაჭრობა იყო, რადგან მას განმსაზღვრელი გავლენა ჰქონდა სახელმწიფოს განვითარებასა და კეთილდღეობაზე.

მეხენის თანახმად, არსებობენ „საზღვაო ნაციები“, რომელთაც იგი პირველ რიგში დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს მიაკუთვნებდა და სახმელეთო სახელმწიფოები, რომელთათვისაც საზღვაო ვაჭრობის როლი არც ისე დიდია, რადგან ისინი არსებობენ საკუთარი რესურსებისა და შიდაკონტინენტური ბაზრების ხარჯზე. თანამედროვე გეოპოლიტიკა სახელმწიფოთა ამ ორი სახეობის აღსანიშნავად ოპერირებს ტერმინებით „ატლანტიკური“ და „ევრაზიული“, რადგან მეხენის შემდგომი ასზე მეტი წლის მანძილზე XX საუკუნეში სწორედ ამ გეოგრაფიულ პოლუსებზე გამოჩნდა ორი მთავარი მოწინააღმდეგე — ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი.

**ამერიკელმა ადმირალმა იწინასწარმეტყველა, რომ „საზღვაო ცივილიზაციის“ (ანუ აშშ-ისთვის) მთავარ მტრებად კონტინენტური სახელმწიფოები — პირველ რიგში რუსეთი და ჩინეთი, შემდეგ კი გერმანია იქცევიან.** მათთან ბრძოლისათვის ადმირალმა იმ სამოქალაქო ომის ისტორიიდან, რომლებიც აშშ-ში დამოუკიდებლობისთვის გაიმართა, ეგრეთ წოდებული „ანაკონდას გეგმა“ მოიხმო და საპლანეტო დონეზე გადააკეთა.

სამოქალაქო ომში „ანაკონდას გეგმას“ წარმატებით იყენებდა სამხრეთელების წინააღმდეგ გენერალი დ.მაკ-კლელანი. მისი ჯარები თანმიმდევრობით აჭრიდნენ სამხრეთის სასოფლო-სამეურნეო შტატების სანაპირო ზოლს, ანადგურებდნენ რა ყველა ზღვისპირა ქალაქს, პორტსა და სამხრეთელების ფლოტებს, ამავე დროს ახორციელებდნენ მათ ბლოკირებას ზღვიდან. ამით გენერალი სამხრეთელებს უკარგავდა შესაძლებლობას, მიეღოთ შემოსავალი მარცვლეულით საზღვაო ვაჭრობიდან და შეეძინათ იარაღი და საბრძოლო მასალები.

მეხენმა რაღაც ანალოგიური მოიფიქრა ამერიკის კონტინენტური მტრებისთვისაც — სახმელეთო ქვეყნების მოხრჩობა ანაკონდას მარყუჟში მათი კონტროლის დაკარგვით ზღვისპირა ზონებზე და ზღვის სივრცეში მათი გასასვლელების გადაკეტვით. მხოლოდ ამ მიდგომიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მეხენი ძალზე გლობალისტურად აზროვნებდა და მნიშვნელოვანად უსწრებდა წინ დროს.

ამაზე არ გაჩერებულა — **მეხენმა გამოიყვანა ფორმულა, რომელსაც, მისი აზრით, შეეძლო საპლანეტო მასშტაბით ამ იდეის განხორციელება. ფორმულა ასე გამოიყურება: SP = N + MM + NB და ასე იშიფრება: საზღვაო ძლევამოსილება (sea power) მიიღწევა ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტის (navy), სავაჭრო ფლოტის (merchant marine) და იმ სამხედრო-საზღვაო ბაზების (naval bases) ფლობით, რომლებიც გარს ერტყმიან მოწინააღმდეგეს.**




**მეხენმა რაღაც ანალოგიური მოიფიქრა ამერიკის კონტინენტური მტრებისათვის — სახმელეთო ქვეყნების მოხრჩობა ანაკონდას მარყუჟში მათი კონტროლის დაკარგვით ზღვისპირა ზონებზე და ზღვის სივრცეში მათი გასასვლელების გადაკეტვით**




ეს ფორმულა მოითხოვს პრაქტიკულად აბსოლუტურ უპირატესობას ზღვაზე, ეს კი ნიშნავს უზარმაზარ სახსრებს, რომლებიც მის ყველა კომპონენტში უნდა ჩაიდოს. სამაგიეროდ ის მსოფლიო ოკეანეზე კონტროლის დამყარების და ყველა იმ გზის გადაკეტვის საშუალებას იძლევა, რომლითაც შეიძლება იკვებებოდეს მოწინააღმდეგის ეკონომიკა და არმია.

საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვა ანაკონდას პრინციპის გამოყენების და თვით ისეთი უდიდესი კონტინენტური სახელმწიფოების მოგუდვის საშუალებას იძლეოდა, როგორიც საკუთარი რესურსების მქონე რუსეთი და ჩინეთია. თანამედროვე მსოფლიოში კი ზღვაზე გასასვლელისა და იქიდან მსოფლიო ოკეანეში გასვლის გარეშე ვერც ერთი ქვეყანა ვერ ჩათვლის თავს მძლავრ ზესახელმწიფოდ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანაკონდას სტრატეგია დღესაც მოქმედი და ეფექტურია.

გასაკვირი არაა, რომ მეხენის წიგნმა „საზღვაო ძალის გავლენა ისტორიაზე“ 32-ჯერ გამოცემას გაუძლო ამერიკასა და ბრიტანეთში, ითარგმნა ყველა ევროპულ ენაზე, მათ შორის რუსულად. და, ცხადია, ექსპანსიური პოლიტიკა მსოფლიო ბატონობასთან ერთად ძალზე მოეწონათ ამერიკელებს, უპირველეს ყოვლისა, ამერიკელ სამხედროებს.

ცხადია, არ არსებობს აუცილებლობა, რომ გეოპოლიტიკა რაღაც თვითკმარ მოვლენად იქნეს განხილული, მაგრამ არ შეიძლება ამ ფაქტორის იგნორირებაც კლასიკურ ომთან მიმართებაში, ანუ, სადაც კლასიკური ომია, იქვეა გეოპოლიტიკაც. იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკელი სამხედრო და პოლიტიკური სტრატეგები მსოფლიო ბატონობის მისაღწევად სწორედ გეოპოლიტიკით ხელმძღვანელობენ, არ იქნებოდა სწორი, არ განგვეხილა ის პრაქტიკული ნაბიჯები, რომლებამდეც მიჰყავს ისინი „საზღვაო ძალის“ თეორიის მიმდევრობას.

ადმირალ მეხენის ფორმულაში სამი შესაკრებელი იყო: სამხედრო-საზღვაო ფლოტი, სავაჭრო ფლოტი და სამხედრო ბაზები. ორივე სახის ამერიკული ფლოტის მრავალრიცხოვნებისა და ძლევამოსილების შესახებ, ალბათ, ყველასათვის ცნობილია, მთელი მსოფლიოს მომცველი სამხედრო ბაზების შესახებ კი ბევრმა არ იცის.

პირველი მსოფლიო ომისა და მის შემდგომ პერიოდში ამერიკული სამხედრო ბაზები სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე მხოლოდ იმ რაოდენობით ჩნდებოდა, რაც საჭირო იყო სახელმწიფოს ამოცანებისთვის, მაგალითად, ფლოტის ქმედუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ ბაზებს ენიჭებოდათ არა მხოლოდ უტილიტარული, არამედ სტრატეგიული მნიშვნელობაც. **აშშ-ისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო, რუსეთის ტერიტორიაზე ჰქონოდა ბაზები და საამისო მცდელობებს რამდენიმეჯერ ჰქონდა ადგილი. აშშ ცდილობდა, ბაზები შეექმნა შორეულ აღმოსავლეთში და რუსეთის ჩრდილოეთით ჯერ ბოლშევიკური რუსეთის ინტერვენციის, შემდეგ კი — მოკავშირის დროშის ქვეშ 1943 და 1945 წლებში.**

აშშ-ის სამხედრო ბაზების შექმნა მასობრივად და მთელი მსოფლიოს მასშტაბით მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწყო. იქმნებოდა ბაზების ორი ხაზი: „მარჯვენა ხელის“ ბაზები, რომლებიც განლაგებული იყო გრენლანდიიდან ყარაჩამდე (პირობითად — ნატოს ხაზი) და „მარცხენა ხელის“ ბაზები, რომლებიც განლაგებული იყო ალიასკადან ფილიპინებამდე (აქ აშშ-თან კავშირები ორმხრივ საფუძვლებს ემყარებოდა). ორივე ეს „ხელი“ ინდოეთისკენ იყო გაწყვდილი და იქ უნდა შეკრულიყვნენ კიდეც, მაგრამ მაშინ ეს ვერ მოხერხდა: ინდოეთმა გამოაცხადა, რომ არ აპირებდა კაპიტალისტური განვითარების გზით სიარულს. ინდოეთის ოკეანის კონტროლი ამ დრომდეც წარმოადგენს აშშ-ის მიზანს, რომლის მიღწევასაც ხელს უშლის მომძლავრებული ინდოეთი და ახლა უკვე ირანიც. ▶

**ამერიკელმა ადმირალმა იწინასწარმეტყველა, რომ «საზღვაო ცივილიზაციის» (ანუ აშშ-ისთვის) მთავარ მტრებად კონტინენტური სახელმწიფოები — პირველ რიგში რუსეთი და ჩინეთი, შემდეგ კი გერმანია იქცევიან**

სწორედ მშვიდობისმყოფელი ობამა ამტკიცებს „დასახვრეტთა სიებს“, რომელთაც მისთვის სპეცსამსახურებისა და თეთრი სახლის თანამშრომელთა მთელი რაზმი ადგენს.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ შორეულ აღმოსავლეთში აშშ იდენტური სქემით მოქმედებდა. ომის დასრულების შემდეგ მისი ოკუპაციის ზონაში აღმოჩნდა კაპიტულირებული იაპონია, კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი, ტაივანის კუნძული და კონტინენტური ჩინეთის ზოგიერთი ტერიტორია. ჩინეთის არმიის წინაშე აშშ-ს უკან დახევა მოუხდა — მატერიკზე ბაზების აშენება მან ვერ მოახერხა, მაგრამ ტაივანი, როგორც რეგიონის კონტროლისთვის აუცილებელი სტრატეგიული პლაცდარმი, მან შეინარჩუნა. ასევე აქცია მან მოკავშირეებად იაპონია და სამხრეთი კორეა, სადაც ააშენა კიდევაც დიდი რაოდენობით სამხედრო ბაზები.

ცივი ომის პერიოდში ბაზების მშენებლობა მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირთან დაპირისპირების მთელ ზოლზე. ამას ემატებოდა ეკონომიკური და ტექნოლოგიური ბლოკადები, შეიარაღების შეჯიბრი და შეზღუდული მასშტაბების საომარი აქციები. ბაზები მაშინაც შენდებოდა და შენდება ახლაც მოკავშირე ქვეყნების ტერიტორიებზე (ბრიტანეთი, ისრაელი, დასავლეთ გერმანია, იაპონია, სამხრეთი კორეა, თურქეთი და სხვ.), იმ ქვეყნების ტერიტორიებზე, სადაც აშშ აწარმოებდა ომებს, სამხედრო ოპერაციებს ან არეგულირებდა სიტუაციას სამხედრო კონფლიქტების შემდეგ (ერაყი, კოსოვო, კუვეიტი, ავღანეთი და სხვ.) და სტრატეგიულად (ენერგეტიკულად) მნიშვნელოვან ზონებში (მაგალითად, ცენტრალურ აზიაში).

**დასავლეთის ექსპერტების გათვლებით, დღეისათვის მთელი მსოფლიოს სამხედრო ბაზებიდან 95% აშშ-ის საკუთრებაა, დანარჩენი 5% კი — საფრანგეთის, ბრიტანეთის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების.** რაც შეეხება რუსეთს, ჯერ საბჭოთა კავშირმა, შემდეგ კი რუსეთმა ნელ-ნელა გაიყვანა ბაზები ვარშავის შეთანხმების ქვეყნებიდან და იმ ქვეყნებიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირთან იყვნენ დაკავშირებულნი სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმებით — ვეტნამიდან, ჩინეთიდან და კუბიდან.

**ნატომ და აშშ-მა კი გაზარდეს მთელ მსოფლიოში თავისი სამხედრო დასწრების დონე მთელი იმ სივრცის დაკავებით, რომელიც საბჭოთა კავშირის კონტროლისგან გამოთავისუფლდა. ჯერ აშშ-ის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენის ქვეშ მოექცნენ ყოფილი ვარშავის შეთანხმების წევრი ქვეყნები, მოგვიანებით — ბალტიისპირეთი, უკრაინა, მოლდავეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, შუა აზიის რიგმა ქვეყნებმა კი პრორუსული ვექტორი პროამერიკულით ჩაანაცვლეს.** ეს ყველაფერი სხვადასხვა მეთოდით კეთდებოდა — „მშვიდობისათვის თანამშრომლობის“ „ნატოსთან თანამშრომლობის“ თუ ანტიტერორისტულ კოალიციაში მონაწილეობის ეგიდით. შედეგად, რუსეთის ირგვლივ ამერიკის სამხედრო ბაზების რაოდენობა ცივი ომის შემდგომი პერიოდიდან ამ დრომდე გამრავალკეცდა.

gazeta.eot.su

# სიკვდილით დასჯა პრეზიდენტის სახელით

**უპილოტო მართლმსაჯულება ამერიკულად უდანაშაულო ადამიანებს ერთ შანსსაც არ უტოვებს. 176 ბავშვი — მხოლოდ პაკისტანში...
2012 წლის 3სექტემბერს აშშ-ის არმიის უპილოტო საფრენი აპარატებიდან ერთ-ერთი მიზანს ასცდა. მან რაკეტა სავარაუდო ტერორისტების მიმართულებით გაუშვა, მაგრამ შეცდომის შედეგად 13 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის ორი ქალი, მოკლა. ეს სენსაციური ახალი ამბავი კი არა, აშშ-ის არმიის სისტემატური პრაქტიკაა სხვადასხვა კონტინენტის სხვადასხვა ქვეყანაში.**



სულ ახლახან, მიმდინარე წლის 20 იანვარს, ამერიკულმა უპილოტო საფრენმა აპარატებმა რვა ადამიანი მოკლა. მათგან ოთხი, სავარაუდოდ, „ალ ქაიდას“ ბოევიკია, ოთხი კი — აბიდას თემის ჩვეულებრივი მშვიდობიანი მოქალაქე.

ამერიკელებმა უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება დარტყმების განსახორციელებლად 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დაიწყეს. მანამდე ამ ტექნიკას მხოლოდ დაზვერვისთვის იყენებდნენ. მტრის განადგურება საკუთარი სავარძლიდან, როდესაც გვერდით ცხელი ყავით სავსე ფინჯანი გიდგას და შენი მხრიდან დანაკარგები აბსოლუტურად გამორიცხულია, იმდენად კომფორტულ და მიმზიდველ საქმედ იქცა, რომ ერთჯერადი ოპერაციები საბრძოლო მოქმედებების წარმოების სტრატეგიად იქცა. და მერე რა, რომ ამგვარი დარტყმების დროს უდანაშაულო შემთხვევითი ადამიანებიც იხოცებიან? მაგალითად, 2006 წელს პაკისტანში განხორციელებული სამი უპილოტო შეტევის შედეგად ამერიკელებმა 108 ადამიანი გაანადგურეს. მათგან 97 სამოქალაქო პირი აღმოჩნდა, 75 კი — ბავშვი. **2004 წლის ივნისიდან 2012 წლის სექტემბრამდე პაკისტანში უპილოტო საფრენი აპარატების შეტევების შედეგად 3325 ადამიანი მოკლეს, მათგან 881 მშვიდობიანი მოქალაქე იყო, 176 კი — ბავშვი.**

ვაშინგტონი სამოქალაქო პირების ხოცვას ძალისძალად, კბილებში გამოცრით აღიარებს, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოძრომის არანაირი საშუალება აღარ რჩება. მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს ამერიკისთვის, კონკრეტულად რამდენი ადამიანი მოკვდება მისი „ჭკვიანი“ რაკეტებისა და ბომბებისაგან? უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება დარტყმების მისაყენებლად სწორედ ამჟამინდელი პრეზიდენტის, ობამას, პერიოდში რამდენიმეჯერ გაიზარდა. იმ ობამასი, რომელიც მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატია. უპილოტო საფრენი აპარატების მიერ ჩატარებული იმ 300 ოპერაციიდან, რომლებიც ავღანეთ-პაკისტანის საზღვარს მოიცავდა, 250 სწორედ ობამას პირველი ვადის პერიოდზე მოდის.

**2004 წლის ივნისიდან 2012 წლის სექტემბრამდე პაკისტანში უპილოტო საფრენი აპარატების შეტევების შედეგად 3325 ადამიანი მოკლეს, მათგან 881 მშვიდობიანი მოქალაქე იყო, 176 კი — ბავშვი**



ამერიკის პრეზიდენტი ამ საკითხთან დაკავშირებით შემთხვევით არ ამოტივტივებულა. როგორც უკვე არაერთხელ აღიარეს მისმა მრჩევლებმა, **სწორედ მშვიდობისმყოფელი ობამა ამტკიცებს „დასახვრეტთა სიებს“, რომელთაც მისთვის სპეცსამსახურებისა და თეთრი სახლის თანამშრომელთა მთელი რაზმი ადგენს.** თავდაპირველად სასიკვდილოდ განწირულთა სიები იწერება ცსს-ში და აშშ-ის სამხედრო ძალების სპეციალური ოპერაციების მეთაურობაში. პრეზიდენტთან ხელის მოსაწერად ეს სიები მიჰქონდა პრეზიდენტის მაშინდელ თანაშემწეს ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით და ამჟამად ცსს-ს დირექტორ ჯონ ბრენანს. თეთრი სახლის უფროსი კი საბოლოოდ იძლეოდა სანქციას სასამართლოს გარეშე ლიკვიდაციისთვის.

**იმისათვის, რომ შეუმსუბუქდეს „მორალური პასუხისმგებლობისა“ და „ზნეობრივი განცდების“ ტვირთი, ვაშინგტონში გადაწყვიტეს, რომ წვევამდელი ასაკის ყველა მოკლული მამაკაცი ტერორისტად ან მათ ხელშემწყობად ჩათვალონ, რადგან დარტყმების მიყენებისას შეუცდომლობის უზრუნველყოფა არც ვაშინგტონს შეუძლია უზრუნველყოს და არც ვინმე სხვას.**

სამხედრო ექსპერტი, გადამდგარი პოლკოვნიკი **მიხეილ ტიმოშენკო** აცხადებს:

„უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებისას გამორიცხულია მშვიდობიან მოსახლეობას შორის მსხვერპლის თავიდან აცილების რაიმე გარანტიებზე საუბარი. პირიქით, მათი გამოყენება თანმდევი მსხვერპლის გარანტიაა. ჯერ ერთი, მიზანს განსაზღვრავს მზვერავი უპილოტო საფრენი აპარატი და ამის შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატის გამოყენების შესახებ. მეორეც, აპარატურას არ შეუძლია სამიზნის ასპროცენტიანი ამოცნობა. არ ღირს ბლოკბასტერებისთვის დაჯერება, თითქოს ამერიკელები თანამგზავრიდან ავტომნქანების ნომრებს კითხულობენ ან შიშველი გოგონების ანატომიის თავისებურებებს ამჩნევენ და ტექნოლოგიის არასრულყოფილება ხსნის, თუ რატომ იხოცებიან „მეგობრული სროლების“ შედეგად ქალები და ბავშვები ან რატომ აღმოჩნდება ხოლმე მიზანში ამოღებული პაკისტანელი ოფიცრების დიდი ჯგუფი.

გარდა ამისა, რამდენადაც ვხვდები, მიუხედავად იმისა, რომ ტელეტრანსლირება რეალური დროის რეჟიმში მიმდინარეობს, რაღაც დაგვიანებას მაინც აქვს ადგილი.

აქ არის კიდევ ერთი ნიუანსი. სიგნალი კომერციული თანამგზავრის გავლით იგზავნება და უკვე საკმარისად ბევრია, ვინც მის გატეხვას, სიგნალის შეცვლას ან კიდევ რაღაც ამდაგვარს ცდილობს. და ხდება ხოლმე, რომ ამგვარი მცდელობები წარმატებით სრულდება. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ, როგორ ჩაიგდო ხელში ირანმა სადაზვერვო უპილოტო საფრენი აპარატის მართვა. ასე რომ, შეცდომები გარდაუვალია ისევე, როგორც მსხვერპლი მშვიდობიან მოქალაქეთა შორის. მაგრამ ამერიკისთვის ეს წვრილმანია, რადგან მისთვის მხოლოდ საკუთარი მოქალაქეები არსებობენ და სხვა არავინ“.

**მართლაც, ვიდრე საქმე შეეხებოდათ უსახელო ავღანელებს, უცნობ პაკისტანელებსა და ვიღაც არაბებს, ამერიკას ამ ყველაფრის მიმართ ტოლერანტულობის საუკეთესო ტრადიციების შესაბამისი დამოკიდებულება ჰქონდა. მაგრამ საკმარისი იყო, უპილოტო საფრენ აპარატებს აშშ-ის სამი მოქალაქე-ტერორისტი აეფეთქებინა, უმალ ქარიშხალი აგორდა. ამერიკელ იურისტებსა და ჟურნალისტებს უმალ გაახსენდათ კანონი, კონსტიტუციის მეხუთე შესწორებაც, რომლის თანახმად, „არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის გარეშე“.**

რამდენიმე სენატორი აღშფოთდა იმის გამო, რომ აშშ-ის მოქალაქეთა შორის ტერორისტების ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიიღეს არაგამჭვირვალედ და რომ ადმინისტრაციის უფლებამოსილება ამ სფეროში გადამეტებულია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ცსს ვალდებულია, 24 საათის განმავლობაში ოპერაციის ჩატარების შესახებ ანგარიშით წარსდგეს კონგრესის მაპროფილებელი კომიტეტის წინაშე, სამხედროებისთვის კი არანაირი დროითი და სხვა სახის შეზღუდვა არ არსებობს, რაიმეს ბოროტად გამოყენებას ხომ არ აქვს ადგილი?

ამ სენატორებს აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა ერიკ ჰოლდერმა კატეგორიული პასუხი გასცა — აშშ-ის კონსტიტუცია ითვალისწინებს სათანადო სამართლებრივ პროცედურას და არა სასამართლო განხილვას, ანუ პრეზიდენტს შეუძლია ჩაანაცვლოს სასამართლოც და ყველაფერიც, რასაც კი მოინდომებს. პროკურორს მხარი დაუჭირა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომაც, რომელმაც ჩათვალა, რომ სამართლებრივი პროცედურა ყველასთვის ერთნაირი ვერ იქნება, მეხუთე შესწორება კი განსაზღვრავს გარანტიებს, რომლებიც დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე.

მაგრამ საეჭვოა, ობამასა და ვაშინგტონს მოეწონოთ, თუ ირანი ქურთების წინააღმდეგ დაიწყებს უპილოტოების გამოყენებას ან ჩინეთი გამოიყენებს მათ აფრიკაში.

შემთხვევები, რომელთა დროსაც უპილოტო საფრენი აპარატები გამოიყენება სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე, უდავოდ აგრესიის კატეგორიაში ხვდება, ხოლო როდესაც ამგვარი ოპერაციების დროს ადამიანებს ყოველგვარი სასამართლო დადგენილების გარეშე ხოცავენ, ეს ნამდვილი დანაშაულია და მკვლელობათა კატეგორიას განეკუთვნება.

**საეჭვოა, ობამასა და ვაშინგტონს მოეწონოთ, თუ ირანი ქურთების წინააღმდეგ დაიწყებს უპილოტოების გამოყენებას ან ჩინეთი გამოიყენებს მათ აფრიკაში**

**P.S. გაერომ ახლახან დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების შემთხვევათა შესწავლა, მაგრამ განიხილება მხოლოდ 25 ეპიზოდი და დიდად მოსალოდნელია, რომ ეს პროცესი უშედეგოდ დასრულდეს.**

kp.ru

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბურგერი, რომელიც შეფუთვიანად იჭმევა

**ბრაზილიურმა სწრაფი კვების ობიექტმა Bob-მა საკუთარი პროდუქცია საკვებად ვარგის შესაფუთში მოათავსა. რესტორნის სტუმრებს შეუძლიათ ბურგერები შეფუთული მიირთვან. Bob-ის ადმინისტრაციამ ეს გადაწყვეტილება ეკოლოგიაზე ზრუნვით ახსნა.** სტატისტიკური მონაცემებით, აშშ-ში 2010 წელს 75 მილიონი ტონა ნაგავი დაგროვდა, გადამუშავებას კი მხოლოდ ნახევარი დაექვემდებარა. შესაბამისად, მეცნიერებს ამ პრობლემის მოგვარება დაევალათ. შედეგად, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორებმა, რომლებიც ახალი საკვები პროდუქტის შექმნაზე მუშაობენ, WikiCells-ი შექმნეს. ეს პროდუქტი თავისუფლად შეიძლება გამოიყენოთ რაიმეს შესაფუთად და ამასთან, იჭმევა და გემრიელიცაა. შეფუთვა არა მხოლოდ იცავს საკვებს კლიენტის ჭუჭყიანი ხელებისგან, არამედ კერძის უფასო „გარნირის“ როლსაც ასრულებს. ბრაზილიური სწრაფი კვების ობიექტი ახლა კონკურენტებს შორის ყველაზე ცოტა ნაგავს აგროვებს.



## ინდოეთში გოგონებს ჯინსის ჩაცმა აეკრძალათ



**ინდოეთის რამდენიმე სოფელში ახალგაზრდა გოგონებს ჯინსისა და მაისურის ჩაცმა აეკრძალათ. აკრძალვის მიზეზი გოგონებზე გახშირებული ძალადობაა. „შიშვლები ნუ ივლით და ხელსაც არავინ გახლებთ“, — ამბობენ ინდოელი მამაკაცები.**

როგორც ინდოეთის შტატ ჰარიანაში მცხოვრები მოხუცები და ზრდასრული მამაკაცები ამბობენ, ახალგაზრდა გოგონები ქუჩაში ტანზე ზედმეტად მოტკეცილი ჯინსითა და „გულამოღებული“ მაისურებით დადიან. მათი თქმით, ნახევრად შიშველი სხეული მამაკაცებს ძალადობისკენ უბიძგებს და სწორედ ამის გამო გახშირდა ქვეყანაში გაუპატიურების ფაქტები. შტატში გახშირებული ძალადობის გამო უკვე აიკრძალა ალკოჰოლი. ნებისმიერი დაწესებულება, რომლებიც სპირტიან სასმელებს გაყიდიან, დაიხურება.

ჯინსების აკრძალვამ ახალგაზრდა ინდოელი გოგონები გააღიზიანა, ასაკოვანი ქალბატონები კი ამ გადაწყვეტილებას მიესალმებიან.

ინდოეთში ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაკნინებულია. მსოფლიოში ქალებზე ძალადობის შემთხვევების ყველაზე დიდი მაჩვენებელი ინდოეთშია. 2007-დან 2011 წლამდე ეს მაჩვენებელი 17 პროცენტით გაიზარდა. გაუპატიურების ფაქტები პროვინციებში გახშირდა, მაგრამ ძალადობის შემთხვევები არც დედაქალაქშია ნაკლები. ოფიციალური მონაცემებით, დელის ურბანულ დასახლება ნიუ-დელიში ყოველ 18 საათში ერთხელ ქალებზე ძალადობის შემთხვევა ხდება.

## გოგონა მაუგლი

**პატარა ფრანგ გოგონას, ტეპი დეგრეს, არასდროს უნახავს თვალით თეთრკანიანი ბავშვები. ის აფრიკაში ფრანგი ფოტოგრაფების ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები ველური ბუნების ფოტოებს იღებენ.**

ამის გამო ტეპის სხვა აღარაფერი დარჩენოდა, თუ არა ცხოველებთან მეგობრობა. მისი საუკეთესო მეგობრები არიან 28 წლის სპილო ალბუ, ლეოპარდი ჯეიენბი, ჟირაფები, მანგუსტები, პატარა ზებრები, ნიანგები და სხვ. გოგონა უშიშრად თამაშობს ველურ ცხოველებთან და, რაც ყველაზე საოცარია, ისინი ტეპის არ ერჩიან.

**გოგონა-მაუგლი დიდ დროს ატარებს ნამიბიურ ტომებთან, რომლებიც მას უდაბნოში ცხოვრების გამოცდილებას უზიარებენ. მშობლებმა — ალენ დეგრემ და სილვი რობერმა გადაიღეს კადრები საკუთარი შვილის ცხოვრებიდან.**







## მუსლიმან ქალებს ფრჩხილებზე ლაქის წასმის უფლება მისცეს

**მუსლიმანი ქალები ლოცვის რიტუალამდე სახესა და მკლავებს საგულდაგულოდ იბანენ, ფრჩხილებზე ლაქის დატოვება არ შეიძლება. ქალბატონები მანიკურს ყოველ დღე ლოცვის დაწყებამდე იშორებდნენ.**

**მუსლიმანი ქალბატონებისთვის პოლონურმა კოსმეტიკურმა კომპანია Inglot Cosmetics-მა ფრჩხილის სპეციალური ლაქი შექმნა, რომელიც იმ პოლიმერისგან შედგება, რომელიც კონტაქტურ ლინზებშიც გამოიყენება, ის ფრჩხილში იჟღინთება. როდესაც ფრჩხილის ლაქი შრება, წყალთან კონტაქტისას უფერულდება.**

ხშირად იყო დებატები იმასთან დაკავშირებით, უნდა წაისვას თუ არა მუსლიმანმა ქალმა ფრჩხილის ლაქი. შარშან საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადიში მუსლიმან გოგონასა და პოლიციას შორის შელაპარაკება სწორედ ფრჩხილის ლაქის გამო მოხდა. პოლიციელებმა გოგონას სიტყვიერი შეურაცხყოფა მოვლილი ფრჩხილებისა და მკვეთრი ფრჩხილის ლაქის გამო მიაყენეს. გაღიზიანებული მამაკაცები გოგონას უყვიროდნენ, რომ, როცა სხვა მუსლიმანი ქალები თმის კულულსაც კი ჩადრის ქვეშ მალავენ, მას არ აქვს უფლება, საზოგადოებაში ფრჩხილის ქალით გამოჩნდეს. ამიერიდან მსგავსი რამ ველარ მოხდება, რადგან მუსლიმან ქალებს ლაქის წასმის უფლება მიენიჭათ.



## ტატუირებული ჩეხი საპრეზიდენტო კანდიდატების სამეულში მოხვდა



**ჩეხი კომპოზიტორი ვლადიმერ ფრანცი, რომელსაც მთელი სხეული ტატუირებული აქვს, ჩეხეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ბოლო შედეგებით, ჩეხი მუსიკოსი რეიტინგში მესამე ადგილზე დაწინაურდა.**

პრეზიდენტობის კანდიდატს სამშობლოში უჩვეულო გარეგნობის გამო „ავატარი“ შეარქვეს, საპრეზიდენტო ტელედებატების დროს კი ერთ-ერთმა სტუმარმა მას „პაპუა-ახალი გვინეის ეგზოტიკური ქმნილება“ უწოდა.

ჩეხეთში პრეზიდენტს პირდაპირი არჩევნებით ქვეყნის მოქალაქეები პირველად ირჩევენ. არჩევნები 2013 წლის 11 და 12 იანვარს გაიმართება. მანამდე ქვეყნის პირველ პირს პარლამენტის ორივე პალატის სხდომაზე ირჩევდნენ.

არჩევნებში მონაწილეობას სულ 9 კანდიდატი მიიღებს. ამ დროისთვის რეიტინგში პირველ ადგილზე ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მილოშ ზემანია.

## გაყინული შენობა



**იანვრის ერთ დილას ჩიკაგოს ერთ-ერთი ქუჩის მკვიდრთ, მიტოვებული ავეჯის საწარმოს ნაცვლად, უზარმაზარი „ყინულის სასახლე“ დახვდათ. შენობას ღამით ცეცხლი გაუჩნდა და მის ჩაქრობას 200-მდე მეხანძრე ხუთი საათის განმავლობაში ცდილობდა, მაგრამ დაბალი ტემპერატურის გამო წყალი იყინებოდა და დილამდე შენობა უზარმაზარ ყინულის სკულპტურას დაემსგავსა.**

გაიყინა შენობის გვერდით მდგარი ავტომობილები, მათ შორის ერთი სატვირთო მანქანაც. აშშ-ში ბოლო დღეების განმავლობაში ტემპერატურა განსაკუთრებით დაეცა. ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ტემპერატურამ -40 გრადუსამდეც კი დაეცა, რაც ნორმაზე გაცილებით დაბალია. სიცივეს თან ერთვის ძლიერი ქარიც.



## ოქროს კალაშნიკოვი

**ჰონდურასის პოლიციამ სპეცოპერაციის დროს მოოქროვილი და ბრილიანტებით მოოჭვილი AK-47 იპოვა. მისი ღირებულება 50 000 დოლარია.** მოოქროვილი ავტომატი და ორი ვერცხლის მჭიდი პოლიციელებმა ქვეყნის დედაქალაქ ტეგუსიგალპადან 300 კილომეტრის მოშორებით ერთ-ერთ რანჩოში სპეცოპერაციის დროს იპოვეს. სამართალდამცავების აზრით, ნაპოვნი ავტომატი ჰონდურასელ ნარკომოვაჭრეებს ეკუთვნით. სპეცოპერაციის დროს სამართალდამცავებმა ორი მამაკაცი დააკავეს, რომელთა ავტომანქანებში ავტომატები და ყუმბარმტყორცნები აღმოაჩინეს.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 72 წლის მოდელი კაცი

**72 წლის ჩინელი კაცი მოდელის სახით წარმოადგენს მისი შვილიშვილის კოლექციას. პირველად, როცა ლიუ ტინგის შვილიშვილმა ოჯახის წევრებს საკუთარი კოლექცია აჩვენა, ბაბუამ რამდენიმე მათგანი მოიზომა.**

ლიუსი, რომელსაც აქამდე ქალის ტანსაცმელი არ მოურგია, ძალიან კმაყოფილი დარჩა. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ლიუს შვილიშვილმა საკუთარი საიტისთვის მოდელები ვერ მოძებნა, მან ბაბუას მიმართა და ბაბუც სიამოვნებით დათანხმდა.











# გრანდიოზული ფასდაკლება შიშველი პარიზელებისთვის

**პარიზში მდებარე ერთ-ერთი ესპანური ბრენდის მაღაზიამ შიშვლად მისვლა შესთავაზა კლიენტებს, რომლებიც სანაცვლოდ, ტანზე მორგებულ ნებისმიერ ტანსაცმელს თუ აქსესუარს მაქსიმალური ფასდაკლებით მიიღებენ.**

შედეგმაც არ დააყოვნა. ქუჩაში უზარმაზარი რიგები დადგა. ფოტოებზე ჩანს, როგორ ელოდებიან და რა რეაქცია აქვთ საფრანგეთის მოქალაქეებს გრანდიოზულ ფასდაკლებებზე. კადრები ტექნიკისა და ტანსაცმლის მაღაზიებშია გადაღებული.

# ქალი მშობიარობის შემდეგ 40 წლით დაბერდა

**27 წლის ჩინელი ქალი, გვარად ვუ, მეორე მშობიარობიდან ექვსი თვის შემდეგ 40 წლით დაბერდა. მას სახე დაუნაოჭდა. მისი თქმით, დედობით ტკბობის ნაცვლად, იტანჯება და ყველას ემალება. გარშემომყოფნი ფიქრობენ, რომ ვუ ახალშობილის ბებიაა.**

**„ადრე თავდაჯერებული და მხიარული ვიყავი. ვცდილობდი, ნორმალური ცხოვრებით მეცხოვრა, ვიმოსებოდი ისე, როგორც ყველა ჩემი თანატოლი. მაგრამ ახლა მოხუცად აღმიქვამენ და მე რაიმეს შეცვლა არ შემიძლია. ყველა ამბობს, რომ 60-70 წლის ქალს ვგავარ“,** — აცხადებს ვუ.

ჩინელი ყვება, რომ საკუთარ თავს ცვლილებები 21 წლის ასაკში პირველი შვილის გაჩენის შემდეგ შეატყო. „შევამჩნიე, რომ ჩემმა კანმა ელასტიურობა დაკარგა, თუმცა ამისთვის მაშინ დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. ახლა კი ვითარება კატასტროფულია“, — აცხადებს იგი.

თავიდან ვუ თვითმკვლელობაზეც ფიქრობდა, მაგრამ საბოლოოდ დახმარებისთვის ექიმებს მიმართა.

გამოკვლევის შემდეგ ექიმებმა ჩინელს იშვიათი დაავადების — ანეტოდერმიის დიაგნოზი დაუსვეს, რომლის დროსაც კანის ნაწილობრივი ატროფია ვითარდება და ქსოვილები ელასტიურობას კარგავს.

სპეციალისტთა თქმით, ვუს დაავადება, შესაძლოა, მის გენეტიკას უკავშირდებოდეს. მისი დახმარების ერთადერთი საშუალება პლასტიკური ოპერაციაა.



# სამხრეთ აფრიკის ფერმიდან 15 000 ნიანგი გაიქცა



**სამხრეთ აფრიკის ფერმიდან Rakwena Crocodile Farm 15 000 ნიანგი გაიქცა.**

გალიებში მოთავსებული ნიანგები ფერმიდან მას შემდეგ გაიქცნენ, რაც ტერიტორია ძლიერმა წვიმამ დატბორა. ნიანგები უკვე შენიშნეს ადგილობრივ სკოლებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის დაწესებულებებში. ზოგიერთი მათგანი დაიჭირეს და ფერმაში დააბრუნეს, მაგრამ უმეტესობის ადგილსამყოფელი უცნობია.

მოსახლეობაში პანიკაა. მთავრობა ადგილობრივებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

აფრიკული ნიანგი, რომელიც ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ბინადრობს, ყველაზე სახიფათო და სასტიკია. ის 5 მეტრამდე იზრდება და ნადავლს თავს სწრაფად ესხმის.

# «ფეისბუქი» ადამიანებს აუბედურებს




**სოციალური ქსელი „ფეისბუქი“ ადამიანებს აიძულებს, თავი უბედურად იგრძნონ. ამის შესახებ ბელგიის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის და დარმშტადის ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებმა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით განაცხადეს.**

მათი დასკვნის მიხედვით, ადამიანები, რომლებიც სოცქსელებში ცოტა დროს ატარებენ, თავს სხვებთან შედარებით უკეთ გრძნობენ.

დასკვნაში „შური Facebook-ზე: ფარული საფრთხე მომხმარებლებისთვის“ აღნიშნულია, რომ ადამიანები, რომლებიც მათი მოგზაური ონლაინ-მეგობრების ფოტოებს ათვალიერებენ და მათ ბედნიერ სტატუსებს კითხულობენ, შურით ივსებიან და ცხოვრებით ველარ ტკბებიან.

გამოკითხვაში მონაწილეობა 400-მდე სტუდენტმა მიიღო. ყოველმა მესამემ აღიარა, რომ „ფეისბუქის“ მომხმარებელთა გვერდების თვალიერებისას ხშირად ეუფლებათ შურის გრძნობა.

ანალიტიკოსები სოციალური ქსელის მომხმარებლებს „ფეისბუქზე“ ნაკლები დროის გატარებისკენ მოუწოდებენ. მათივე აზრით, კარგი იქნება, თუ მომხმარებლები მათი მეგობრების ბედნიერ სტატუსებსა და ფოტოებს დაბლოკავენ. ამასთან, მეცნიერები იმასაც ვარაუდობენ, რომ ასეთი მიდგომა საფრთხეს უქმნის „ფეისბუქის“ პოპულარობას.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ოქროს პერანგი

**ინდოეთი ოქროს მოხმარების მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. გასაკვირი არ არის, რომ სწორედ ამ ქვეყანაში გაჩნდა ოქროს პერანგის შექმნის იდეა. პერანგი 24-კარატიანი ოქროსგანაა დამზადებული.** დატა ფიუგმა, რომელიც ინდოეთის ქალაქ პიმპრი-ჩინჩვადში ცხოვრობს, ოქროს პერანგის შესაქმნელად 22 624 დოლარი დახარჯა. ოქროს პერანგის ჩაცმა ყოველდღიურად არის შესაძლებელი.

## მამაკაცები მოკლე კაბების აკრძალვას მოითხოვენ



**დასაქმებულ მამაკაცებს ოფისში მოკლეკაბიანი კოლეგები აღიზიანებთ. ბრიტანულმა ორგანიზაციამ British Heart Foundation დასაქმებული მამაკაცები გამოკითხა და დაინტერესდა, როგორ რეაგირებენ ისინი კოლეგა ქალბატონების ჩაცმულობაზე.**

მამაკაცების უფლება რომ იყოს, ქალბატონებს ოფისში მოკლე კაბებთან ერთად, ტანზე მოტკეცილი შარვლებისა და დეკოლტიანი მაისურების ჩაცმასაც აუკრძალავდნენ. მათი თქმით, ოფისში სექსუალური ქალის დანახვა სახიფათოა, რადგანაც გულმავიწყები, დაბნეულები და სევდიანები ხდებიან.

**„სამსახურის შოვნა ისედაც რთულია, სამსახურში სტრესული მდგომარეობა არ გვაკლია და ასეთ მდგომარეობაში, თითქმის შიშველი ქალის გვერდით, საქმეზე კონცენტრაცია გვიჭირს“,** — ჩივიან კაცები. გამოკითხული მამაკაცების 30% აცხადებს, რომ ოფისში მისულს განწყობა ეკარგება, როდესაც კოლეგა ქალბატონს მოქარგული ან სხვადასხვა პრინტით გაფორმებული კოლგოტი აცვია.

აღმოჩნდა, რომ მოკლე კაბა ოფისში მხოლოდ მამაკაცებს არ აღიზიანებთ. დასაქმებული ქალების 67%-ის თქმით, მინი ქვედაბოლო ქალბატონის არაპროფესიონალიზმსა და სამსახურისადმი არასერიოზულობას ამჟღავნებს. ამასთან, წითელი ფერის სამოსი და პომადა ქალის ძლიერ ბუნებასთან და თავდაჯერებულებასთან ასოცირდება.

## «ჩინური ევროპა»

**ჩინელებისთვის სირთულეს აღარ წარმოადგენს საკუთარ მიწაზე სხვა ქვეყნის ქალაქების გაშენება. მაგალითად, პატარა დასახლება ტიანდუჩენს საკუთარი ეიფელის კოშკი, ტრიუმფალური თაღი, ინგლისური პაბები და მდინარე ტემზა აქვს.**

ყველაფერი ეს კომპაქტურადაა განთავსებული ქალაქ ჰანჩჟოუს სიახლოვეს. „ჩინური ევროპა“ კომპანია Zhejiang Guangsha Co. Ltd-მა შეძლებული ჩინელებისთვის ააშენა. ახლა ჩინეთის მოქალაქეებს ევროპის ღირსშესანიშნაობათა ნახვა საკუთარი ქვეყნიდან გაუსვლელადაც შეუძლიათ.

ევროპული ქალაქის იმიტაცია ჩინეთში 19 000 კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული. ის 5 წლის განმავლობაში შენდებოდა და მხოლოდ „მუზეუმის“ დატვირთვა არ აქვს. ამ ტერიტორიაზე განთავსებულია სკოლა, ევროპული ტიპის საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფო და კლუბი.

„ჩინურ ევროპაში“ ამ დროისთვის მხოლოდ 2000 ადამიანი ცხოვრობს. ყოველდღიურად აქ უამრავი ტურისტი და ახალდაქორწინებული მოდის, რათა ფოტოები გადაიღონ.







## ყველაზე სამართლიანი ცხოველები

**შიმპანზეებს, რომელთაც ადამიანის ყველაზე ახლო ნათესავად თვლიან, სამართლიანობის თანდაყოლილი გრძნობა აქვთ, — ირწმუნებიან ჯორჯიის შტატის მეცნიერები.**

მკვლევარებმა შენიშნეს, რომ თამაშის დროს, როდესაც ორმა მაიმუნმა ერთმანეთს ბანანი უნდა გაუნაწილოს, ისინი პარტნიორს იმავე ზომის ნაჭერს აძლევდნენ, როგორსაც თავად იტოვებდნენ.

მეცნიერების აზრით, ექსპერიმენტი ამტკიცებს, რომ სამართლიანობის გრძნობა, როგორც ადამიანური მახასიათებელი, ევოლუციის მეშვეობით გაჩნდა. შიმპანზეები ჯგუფურად ცხოვრობენ, ერთად ნადირობენ და შთამომავლობაზე ზრუნვის მოვალეობას ინაწილებენ.

სხვა კვლევაში მეცნიერების გუნდმა 2-დან 7-წლამდე ბავშვებში „ულტიმატუმის თამაში“ ჩაატარეს. შედეგად დადგინდა, რომ შიმპანზეებისა და ბავშვების რეაქცია ზრდასრული ადამიანის რეაქციას ემთხვევა.

**„ადამიანის გაზიარების უნარის ევოლუციური ძირის აღმოჩენას ვცდილობთ. შიმპანზე, ისევე, როგორც ადამიანი, თანამშრომლობისკენაა მიდრეკილი. ისინი ერთობლივ ნადირობაში მონაწილეობენ, საკვებს ინაწილებენ და შთამომავლობაზე ზრუნავენ“,** — აცხადებს პრიმატების ნაციონალური კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი ემორი დერბი პროკტორი.

ამასთან, მანჩესტერის უნივერსიტეტის დოქტორ სიუზან შულცის აზრით, ჯერჯერობით უცნობია, ნამდვილად ესმით თუ არა მაიმუნებს თამაშის არსი. შულცი თვლის, რომ



კვლევის გაგრძელება პრიმატების ჯგუფთან აუცილებელია, რათა ზუსტად დადგინდეს, ეფუძნება თუ არა მაიმუნების ქმედება სამართლიანობის გრძნობას.



## ფეხსაცმელი ხიდის დიზაინით

**მოდის ბიზნესში დიზაინერები ნამდვილ სასწაულებს ახდენენ, რათა მათი პროდუქტი ყველასგან გამორჩეული იყოს. ჯულიან ჰეიქსმა ქალებს ექსტრავაგანტული ფეხსაცმლის ახალი კოლექცია შესთავაზა.**

კოლექციას Mojito ქვია. ჯულიანის მიერ შექმნილ ფეხსაცმელში ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის დიზაინი და არქიტექტურული მიდგომა, რომლის შედეგად პროდუქტი არა მხოლოდ ლამაზი, არამედ ფუნქციური და კომფორტული გამოვიდა.

დიზაინერის განცხადებით, ამ კოლექციაზე მუშაობისას მისი შთაგონება ხიდების არქიტექტურა იყო. „დავინტერესდი, როგორი იქნებოდა ფეხსაცმელი, თუ მას ხიდების არქიტექტორები შექმნიდნენ“, — განაცხადა დიზაინერმა.

Mojito-ს კოლექციის ფეხსაცმელი სხვადასხვა ფერისაა. მათი შეძენა ონლაინ მაღაზიებში 130 ფუნტ სტერლინგად არის შესაძლებელი.



## ბორდელი ინვალიდებისთვის



**დიდ ბრიტანეთში, ქვეყანაში პირველად, ბორდელი გაიხსნა, რომელიც არაჯანსაღი ფსიქიკისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს მოემსახურება.**

„თანამედროვე საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ადამიანებს, რომელთაც სხვადასხვა სახის ფსიქიკური და ფიზიოლოგიური გადახრა აქვთ, სექსუალური მოთხოვნები უჩნდებათ, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს“, — განმარტავს ჩანაფიქრს ბორდელის მეპატრონე 44 წლის ბრიტანელი ბეკი ადამსი.

ამჟამად იგი საკუთარი დაწესებულებისთვის თანამშრომლებს ეძებს და სჯერა, რომ მისი კლიენტები აუტისტები, დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები და სხვა მოქალაქეები იქნებიან, რომლებსაც პარტნიორის პოვნა უჭირთ.

ესპანელი ფსიქოლოგები აცხადებენ, რომ ადამიანებმა, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ ან თუნდაც ნაწილობრივ პარალიზებულნი არიან, საკუთარ სექსუალურ ცხოვრებას ხაზი არ უნდა გადაუსვან...

# ცნობილ ადამიანებს 10-ფუნტიან ბანკნოტებზე გამოსახავენ

**The Beatles-ის, ბექჰემს, შექსპირს და კიდევ 147 ცნობილ ადამიანს 10-ფუნტიან ბანკნოტებზე გამოსახავენ.** სიაში 150 კანდიდატია — პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, სპორტსმენები და მუსიკოსები. პრეტენდენტებს შორისაა მიკ ჯაგერი, რობი უილიამსი, უინსტონ ჩერჩილი, პრინცესა დიანა, ბაქტერიოლოგი ალექსანდრ ფლემინგი, ფიზიკოსი სტივენ ჰოკინგი, კომპიუტერული გენიოსი ალან ტიურინგი. ყველაზე ღირსეულს ხმის მიცემით გამოავლენენ.




ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ყოფილების ფესტივალი»



**მაშინ, როცა მთელ დანარჩენ პლანეტაზე, როგორც წესი, შეყვარებულები უიღბლო რომანის შემდეგ ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ, ვიეტნამში „ყოფილებს“ ფესტივალის ფარგლებში ხვდებიან.**

ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში არსებობს „სიყვარულის ბაზრობა“, სადაც წლების წინ დაშორებული წყვილები ერთმანეთს კვლავ ხვდებიან, მეგობრულად საუბრობენ და ერთმანეთის ამბებს კითხულობენ. ყოველ წელს აქ სხვადასხვა ქალაქიდან ექსშეყვარებულები იკრიბებიან.

„იყო დრო, როდესაც ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ გარკვეული მიზეზის გამო არ დავქორწინდით, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მტრები ვართ“, — აცხადებენ ფესტივალის მონაწილეები.

თუკი ადამიანს სურვილი აქვს, რომ ძველ შეყვარებულს შეხვდეს, მას მესიჯი უნდა მისწეროს, თავი შეახსენოს და ფოტოსურათი გაუგზავნოს.

„სიყვარულის ბაზრობა“ მხოლოდ ექსშეყვარებულებს არ იზიდავს. ქალაქს ათასობით ტურისტი სტუმრობს. ისინი გაოცებულნი ადევნებენ თვალს რიტუალს, როდესაც უკვე ხანდაზმული თუ ახალგაზრდა ადამიანები მეგობრულად და თბილად საუბრობენ პიროვნებასთან, რომელთანაც რომანი კრახით დასრულდა.

# განდეგილი



**ემა ორბაქი, მდიდარი ინგლისელი მუსიკოსის ქალიშვილი, უკვე 13 წელია, უკაცრიელ ადგილას ცხოვრობს.**

ბავშვობაში ის თავისი ქვეყნის ყველაზე ძვირადღირებულ სკოლა-პანსიონში სწავლობდა უცხოეთის ორი ქვეყნის პრეზიდენტების შვილებთან ერთად. სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლებმა სასწავლებლად ოქსფორდში გაუშვეს, რომელიც ჩინური ენის სპეციალისტის დიპლომით დაამთავრა.

ემამ რამდენიმე წლის წინ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო — 58 წლის ორბაქი, რომელსაც სამი შვილი ჰყავს, 13 წელია, უელსის დასავლეთით, უახლოესი გზიდან 15 წუთის სავალზე, ტყეში, ტალახში ჩაფლულ ქოხში ცხოვრობს.

ემა ორბაქი თავს ბედნიერად გრძნობს ქოხში, რომელშიც დენი, გაზი, წყალი, აბაზანა, ტუალეტი, ტელევიზორი, რადიო და თანამედროვე ადამიანისთვის საჭირო სხვა ნივთები არასდროს ჰქონია.

როგორც თვითონ ამბობს, ბუნების წიაღში ცხოვრება იმხელა სიხარულს ანიჭებს, რომ ამის ფონზე აღარ უჭირს მარტოობა, არც წყლის ზიდვა, შეშის ჩეხვა, შვიდი ქათმის, 3 თხის, 2 ცხენისა და ორი კატის მოვლა, ბოსტნეულის მოყვანა...

„ბევრს ჰგონია, რომ აქ ცხოვრებით პროტესტს გამოვხატავ რაიმეს ან ვინმეს მიმართ. არა, ასე არ არის. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ. ბავშვობა სოფელში, ველად გავატარე. ძალიან მიყვარს ბუნება და ყვავილები. მე და ჩემი ძმა ზოგჯერ საჭმელს ხეზე ვჭამდით. იდეალური დრო იყო. ნამდვილი თავისუფლება მქონდა“, — ამბობს ემა ორბაქი.





# წითელი ქვიშის ღრუბელი

**ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში უჩვეულო ბუნებრივი მოვლენა დაფიქსირდა — ქვიშის ღრუბელმა ქალაქი ონსლოუ მთლიანად დაფარა.**

ფოტოსურათები გემზე მყოფმა მუშებმა და თვითმფრინავის მგზავრებმა გადაიღეს. როგორც ადგილობრივები ამბობენ, ოკეანიდან უზარმაზარი წითელი ქვიშის ღრუბელი დაიძრა, რომელიც ქალაქისკენ მიემართებოდა. ღრუბელი ცუნამის ტალღას ჰგავდა. ექსპერტების აზრით, ეს მოვლენა ავსტრალიაში მომხდარი ქარიშხლით იყო გამოწვეული.



# საბავშვო ბაღი თვითმფრინავში



ვებსაიტი **Amusing Planet,** რომელიც მსოფლიოში ყველაზე უცნაურ, ორიგინალურ და საინტერესო მოვლენებზე წერს, ამჯერად მთავარ გვერდს საქართველოს უთმობს. Musing Planet-ის ჟურნალისტებმა რუსთავში მდებარე თვითმფრინავში გახსნილ ბაგა-ბაღზე სტატია დაწერეს.

**„საქართველოში, ქალაქ რუსთავში მდებარეობს ბაგა-ბაღი, რომელიც თვითმფრინავშია გახსნილი. თვითმფრინავ YAKOVLEV YAK-42-ში ბაგა-ბაღისთვის განკუთვნილი ყველა საჭირო ინვენტარია განთავსებული. აკადემიური ქალაქის რექტორმა გარი ჩაფიძემ თვითმფრინავი შეიძინა და ბორტი ბავშვის განვითარებისთვის საჭირო ნივთებითა და სათამაშოებით აღჭურვა. ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს პილოტის კაბინაში თამაშიც შეუძლიათ“,** — წერს Amusing Planet.

სტატიას თან რამდენიმე ფოტო ერთვის. რუსთავში მდებარე ბაგა-ბაღზე ბრიტანული და ამერიკული ვებსაიტები ხშირად წერენ.

# ბრიტანელმა ქალმა «საბრალონი» 957-ჯერ ნახა

**ვიქტორ ჰიუგოს 1862 წელს გამოსული ეპიკური რომანის მიხედვით დადგმული თეატრალური წარმოდგენა, რომელიც ფრანგ მუსიკოსებს ალენ ბუბლილსა და კლოდ-მიშელ შონბერგს ეკუთვნით, სალი ფრისმა პირველად 1988 წელს ნახა და საოცრად მოიხიბლა. იმ დღიდან მოყოლებული, მისივე თქმით, 25 წლის განმავლობაში ის თითქმის ყველა ჩვენებას ესწრებოდა.**

**„ყოველთვის განსაკუთრებით მიყვარდა თეატრი. ყველა აღფრთოვანებული იყო სპექტაკლით. ბოლოს და ბოლოს, სამი წლის შემდეგ, მოვახერხე შოუზე დასასწრები ბილეთების შოვნა. როგორც კი ვნახე, მაშინვე შემიყვარდა და ყოველ ჯერზე მივდიოდი სპექტაკლის სანახავად“,** — განაცხადა სალი ფრისმა.




მას შემდეგ 25 წლის განმავლობაში გლოჩესტერში მცხოვრებმა ქალბატონმა ბილეთების შეძენაზე ჯამში 50 ათასი ფუნტი (დაახლოებით 81 ათასი დოლარი) დახარჯა.

როგორც სალი ფრისი ამბობს, სპექტაკლს ის, ძირითადად, ლონდონში ესწრებოდა, თუმცა ნამყოფია ბრისტოლის, ბირმინგების, ედინბურგის, მანჩესტერის წარმოდგენებზე, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის — მიუზიკლის ჩვენებას ის შვედეთსა და ნიუ იორკშიც დასწრებია.

სამი ათეული წლის განმავლობაში მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში 20 სხვადასხვა ენაზე გამართულ მიუზიკლის ჩვენებას 60 მილიონზე მეტი მაყურებელი დასწრებია.



# სააკაშვილის პარლამენტში გამოსვლას მთავრობა არ დაესწრება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოში 8 თებერვალს ყოველწლიური მოხსენებით პრეზიდენტი უნდა გამოვიდეს.**

„არ ვაპირებთ ქუთაისში წასვლას. რა უნდა თქვას ახალი. ალბათ, ახალ სიცრუეებს შემოიტანს. მიხეილ სააკაშვილთან პოლემიკაში მაშინ შევალ, როცა ის პოზიციას შეიცვლის და ნორმალურ ოპონირებას მოახერხებს“, — განმარტა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა შეკითხვის საპასუხოდ, ხომ არ აპირებს უმრავლესობა საპრეზიდენტო არჩევნებამდე დამატებით კიდევ რაიმე ტიპის ცვლილებების მომზადებას, მათ შორის პარლამენტის მიერ პრეზიდენტის შესაძლო არჩევასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ეს საკითხი საკუთარ გუნდში არ განუხილავს.

„ცალკეულმა დეპუტატმა გამოთქვა თავისი აზრი, მაგრამ უმრავლესობაში ამის განხილვა არ მომხდარა. შესაბამისად, არ ვაპირებთ ამის ინიცირებას, თუმცა, რაც შეეხება სხვა ცვლილებებს, ბუნებრივია, ის გაგრძელდება, რადგან კონსტიტუცია საშინელ დღეშია. ის უნდა მოვარგოთ ჩვენი ქვეყნის პერსპექტივას“, — აღნიშნა ივანიშვილმა. ამის თაობაზე იუწყება livepress.ge.




# ელექტროენერგიის ტარიფის 3 თეთრით შემცირება სამარცხვინოა

**პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი დღეს საზოგადოებას გასული 100 დღის განმავლობაში მთავრობის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს ჩააბარებს, — ამის შესახებ პარლამენტარმა ეკა ბესელიამ განაცხადა.**

commersant.ge-ს ინფორმაციით, დეპუტატმა განაცხადა, რომ ღონისძიებაზე ივანიშვილი აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო პრეზენტაციას გამართავს.



**„მოსახლეობა კარგად დაინახავს, რომ ეს 100 დღე ძალიან მნიშვნელოვანი იყო შედეგების თვალსაზრისით, თუმცა ყველაფერი წინ გვაქვს. ჩვენ ძალიან მცირე დროში შევძელით ძალიან მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება. პირველ რიგში, შევინარჩუნეთ ქვეყანაში ვითარება, რომლითაც შესაძლებელია ვილაპარაკოთ რეალურად დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნაზე, მთავარი ძალოვანი სტრუქტურების დეპოლიტიზირებაზე. ამასთან, ახალი მთავრობა ორიენტირებულია ახალი ბიუჯეტის შესრულებაზე და ჩვენი მოსახლეობა მცირე ხანში იგრძნობს, რას ნიშნავს სიკეთე, რომელიც მათ რეალობად ახალი ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ექცათ“,** — აღნიშნა ეკა ბესელიამ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, დავით დარჩიაშვილის, განცხადებით კი, „ქართული ოცნების“ მთავრობის მიერ გადადგმული არც ერთი ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზე არ არის გათვლილი და ის, როგორც შედეგი, ვერ შეფასდება. მისი თქმით, ელექტროენერგიის ტარიფის 3 თეთრით შემცირება „სამარცხვინოა“ და ჯერ კიდევ გასარკვევია, რის ხარჯზე მოხდა ტარიფის შემცირება, ხომ არ გეგმავენ კომპანიები ამის გამო მთელი რიგი ინფრასტრუქტურული აქტივობების შემცირებას?

ამასთან, დარჩიაშვილის განცხადებით, ამ დრომდე ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმა არც ერთ მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯში არ ჩანს და ამიტომ მთავრობის 100-დღიანი საქმიანობის შედეგების შეფასებას „არასერიოზულს“ უწოდებს.

იმის მაგალითად, რომ ხელისუფლების ნაბიჯები გრძელვადიან პერსპექტივაზე არაა გათვლილი, დარჩიაშვილს „ქართუ ფონდიდან“ სტიქიით დაზარალებულთათვის კომპენსაციების გაცემა მოჰყავს. დეპუტატის შეფასებით, ეს არა კერძო ფონდიდან, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა მომხდარიყო.

# თებერვლიდან გაზის ტარიფი 10%-ით შემცირდება

**თებერვლიდან ბუნებრივი აირის ტარიფი 10%-ით შემცირდება. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ მიმდინარე ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**



მან აღნიშნა, რომ მთავრობა ამ კუთხით მუშაობას კვლავ გააგრძელებს და იმედი გამოთქვა, რომ ტარიფის დაწევა კიდევ მოხერხდება.

**„ალბათ, შეამჩნიეთ, რომ საქართველოში დაიწყო ფასების შემცირება. ელექტროენერგიის ფასი 21%-27%-ით შემცირდა, საწვავის 10%-ით. ასევე შეინიშნება ფარმაცევტული პროდუქციის ფასის 30-დან 70%-მდე შემცირების ტენდენცია. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ბიზნესმენებმა ყურად იღეს, რომ მონოპოლიური ფასები არ უნდა იყოს და თვითონ დაიწყეს ფასის დაკლება“,** — დასძინა ივანიშვილმა.

# გენადი ონიშჩენკოსთან შეხვედრა ძალიან პროდუქტიული იყო

**ქართული მხარე რუსეთის მთავარ სანიტარ გენადი ონიშჩენკოსთან შეხვედრით კმაყოფილია.**

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში მოსკოვში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილმა განაცხადა, ძალიან პროდუქტიული შეხვედრა იყო, რადგან ყველა განსახილველ საკითხზე პასუხი მიიღეს.



**„დაიგეგმა შემდეგი ნაბიჯებიც და ეს არის ის, რომ ერთ კვირაში რუსი სპეციალისტები ეწვევიან საქართველოს და რაზეც ჩვენ დღეს საუბარი გვქონდა, რაც ჩვენ რუსულ მხარეს ავუხსენით, ისინი ამას თავისი თვალით ნახავენ. ამის პარალელურად, ჩვენგან მომზადდება ერთობლივი სია ყველა მსურველის, რომელიც რუსეთის ბაზარზე დააპირებს მუშაობას და საქართველოს ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან კოორდინაციით და ორგანიზებით, რუსული მხარე დაიწყებს ამ საწარმოების რეგისტრაციას რუსეთში იმიტომ, რომ ეს არის აუცილებელი პროცედურა“,** — განმარტა დავითაშვილმა.

რაც შეეხება კითხვას, თუ როდის დაბრუნდება ქართული ღვინო რუსულ ბაზარზე, ლევან დავითაშვილი ვარაუდობს, რომ ეს იქნება ერთ-ორ თვეში. მისივე თქმით, ერთი კვირის თავზე საქართველოში „როსპოტრებნადზორის“ სპეციალისტების პირველი დელეგაცია ჩამოვა, შემდეგ ჩამოვლენ სამ ჯგუფად, ისინი ნახავენ კონკრეტულ საწარმოებს და გაეცნობიან ქართული ხარისხის კონტროლის სისტემას.

# მიხეილ სააკაშვილს გეგმები ჩაეშალა



**საქართველოს პრეზიდენტი ვერ შეძლებს იმ საკონსტიტუციო მუხლის გამოყენებას, რომელიც მას ერთპიროვნულად მთავრობის დათხოვნის საშუალებას აძლევს. ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა.**

„ოთხშაბათის სხდომაზე უმრავლესობას აქვს ინიციატივა, რომ შედგეს პოლიტიკური დებატები სწორედ იმ საკითხებზე, რომლებიც ბოლო ერთი თვის განმავლობაში განხილვის საგანი იყო და ეს არის არჩევანი ქვეყნის დემოკრატიისკენ თუ დიქტატურისკენ. შესაბამისად, ამ პოლიტიკური დებატების პროცესში ჩვენ ვიწვევთ უმრავლესობას და მივმართავ მარტივი კითხვით — მხარს უჭერენ თუ არა, რომ საქართველოს კონსტიტუციიდან ამოღებული იქნას ის პუნქტი, რომლის ძალითაც მიხეილ სააკაშვილს შეუძლია ერთპიროვნულად დაითხოვოს დღევანდელი მთავრობა და დანიშნოს ახალი მთავრობა. ამ საკითხზე ყველა პარლამენტის წევრს ექნება საშუალება, გამოხატოს თავისი პოზიცია და გასცეს ამ კითხვაზე პასუხი საზოგადოებას“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.







http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009